

ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი




24 დეკემბერი 2010

№26(130)

ჟამი კომიზმისა და ჟამი ტრაგიზმისა
ირაკლი ციგროშვილის ლექსები
ელისაბედ ერისთავის მოგონება
პაატა ჩხეიძე მაიკლ ოუკმოთზე
საუბარი ცირა ბარბაქაძესთან
სჯობს სიყვარულის მოხვეჭა
გოგი ოჩიაურის უცნობი მთა
ნანა ტრაპაიძის ჩანაწერები
მწვანე ოთახის იდუმალება
ჯორჯ ეიდის ნოველა
არა ნიჭითა ერთითა



წიგნის თარო



შინაარსი

წარსული მოგავლისთვის	2	როსტომ ჩხეიძე ჟამი კომიზმისა და ჟამი ტრაგიკომისა (პოლონელი რომანისტი და ირანის რეჟოლუციის)
მსარს-ინტერვიუ	6	ინგა მილორავა „მამრამ ღმერთი არ გასწირავს“
პროზა	8	ვანო ჩხიკვაძე მცირე პროზა
გამოსაქვეყნებელი	14	ეთერ ბერიძე „მწვანე ოთახის“ იღუმენტა (ბორენა ჯაჭვლიანის გახსენება)
პოეზიის ერთი ლექსი	15	შოთა ბოსტანაშვილი „ქარინი“ სურათები
პოეზია	17	ირაკლი ციგროშვილი საღამოს ესკიზი და სხვა ლექსები
ანონსი	20	ვახტანგ ბახტაძე მისტიფიკაციური ლექსი
უსწოთის ცხოვრებიდან	21	პაატა ჩხეიძე მაიკლ ოუპოტის კონსერვატივიზმი
წუთები და წლები	24	გოგი ოჩიაური უცნობი მთა
ღიაღია	29	„ღრმა ვინაველთ ცურვა“ (ანა ბერძენიშვილს ესაუბრება ცირა ბარბაქაძე)
ილიას გვით	31	ელენე ამალღობელი „ვითარცა კლდოვანი კედელი“ („საგურამოს“ პრემიის ახალი ლაურეატები)
შტრიხები პორტრეტისთვის	32	ეკა ბუჯიაშვილი რისთვის ღირს ცხოვრება (სოფიო კუჭავა)
გალაქიონოლოგია	35	გურამ პეტრიაშვილი არა ნიჭითა ერთითა
ლიბრატორული ცხოვრება	38	თეკლე ჯანელიძე მიმობროვის დიდი საგალოგალი (ლევან ზურაბიშვილის ბარათები პეტრე ხვედელიძესთან)
რეპორაჟი	39	ნინო დეკანოიძე ლიტერატურული პასტორალი (ზაზა ბიბილაშვილის პოეტური კრებულის განხილვა)
ქიზა	41	რევაზ სირაძე, გოჩა კუჭუხიძე არაბული რეალიზმი „წმინდა ჰაბუს ნამებაში“
აინტროდუქცია	45	ბაბუა ალუდაური თამარ ხელაშვილი — გაბრიელ ჯაბუშანურის „მარანი“
კრიტიკა	46	ქეთევან ტომარაძე ათას ერთი ანარქალი
დაუნიწყარი სახელება	48	ელისაბედ ერისთავი მოგონება პორტრეტზე
ახალგაზრდად, ან კი თქვენ	51	თეონა კომახიძე დედამინა და სხვა ლექსები
ღრმა და ხელმწიფი	53	ალბი კორძია საუკეთესო ჯილდო (თენგიზ არჩვაძე) საბა სულხანიშვილი სჯობს სიყვარულის მოხვეჭა
ფიქრები	55	ნანა ტრაპაიძე შრამბენები დაუნარალი ნიგნიდან
უსწორი ნოვა	58	ჯორჯ ედი ეფი ვითლესი
ნაქვეყნი	61	მასვილსიტყვარების ნიშნები
მოხაიკა	63	თამაზა და მიჩანს გლარად

ორკვირული ჟურნალი

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 32) 96_20_62
რეკლამა – (995 93) 65_93_68
გავრცელება – (995 77) 11_24_30
ფაქსი: (995 32) 96_20_62
E_mail: info@mtserloba.ge



გაბეჭდილია საბეჭდო „ომეგა თეგი“
საბეჭდო, თბილისი, სარაიშვილის 17
ბარათები: +995 32 53 03 62
PRINTED BY "OMEGA TEG" PRINT HOUSE
TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET
TEL PHONE: +995 32 53 03 62

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი – ივანე ამირხანაშვილი

პოეზიის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი

მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია დიზაინერი – მალხაზ იაშვილი

სტილისტ-კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – თენგიზ რობიტაშვილი

ოპერატორი – თამარ ჩხილაძე სარეკლამო მენეჯერი – ეკა ბუჯიაშვილი

გავრცელების სამსახური – ლევან კიკნაძე

გარეკანზე: სოფიო კუჭავა საპატრიარქოს ტელევიზიის დილის გადაცემაში
ლალო ჩაჩუას ფოტოგრაფი

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 7 იანვარს

როსტომ ჩხეიძე

ქაბი კომიზმისა და ქაბი ტრაგიზმისა

□

პოლონელი რომანისტი და ირანის რეჟოლუციონერი

გაგანიია.

ავტობუსის გაჩერებაზე მდგარი ადამიანები თითქმის ერთმანეთს ჰგვანან, ანუ: აქვთ ერთნაირად აპათიური და დაღლილი სახეები, მსგავსადვე მინდობიან ბედს და არავითარ სურვილს არ ამჟღავნებენ არამცთუ ერთმანეთთან გამოლაპარაკებისა, შეხედვისაც კი.

უეცრად ვილაც ბერიკაცი გამოჩნდება, გულით ავადმყოფი, და მოსვლისთანავე დაიჩივლებს:

– ოი, როგორ ცხელა, ყველაფერი ჩაიხუთა, ძლივს სუნთქავს კაცი.

ამის გაგონებაზე შეჯგუფულ ხალხს ვილაც გამოეყოფა და ბერიკაცთან მიახლოებული უდასტურებს: მართლაც ძალიან ცხელაო.

იმას უხარია, ხმის გამცემი რომ იპოვნა და თავისას იმეორებს:

– პირდაპირ ველარ გისუნთქია კაცს, რა მძიმე და ცხელი ჰაერია.

თანამოსაუბრეს უხარია: თქვენ მალე მოიკრებით ძალას, – ირონიულად ამცნობს და... პოლიციისაკენ მიჰყავს.

ავტობუსის რიგში მდგომი ხალხი?

შიშით ადევნებენ თვალს ყოველივეს, რაკილა წინასწარვე იცნოსეს და შეაფასეს, თუ რა მოხდებოდა. მიხვდნენ, ამ სწელ მოხუცს გამოუსწორებელი შეცდომა მოსდისო. ასეა, როდესაც გულუბრყვილოდ იყენებ ისეთ საეჭვო სიტყვას, როგორცაა „უჰაერობა“. მათ ხომ გამოცდილებით უკვე იციან, რომ სიტყვათა ერთი წყების წარმოთქმა დიდად საზიანოა და მათი დავიწყება გერჩივნოს, თორემ შესაძლოა სამუდამოდ დაგენგრეს ცხოვრება, სულ ცოტა, პოლიციაში თავის ამოყოფა არ ავცდება და ეძებე მერე იქიდან თავდასაღწევი გზები.

მინც რა წყება იგულისხმება?

– უჰაერობა, სიბნელე, სიმძიმე, ჯაჭვი, ჯოხი, სისულელი, ჯიბე... გავლენა, დანოლა, ჩავარდნა, მოყოლა, დასუსტება, დაბრმავება...

ეს ის გამოთქმებია, რომელთაც... მაშინვე შეიძლება გამოეხმოს პოლიტიკური კუდი და თვალისდახამხამებაში შეირაცხო ოპოზიციონერად, რასაც არაფრისდიდებით არ გაპატიებენ.

შენ ხომ უნდა მოერიდო და მოერიდო ამ საეჭვო სიტყვებს, და თუ სხვისგან გაიგონე, იქაურობას თუ დროზე გა-

მორდები, უკეთესია, თორემ შესაძლოა განზრახ, პროვოკაციული მიზნით ახსენოს საიდუმლო სამსახურის თანამშრომელმა და იქით დაგდოს ბრალი, რატომ გაუყურდი ასეთ პოლიტიკურ მინიშნებას, როგორ შეიძლება მოგეთმინა ხელისუფლების მიმართ ბრალდება, თუკი გუნებაში პროტესტანტულად არა ხარ განწყობილიო.

აბსურდის სტილისტიკის თხზულებას მოგაგონებთ, არა, ეს სურათიც და მთელი ეს ვითარებაც?

და გამალებით იხსენებთ, დიდ აბსურდისტაგან ნეტა რომელს აქვს გამოყენებული ეს ეპიზოდო.

ხელჩასაჭიდი ვერაფერი მოგიგონებიათ და თავს ინუგეშებთ: იმიტომ არ მახსოვს, რომ ალბათ რომელიმე მეორე რანგის თხზულებიდანაა მოხმობილიო.

ნეტა მართლა!..

მაშინ ხომ უამრავი ადამიანი გადაურჩებოდა სასტიკ მოპყრობას, ამქვეყნიურ ჯოჯოხეთს რომ მიაშვებებდნენ.

დიახ, ეს სურათიც და მთელი ვითარებაც ყოფითი სინამდვილიდანაა გადმოტანილი.

მწერლური ხელოვნებით კი არის ეს ყოველივე წარმოსახული, მაგრამ არსადაა გადახვევა დოკუმენტური სიზუსტიდან, რაკილა ისეთ სანდო პროვინებას განეზრახა იმ რეალობის აღწერა-შემონახვა, როგორიც რიშარდ კიპშუცინსკია – პოლონელი პროზაიკოსი, ვინც თავის მორიგ წიგნს ირანის რევოლუციას მიუძღვნინდა, არა მარტოდენ მის მსვლელობა-დაგვირგვინებას, არამედ ღრმა და შორეულ ფესვებსაც, რათა მკითხველს ხელისგულზე ჰქონოდა მიზეზებიც და XIX საუკუნის ირანის დრამატული ისტორიაც.

პირამიდის აგება ხომ არ განგიზრახავსო? – გაოცებით ეკითხებოდა ირანის სასტუმროს ნომერში მყოფ რიშარდ კაპუშცინსკის მისი თანამემამულე და თანამოკალმე ვოიცეხ გულჟინსკი, როდესაც იხილავდა ჭერამდე აკოკოლავებულ ჟურნალ-გაზეთებსა და წიგნებს, საიდანაც მწერალი მასალებს კრებდა. მას ჰქონდა უფლება ამ სიტყვებით შეეგონებინა ჟურნალისტებისათვის, რაკილა თვითონ ერთგულად ასრულებდა თავისივე სენტიმენტისა:

– ერთი გვერდი ტექსტის დასაწერად იმ სტატიების ასი გვერდი მაინც უნდა წაიკითხოთ, ამ თემაზე სხვებმა რომ დაწერეს.

ასი გვერდი – სულ ცოტა, თორემ თვითონ არაფერს ტოვებდა მიუგნებელს.

როგორ უნდა ვწეროთ? – დაინტერესდებოდნენ ახალბედა ჟურნალისტები, თუმც თავისითაც უნდა მიმხვდარიყვნენ, თუ რა იქნებოდა მწერლის პასუხი.

– უწინარეს ყოვლისა, ბევრი ვიკითხოთ.

ასე შეიქმნა „შაჰინშაჰი“, რომელიც არავის აღუქვამს რეპორტაჟად და იმთავითვე რომანად განსაზღვრეს, თანაც ისეთ რომანად, რომელიც ირანის რევოლუციაზე დაყრდნობით განაზოგადებდა ამ საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენის ბუნებას, მის წარმოშობასა და გარდუვალობას, მის მსვლელობასა და დაგვირგვინებას.

რეალისტური პორტრეტები და ეპიზოდები კი ამ ყოველივეს ცოცხალ საკითხავად აქცევდა, შთამბეჭდავ მონათხრობად და თავისებურ მასტერ-კლასადაც, თუ როგორ უნდა ინერებოდეს მღელვარე, აბურდულ და ხშირ შემთხვევაში აბსურდულ პოლიტიკურ პროცესზე.

ქართველი მკითხველისათვის ეს რაღაც უჩვეულო სულაც არ არის, რადგანაც ხელი მიუწვდება დიდი ვნებებითა

და დრამატიზმით აღსავსე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენათა – 90-იანი წლების საქართველოს – დოკუმენტურად სანდო და მხატვრულად შთამბეჭდავ აღწერაზე, მაგრამ ყოველი თვალსაჩინო ნიმუში მაინც გიზიდავს, მითუმეტეს, ისეთი ქვეყნის შესახებ, რომელიც ისტორიულად გადაჯაჭვულია შენს სამშობლოსთან და, მოვალე ხარ, რაც შეიძლება ღრმად იყო ჩახედული მის გარდასულ თუ უახლეს სინამდვილეში.

მითუმეტეს, თუ არაერთი გარემოება ან დეტალი გასათვალისწინებელია შენი ქვეყნის უკეთ მოწყობისათვის – ირანმა წარმატებით – ყოველ შემთხვევაში, ნაკლები დანაკარგებით – გაიარა ბევრი ისეთი რამ, რაც ჩვენ ჯერაც გადასალახი გვაქვს.

უთუოდ ეს გარემოებაც უბიძგებდა ამბროსი გრიშიკაშვილს ამ მხატვრულ-დოკუმენტური ქმნილების გადმოსაქართულებლად, ამ ჩინებულ შუამავალს ორ კულტურულ სამყაროს შორის, ჩვენთვის არაერთი პოლონური თხზულება რომ გახადა შინაური. „შაჰინშაჰის“ ზოგადი ღირსებანი ზოგად ღირსებებად, მაგრამ უშუალოდაც რომ უნდა ჩაუუკვირდეთ ამ ყოველივეს, რათა ჩვენი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სინამდვილის სიღრმეში უფრო ჩავაღწიოთ, ესეც თვალნათლივია.

რაც მეტი გვექნება ამ ყაიდისა და რანგის თხზულება, მით უკეთესი ჩვენი ყოფისათვის.


არა, ის მაინც რა იყო, უწყინარი ფრაზა – „მცხელა, სული მეხუთება“ – მოქალაქეს საბედისწეროდ რომ გადაექცა.

ყოველი ამგვარი უწყინარი დაჩვილება მსხვერპლად გაქცევდა, რადგანაც არ იცოდი, საიდან მოგწვდებოდა სავაკის რკინის მარნუხები, საცეცებივით ყველგან გაბნეული.

ადგილსამყოფელი მაინც სად შეერჩია სავაკს?

თურმე რალაც მთავარი ოფისის მსგავსი არც გააჩნდა და მთელ ქალაქსა და ქვეყანას მოსდებოდა, ისეთ სარდაფებში, აგარაკებსა და ბინებში მიეჩინათ მისთვის ადგილი, რომლებიც არავის ყურადღებებს არ მიიპყრობდა. ოფისებზე ან არაფერი ნაენერათ, ანდა ჩამოეკიდათ არასებულის ფირმებისა და დაწესებულებათა აბრები, მისი ტელეფონის ნომრები მარტოდენ თანამშრომლებმა იცოდნენ. სავაკი შესაძლოა არსებულებით სავსებით ჩვეულებრივ მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლში ანდა მის საგამოძიებო ოფისში, სადაც რომელიმე მალაზიიდან, სამრეცხაოდან ან ღამის კლუბიდან თუ შეხვიდოდი. ამგვარ პირობებში ნებისმიერ კედელს შეიძლება ყურები ჰქონოდა, ხოლო ყოველი კარი ამ დაწესებულებაში შესასვლელი ყოფილიყო.

უნებურად წამოგაგონებდათ ფრანც კაფკას „პროცესი“ – სამრეცხაოს ხსენება მაინც რა არის, არა? ასეთი ნიშანდობლივი შტრიხისა თუ დეტალის განმეორება... მაგრამ რას იზამ, თუკი ყოფითი სინამდვილე თვითონვე იმეორებს მხატვრულ სინამდვილეს, სადაც სასამართლო მთელ ქვეყანაში განფენილა, ყველგანაა და თანაც არსად, რადგანაც ვერ მივიგნია მისი აღმნიშვნელი აბრისათვის, იქ კი ყველა გასავლელიდან შეიძლება აღმოჩნდეს, ნუ გეგონება, რომ მეგობრის ან ნაცნობის ბინაში იმყოფები, ან შენს სამსახურსა თუ რომელიმე დაწესე-



ბულებში, ნურც ღამის კლუბში დაიმშვიდებ თავს, აქ ვილას აქვს ჩემი დარდიო, დაბეჯითებით უნდა მოგესხენებოდეს, რომ კედლებსაც ყურები ასხია, სათვალთვლო კი ყველგან გამოჭრილა, გარეგნულად თუნდ ყრუ, დახშულ კედელში.

ის, რაც კაფკასათვის მომავლის ხილვაა, საზარელი კოშმარი, რომელიც ან ამ სახითვე, ან მისი თავისებური ვარიაციით აუცილებლად გაცხადდება, ყოფითობაში უნდა დაადასტუროს გერმანულმა ნაციზმმა, რუსულმა ბოლშევიზმმა და ირანული მონარქიზმის გადაგვარებულმა ხანამაც, რომლის დროს განტოტვილმა ცოდვამ და დანაშაულმა ამდენი ხნის მონარქიზმს ისე უნდა გამოუყვანოს ნირვა, აღარავის დაენანოს მისი დამხობა.

იქნებ პოლიტიკური გაზვიადებაა, ნაცადი პუბლიცისტური ხერხი ირანის უკანასკნელი შაჰის უკეთური იერით წარმოსახვა, რათა ახალმა მმართველობამ გაამართლოს რევოლუციური გადატრიალება და დასახოს იმ გარდუვალობად, რაც ადამიანთა სურვილზე მეტად ბედისწერის განჩინებაა? და იმაში ხომეინიც თითქოს ბედისწერამ შეარჩია მღელვარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების წინამძღოლად და გამარჯვების დამაგვირგვინებლად.

ახალ ხელისუფალთ ხშირად მოუთხოვიათ ისტორიის გადაკეთება მათი შეხედულებების თარგზე.

ამიტომ ვერ ენდობი ახლებურ თარგზე მოჭრილ ისტორიას. ბოლოსდაბოლოს, ვერც რუსეთის ცარიზმი დაიქანდა კეთილშობილებითა და ჰუმანურობით, ქვეშევრდომთა ბედზე ზრუნვითა და ზნეობრივი ამაღლებისაკენ სწრაფვით, მაგრამ მისი დამამხობელი სოციალ-დემოკრატია, განსაკუთრებით მაინც ბოლშევიკური ფრთა, გაცილებით უარესი ძალმომრე აღმოჩნდა და მათ მოვლინებას ხელისუფლების სათავეში ისევ ცარისტული მმართველობის შენარჩუნება სჯობდა, ეგაა, მართვის აბსოლუტიზმი პარლამენტური მონარქიით უნდა შეცვლილიყო, რათა კირთება შემსუბუქებულიყო, ცხოვრება უფრო ასატანი გამხდარიყო და იმპერიულ საპყრობილეში მომწყვდეულ ხალხებსაც რეალური უფლება მიჩვენებოდათ, თვითონვე გადაეწყვიტათ საკუთარი ბედი.

შესაძლოა ამჯერადაც ასე გვეფიქრა, დამხობილ ხელი-სუფალს ყოველგვარი ცოდვა მიეწერა სახელმწიფო გადატრიალების აუცილებლობის დასამტკიცებლად, მაგრამ რიშარდ კაჰშეცინსკის ყოვლად შეუძლებელია ან პირადი შურისძიება ამოქმედებდეს შაჰის წინააღმდეგ, ანდა ადვილი იყოს მისთვის თავგზის აბნევა მედროვე ფურნალისტთა სტატიებით და ახალი ხელისუფალის სამსახურში ჩაყენება.

იგი თავით ბოლომდე გაეცნო არამარტო რევოლუციის აბოუოქრების ხანასა თუ უშუალო წინამძღვრებს, არამედ მეოცე საუკუნის ირანის ისტორიას – უწვრილმანეს დეტალებამდე შეისწავლა და გაიაზრა ისტორიის ზედაპირული დინებაც და მისი ფარული ნაკადებიც და თვითონვე მიაგნო იმ მოტივებსა და კანონზომიერებას, რაც ასეთი ხელოვნებით წარმოსახა „შაჰინშაჰში“.

მარჯვე კომპოზიციური ქარგაც რომ იპოვნა.

უამრავი ფოტოსურათიდან გამოარჩევს ცალკეულ ნიმუშებს, რომელთაც გარკვეულ რიგზე ალაგებს და აანალი-

ზებს მათზე გამოსახულ ადამიანთა და ლანდშაფტთა შიდა რეალობას, ფსიქოლოგიურ საწყისებს, და მათი თანმიმდევრობაც და ურთიერთკავშირიც მკითხველის თვალწინ აღდგება, ისე, რომ მკითხველიც თანამონაწილე ხდება მწერლის ფიქრთა დინებისაც და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენათა მსვლელობისაც, და უფრო თვალნათლივ ამიტომაც აღიქვამს მთლიან სურათს, თითქოს ისიც მწერალივით ზემოდან დაჰყურებდეს და ლაბირინთებიც ველარ ემალებოდეს მის მზერას.

რეგოლუციის გარდუვალობა კი ყველაზე მეტად შაჰის იმ საბედისწერო შეცდომამ გამოიწვია, ყველაფრის საკუთარ ხელში მომწყვეტა რომ მოინდომა და კარგა ხანს გაუვიდა კიდეც – მიღწევად უჭერდა თოკს სახელმწიფოებრივ უფლებებს, როგორც ტომარას, არავინ და არაფერი გამექცეს აქედანო, მაგრამ ამ გადამეტებულმა მოჭერამ გამოიწვია „ტომრის“ გასკდომა და მონარქიზმის დამხობა.

გავეშებულმა მცდელობამ საპირისპირო შედეგი გამოიღო. და ვერც მსოფლიო პრესის მოსყიდვამ უშველა, ნავთობის საბადოთა აღმოჩენა არა ირანის საკეთილდღეოდ, არამედ პირადი მიზნით – მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის მისამხრობად რომ გამოიყენა და აღმოსავლეთიც და დასავლეთიც თავის მეზობლებად გადააქცია, ნავთობის საფასურად დითირამებს ითხოვდა და არაფრისდიდებით არ ითმენდა თუნდაც უწყინარი კრიტიკული შენიშვნის გამოთქმას მისი მისამართით. მაშინვე ნავთობით ვაჭრობის შეწყვეტით ეშუქებოდა იმ ქვეყნის ხელისუფალთ, სადაც კი გაზეთში კრიტიკული მოსაზრება გაივლებდა.

იმ ქვეყნებისას, თორემ ირანში ცენზურა და სავაკი ისე დაუფლებოდა ადამიანთა გონებასაც და პერიოდიკასაც, სანინალდეგო აზრი ვერსად გაჭაჭანდებოდა.

შინაგანი ცენზორიც ისე უღრღნიდათ სულს, უეცრად ნებაც რომ დაერთოთ გულახდილი საუბრისა, ვერც გაბედავდნენ რაიმე დაცდენოდან შაჰის უნებური.

ამგვარ გარემოში როგორ გინდა შემოატრიალო საზოგადოებრივი ცნობიერება და მშობარა, დაბეჩავებული ხალხი – ბრბოს დამგვანებული – კვლავ თავმოყვარე ადამიანებად აქციო, ისეთ კრებულად, მორჩილებას რომ ვეღარ შეეგუება – ქვედმოდრეკილ, უმთენარო არსებობის გაგრძელებას თავგანწირვას ამჯობინებს და, ძალმომრეობას შეტაკებული, კიდეც გადაიყოლებს გაუშინდელ მბრძანებლებს.

როდესაც რიშარდ კაპუშცინსკი საგანგებოდ გადაიკითხავდა რეგოლუციების შესახებ დაწერილ წიგნებს, გულს დააკლდებოდა, რომ რეგოლუციითა გენეზისისა და განვითარების შესახებ ისტორიკოსთა თუ მწერალთა მონათხრობი არ სცილდებოდა იმ თეზისის გაშლას, თუ რა დამაბალი იყო ძველი ხელისუფლება და რა სილატაკეში ცხოვრობდა ხალხი. არადა, წესით ის ფსიქოლოგიის კვლევა-წარმოჩენით უნდა დაწყებულიყო, ანუ იმით:

– თუ როგორ ხდება, რომ დაბეჩავებული, განამებული, დაშინებული ადამიანები უცებ სძლევენ შიშს და აღარავისი ეშინიათ. აღწერილი უნდა იყოს მთელი ეს უჩვეულო პროცესი, რომელიც ზოგჯერ ერთ წუთში ხდება. ადამიანი სძლევს შიშს და თავს თავისუფლად გრძნობს. უამისოდ რეგოლუცია წარმოუდგენელია.

და იქვე შიშის შინაგანი მექანიკაცაა ახსნილი, როგორც ხარბი, დაუნდობელი მხეცისა, რომელიც ჩვენში ზის და თავს ყოველთვის გვახსენებს იმით, რომ განუწყვეტილ

განგვიაარალებს და გვტანჯავს, გამუდმებით გვთხოვს საჭმელს და ჩვენც ვცდილობთ საუკეთესო სასუსნავი შევურჩიოთ – ბოროტი ჭორები, ცუდი ცნობები, საგანგაშო აზრები, კომმარული ხილვები... ათას ჭორს, ცნობასა და აზრს შორის ყველაზე უარესი გამოვარჩიოთ, რათა მხოლოდ ასე დავამშვიდებთ და მოვეფერებთ ამ მხეცს.

ტოტალიტარიზმის პირობებში ეს მხეცი არამცთუ ჩვენს არსებაში მოკალათებულა, სულაც გვშთანთქავს და პანია გასაჭვრეტსაც აღარ გვიტოვებს.

და მამ როგორ ხდება ასეთი ყოვლისმომცველი შიშის დათრგუნვა?

ადამიანი პირთამდე ივსება სიბრაზითა და სიძულვილით, გულში მბრუნავი ნაკადი სულ უფრო და უფრო მიიწევს ნაპირებიდან გადმოსახეთქად, და იმავდროულად ხელისუფალიც თუ აძლიერებს ზემოქმედებას საზოგადოებრივ ყოფაზე და შიმშილისაგან დაოსებულ მოსახლეობას ილუზიებით ჰკვებავს, დაფარული სიმხურვალე კიდეც ამოსკდება, ოღონდ წინამძღოლად უნდა დაიგულონ ვინმე, ყველაზე მძაფრად და შეუპოვრად ვინც შეძლებს პროტესტის გამოთქმას იატაკქვეშეთიდან.

ჯერ იატაკქვეშეთიდან...

ირანელების თვალში ასე გამოიკვეთებოდა იმამი ხომეინი, ყუმში დაყუდებული და იქიდან შემართული იმ გარდამტეხი ბრძოლისათვის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ნყოფის სრულ გარდაქმნას რომ მოასწავებდა.

ჯერ იატაკქვეშეთიდან ამოჰქუხდა მისი ხმა – დაე გადაეკეტილიყო მისთვისაც პრესასთან მისასვლელი გზები, ხელნაწერთა ფარულ გავრცელებასა და ქადაგებას წინ რა დაუდგებოდა... და თუ სამშობლოში აღარ დააყენებდნენ და ემიგრანტის მწარე ხვედრს განუშზაღებდნენ, ახლა იქიდან აღწევდა მისი მანუგებელი და მომწოდებელი სიტყვები.

ბედისწერას შეეხვედრებინა ავანსცენაზე შაჰი და იმამი. მათი მორიგება ყოვლად წარმოუდგენელი გახლდათ. შერკინება – უთანასწორო.

მაგრამ ბრძოლის უთანასწორობას ყოველთვის ჰქონია თავისი იდუმალი ძალაც და მიმზიდველობაც, რაც არ განებებს გატყდენ ან გაბეზრდენ, მითუმეტეს, თუკი გრძნობ შენი მოვლინების წინასწარ დასაზღვრულობას და, ფანატიკური რწმენით აღვსილი, ნაბიჯ-ნაბიჯ, მაგრამ მტკიცედ მიჰყვები ნაბიჯის გზას, რომელიც ან გილიოტინაზე ავიყვანს და ან გვირგვინით შეგიშობს თავს.

ხომეინს გახელისუფლება ელოდა.

პოლონელი მწერალი საგანგებოდ ჩამოაგდებს სიტყვას, თუ სად გადის საზღვარი ხალხის მოთმინების ფიალის ავსებისა. ცხადია, დადგენილი რეცეპტი არ არსებობს, იოლად რომ ისარგებლო, და თვითონვე მოგინევს ალლოთი მიაგნო ამ ზღვარს. რიშარდ კაპუშცინსკი დასძენს: ხელისუფლებას, რომელმაც იცის ასეთი საზღვრის არსებობა და ფრთხილობს, მას არ გადააბიჯოს, შეუძლია მშვიდად იყოს, მას დიდი ხნის მმართველობა უწერიაო.

– მაგრამ ასეთი ხელისუფლება ბევრი არაა.

შაჰი, მისდა სამწუხაროდ, ამ მცირედთა შორის არ აღმოჩნდა, ასე რომ, პოლონელი მწერლის თქმისა არ იყოს, ეს საზღვარი უხეშად დაარღვია და საკუთარ თავს თვითონვე გამოუტანა განაჩენი.

– გაუფრთხილებელ სიტყვას შეუძლია, ყველაზე დიდი იმპერიაც კი ძირს დასცეს. ხელისუფალმა ამის შესახებ უნ-

და იცოდეს. მან ეს თითქოს იცის, თითქოს გრძნობს კიდევ, მაგრამ რომელიღაც მომენტში თვითგადარჩენის ინსტიქტი ღალატობს. საკუთარ თავში დარწმუნებულს მიუტყევებელი, თავხედური შეცდომა მოსდის და იღუპება.

ეს მიუტყევებელი შეცდომა შაჰისათვის გამოდგა იმამ ხომეინის შეურაცხყოფელი სტატია, გამოქვეყნებული 1978 წლის 8 იანვარს, სახელისუფლებო გაზეთის – „ეთელაათ“ – ფურცლებზე.

ხომეინი იმჟამად ქვეყნიდან გაძევებულია, მაგრამ ოდნავადაც არ ანელებს ბრძოლას შაჰის მმართველობის წინააღმდეგ და ხალხის მიერ ერის სინდის-ნამუსის სიმბოლოდა აღიარებული ამიტომაც მისი სახელის გატეხვის ყოველგვარი მცდელობა ხალხის სინდისის შებღალავად აღიქმება, რაც იმედის დაკარგვას მოასწავებს, ამას კი თვით დაბეჩავებული მოსახლეობაც არაფრისდიდებით არ შეეგუება.

ამ დღემ და ამ პუბლიკაციამ გადაწყვიტა შაჰის ბედი, იმას რომ მიაბიჭურად ეგონა, მორჩა, ახლა კი ისეთი ყოფა დავანე იმამს, სამუდამოდ დაუფსამარე სახელმწიფო გადატრიალების ოცნებამ.

სტატია ორ უმთავრეს თეზისს ეყრდნობოდა, დემაგოგიაში განაწილდებოდა მთელი მიერ შეთხზულს.

ერთი ის, რომ ხომეინი უცხო გახლდათ წარმოშობით, ინდოელი პაპის შთამომავალი, და განა ვისი ინტერესების დაცვა აღელებდა, თუ არა თავისი მშობელი ხალხისა, რომელსაც ირანის დამხობა ჩათქვა, ამ მჭიდროდ შეკავშირებული, ერთ ოჯახად გაერთიანებული სახელმწიფოსი, რომელიც მანამდე შეინარჩუნებდა სიმტკიცეს, ვიდრე გადამთილებს არ გაირეცდა თავის წიაღში და თვითონვე არ შეუნებოდა ხელს სახელმწიფო ძლიერების შერყევას.

მეორე კი ის, რომ არაფერი სჯობდა ჯანმრთელობას და რა ბედნიერი იყვნენ ირანელები, რომ ჯანსაღ გარემოში უწევდათ არსებობა, უზრუნველი და ბედნიერი ცხოვრება, ასეთი კეთილშობილი, ჰუმანური ხელისუფლების მიერ ნაბოძები, და ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო ამ დიდებული მმართველობისა და მათ მიერ მოტანილი ათასგვარი სიკეთის ვერდამნახავი და მოწინააღმდეგე, თუ არა არეული გონების პატრონი, ასეთ დროს კი ჯანსაღ საზოგადოებას ევალებოდა, იზოლაციაში მოემწყვდია ასეთი გონებადაბნეულნი და შორეულ ადგილებში გაესახლებინა, სწორედ ისე, როგორც ხომეინი გაასახლა, თუ არა, საჭირო შეიქნებოდა მისი ჩამწყვდევა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში.

ესეც ის ბოლო წვეთი.

და ხალხის ის აზვრთება, ჯაჭვურად მოდებული ირანის მთელს მინა-წყალს, რომელსაც სისხლიანი რეპრესიები ვერაფერს დააკლებდა, და ერთმანეთს შეენაცვლებოდა დემონსტრაციები და გლოვა... გლოვა და დემონსტრაციები...

შაჰი ერის მამად რაცხდა თავს, მეგუზნდრუკენი უძლიერებდნენ და უძლიერებდნენ ამ ილუზიას და საბოლოოდ დაამკვიდრეს იმ ვირტუალურ სამყაროში, სადაც თავზარი დასცა უეცრად ჭუჭყურუტანებში შემოღწეულმა აღმფოთებისა და მუქარის ხმებმა.

ამ პოლარულმა დაპირისპირებამ ოცნებასა და სინამდვილეს შორის კიდევ დააკარგინა სალი განსჯის უნარი.

რიშარდ კაპუშცინსკი სწორედ ამით ხსნის მის ხელში მონარქიზმის არსებობის დასრულებას, ამ დაპირისპირების მოულოდნელმა აღმოჩენამ რომ იმოქმედა მის ნერვულ სისტემაზე და თავშეკავებით კი აღარ მოიქცა, არამედ ის-

ტერიულ (პოლონელი მწერალი დასძენს, რომ: გიჟურსაც) განწყობილებებს აპყვა.

– შაჰს გარკვეული დოზით ცინიზმი არ ეყო. მას შეეძლო ეთქვა: მანიფესტაციებს მართავენ? დაე გამართონ. რამდენ ხანს შეძლებენ დემონსტრაციებზე სიარულს? ნახევარ წელიწადს? ერთ წელიწადს? ვფიქრობ, გავუძლებ. სასახლიდან არ გავალ და ხალხი, სასონარკვეთილი და გასავათებული, ენდომება თუ არა, ბოლოსდაბოლოს შინ დაბრუნდება, რადგანაც ძნელი წარმოსადგენია, რომ ვინმეს სურვილი ექნეს, მთელი სიცოცხლე დემონსტრაციებს შენირის. მაგრამ მას ლოდინი არ შეეძლო.

და იქვე საგულისხმო შეგონება – ლოდინისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭება, გასათვალისწინებელი ხელისუფალთათვის:

– ეს კი ნამდვილად აუცილებელია პოლიტიკაში.

მწერალს ძალდაუტანებლად ახსენდება შარლ დე გოლი – ყველაზე სახიერი კონტრასტისათვის, პიროვნება, ვინც რეფერენდუმის წაგების შემდეგ ღირსეულად დატოვა კაბინეტი, სასახლე, პრეზიდენტობა.

– მაგრამ რამდენია ასეთი პოლიტიკოსი?

და რიშარდ კაპუშცინსკის ხელისუფალთა მთელი გალერეა დაუდგება თვალწინ, ადგილიდან ფეხს რომ არ იცვლიდნენ, გატანჯავდნენ ხალხს, მაგრამ ძალაუფლებას ვერაფრისდიდებით ვერ შეელოდნენ, ერთი კარიდან გაძევებულნი მეორე კარიდან შემოვიდოდნენ, დაიწყებდნენ ახსნა-განმარტებას, ქედის მოხრას, ტყუილისა და სიმართლის ერთმანეთში არევას, რათა დარჩენილიყვნენ ანდა დაბრუნებულიყვნენ უმაღლეს პოსტზე, გაშლიდნენ ხელებს: აი, ნახეთ, აბა, სადაა მათზე სისხლიო, – და ველარ ფიქრობდნენ, რომ რა კილა ხელების ჩვენება გამხდარიყო საჭირო, ეს უკვე მოასწავებდა დიდ სირცხვილს; ამოიტრიალებდნენ ჯიბეებს: ნახეთ, არის რამეო? – მაგრამ თვით ეს საქციელი უკვე დამამცირებელი გახლდათ.

– როდესაც შაჰმა სასახლე დატოვა – გზაში ტიროდა. აეროპორტშიც ტიროდა. შემდეგ ინტერვიუებში ამბობდა, გაცილებით ნაკლები ფული მაქვს, ვიდრე ფიქრობენო. რა საცოდავი, რა საზიზღარი, გულისამრევი სანახაობა იყო ყოველივე ეს!

რიშარდ კაპუშცინსკი მიუკერძოებლობას ინარჩუნებს მთელი თხრობის მანძილზე. მკითხველს აწვდის ყოველმხრივ გამოძიებულ, შემოწმებულ და დადგენილ ეპიზოდებსა და რეალიებს, მაგრამ დროდადრო – როგორც თუნდ ამჯერად – წაცდება ისეთი ფრაზები თუ გამოთქმები, რაც ათვალსაჩინოებს მის მიერ ირანის რევოლუციის გამართლებას.

ამ რანგის მწერალს განა არ შეეძლო, რომ უფრო ფრთხილად შეერჩია გამოთქმები და საკუთარი სიმპათია-ანტიპათია არ გაემჟღავნებინა? ცხადია, ეს იოლი იქნებოდა მისთვის და ასეც მოიქცეოდა, რომ არა ის სატიკივარი და საფიქრალი, რაც ნიმანდობლივია პოლონელი კაცისათვის – ერისა და ეროვნულობის მძაფრი განცდა და დაფასება თავდადებული გარჯისა და თავგანწირვისა მის გადასარჩენად.

შაჰმა კარი გაუღო ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ახალ რელიგიას, გლობალიზმის სახელით მოდებულს არაერთ ქვეყანაში, აგერ ირანსაც რომ დამუქრებოდა შთანთქმით ანუ ეროვნულ წეს-ჩვეულებათა გაქარწყლებით, თავისებურებათა გაუფასურებით, საზოგადოებრივი თავმოყვარეობის დაკნინებით... შაჰს ხელს აძლევდა ირანის გადაბა-

რგება გლობალიზმის ნიაღში, რასაც მისი ძალაუფლება უნდა შეენარჩუნებინა და კიდევ იმედოვნებდა: ეს დაშინებული ხალხი ვერ გაბედავს ამ პოლიტიკასთან შენინალმდეგებას, და მე კი ისეთი თანამდგომი, როგორც ზესახელმწიფოს ხელისუფლებაა, სრული შეუვალობით აღმჭურავსო.

მაგრამ ადამიანები ბევრ რაიმეს დათმობენ და ეროვნული თავმოყვარეობის შელახვას, ადამ-წესებისა და თავისებურებათა გაქრობა-დამცირებას ადვილად ვერ შეეგუებიან... და ეს რწმენა აღმოჩნდა უმთავრესი საყრდენი იმამ ხომეინის ხელში ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების სრული შემოტრიალებისათვის.

აიათოლა ხომეინიმ არსებითად იგივე აღასრულა ირანში, რაც ფრანკომ ესპანეთში – იმან ერთ ქირს აარიდა სამშობლო: კომუნიზმს; ამან მეორეს: გლობალიზმს.

ირანმა კვლავ ირანად იგრძნო თავი.

და მიუხედავად ამ მხატვრულ-დოკუმენტური თხზულების პათოსისა: დააფასოს რევოლუციის წინამძღოლის ეს გარჯა და თავდადება, – მწერალი მაინც გამოთქვამს თავის დამოკიდებულებას ზოგადად რევოლუციების მიმართ. რაც ნაუკითხავს, ნაუკითხავს ამ მოვლენის ირგვლივ, და საკუთარი თვალით კი ოცდაშვიდ სახელმწიფო გადატრიალებას შესწრება და ძალდაუტანებლად შეუძლია მისი ბუნების გააზრება და შეფასება:

– ცეცხლსა და ბოლში იცვლებოდნენ ხელისუფლებები, ეცემოდნენ მთავრობები, სავარძლებში ახალი ხალხი იკალათებდა, მაგრამ ერთი რამ უცვლელი რჩებოდა და მუდმივ არსებობას განაგრძობდა – ეს იყო უსასოობა, უიმედობა, უპერსპექტივობა.

რაკილა მწერალი არაფერს აფერადებს და მღელვარებებსა და ვნებებს უკიდურესი სიმძაფრით წარმოსახავს, მკითხველი კომმარულ რეალობაში იფლობა... მითუმეტეს, გამარჯვებული რევოლუციაც ვერ აღუძრავს იმ მანუგეშებელ განცდებს, რაც თითქოს უნდა მოჰყოლოდა დიქტატორული რეჟიმის დამხობით გამონვეულ ეიფორიას... და მაინც რიშარდ კაპუშცინსკის მწერლური ხელოვნება ძალაუნებურად მისწრაფის სინათლით გასხივოსნებული ფინალისაკენ, როდესაც იმის ახსნას იწყებს, თუ რა შესძინა ირანმა სამყაროს.

თურმე: პოეზია, მინიატურები და ხალიჩა.

მართლაც ძალზე უსარგებლო ნივთები მოხმარებისათვის, მაგრამ სინამდვილეში განუმეორებელი და სასწაულებრივი, რომელნიც გაიოლებით არ აიოლებენ ცხოვრებას, მაგრამ გალამაზებით კი ალამაზებენ და ამკობენ მას.

და მკითხველს შეაგრძობინებს და დაანახვებს გავერანებულ უდაბნოში უეცრად მოვლენილ ულამაზეს ბაღს, სასიამოვნო სურნელებით, წყაროთა რაკრაკითა და ჩიტების გალობით აღსავსეს, და შეაგონებს, მიენდეთ ამ ხილვას და თავს აუცილებლად იგრძნობთ ლალად, კარგად, ცაში ამალღებულად და რომანტიკულადო.

ეს არ არის ხელოვნურად მიკერებული ფინალი, უცნაურად ჩაჩხერილი ჰეპი-ენდი, რომანის მხატვრულ-იდეური მრწამსისათვის შეუფერებელი დასკვნა, არამედ ტრაგიკული სულისკვეთების დაგვირგვინებაა, ღრმად გააზრებული, გარეგნულად იქნებ ბევრისათვის ძალიან შემაცბუნებელიც, ოღონდ არა ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიაზე გაზრდილი მკითხველისათვის: მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან – შვილნი სოფლისაო...

ინგა მილორავა

„მაგრამ ღმერთი არ გასწირავს“

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვება?

— როცა აღარავინ და აღარაფერი გიყვარს და აღარავის უყვარხარ, არც არაფრის იმედი გაქვს. სიცარიელე, სულის დაცარიელებაა უკიდურესი გაჭირვება.

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— ვისურვებდი მხოლოდ საქართველოში და ვცხოვრობ კიდევ. პარიზი და არლიც მიყვარს, პროვანსში შევძლებდი, ალბათ, მაგრამ არ ვინატრებდი.

— რა არის უმაღლესი ბედნიერება?

— სრული ჰარმონია საკუთარ თავთან და გარესამყაროსთან.

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

— ავთანდილი, ჰამლეტი, თარაშ ემხვარი, გაი მონტეგი, კვაზიმოდო, ათოსი.

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

— ვახტანგ გორგასალი, გიორგი ბრწყინვალე, ალექსანდრე მაკედონელი,

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— ლეონარდო და ვინჩი, დიეგო ველასკესი, ვინსენტ ვან გოგი, პოლ გოგენი, პიერ-ოგიუსტ რენუარი, ნიკო ფიროსმანი.

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— ბახი, მოცარტი, შოპენი, ბრამსი, ლისტე, შუბერტი.

— რომელ თვისებას აფასებთ ყველაზე მეტად მამაკაცში?

— სულის სიმტკიცეს, ღირსების გრძობას, უანგარობას, სიმამაცეს, სიკეთეს, სიყვარულის ნიჭს.

— რომელ თვისებას აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— იმავეს, რასაც მამაკაცში და კიდევ დელიკატურობას და უნარს, შექმნას თავის გარშემო სიმშვიდე და სითბო.

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბვლელი?

— სიკეთე, მიმტვევებლობა, თანაგრძობა, თანადგომა.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— ყველაფერი, რასაც ჩემთვის, ჩემით ვაკეთებ და არა იმიტომ, რომ საჭიროა და სამუშაოა. ისე, ყველაზე მეტად ფიქრი და ხატვა.

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდობდათ ყოფილიყავით?

— ნაცნობი, რეალური არავინ, მაგრამ სიამოვნებით გადავიქცეოდი დროდადრო ცოტა ხნით სხვადასხვა წიგნის პერსონაჟად, ოღონდ უკან დაბრუნების გარანტიით.

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება...

— სხვა, გარეშე თვალი უფრო ამჩნევს რა არის მთავარი, ვიდრე შენ თვითონ. მე მაინც ვფიქრობ, არაპრაქტიკულობა, ზედმეტი რომანტიკულობა და ცოტაც ინფანტილიზმი, ეს ისაა, რაც მანუხებს, მაგრამ ვერ ვერევი.

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— ურთიერთგაგებას, ერთგულებას.

— თქვენი ხასიათის მთავარი ნაკლი?

— რაც ჩამოვთვალე თვისებებში, ესაა, ჩემი აზრით, ნაკლი და კიდევ გარდაუვალ ვითარებებთან და დანაკარგებთან სრული შეუგუებლობა და მელანქოლიურობა.

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?

— ზემოთ, კითხვაზე რა არის უმაღლესი ბედნიერება, ვთქვი, რომ ჰარმონია საკუთარ თავთან და გარესამყაროსთან, მაგრამ ყველა სხვადასხვა გზით აღწევს ამას. ჩემთვის ასეთი მდგომარეობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ჩემს გარშემო არიან ადამიანები, რომლებიც მიყვარს და ვუყვარვარ, ჩემი სამშობლო მეტ-ნაკლებად მაინც დაცული და მოვლილია და მაქვს საქმე, რომლის კეთებაც მსიამოვნებს.

— რა იქნება თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— სრული გაუცხოება, სიცარიელე და ისეთი ვინმეს არსებობა, რომელსაც რამეს ვერ ვაპატიებ და მეძულება.

— როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?

— ისეთი, როგორიც დედა-ჩემს უნდა, დამჯერი, ჭკვიანი, ბეჯითი, მოწესრიგებული, რეალისტი, სრულად და ყოველმხრივ რეალიზებული. გულით მინდოდა ასეთი ყოფილიყავი, რომ გამეხარებინა, მაგრამ ძალით არ გამოვა, როგორიც ხარ, ხარ.

— თქვენი საყვარელი ფერი?

— ლურჯის ყველა ტონი, მწვანე.

— ყვავილი, რომელიც ყველაზე ძალიან გიყვართ?

— თეთრი ვარდი, თეთრი იასამანი... საერთოდ თეთრი ყვავილები მიყვარს.

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— ქათმის ოქროსფერი ნიწილა, არწივი, თუთიყუში.

— თქვენი საყვარელი მწერალი?

— ყველა მწერალი მიყვარს, ვისიც კი რამე ნამიკითხავს, განსაკუთრებით კი - გიორგი მერჩულე, ნიკო ლორთქიფანიძე, კონსტანტინე გამსახურდია, უილიამ შექსპირი, ოსკარ უაილდი, ონორე დე ბალზაკი, ვიქტორ ჰიუგო, თომას მანი, ჯეკ ლონდონი, უილიამ ფოლკნერი, ტომას ვულფი, რეი ბრედბერი, ჰანს-ჰრისტიან ანდერსენი, ანტონ ჩეხოვი.

— თქვენი საყვარელი პოეტები?

— შოთა რუსთაველი, დავით გურამიშვილი, ვაჟა-ფშაველა, გალაკტიონი, ჯორჯ გორდონ ბაირონი, ალექსანდრ ბლოკი.

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?

— პატარა სორონოზი (ჰანს-ჰრისტიან ანდერსენი), ტესი (თომას ჰარდი), ესთერი (ონორე დე ბალზაკი), სალომიკა (ნიკო ლორთქიფანიძე).

— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?

— გმირი არ შემხვედრია ჯერ.

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

— ქეთევან დედოფალი, მაგრამ ის წმინდანია. საერო ცხოვრებაში ქალის გმირობა და თან ქალად დარჩენა არ გამოდის.

— საყვარელი სახელები?

— ნელი, ირინე, სალომე, ლუკა.

— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?

— სიტყვის გატეხას, უსამართლობას, ცილისწამებას, შურს, გულგრილობას.

— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?

— უნახავად და პირადი ნაცნობობის გარეშე ვერ შევიზიზღებდი, მაგრამ ძალიან არ მომწონს კალიგულა, ნერონი და მურვან ყრუ.

— საომარი მოქმედება თქვენი აზრით, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— ვერანაირ კაცისკვლას ვერ მივცემ უმაღლეს შეფასებას, მაგრამ 300 სპარტელის უთანასწორო ბრძოლას მაინც პატივს ვცემ.

— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?

— დაუდობლელ სამყაროში გადარჩენის ნიჭი მინდა.

— როგორ გინდათ რომ გარდაიცვალოთ?

— არანაირად არ მინდა, მაგრამ მომიწევს. ისეთ დროს მინდა მოვკვდე, როცა ჩემს არსებობაზე აღარავინ იქნება დამოკიდებული, ვინმესთვის საჭირო და აუცილებელი აღარ ვიქნები, მაგრამ არც მარტო მინდა სიკვდილი, გარშემო სითბო და სიყვარული უნდა იყოს, განშორების მსუბუქი სევდა.

— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

— ნაღვლიანი და ფიქრებით სავსე.

— ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?

— ყველაფერი, რასაც ადამიანი გულწრფელად მოინანიებს.

— თქვენი დევიზი?

— „...მაგრამ ღმერთი არ გასწირავს, კაცსა შენგან განანირსა“.

— თუკი ოდესმე შეხვდებით ღმერთს, რას ისურვებდით რომ მას თქვენთვის ეთქვა?

— იქ, სადაც ღმერთს შეიძლება შეხვდეთ, ალბათ სიტყვები აღარც იარსებებს და ვინატრებდი მეგრძნო მისი უსაზღვრო სიყვარული.



ნინა მილორავა

ვანო ჩხიკვაძე

მცირე პროზა

საზანზო

შუშაბანდის კუთხეში, სარდაფის კიბეს თავს რომ ახდის და საფეხურების ქრიალით დაბლა ჩაემეება, ფეხები ლამის სოხანეზე დადგას, ჭლარა თავი ჯერ კიდევ იატაკზე მოთ რომ უჩანს.

გრძელი, ნონოლა კაცი, როგორც იქნება, ჩავა, ახლა ქვევიდან მარტო ხელს ამოყოფს, ჩასასვლელს თავსახურს ნააფარებს, მხრებში მოხრილი მიიხედ-მოიხედავს, სიბნელეს თვალს შეაჩვევს, მინისპირა, მტვრიანი სარკმლიდან გამომკრთალ სინათლეზე, წაყირავებულ, ფეხებდამოკლებულ სამზარეულოს სკამს წამოაყენებს და პატარა, სახელოსნო მაგიდას მიუჯდება.

მაგიდა მოფენილია ერთ ზომზე დაჭრილი, გაშალაშინებული ფიცრის ნაჭრებით, ფოლადის მავთულებით, ზამბარებით. თავახდელ თუნუქის ქილებში, სხვადასხვა ზომის ლურსმანი ულაგია. აქვეა ნახევრად ჩამწვარი კელაპტრიანი სასანთლე, მაგრამ ჯერ-ჯერობით არ ანთებს, სინათლე საკმარისია.

მოირგებს სათვალეს, მუხლებზე სატინის ძველ ხალათს გადაიფენს და საქმეს შეუდგება.

ესეც შენი ქართული მათემატიკური სკოლის იმედი, ინტელიგენტი, გაჭირვებამ სადამდე მიიყვანა, თვალები ჩანყალეული აქვს სათაგურების კეთებით. თუ მსურველი გამოჩნდება და შეუკვეთავენ, ხაფანგებსაც ამზადებს — ისეთი ვირთხები მომრავლდნენ, კაცებს აღარ ეპუებიან, სათაგური როგორ დაიჭერს! ათირევენ ხოლმე და სათაგურიანად გარბიან.

ამ მშვიერ ქვეყანაში, თავგმა და ვირთხამ როგორღა იბარტყა, — უკვირს დიტოს და მარჯვე დარტყმით ლურსმანი ნუჟრიან ფიცარში ჩაჰყავს. აღარც ლურსმანი ვარგა, ადვილად ილუნება. ზოგჯერ, სიბნელეში ჩაქუჩი აუცდება, აისხლეს ლურსმანის თავი და ნატკენი ცერი სულს გაუმნარებს ხოლმე. ისე აქვს ხელები გაუხეშებული, რომ კლასში ბავშვებთან გამოჩენის ერიდება.

როცა სათაგურს მოამთავრებს, შესამონმებლად, ფიცარზე დამაგრებულ მავთულის რგოლს ფოლადის ღეროს წამახულ წვერს გაუყრის, ისე დააყენებს, რომ ზედ წამოცმულ ნიგოზს ან ლორის ნამცეცს თავი პირს როცა სტაცებს, რგოლი გამოძვრეს — დაჭიმულ ზამბარაზე დამაგრებული, რკინის ოთხკუთხედი, თავგს ხერხემალში დასცხებს და თვალუბდაჭყეტილ წრუნუნას ფიცარს დააკრავს, გასაქანს აღარ მისცემს.

ცდას გაიმეორებს, სათაგურს კიდევ დაატკაცუნებს და ცელოფანის შავ პარკში, გამზადებულ სათაგურებთან ჩადებს.

მალლა, ყურმიჩვეული ოჯახის წევრები, ტკაცუნზე ხვდებიან, რომ ოჯახის ბიუჯეტს კიდევ ერთი ლარი შეემატა — კაცს სათაგურები ბაზარში მიაქვს, იქ, შესასვლელთან, ფარდულში, ელექტროსაქონლით — ფანრებით, წყლის მადულარებით, ელექტროქურის ზამბარებით მოვაჭრეს აბარებს. ვაჭარი მაშინვე უსწორდება და თვითონ რა ფასად ჰყიდის, რა დიტოს საქმეა.

* დასასრული. იხ. „ჩვენი მწერლობა“, №24, 25

ეს რომ არა, მასწავლებლის მწირი ხელფასით, ოთხსულიანი ოჯახი თავს როგორ გაიტანდა. ასეა, თავგების და ვირთხების უბედურების ხარჯზე შენდება დიტოს ოჯახის „ბედნიერება.“ ეს „ბედნიერება“ კი ძალიან მარტივია, სამზარეულოში დადგმული ნახერხის ღუმელი არ გამოქრეს და ბავშვებს არ მოშივდეთ — პური და, როგორც მეუღლე ამბობს ხოლმე, „ტყუილი სუპი“ მაინც ძლომაზე ჰქონდეთ.

გაგიგონია? ისედაც ამდენი სიცრუე ყელში ამოვიდა, ახრჩობთ და სუპიც ტყუილი? — გაბეცებული თვალებით ჩაქუჩი ველარ მოძებნა, ამაოდ აფათურა ხელი კალთაში და მაგიდაზე. სარკმელს ახედა, დაბნელებულა, ეს კი თხუნელასავით ზის და ვერ მოუფიქრებია, სანთელი ანთოს.

ასანთი გაჰკრა. ბარემ საფერფლის კიდეზე ჩამოდებულ, ჩამქრალ „ექსტრასაც“ მოუკიდა.

ჩაქუჩი ფეხებთან ეგდო. როგორ ჩაცურდა, ვერ გაიგო.

ვილაცამ თავსახური ასწია. გოგოს ხმა მოესმა, არ მოგშივდა, ამოდიო.

კიდევ მომშივდა და კიდევ გადამიარა, ერთ ნაჭერ პურსა და ყველს თუ გამოიმეტებთ, მაღლობელი ვიქნებო. მალე, ჩაის ლამბაქით, პურს, ყველს და ლორის პატარა ნაჭერს ჩამოანვდიან.

გამოართმევს. ხელზე შვილის გამხდარი, სულ შეციებული, სატაცურით თითები შეეხება.

ბოლმა ყელში წაუჭერს და აღარაფერი, სულ აღარაფერი აღარ უნდა.

მაინც ამოჰლიმებს.

ყოჩად, ლორი საიდან?.. ამას ხომ იცი რაც სჭირდებაო. სჭირდება და მანდ არა გაქვსო.

ჰოდა, ჩამოდი ერთად ვიქეიფოთო.

არ მცალია, ხახვი დამეწვება, შენც დროზე ამოდიო, გაიქცევა გოგო სამზარეულოსაკენ.

რაც „სჭირდება“ იქვე, მაგიდის ფეხთან აქვს მიდგმული — ძველებურ, ლიტრიან ბოთლს ჭიქაც ზემოდან ახურავს.

მაინც ჩაბერავს, გამოასუფთავებს და შინაურ ჭაჭას ჩამოანანკარებს.

დალევს ერთ ჭიქას, დააყოლებს ყველსა და პურს, დააყოლებს მეორესაც და დაუვლის ძარღვებში, დალილს უცებ მოეკიდება.

გააბოლებს. თვალმოკუჭული დაჰყურებს ნათალ ჭიქას — მესამესაც ხომ არ შებედოს. ეს ისე, სინდისის დასამშვიდებლად შეყოყმანდება, თორემ მესამე აუცილებელია, განა არ იცის, არაყი კენტი რომ უნდა.

ლორი ეგემრიელა, მაგრამ ძლივს გალექა. კბილებიც მისახედი აქვს... ანდა, მშვიერ ქვეყანაში, კბილები რა საჭიროა.

ცოტა ჰყოფნის ბედნიერებისათვის — მესამეც გადახუხა, მაჯას დაყნოსა და თავდახურული ლიტრიანი თავის ადგილზე მიდგა.

პაპიროსი საფერფლეში ჩასრისა. გააგრძელა დანყებული საქმე. ეს დიდი და ღონიერი სათაგური გამოსდის, არც ვირთხას გაუშვებს. ფოლადის მავთული, ერთი ბოლოთი, ფიცარზე ისე დააჭახრა, რომ თავისუფლად ემოძრავა, მეორე ბოლოს კი, იოლად რომ არ ასხლესილიყო, ქლიბით წამახულ წვერზე პატარა ნაჭდევი გაუკეთა.

ჰმ, ეს საქმეა, ბავშვობაში ვაჟა-ფშაველას „სათაგური“ რომ წაიკითხა, როგორ გაიხარა სათაგვეთის გმირმა ფიცხელამ ტყვეობიდან თავი რომ დაიძვრინა და ახლა... ახლა ადამიანებიც კუდით არიან დაჭერილი და, როგორც მო-

უხერხდებოდა, თავი ისე უნდა გადაირჩინონ... ყველაზე სერიოზულ სათაგურებს ხელისუფლებაში ამზადებენ, ოღონდ, დიტოსავით არც თითები ენეკვებათ და უსინათლოობისაგან არც თვალისჩინს კარგავენ.

არაფერი იმალება, ამასწინათ, კლასში, ბავშვებმა დაფაზე დახატული სათაგური დაახვედრეს. თავიდან ვერ დაინახა, მაგრამ ისე საეჭვოდ იყვნენ მეთავეკლასელები გატრუნულები და თან სახეზე დამცინავი ღიმილი დასთამაშებდათ, რომ დიტომ ჯერ ტანსაცმელზე დაიხედა, რაიმე უნესრიგოდ ხომ არა მაქვსო, მერე, უნებურად, დაფისაკენ შებრუნდა და... გაშრა. ნახატი უხმოდ წაშალა. წყენაც უხმოდ ჩაყლაპა... ის ბოლმა დღემდე გულში ჭვალავით აქვს გაყრილი — ბავშვურმა სისასტიკემ თავზარი დასცა... ეყვირა მაინც, ცოტა ხომ მოეშვებოდა...

უცებ, მოულოდნელი ტკივილისაგან, ლამის თვალები ამოუცვივდა.

აღმუეებულმა, სიმწრით მოხუჭული ქუთუთოები როცა ასწია, სათაგურში მოყოლილი, ფიცარზე დაბრტყელებული, გალურჯებული ცერა თითი დაინახა, გრძობადაკარგული თითქოს სულს რომ ლაფავდა და პატრონს აღარ ეკუთვნოდა.

ხელდაუდებელი

ეძალავა, ეს პირქვედასამარხი, ესა, ლამის დაამტვრია მკლავები. კაცი დათვივით გადმოაბობდა, დაბუნბა, დაიტანა. ამხელა შვილები ჰყავთ, გუშინდელი ხომ არ არის, ვინ მოთვლის აქამდე რამდენჯერ დანებებია, მაგრამ ეხლა არ უნდოდა, არა, არა და არა!

ძაან იყო გამწარებული, ძაანა რო მეტი აღარ შეიძლება — ნუხელის რა ეტაკა, რა მოუვიდა, დათვრა და მკვდარი და ცოცხალი აღარ დაუტოვა, აღარც მინაურის მოერიდა, აღარც გარეულის. ჯანდაბას ამის თავი და ტანი, გინება უკვე იავნანასავით ჩაესმის, ეგრე არ გაამწარებდა... ნაუყრუა, მაგრამ ვინ მოასვენა — ჩაჰყვა ძირისძირობამდე, რეები გამოჩხრიკა, რეებით ჰქონია დასამინებელი გული გამჭვარტლული... ბოლოს მაინცა, ბოლოსა, ამ თავის ბოლმიან ლაპარაკს მთლად გვირგვინი არ დაადგა? შენცაო, გამომყევი, თორე, ძაან ხელდაუდებელი მყავდიო!.. საიდან მოჩმახა, საიდან მოიგონა, ამას დაადოს ხელი სიკვდილმა და ხორველამ... ენა ჩაუვარდა, გაოგნებულმა ხმა ვეღარ ამოიღო... ვილაც იფიქრებდა, ალბათ მართალს ამბობს და იმიტომ გაუჩუმდაო... ისლა უთხრა, ცოტა ხმადაბლა, მეზობლები გაიგონებენო — გაუხმეთ ყურები, სუ მოყურადებულები არ არიან თუ რა!.. ანდა მეზობლები რად უნდათ, ამბის გამტანი ცხვირწინ არ უჯდათ? — გაისუსა მაზლის ცოლი, ჩაეცინა და გაისუსა, აბა, თანამეცხედრეს კიდევ რას ეტყოდა, როგორ დაამშვენებდა... ისეთი სახე მიიღო, ვითომ ვერაფერი გაიგონა — დაყრუვდეს ამის შემქმნელ-მშობელი — ჩაჰყვა სუფრის „უზორსა“, გააყოლა და გამოაყოლა თითი... ეე, ისეთი არგასახარებელია, ისეთი რომ, ერთ სოფლად მარტო ეს წითელი ქალი ღირს...

ხმადაბლაო — ნეტავ არ ეთქვა — გალექებულმა კაცმა მთლად გაიგიჟა თავი — რათაო, გაიგონონ და გაიგონონო, აუნია და აუნია. ამან აუნია და, არაფერი გვესმისო, ბავშვებმაც აუნიეს ტელევიზორში სერიალსა, თან თავისთვის ფხუკუნებენ.

ესენიც კარგები ჰყვანან — ერთხელ არ გამოესარჩლენ დედასა, დედახთვისა გაუწყრეთ, ამათი იმედი უნდა ჰქონდეს?..

ცეცხლი დალიოს, ცეცხლი!.. ბავშვებს მაინც მოერიდო და, რა ბავშვები, რის ბავშვები, არც ეგენი ჰყვანან ჩემ გაკეთებულებსაო... აი, ეგრე. ამოანთხია და დასაძინებლად წაქვავდა...

მამ ვისა ჰყვანან, ჭუპრიანთ ვალიკოსა თუ ჩიკორა ალესა!... ვისა, ვისა... ვაი, ერთგულებაში ჩამოლეული ყმანვილქალობაო, გამეტებით ჩაიჩქმიტა ხორცები და მძიმე, მურიანი თუჯის ტაფა ისე დაახეთქა, სახლმა ზანზარი დაიწყო, მაგრამ რალა დროს, მაზლის ცოლი უკვე ნათრეული იყო, ბავშვებსაც ეძინათ და ვისაც ეხებოდა, პირქვე წამხობილი ხვრინავდა...

მარტოა, მარტო, ამ დასანვავ სახლში არავინა ჰყავს გამომსარჩლებელი, არც — ქმარი, არც — შვილი...

ჩაჯდა, იტირა, ივაგლახა, აავსო კალთა ცრემლებით, მაგრამ ვინ გაიგო? არც არავინ!

ეგრე, აულაგებელი მიატოვა სუფრა, დაურეცხავი დაყარა ჯამ-ჭურჭელიც და მამლის პირველ ყივილამდე თვალი ვერ მოხუჭა — მამ ხელდაუდებელიო, არა? ქალი არ იყოს, თუ აპატიოს. ჯერ დააცადოს, ჯერ გათენდეს... ცხრა კი არა, ხუთჯერ ცხრაუღელიც ვეღარ დაიჭერს...

თუმცა გათენება ვილამ აცალა... რა ჯანდაბამ გააღვიძა, გადმოყო ხელი, ჩაბლუჯა მარჯვენა ძუძუ, ნათვლემილი ქალი ვიდრე გამოერკვეოდა, იმ ხელს თვითონაც გადმოჰყვა და უცებ კაცის ქვეშ აღმოჩნდა... იცოცხლე, ბრძოლით კი ბევრი იბრძოლა, მაგრამ ვერაფერი შეასმინა, ვერც მუჯულუგუნებით, ვერც ჩხუბით — ხელდაუდებლებთან ნადი, მე თავი დამანებეო... ბავშვები არ წამოდგნენო, ხმასაც ვერ უწევდა, ჩუმად უძალიანდებოდა... ბოლოს და ბოლოს მაინც აჯობა ქმარმა — ლაჯებშორის შეუვარდა და... ნაგებული ბრძოლის მერე მუშტების ქნევას რალა აზრი ჰქონდა...

ჯერ დამაცაო, უგრძობელივით ინვა და, კაცმა ძაან რომ აურქარა, შვილებისაკენ ყურმიგდებული აღმუვლებულ მოძალადეს პირზე ხელს აფარებდა...

როგორც იქნა გამოეცალა, წამოდგა, გამოშორდა.

„დამაცა, ჯერ დამაცა!“ — გაცოფებულმა ლამის დაბდვინა ყველაფერი, მაგრამ ვის ესმის, ვის მიაქვს გულთან ამის ვარამი, აქეთ ბალიშს ჩახვეული შვილები ხვრინავენ, იქით, სახელიც აღარ უნდა გაიმეოროს, ეგრე ხრიალებს, გეგონება ხორხი გამოაცალეს.

აი, ინათა კიდევ, სადაც არის პირველი ავტობუსიც მოვა, მოვა და გაჰყვება, მორთულ-მოკაზმული პირველ რიგში გაიჭიმება. სად მიდის, რათ მიდის, ვისთან მიდის, ხეირიანად თვითონაც არ იცის, მაგრამ მაინც მიდის... მიდის... ესეც პომადა, ესეც „დუხი“, ჩაცმა და თავის მოვლა საფრთხობელასაც უხდება, რა უჭირს, ახლა, თვალი ვილაცას ხომ შეუვარდება... ხან ქვებს წამოედო, ხან სკამი წაუყირავდა. არა, თუ გინდა სახლი ააფეთქე, არ გაინძრევიან, კაცების რიგიც რომ დაიყენოს, დილის ძილს არ დაიფრთხობენ... მორჩა, რალას დაბორიანებს, ნავიდეს, მოსწყდეს აქაურობას.

სარკესთან გავლისას კიდევ ერთხელ შეათვალა თავისთავი. ხელისგულებით ჩაისწორა კაბა, გადაიტკიცა გამოკვეთილ თეძოებზე.

ხელჩანთის გამოსატანად სანოლ ოთახში შევიდა. კარადის კარი ჭრილით გამოალო, მაგრამ ქმარი არც ახლა განძრეულა, თითქმის შიშველს ბალიში და საბანი ქვეშ მოექცია.

ერთი გადახედა და ქუსლების პაკოპუკით გავიდა, გამოალო კარი და — ფანჯარას მაინც ჩაუჟეკტავ, თორემ გადახდილი აგლიაო.

შემობრუნდა, მიაჯახუნა ფანჯარა, გაუყარა საკეტი, არ დაუხედავს, ეგრე გამოსცდა სანოლს, მაგრამ ოთახში ისე ციოდა, მარტო ფანჯრის დაკეტვა არ უშველის ფილტვების ანთება არ დაიმართოსო — ისევ მიბრუნდა, დაეჯაჯგურა, ძლივს გამოაძრო საბანი.

ქმარი უგრძობელივით მეორე მხარეს გადაგორდა. დააფარა, ჩაათბუნა. კაცს ესიამოვნა სითბო და ტკბილად ამოიკვნესა. თან ისეთი მშვიდი, გულუბრყვილო, მიაშიტი სახე აქვს...

ქალი შედგა... უყურა, უყურა, მერე სანოლის კიდეზე ჩამოჯდა, მკლავზე ჩამოკონწიალებული ხელჩანთა ფეხებთან ჩაუვარდა და მიხვდა, რომ არსად წამსვლელი არ იყო.

ბურამი

„ლერკომბინატის“ პალატაში მარტო წევს, ნახევრად წამომჯდარი, გამხდარი, ყვრიმალეზამოზიდიული. სანოლთან, მარცხნივ, ტუმბოზე დადგმული ლამპა გვერდიდან ანათებს ხმელ, საავადმყოფოს ფერდადებულ პროფილს.

გარეთ წვიმს. ქარს აყოლილი ჭადრის ტოტები მიაცილებენ შხუილით მიმავალ მანქანებს.

ფანჯარა ჩამოკანრა ფოთოლმა.

„ახლა კარგია გარეთ ყოფნა,“ — ნატრობს გურამი.

„არა, ცუდი ამინდია“ — პასუხობს ვილაც.

„ეს თქვენთვის არის ცუდი ამინდი, თორემ ჩემთვის, ამდენი ხანი გარეთ ცხვირი რომ არ გამიყვია... ცუდი ამინდი არ არსებობს.“

„მოკეთდები და გამოიამინდებს კიდეც.“

„მოვკეთდები?“ — ძალიან შორს, ამ კედლებს იქით, რალაცას თვალმოჭუტული უყურებს.

ბევრი მნახველი ჰყავს, განსაკუთრებით უკანასკნელ დღეებში.

„რალაც საეჭვოდ აირიეთ, პალატის კარი აღარ ჩერდება, — ეხუმრება გამომცემლობიდან მოსულ თანამშრომელთა ახალ პარტიას, — მოდიხართ და მოდიხართ, ეტყობა მართლა ცუდად არის ჩემი საქმე.“

შემოსულებს წვიმის, სიგრილის სუნი შემოაქვთ.

გამომცემლობის თანამშრომლები, გურამის ირონიაჩამდგარი თვალებით გრძნობენ, რომ ავადმყოფისთვის ყველაფერი თითქმის გარკვეულია და მინც ცდილობენ თავისი სტუმრობა არ დაამძიმონ საპანაშვილო განწყობილებით, საუბრობენ რალაც სხვაზე, უცხოზე, განყენებულზე, ართობენ ახალი ანექლოტებით, ქალაქში მთარული, თავშესაქცევი ამბებით.

იცინიან და იცინის ავადმყოფიც, ვითომ აქ სულაც არაფერი არ ხდება საგანგაშო, განსაკუთრებული.

მერე, უფრო დამაჯერებელი რომ იყოს მათი მცდელობა, რედაქციის გამგე, სქლად წითელ პომადანასმული, ყელტიტველა ქალი, ვითომ იმ წუთას მოისაზრა, შუბლზე ნაზად მიიკაკუნებს თითებს — სიმონ ჩიქოვანის ერთტომეული გამოდის და, აქამდე როგორ ვერ მოვიფიქრე, შესავალ წერილს თქვენზე უკეთესად ვინ დანერსო.

ჰო, ჰო, ბატონო გურამ, ოღონდ უარი არ გვითხრათ, წერილს თუ მალე მოგიტანთ, წიგნსაც დროულად გავგზავნით სტამბაშიო.

ჰონორარიც თქვენი საკადრისი იქნებაო.

მოუსმინა სხვებსაც, გულმხურვალედ რომ ევედრებოდნენ, თქვენი შესავალით დაამშვენეთ პოეტის ერთტომეულიო.

მოკლედ, მოგიტანეთ და მოგიტანეთო.

მოუსმინა და მონყალედ გაეღიმა:

ჩიქოვანი ძალიან მიყვარს, უარს როგორ გეტყვით, მაგრამ უფალი ისე მაჩქარებს, მეექვსეა თქვენთან მოტანა მოვასწრო, ამიტომ, თუ არ გენყინებათ, წერილს პირდაპირ ბატონ სიმონს წავუღებო.

მძიმე დუმილი ჩამოვარდა.

გურამი ისევ თავისი, ირონიაჩამდგარი თვალებით უყურებდა ტყუილში გამოჭერილი ბავშვივით დაბნეულ, ნირნამხდარ სახეებს.

ნეტავ სულ არაფერი მეთქვაო, ყელტიტველა ქალმა ქვედა ტუჩზე იკბინა.

ქვანი

ვდგავართ მეტეოსადგურის წინ, დერეფანში, კედელთან ჩარიგებულები და პირმოღებულ ცას შევყურებთ. გუშინ მზიანი, ნათელი დღე იყო, ლამითაც, ვარსკვლავები ისე ახლოს იყვნენ, ლამის ხელისგულეზე დაგვესვა. მთამ იცის — უცებ შეიცვლება ამინდი. წვიმს, თქორავს, გულისაგამანვრილებლად. აქეთ-იქით აყალყულ, დარახტულ ქედებს ელვის ლახტს გადაჰკრავენ ხოლმე და ხეობებში ჭიხვინივით იწელება ქუხილის ხმა.

ფოლკლორული ექსპედიცია, მეორე კვირაა მეტეოსადგურში ვართ დაბანაკებული — თანამშრომლებმა ერთი მოზრდილი ოთახი, შუშაბანდით, ჩვენ დაგვითმეს. აქვე, ბორცვებს შორის მომწყვედულ პატარა ვაკეზე, დაღრეცილ ლობიანი ფარეხია. ცხვარი გარეკილი ჰყავთ და ფარეხში დადგმული, ნაფერდებული, ყავრიანი ფიცრულიც ჩვენს განკარგულებაშია. ფიცრულში ორი სკამლოგინი და, აღმოსავლეთისაკენ, ფანჯრის ერთ კუთხეში საკვამლე მილგაყოფილი პატარა ლუმელია.

უამინდობამ ყველა გააღიზიანა, თუ არ გადაილო, ხელფეხშეკრულები ვართ — სად გახვალ. ასეც არ იყოს, გუშინ „მძიმე“ დღე გვექონდა — ექსპედიციის ხელმძღვანელის, ბატონ გიორგის ნასტუდენტარმა, დაგვსხა სატვირთო მანქანის ძარაზე და დიდლომისაში, დღეობაზე წაგვიყვანა.

გვიან დავბრუნდით.

ჯაყჯაყში კიდე უფრო მოგვეკიდა, ჟიბიტაურმა და კახურმა, ყველას ერთნაირად დაგვრია ხელი, მხოლოდ ის მახსოვს, რომ საიდანდაც მოხეტეებული, ფარას ჩამორჩენილი ბებერი ნაგაზი ფიცრულში არ გვიშვებდა, გაიხიდა კბილებდაკრეჭილი კარებში. როგორ გავაგდე, ანდა სკამლოგინაზე გაუხდელად მიწოლილს ვინ დამაფარა, აღარ მახსოვს.

ისედაც თავდამძიმებულეს გაგვეღვიძა და წვიმამ ხომ სულ ხელი მოგვითავა.

გოგობმა სპირტქურაზე ყავა მოადუღეს.

„მაგას კახური ყავა სჯობს, ნივრით და ქინძით შეზავებული, ბატკნის ხაშლამის თათარიახნი,“ — ინატრა ვილაცამ.

„ცისკარაული ხომ შეგვიპირდა...“

„კარგი ერთი, რალას ესსომება, პირში ენა აღარ ედო.“

„ჰო, ნასვამ კაცს რალაც წამოსცდა...“

ამოვაო, — ჩაილაპარაკა დარწმუნებით ლელამ.

„თვალი კი დაგადგა, მაგრამ იმ თავის ფერხორციან, ჯანიან დედაკაცს, რომ ჩაუგორდებოდა, მამინვე დაგივინყებდა,“ — თავზე ვითომ თანაგრძნობით გადაუღსვი ხელი.

„არ დამივინყებდა, ამოვა,“ — მხრის აქნევით მომიცილა.

„ნეტარ არიან მორწმუნენი.“
„ვნახოთ, აღდგომა და სვალეო.“
„ვნახოთ...“

გუშინ, დღეობაში ვიდრე მწვანეზე, ჩრდილში სუფრა გაიშლებოდა, მივდექ-მოვდექით, ბლოკნოტ-კალამ მომარჯვებულები გავერიეთ მლოცველებში, უფრო მოხუცებულები გავიმარტოვეთ, ჩავინერეთ რაღაც-რაღაცეები.

ჩემგან შორიანლო, ახალგაზრდა კაცი, ქვაბს ქაფავდა, ქაფქირს პირდაპირ ნაკვერცხლებზე ღონივრად დაიქნევდა ხოლმე, ცეცხლს ააშიშინებდა და თან შარვლიან ლელას თვალს არ ამორებდა.

ვინ არის-მეთქი, ვი-კითხე.

ჩვენებური სიძეა, ცისკარაული.

დაგვიძახა მასპინძელმა, მოგვავროვა დაფანტული სტუმრები. დაგვიდგა ბატონი გიორგი თამადად და ცოტა რომ შევთვევით, ლექსი გინდა თუ სიმღერა, ახლო-მახლო ვინც იყო, ჩვენსკენ ჰქონდა გულისყური.

ცისკარაული ჯერ შორიანლო გვივლიდა. რაც არ უნდა ეკეთებინა, ყურადღება მაინც ჩვენსკენ ჰქონდა. ჩვენშიც ერთს გამოარჩევდა და ის ერთი ლელა იყო.

„ეხლა გავუფრენ, იცოდე,“ — დავემუქრე ცისკარაულს.

ლელამ თავშეკავებული ღიმილით შეათვალა ჩემი „მხარ-ბეჭი“ და ნება დამრთო, მიდი, გაუფრინეო.

ბოლოს და ბოლოს, ჩემს „გაფრენას“ აღარ დაელოდა, მოვიდა, დაადგა სუფრას ცისკარაულის ჩრდილი.

მიართვეს ჭიქა. დალოცა მასპინძელი, დაულოცა სტუმრები, თქვენ ნათქვამ ლექსსა და სიმღერას გაუმარჯოსო, გაღიმებულს სახეზე გაეშალა დაფანტული უღვაშები.

მეორეც თქვა, რაც თქვენ ბრძანეთ და მე არ გამიგონიაო, — დროს იხანგრძლივებს, ტკბება ლელას ყურებით.

დაბრძანდითო, — მასპინძელმა.

დასაჯდომად სად მცალია, განა მე უსტუმრო ვარ, აბა, იმათ გახედეთო — ჩვენ თავისი სუფრისკენ გაგვახედა, თვითონ კი გოგოს თვალს არ ამორებს.

გამიხურდა საფეთქლები, ავიღენე და, არაფერი ისულელო, ლელამ იდაყვზე დამქაჩა, ჩუმიად, სხვებისაგან მალულად.

უხერხულად გაჩერებულმა სტუმარმა ერთიც შეავსებინა, ამ გოგომ ლექსი თქვა და მივიღივარო, მიაშვირა ლელას ჭიქიანი ხელი.

„მე რომ ვთქვა?“ — დამუშტული თითები მეტკინა.

„არა, მაგანაო,“ — გამიმეორა ალაღად გაღიმებულმა და ხმას სიბრაზე გაურია.

ლელამ — რატომ არ ვიტყვიო, წამოხტა და ჭიქა ჭიქაზე მიუჭახუნა:

— დაგილამდება, ხევსურო, ველარ მიასწრობ ლულსაო.
— მე ბნელაჩიაც გავივლი, მთვარეს არ უგდებ ყურსაო, მივალ და გადავეხვევი საყელომოქარგულსაო.

სახეზე დაეტყო, რომ შაქარით დადნა ცისკარაული, წაბორძიკდა ნაქანდა, მაინც დაიხარა, ხელზე ეამბორა. სვალ

მეტეოსადგურში ჩემი თოხლით უნდა მოვიდე და თქვენთან ერთად ჯიგრიანად შევუბერო... მოკვდეს ცისკარაული თუ არ აასრულოსო, — დაცლილი ჭიქა რიყის ქვაზე დაჰკრა, დაამსხვრია.

გატეხვის ხმაზე მოვიდა სათნო სახის, მაგრამ საკმაოდ ფაშფაშა, ჯანიანი ქალი, როგორც გაირკვა, ცისკარაულის „საყელომოქარგული“ და წაიყვანა, გეყოფა, ხალხი ნუ შეაწუხებო.

მე რომ ვწუხდები, ეგ არაფერიო, ამოიხარა, თან ლელას ძლივს მოსწყვიტა მხერა.

ცოტა ხანში ვიღაცას აუხივრდა, იქაც ცოლი ჩაუდგა შუაში, გაარიდა და

მხატვარი სოფო ელიაშვილი



ძალიან მთვრალი, ჩრდილში მიაწვინა.

როცა წამოვედით, ისევ ეძინა...

ახლა მეორე დღეა —

რა ცხვარი, რის ცხვარი, გახდა თორმეტი, პურზე წასმულ, შედედებულ რძეზე და მოხარშულ კვერცხებზე გადავიარეთ.

„ამისთვისაც გმადლობ, უფალო,“ — პირჯვარი გადაინერა და, ბატონი გიორგი, მაგიდასთან სამუშაოდ მოკალათდა.

დანარჩენები ისევ ცისკარაულზე კამათობენ — ზოგი ამბობს, დაავინყებოდაო, ზოგმა — ცოლი ისეთი მამალი ქალი ჩანს, არ გამოატანდაო.

ფარეხს ზემოთ, სტვირის სიმსხო ღარში, მყავე წყალი მონანწკარებს. სანვიმარი მოვიგდე და ჩაიდნით წყლის მოსატანად წავედი.

გავიხედე, უკან ლელაც მომდევს, თავზემთო გაზეთი წაუფარებია და თერმოსით მომყვება.

მსხვილმა წვიმამ უცებ დააღობო, დაფლითა გაზეთი.

შევიფარე, ნახევარი სანვიმარი ლელამ გადაიფარა.

შეკვდგი ჩაიდანი წყალს და ველოდებით როდის აივსება.

იქვე, მთელი ბლუჯა გვირილებია ამოლადანებული.

მოვწყვიტე და გოგოს მივანოდე.

ლელა აცლის ფურცელს და ჩურჩულებს:

„მოვა, არ მოვა... მოვა, არ მოვა, მოვა... არ მოვა...“ —

ბოლო ფურცელსაც წამობერილ ნიავს ატანს.

ნიავს ფურცელი შორს ვერ მიაქვს, იქვე, წვიმის წყლის ნაკადში ჩავარდნილი, ქვემოთ მიქანაობს.

„აჰა, ესეც სცადე,“ — მივანოდე მეორე გვირილა.

ლელამ თვალეზე ჩამოფარებული სველი თმა თითის ნაცნობი მოძრაობით ყურს უკან გადაიკალა.

„მოვა, არ მოვა... მოვა, არ მოვა... გაიხარე, არ მოვა!“ — გაბუტულმა მოისროლა ყვავილის ღერო.

„რა ჩემი ბრაღია... აჰა, მესამეც, ღმერთი სამობით არის.“

„დამანებე თავი,“ — დამაგდებინა მინოდებული ყვავილი.

„ნნ, ნნ, ნნ... ცისკარაულმა რომ დაეინახოს, რას იფიქრებს...“

აბა, ნაზი არსება გქვია? ყვავილი ტალახში ჩააგდე! — გვირილა ავიღე, დავფერთხე და ახლა მე დაიწყო, — მოვა, არ მოვა...“

ფურცელი სანახევროდ არ მქონდა გაცლილი, რომ მე-ტეოსადგურისაკენ დიდი ყიჟინა ატყდა.

რალაც საინტერესო ხდებაო, ვილას ახსოვდა სანვიმარი — დავავლე ჩაიდანს ხელი და გავიქცით.

შორიდან დავინახეთ, აღმართზე ვილაც დაზურგული ამოდლიოდა, ბილიკს გვერდს უქცევდა, გზას პირდაპირ, მოკლეზე სჭრიდა, თავდაღუნული უკან იტოვებდა, ჩექმის ძირებით დაგორებულ ქვების ხრიალს.

მგ ზავრი თანდათან მოახლოვდა და... მეტეოსადგურის ეზოში, მხრებზე ჩამოზვინული თოხლით, ცისკარაული შე-მოვიდა.

დაგვიდგა წინ გაღიმებული. ცხვარი ჰაერში მოგვერ-დით წამოღებული ფალავანივით წინ გაგვიგორა და ორივე ხელი მაღლა შეჰყარა:

„დავაგვიანე, სტუმრებს თავი ვერ დავაღწიე, განა პირო-ბა კი არ დამიწყებია... აგე თქვენ და აგე ცხორი, — მოუქცია მოხვეურად — მე უნდა მაჰატიოთ, ძაან მთვრალი ვარ, თქვენთან აღარ დავიჯდომები,“ — ხელში ჩაბლუჯული ქუ-დი სველ პირისახეზე ღონივრად მოისვა, მაგრამ აღარ დაუ-ხურავს, ეგრევე, ხელებანულმა უკან-უკან დაიხია, მერე წუთით შედგა, თვალით ლელა მოძებნა და ნალვლიანი ღმი-ლით ჰკითხა, შეიძლება ერთი ლექსი მეცა ვთქვაო.

ვინ ეტყოდა უარს:

**გავხედე, ყარაიაზე,
ორი ირემი სძოვდაო,
მე დიდი გამოვარჩიე,
თურმე პატარა სჯობდაო.**

ჩვენს რეაქციას აღარ დაელოდა, წვიმაში განგებ ნაბიჯ-შენელებული, რწევა-რწევით წავიდა...

„ხომ ხედავ, ზოგჯერ გვირილაც კი ტყუის,“ — შევარ-ხიე გარინდული ლელა. ზურგს უკანიდან სალესავის ხმა მოისმა — მეტეოსადგურის გახალისებული თანამშრომე-ლი, ლარიან ხანჯალს აფხავებდა.

ღარღი

ერთი დედაბერი ქვეყნის დარდმა მოინელაო — განსა-კუთრებით უკანასკნელ ხანებში, რალაც ამდაგვარი მჭირს.

ამ დილითაც, გამეღვიძა თუ არა, რატომღაც მგელზე ფიქრი ამეკვიბატა, ასე უთავბოლოდ თუ მოიჭრა, განად-

გურდა ტყეები, სადღა წავა, მგელიც ხომ გადაშენდება-მეთქი.

მეტყვი — ნეტა შენც მოგცლია, ქართველობამ ფეხი რომ აიდგა, გარბის და ლამის ჩვენ გადავშენდით, მაგაზე იჯავრეო.

ნუ გემინია, მაგაზეც ვჯავრობ, თუკი ჩემი ჯავრი წამხ-დარ ქვეყანას უშველის.

რაც შეეხება მგელს, განა მხოლოდ მოუთვინიერებელი, ბოროტი ოთხფეხია, ადამიანისათვის სიფხიზლისა და მზადყოფნის ზარებს რეკავს, არ ჩავთვლივით, ფრთხი-ლად იყავით, მოვდივარ და, აბა, თქვენ იცითო!

მგლისგან რამდენი რამე აქვს სასწავლი ადამიანს...

ვარ ამ ჩემს ფიქრებში და კარზე მოაკაკუნეს.

გავალე. ნაცნობ მემანვნეს, მანვნის ქილებიანი და რძის ბოთლებიანი ხელჩანთა ფეხსანმენდთან დაუდგამს და შე-მომყურებს, რას ინებებთო.

ავიღე რაც მინდოდა.

აქამდე რატომ არ ჩანდით-მეთქი, ვკითხე ბოლოს.

ეჰჰ, როგორ გამოვჩნდებოდი. ამ ზამთარს, მენველი ძროხა, მგლებმა დამიგლიჯეს... მტკვარგალმა, ჭალიდან, პა-ტარა ხევში აეტყუებინათ, მოემწყვდიათ და ჩლიქიც არ და-უტოვებიათო... რა მექნა, მე ძროხის გარეშე ვერ გავძლებ, ახალი ვიყიდე, დამაკებული, მოიგო და, აჰა, გამოვჩნდიო.

მგელი? რას ამბობს ეს კაცი:

„ძროხა დიდი იყო?“

„მამ, დიდი, დღე როგორ გავიდოდა, თორმეტი ლიტრი მაინც არ მოეწველა.“

„იქნებ ქურდებმა...“

„არა, ეტყობოდა იქაურობას, ვიდრე წამოაქცევდნენ, კარგახანს ეწვალათ.“

რაკი იმხელა ძროხას აუვიდნენ, ბევრნი იქნებოდნენ-მეთქი.

ჰო, ბევრნი, ბევრნი, დაენახათ კიდეც, მთელი ხროვა იყოვო, — სინანულით დააქნია თავი.

წესით ხომ უნდა მწყენოდა, კაცმა ასეთი ზარალი ნახა.

პირიქით — ვერ შევიკავე კმაყოფილების ღმილი და, მემანვნემ, აფრაკად არ ჩამთვალოს-მეთქი, ყურებამდე გა-ხეულ პირზე ხელისგული ავიფარე.

ლობიო

— ეე, ქართლელებს, მარჯვენა ხელზე საჩვენებელი თითი, ლობიოს ქოთნის ტლეკვითა გაქვთ განვრილებულ-გალეულიო...

ნალამურ ლობიოს, ფეხზემდგომლები, მიირთმევდნენ. თონიდან ამოდგმულ ძირგამურულ ქოთანში მორიგეობით ამოუსვამდნენ ხოლმე მაღიან პურის ნატეხს, საჩქაროდ პირს შეავებებდნენ და ლუკმას ლამის თითებსაც ჩაატანდნენ.

უჰ, უჰ, კარგი რამეაო, გაილოკავდნენ ერთხელ, მეო-რედ, სამ თითს ზედ არაფერს შეარჩენდნენ, ვითომ ისევ ლობიოში არ უნდა ჩაეყოთ.

ლუკმას კომბოსტოს მყავეს ხრამუნით შეაყოლებდნენ, ჭირნახულის რბილი, ხრაკიანი არაყით პირს გაიუგემურებ-დნენ და ისევ დაფლეთდნენ ხონჩაზე დანყობილ შოთებს.

თითოსაც დალევდნენ, სამი გახდებო, ხასიათზე მოსუ-ლები რიგრიგობით მოსცილდებოდნენ ქოთანს, და, ბოლოს

ვინც დარჩებოდა, ქოთნის ძირს, დაბრანული ყუით ის ამო-
ასუფთავებდა, მერამდენეჯერ გალოკილ თითებს დაჭმუჭ-
ნილ გაზეთის ნახევს შეანმენდა, მომუნულ ტუჩებსაც იმ
ნახევით მოისუფთავებდა და ნასიამოვნები, კმაყოფილ მუ-
ცელზე, ხელისგულს ჩამოისვამდა.

გარეთ თოვდა. თანდათან ირჩეოდა სიბნელიდან სინათლე.

დერეფანში გამოსულები ყურს მიუგდებდნენ სმენის
წამლებ სიჩუმეს, ალაგ-ალაგ მამლის ხრინწიანი ყვირილი
რომ კანრავდა. მერე ერთი მხარზე გაიღებდა ღონიერ,
გრძელტარა ნაჯახს, მეორე — ილლიაში ამოიჩრიდა, თან
ფურცელზე დაყრილ თუთუნს ნეკა თითით ქალაღდის სიგ-
რძეზე ანაწილებდა, მესამე „ტელეგრეიკას“ გარედან შემო-
ჭერილ ქამარში, მარგილების გასასხეპად, წალდს გაუყრი-
და, წალოს ჩასაბმელ ჯაჭვს გადაიკიდებდა, ბოსლიდან გა-
მორეკილ, დაუღლულ კამეჩებს წინ გაიძღვანიებდნენ და
გავიდოდნენ ეზოდან, თოვლის ხრამუნითა და ხორხოცით.

ამასობაში, მეორე, როგორც იქნებოდა გადაახვევდა
ენის წვერით დასველებულ პაპიროსის ფურცელს, მოუკი-
დებდა, ერთი-ორჯერ მოქაჩავდა და ერთ-ერთ თანამგ-
ზავს მიანოდებდა...

სუფთა ჰაერში გაიშლებოდა თუთუნის ტკბილ-მწარე სუნი.

წამდვილი ზამთრები იცოდა მაშინ, მშვიდი, უქარო, უხ-
ვთოვლიანი, გუნების დამაწყნარებელი.

ვიდრე ტყეში პირველ ხეს წამოაქცევდნენ, შინ, ქოთანს
უკვე კოჭზე დუღდა, ისევ ლობიო თუხთუხებდა. ქონად მი-
დიოდა ლობიოსთან ერთად ჩახარშული, დამარილებული
ღორის ხორცის, მჭლე ფენებით დაზოლილი, ბელტივით ნა-
ჭერი. იქაურობას აბრუებდა, ქოთნიდან ბოლოამოყოფი-
ლი, ხმელი ქინძისა და ქონდარის ღერების სურნელი...

მაღე ხორცს ცალკე ამოიღებდნენ, ქოთნის გულ-მუ-
ცელში კი ყოჩაღად დატრიალდებოდა ამოსაზული ციცხვი...

ჰო, თავში რაც ვთქვი, ჩემი სტუდენტობისას, თბილის-
ში, ერთ ოჯახში, ხალხმრავალ სუფრასთან მითხრა მასპინ-
ძელმა — თქვენაო, ქართლებსაო...

მეწყინა.

მაღულად თითებზე დავიხედე, თვალთ გავზომე და...
მართალი გამოდგა ის კაცო.

აბა, რა იყო სანყენი!

ქააკაცები

მარლის ფარდებიან ფანჯარასთან ფუტკარი ზუზუ-
ნებს, შუშას ზემოთ-ქვემოთ ასდევს-ჩასდევს, შემოსადრომ
ღრიჭოს ეძებს.

ავადმყოფი სანდრა სანოლში, ბალიშზეა მისვენებული.
ახლოს მიდგმულ ტაბურეტზე წყალნაკლული ჭიქაა და
ჩაის ყვავილიან თევზზე დაწყობილი წამლები.

იქვე — პეტო, მუხლებზეა საბჯენი, კაუჭა ჯოხი ჩაუდგამს.
„გაიღვიდა ფუტკარმა,“ — ორი თითით უღვაშის გა-
ფარჩხულ ბოლოს ისწორებს.

„ესლა გაიღვიდა? ორი დღეა შეჭამა გული... ბზუის,
ბზუის...“

„რას იზამ, მაგის საქმე ეგ არის.“

ავადმყოფს ხველა აუტყდება, იდაყვს დაყრდნობილი
წამოინევს.

პეტო ჭიქას მიანვდის.

მთიბავები

დილის ქარი მკლავზე იწვენდა სათიბში გადატალღულ,
მუხლამდე ბალახს.

წვიმების მერე, უმტვერო ჰაერში, დახაზულ სხივებზე
სხიოდა ცელი.

წამგალებისა და მერცხლების ყრიაშულით აკლებულ
ცაში უცხო ბგერები გაერეოდა ხოლმე:

შხრრ... შხრრ... შხრრ... შხრრ...

ბალახი ფენა-ფენა წვებოდა...

ბალანმობალებულ მაჯაზე ბზინავდა შუბლიდან „აკრე-
ფილი“ ოფლის მსხვილი წვეთები.

თიბავდა მამა-შვილი.

შვილი ზემოდან, ტყისპირებიდან მოუყვებოდა ცელით
გაჭრილ დერეფანს.

მამა ქვემოდან მისთიბავდა, მოქნეულ ცელს მხარს თა-
ნაბარი მოძრაობით მიაყოლებდა.

„ეე, ბიჭო, პეტო, ხო მითხარი გაზაფხული მოვაო!“ —
ხელის ნებით ტუჩებს მოიმშრალებს.

„მერე, არ მოდის? — ჭიქა ჩამოართვა და ფანჯარაზე
ფარდა გადასწია, — აბა, გახედე, მოდის და ეგრე? სუ და-
რახტული თეთრი ცხენით მოჭენაობს.“

„მე რო ველარ მოვდივარ?“

„შენა?... ძაან ბევრსაც ნუ მოინდომებ, გაიგე? ოთხმოც-
დაერთჯერ ხო მოხვედი? მოხვედი!.. ეგ არაფერი? ესლა
სხვა მოვიდეს, კაცო, სხვაი...“

„მოვიდეს, მე რას ვუშლი...“

„გეგონოს, არ უშლი... დათვლილია ადგილები, ძმაო და
მეგობარო...“

„გულს რო უნდა?“

„გულს თავი გაანებე... გულს რო დაეკითხება, მაშინ წახ-
დება დროული კაცის საქმე!.. რაღა დროს ჩვენი გულია... რა
ვქნათ, ესე ყოფილა, არც პირველები ვართ და არც უკანასკ-
ნელები, ერთი ნავა და სხვა მოვაო, ხომ თქვა იმ ცხონებულ-
მა... აგე, ატამი, რა დღეშია, აღარც ახსოვს შარშანდელი ნა-
ყოფი, გასაშლელად დაებერა ახალი კვირტები. სადაც არის
ვაზიც ნაცემი ბავშვივით აცრემლდება... მაშ საოცრება არ
არის, რა ხდება კაცოო! შენ კი გინდა ამ სასწაულს ხელი შე-
უშალო, წინ გადაუდგე... არაფერი გამოგივა, ძმაო... მოდის,
მობულრაობს, მე და შენ შევკავებთ?..“

„დედაჩემი მესიზმრა. ეზოში იდგა და ცარიელი ღვინის
ჭურჭელი ეჭირა. რა კარგი ღვინო იდგა და ხო ხედავ, გამო-
ილიაო, — ხელში შეაქანა...“

რა ვქნა, როგორ მოვიქცე-მეთქი, ვკითხე.

რა უნდა ქნა, მომიტანე, თორემ გამიშრა ყელიო...“

„მერე, რა ქენი?“

„არაფერი, გამელვიდა.“

„აი, ხომ ხედავ, ისიც კი გეძახის, — გაეცინა პეტოს, -
შენ კიდევ, გულს რო უნდაო!.. აბა, რა გითხრა, რით განუ-
გემო, გაზაფხული შენთვის აღარ მოდის, აღარა... აღარც
ჩემთვის, რა თქმა უნდა...“

ორივენი ჩუმდებიან. ჩუმდება ფუტკარიც.

ფანჯრიდან გადმოღვრილი სინათლე, მიმტვევებლური
ღმილით შეაცოცდება, საბანზემოდან დაწყობილ ბერიკა-
ცის დაძარღვულ ხელებს.

შხრ... შხრ... შხრ... შხრ...

გასროლილი ქვასავით ავარდებოდა ხოლმე დაფეთებულ ტოროლა.

სათიბის შუაგული სისხლიანი ფარივით ამოზიდულიყო — ნითლად ამონთებულ ყაყაჩოს, ერთ ადგილზე, ერთბაშად, ერთ ღამეში ამოხეთქა.

ყაყაჩო ზოგი გაშლილიყო, ზოგს, თითქოს ილიმებო, ოდნავ გაედო პირი, და ზოგიც ბუტკოში გასაშლელად განაბულიყო.

გასჭრიდნენ მთიბავეები კიდევ ერთ „დერეფანს“, მიადგებოდნენ ყაყაჩოებს, ხან მამა, ხან — შვილი, მაგრამ ვერ გაიმეტებდნენ, მოსაქნევად შემართულ ცელს ძირს დაუშვებდნენ.

რა ლამაზიაო, დალილი ღიმილით თავს გადააქნევდნენ, ცელს სალესავს აუსვებდნენ, გააფხავედნენ და, სათიბის ნაპირიდან, ისევ ყაყაჩოებისკენ მიისწრაფოდნენ, ჯობნის სურვილით ანთებულები მთიბავედნენ მუხლებზე ატორლიალებულ ბალახს, ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდნენ, ერთი ახალგაზრდული მოუთმენლობით, მეორე — ჭარმაგის სიძინჯით და სიმშვიდით.

ერთმანეთს გაჯიბრებულები, გეგონება, კი არ მიდიოდნენ, მკლავების ღონიერი მოძრაობით მიცურავდნენ ნითლად აღაღანებულ ყაყაჩოებამდე, როგორც ზღვაში მოტივტივე მაშველ რგოლამდე.

დიდხანს გაგრძელდა ჭიდილი.

ბევრი ოფლი ჩაითესა და ჩაინურა მიწაში.

„ხომ არ დამივარდი, ბიჭო!“ — გასძახებდა მამა.

„შენა, მამი?“ — არ უპასუხებდა შეკითხვაზე შარვლის ტოტებზე ძურნადახვეული შვილი.

დალილობაზე არაფერს ამბობდნენ.

არც ეტყობოდათ.

სხვასთან, აქამდე, ეგებ თითიც მოეკაკავათ, ხელები აენიათ, მეტი აღარ შემიძლია, დავისვენოთო, მაგრამ ერთმანეთთან არა, ძალა თუ ეცლებოდათ, სამაგიეროდ, შეუპოვრობით ივსებოდნენ.

მზემ თანდათან მალა აინია.

შეშრა ნამი. ჩამოცხა.

ჩრდილმა გადაინაცვლა და ნაქუჩით თავდაცმულ, ბუჩქს მოფარებულ წყლიან ლიტრას სხივი მიეპარა.

მიიმალ-მიიმალნენ ჩიტები.

ყამირზე გაბურღულ მარტოხეს მიაშურა ნახირმა და გაღებულნი ჩრდილში დაეყარა.

ესენი კი...

არ ეპუებოდნენ კისერში ჩაღვრილ მდულარეს, ხერხემლის ღარში ოფლად რომ მისჩქეფდათ.

შეჭერეს კოპები, იძალავეს და მიაცოტავეს, გამოლიეს ფეხზემდგომი ბალახი.

„ჰაა, ჰააო!“ — აფრთხილებდნენ, ამხნევებდნენ ნასაქცევად მოდუნებულ მუხლებს და ძლივსლა მისდევდნენ ნინგაქცეულ ცელს.

მზე საშუალოდგან გადაინვერა. როგორც იქნა, მორჩნენ — ერთდროულად მიადგნენ, სათიბის შუაგულში მომრგვალებულ, შემოკოხტავებულ ნიშანს.

მიადგნენ და, ცელის ტარს დაყრდნობილები, გაირინდნენ, დააჩერდნენ შემოთიბულ „მწვანე ჯამში“ აბრიალებულ სასწაულს. იდგნენ დალილები, ქანცგანყვეტილები, მაგრამ მაინც გაღიმებულები, სილამაზით მოხიბლულები და მაღლიდან ისე ჩანდნენ, თითქოს ნამგზავრები და შეციებულები ცეცხლზე ხელებს ითბობდნენ.

„მწვანე ოთახის“ იღუმალეა

როგორც იქნა, მოვიცალე ჩემი ჩვეულებრივი რიტუალისთვის, საყვარელი ჟურნალის ახალი ნომრის გასაცნობად. ცხადია, უკვე გადათვლიერებული მაქვს და პირველ რიგში წასაკითხი პუბლიკაციებიც შეგულებული. მათ შორის ვანო ჩხიკვაძის „მცირე პროზა“ იტაცებს თვალს ორიგინალური წინასიტყვაობითა და მისი ფინალით: „მცირე პროზაზე ვაპირებდი რალაციის თქმას და ვენახის ატმებზე კი გამომივიდაო“. თუმცა, ისე უშუალოდ და ჩამტკბარად წერს ქართლის ბალ-ვენახების „ლამაზისეულზე“, მაშინვე გაიფიქრებ, როგორც ყოველთვის, პროზაც უცილობლად გამოუვიდოდაო...



ბორენა ჯაჭვლიანი

„მწვანე ოთახის“ კითხვას ვინცებ. ვერაფერს ვხვდები, ვისზეა საუბარი, ვის მიმართავს ავტორი, ვის იხსენებს... იქამდე, სანამ ნაცნობ სტრიქონებს არ გადავავლე მზერა...

„შენ არ იყავი ჩემს ბავშვობაში...“

და თავისთავად მოვიდა შენი სახელი...

მე ხომ ამ ლექსს ხშირად ვუკითხავ იმ ადამიანებს, რომელთა ცხოვრებაშიც არ იყო იესო. ვუკითხავ მათაც, ვისაც აქვთ ფუფუნება მაცხოვრის სახელით გაბრწყინებულ ბავშვობაში იცხოვრონ. ამ უკანასკნელთ იმიტომაც, უფრო მეტად რომ შეიყვარონ და დააფასონ. რათა მიხვდნენ, რა ძნელი იყო და არის ყოფნა უფლის გარეშე...

„შენ არ იყავი ჩემს ბავშვობაში...“

იესო ხომ მართლაც ყველა ახალშობილთან ერთად კიდევ ერთხელ იბადება, მასთან ერთად იზრდება და მერე ყოველი მათგანი ჯვარცმული მაცხოვარივით თავის წილ ჯვარს ეზიდება...

შენც ხომ ასე იყავი... ოღონდ იმ მწარე სინანულის განცდით, მერე, წლებთან ერთად რომ მოვიდა და თითქოს ყველაფერი ამოავსო.

**შენ არ იყავი ჩემს ბავშვობაში,
მიამიტი მზერა
არასოდეს გამომქცევია შენსკენ...**

სამაგიეროდ, იყო პოეზია, სწორედ იმ ბავშვობიდან ფეხადგმულ და იმ ბავშვობით ნასაზრდოები. და ყველაფერი ხომ, რასაც სულით შეიტკბობ, რასაც თავად ეზიარები

გამოსაშრება

და სხვებსაც აზიარებ, ისევ უფლისგან მოძღვნილი საჩუქარია, ანუ თვით უფალი, რომელიც ხშირად გაუცნობიერებლად მკვიდრობს ჩვენში... თუნდაც იმ ბავშვობაში, როცა გვეგონა, რომ ის არ იყო...

მასსოვს!

პირველი წერილი, უფრო სწორად პანია, სულ პანია ჩანახატი შენმა ლექსებმა შთამაგონა. მერე იყო მოულოდნელი სიხარული და გაცეცხა, როცა ის „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე ვიხილე. შემდეგ ამას სხვა წერილებიც მოჰყვა. მერე კი იყო სტუმრობა მედიქიშვილის გამზირზე, უჩვეულოდ მყუდრო და თბილი გარემო, გულითადი საუბარი... დღემდე მომყვება მაშინდელი სხივის ნათელი...

მას შემდეგ აღარ შეგხვედრივარ, მხოლოდ ლექსებს ვკითხულობდი, „კალმის ყაისნალით ნაქარგებს“ (ვანო ჩხიკვაძე), მაგრამ ასე მეგონა, ჩემი სულის ტოლი და მეგობარი

ვიპოვე-მეთქი. მეგობარი, რომელმაც სულ მალე „მოქუფრული ივნისის ზეცის უძირო ზანდუკში“ (გიორგი ლობჯანიძე) დაივანა... და მას შემდეგ ძალიან ხშირად ვიმეორებ სევდიან სტრიქონებს: „მე ლამაზი მეგობარი მყავდა...“

სულ, სულ მასსოვხარ...

ახლაც, ამ წუთში, თითქოს ისევ გხედავ რედაქციის კარებთან მდგარს, ღიმილით რომ მაცილებ. ის სიტყვებიც ჩამესმის ისევ, გამომშვიდობებისას რომ მითხარი...

...ყოველ კვირაძალს, წირვისთვის წუთისოფლიდან გარდასულთა სახელებს რომ ჩამოვწერ ხოლმე, მათ შორის ერთი ლამაზი, უჩვეულოდ იდუმალი სახელი სევდიანობს — **ბორენა!**

P. S. ახლაც კვირაძალია, ბორენა!

ეთარ ბერიანაძე

პოეტის ერთი ლექსი



შოთა ბოსტანაშვილი

**„ქარიანი“
სურათები**

(ციკლიდან
„პაერზე ლაპარაკი“)

— ეს რა ქარია, ეს რა ქარია?!
თქვი ზაქარია! თქვი ზაქარია!

— ზ/ენაქარია, ზ/ენაქარია!
ქარი გზაა, გზა ქარია -
ქაქარია!

ქარი გზაა - ედემქარი,
ედემზეა **დელაქარი,**
დელაქარში დარბაზები,
ანდა უფრო, **ქარბაზები -**
უშქარი და ლამაზები,
დარბაზებში სურათები,
დარბაზები, კარებია,
სურათებში **ქარებია.**

ქარბაზებში მიმავალი
უცნაური გზებია და
ჭაბა-ჭუბა ჭებია...
ჭაბა-ჭუბა **ქართულია,**
დელაქარი — შენობა,
ფასად-ქვირი **ნაშენები...**
მიშენებით, მოშენებით
დაშენებით, ჩაშენებით
ცაშენებით...

ქორო:

ცა შენებით გაივსო!..
ცა შენებით გაივსო!..
ლობე-ყორე **აუყორეთ...**
ა, უყურეთ! — მიაყურეთ!
სადაცაა,
ცას თვალები დაეცოს...
დაეხმარეთ, დაეხმარეთ,
ყველა ღონე იხმარეთ!
ჩქარა-ჩქარა, ილეთ-ილეთ,
ცას თვალები აუხილეთ!..

ბესოს უთხარ, უთხარ ბესოს -
ლესოს ენა, ენა ლესოს,
თესოს ქარი, ქარი თესოს...
ცას თვალები არ დაეცოს!
ცას თვალები არ დაეცოს!

თვალი რა შუაშია?!..
რა თვალების თამაშია? 1..
თავ-ქარია **ქარაონი,**
ქარი უსტაბაშია,
შია-შუა ტაშია...
— აი, საქმე რაშია...
რაში კიდე რაშია!
იქნებ **ქარიც** რაშია?!
იქნებ **ქარსაც** რა შია?..

დელაქარი - ის აქ არი:
უთვალბოლო, **თვალუნვდენი,**
თვალშემკული, თვალმომჭრელი,
თვალსაჩინო, თვალწარმტაცი,
თვალადი და **უთვალავი**
გამოფენის **ქარბაზებით,**
უცნაურად ლამაზებით.
ხო ამდენი **ქარბაზია?,**
არც გვერდი-გვერდ,
არც სართულად
(უფრო რთულად),
ერთმანეთს არ აზიან.

ქარბაზში რო **ქარბაზია,**
იმამაშიაც **ქარბაზია,**
იმ **ქარბაზშიც,** იმ, იმ, იმ და
იმ **ქარბაზშიც ქარბაზია.**
როგორც ზემოთ აღინიშნა
ქარბაზები ლამაზია;
სურათებში მალხაზია,
ანუ **ქარი** უშქარი და
ნოქარი და მალაზია -
Magazine, Magazine, Magazine;

ქორო:

უშქარი - ქარი მრავალი,
ქარი კარი-კარ/ნავალი...
ყველა ერთად მეტად უშტი,
ვიდრე დედამინის ბუშტი.

აოჯის ერთი ლექსი

...და ქარებს მოყვა უცხო ბგერები...

სურათში რო სურათია,
იმშიაც სურათია,
იმ სურათშიც, იმ, იმ, იმ და
(იმ სურათშიც, რო არ მინდა),
იმ სურათშიც სურათია —

სულ ათია:

პირველშია *თავქარი,*
მეორეში — *Niavქარი,*
მესამეში — *Delaქარი,*
მეოთხეში — *ფიქქარი,*
მეხუთეში — *ქონდაქარი,*
მეექვსეში — *Dastaქარი,*
მეშვიდეშია *Noქარი,*
მერვეშია *Lolobქარი,*
მეცხრეშია *Boboქარი,*
მეათეში — *ჯადოქარი,*

სხვა სურათში *ფანქარია,*
მეორეში *Amქარია,*
მესამეში *Shaქარია,*
მეოთხეში *ქაქარია,*
მეხუთეში *Ushქარია,*
მეექვსეში *Lashქარია,*
მეშვიდეში - კვლავ *Noქარი,*
მერვეშია *თიაქარი,*
მეცხრეში — *Afთიაქარი,*
მეათეში — *Sanქარი.*

კიდევ ერთხელ მოგახსენებთ:
სურათებში **ქარებია**
ბორბლიანი — **ქარბორბალა;**
ბორბოლებში ძრავებია.
(აქ პროგრამას გააჩნია:
mshvidebia <—> avebia)

ა, ასეთი რებუსია
— რალაც **ქარებუსია.**
და **ქარებიც** ერთმანეთთან,
სურათიდან სურათებში
მიდიან და მოდიან,
ანდა მიდი-მოდიან,
ანდა კიდევ

ქორო:
აი, ერთი დასტა **ქარი.**
ისე, უფრო მეტია,
აქ რაც არ დაეცია.

ქორო:
ეს მეორე დასტა **ქარი**
— ამაშიაც ათია
(სულ ორმოცდაათია)

ინსტრუქცია:
ეს ლილაკი გადაწიეთ!
ის ლილაკი გადმოწიეთ
და ამ ლილაკს დააჭირეთ!,
ცოტა კიდევ გაიჭირეთ,
ცოტაც...
ცოტაცა და.., მერე
დაუბერე, დაუბერე!..

ქორო:
ან დაკიდე **ქარები,**
ან გახსენი კარები,
იგორაონ კიდიტ-კიდევ.

ყველა **ქარში** კარია,
კარის იქით **ქარია,**
იმ **ქარშიაც,** იმ, იმ, იმ და
(იმ **ქარშიაც,** რო არ მინდა)
იმ **ქარშიაც** კარია,
იმ კარს იქით, იმისა და
მის იქითაც **ქარია.**

ქორო:
ყველა ერთად მეტად კუშტი,
უშტია და **უშქარია**

აქ რამდენიც **ქარია,**
იმდენივე - არია.
არის როკიც, ჯაზიც,
არის სიოც ნაზი.

აი სია:
ამ **ქარში** რო აისია,
ანუ დილის საარია,
მეორეში სხვა არია,
მესამეში "დაისია",
მეოთხეში ივლისია;

ქორო:
ივლის ია,
ენძელაც და შროშანიცა,
შროშანიცა, შროშანიცა...

მეხუთეში სოცარტია,
მეექვსეში მოცარტია,
(ნარნარია, **ქარნარია**),
მეშვიდეში ვაგნერია,
მერვეშია რია-რია,
მეცხრეშია სიმფონია
(დიახ, "მეცხრე სიმფონია"),
მეათეში შარმონია.

ერთ **ქარში** რო შრიალია,
მეორეში რიალია;
მესამეში ხმაურია,
მეოთხეში კი აურია;
მეხუთეში ტკივილია,
მეექვსეში კივილია;
მეშვიდეში რექვიემი,
მერვეშია **Boney M**-ი;
მეცხრეშია **ქარლანი,**
მეათეში არლანი.

ქორო:
ქარი ედემიდან უბერავს!
ქარი ედემისკენ უბერავს!..

დარბაზებში **ქარია..**,
დარბაზებში **ქარია..**,
ქარიაო, მარიამ!

ქარი დარბის **დარბაზებში**
და დარბებს არბევს...
ქარი დარბის, **ქარი** დარბის,
აღანჭალებს ბროლის ჭალებს,
ქარი დარბის, დარბის **ქარი**
და დაკეტილ ბალებს ალებს...

ათოვდა ზამთრის ბალებს...

2008.01



სად არის პოეზია? მართლაც ბალახში, როგორც დიდი პოეტი ამბობდა, თუ იქ, სადაც გვინდა, რომ დავინახოთ. არავინ იცის და, სიმართლე ითქვას, არც არის საჭირო ცოდნა, მთავარია, იყოს განცდა, უშუალობა და ჭეშმარიტებასთან მიახლოების სურვილი.

ირაკლი ციგროშვილი ის პოეტია, რომელსაც საგანგებოდ არასოდეს უძებნია შთაგონების წყარო, ინსპირაციის საგანი და მიზეზი ყოველთვის არის მასში იმდენად, რამდენადა ეს არის იქ, სადაც თვით შობილა და გაზრდილა.

მას აქვს თავისი თემები, მოტივები, იდეები და ისიც კარგად იცის, როგორ და რა ფორმით მიიტანოს ეს მკითხველამდე.

მან იცის, რას ამბობს „ხევთა და ხრამთა ყბებში“ დაგროვილი შემოდგომის ხმა; ესმის ნასახლარის მდუმარებაში ჩალვრილი სევდა; გრძნობს წარსულის სულს, ამ აუტანელ, დაუამებელ ტკივილს და ელის იმედს, ჩვენთან ერთად ელის გამონათებას, წაღმართის მადლის გადმოსვლას ამ სამზეოზე, სადაც ჯერ კიდევ არსებობს სიკეთის რწმენა, სადაც ჯერ კიდევ არ გაცვეთილა სინდის-ნამუსის ქუდი.

ეს არის გზა, რომელმაც ზესთასოფლიდან უნდა გამოიაროს ანდრე ზებისა და მითოსის ხეობებზე და მოვიდეს აქ, ადამიანურ ყოფიერებაში, საიდანაც ლოცვად აღვევლინება პოეტის ხმა: „და ისევ ვცოცხლობ შენი იმედით, ჩემო იმედის და ფიქრის მწყემსო“.

ირაკლი ციგროშვილი

* * *

ციური ნათლის ფრთებით აღზევდი,
ხმაო და ფერო სანახებისა.
წმინდანის სიტბოს ნაზიარები,
წმინდანის ცაზე ზეობ ნებისად.
გშვენის ცისა და მიწის სამოსი,
ცისა და მიწის სულში ნებივრობ...
წაღმართის მადლო,
იმას გენუკვი,
ჩემი გზის გავლა შემადლებინო...

რას ჯავრობს ქარი

რას ჯავრობს ქარი
ან რაზე კვენისის,
რით ვერ გალია ქარმა ხრიოკი,
სად მიჯირითობს ჩვეული წესით,
ლმობიერებით, ხანაც წიოკით...

ფოთოლცვენაა...
შემოდგომის ხმა
ხევთა და ხრამთა ყბებში გროვდება.
ზოგჯერ მთა ჯანლის თავშალს მოისხამს,
ზოგჯერ ჩადგება ქარის გოდებაც...

* * *

ო, ნასახლარო, მკერდზე რომ განეცხ,
მე გულში მწიწკნის ის მდუმარება.
ასე მგონია, შენთან მოვალ მწედ,
შენთან მომიყვანს ღამის ზმანება.

ჩამოშლილ ქვებში უჩუმრად დარბის
წარსულის სული საბრალობელი.
თავანუელი ნებივრობს შამბი
და ჯანლი გჩუმქრავს სევდის მომგვრელი...

როგორ მოთქვამდი,
როგორ ჩიოდი,

როგორ გაგმსჭვალეს ჟამის ისრებმა.
როცა მოგესმის ხმა მიკიოტის,
მამლის ყივილიც ხომ გესიზმრება!..

ობლად ვყუდივარ
შარაგზის ბოლოს,
აბა, რა ვუთხრა ე მაგ სანახებს.
საბრალობელად ჩამხმარი ღოღო —
რად შემახვედრე, რად დამანახე!

ვედრება წმინდა გიორგისადმი

ზესთასოფლიდან იძვრის ნათელი,
ნათელი ერჩის უსაშველობას.
გვედრით, მეუფევ და წარმმართველო,
სანთლად აგვინთე შენი ქველობა!

ყავლი გაუდის დიდი ხნის სახადს,
ფრთამოელვარე მოჭფრენს თენება.
დიდო მეუფევ, ისევე გასახავთ
თავისი სამწყსოს მოსაშველებლად!

საკართანო

დადგა ნუთი და სვამ საკართანოს,
პირთამდე სავსე თასი იცლება...
სანუთოროული ხილვით დამთვრალო,
გზა დაგინამეს ლეგა ნისლებმა.

ველარ ხილულობ სხვადასხვა ფერებს,
ღამის ფრინველი ჩქამობს მხოლოდლა...
ცად განვართულა ირმის ნაფრენი,
თრთოლვის ნამები უდგას მოლოდინს.

ბინდბუნდში თრთოლვის ნამები რბიან,
კრთება კერიის ცეცხლის ყვავილი.
აბიჯებ მიწას აყალოს, ქვიანს
და გეძრახება ხანი ჩავლილი.

უჩინის მხრიდან ლანდები ხმობენ,
გეცნაურება მათი სტუმრობა.

რას ეუბნები ამ ბებერ სოფელს —
როგორი გქონდა ღვინი, პურობა...

დრო მარადისი — თავგასულია,
წყალნი ჩავიდნენ და ჩაინკლიტნენ...
ხსოვნის ნათელში ლანდავ სრულიად
შენი გზისა და შენი ცის კედეს.

* * *

სთველის უმთვარო ღამემ დამალა
არე და ცხადის ფიქრში ებმები...
რალას ირწმუნებ ამ წარამარა
და უთავბოლო შეპირებების.

სიტყვა საღბუნე — ვერ მოისმინე,
გაკრთობს წვევარამის უმოდრაობა
და ბრბოს პირისპირ ჯავრობ ისევ,
უსამართლობას ერჩი მზვავობარს.

ნუთის წაბრუნვა

წრე ყოველდღე ბრუნავს და
ციტ მოვლენილს შეჰყურებ.
უჩინარი ქარი შლის
თოვლზე შენს ნაფეხურებს.
წრე ყოველდღე იზრდება,
წრე ლაღობს და ბოგინობს...
დასავლის მზე გადადის,
ის მზე გადაგას, ლოდინო!
იქით-აქეთ წვეთები
მოჩანან გაბნეული.
ხელს გიცარავს ავთვალი,
ხელს გიმართავს გრძნეული...
ცნობადის ხე ითვლის და
მარცვლავს შენს ნაფეხურებს...
ოთხივე მხრის ფუძიდან
ციტ მოვლენილს შეჰყურებ.

სიღარიბე

ველარ შველი სიღარიბეს,
გიცარიელდება ჯიბე.

ექვობ — უფასო გაქვს ვითომ —
ზეცისა და მიწის სითბო.

ცხოვრების ხეს ველარ კვებავს —
ღვთაებრივი მოთმინება...

მიდის წყალი. ფიქრობ ხავსზე
და სიცივე ჟრჟოლით გავსებს.

ე მაგ ილბალს ხე-ქვაც კვირობს,
ხე-ქვაც ტირის უნაპირო.

სინდის-ნამუსის ქული

*„დედამინამ სინდისს უთხრა,
ჩემზე მძიმე შენა ხარო“.*

ბევრი შარავზა გაცვდა,
დაჭენა ია და ვარდი.
სინდის-ნამუსო, ავსულს
სულში არ ჩაუვარდი.

ე მაგ წარუვალ მზისა
სხივი მარადის ენთო.
რწმენაო, ღვთაებრივო,
რწმენაო, ერთადერთო!

დაულაღავო სისხლო,
მამულის გულში დუღდი...
დღემდე არ გაცვეთილა
სინდის-ნამუსის ქული.

ღავისვენოთ და ღავნაყრდეთ

დაიცა, თითოც დავლიოთ,
ჟამი ხომ მაინც არ იცდის...
რა გვრჩება წასაღებელი
ამ მიმქროლავი წამისთვის?

კიდევ მითხარი, მწარიავ,
ამ წუთისოფლის იგავი.
დღემდე რა გზებით ვიარეთ,
დღემდე სად აღარ ვიყავით...

სად გვეჩქარება, ღავნაყრდეთ,
აბა, რისთვისღა ვჭოჭმანობთ.
წავალწავალა საწუთრომ
რა ფეხი უნდა მოგვჭამოს.

ნეტავ, სად, როგორ შევხვდებით
ხვალის წყურვილს და ალიონს.
ღავისვენოთ და ღავნაყრდეთ,
გზისპირზე თითოც დავლიოთ!

მგზავრები

მე გეუბნებით მგზავრთა ავ-კარგზე,
რომ მიდიოდნენ ერთ დროს ლალადა.
მათ ერთმანეთი სადღაც დაკარგეს,
სხვადასხვა მხარეს შემოალამდათ...
ცალ-ცალკე სტუმრობს
მიმწუხრი მთების,
მათი ხმიადიც ცალ-ცალკე ცხვება...
ერთი თუ მიდის გულდამმვიდებით,
მეორეს არ აქვს სიმშვიდის ნება.

სუფრის თავს დავსვით მნარია

ავისგორს ჯვართამაღლებას
 სუფრის თავს დავსვით მნარია,
 გვითხრა: გრძელია სიცოცხლე
 და უფლის მონაგარია,
 მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ,
 რომ ყოფნაც ერთი ნამია...
 მან ერთხელ კიდევ გვიამბო
 წარსულის ავან-ჩავანი,
 მან ერთხელ კიდევ დალანდა
 თემის და სოფლის სამანი,
 დალოცა დიდი სამზეო,
 დალოცა გრძელი სავალი...
 მნარიამ დაგვაპურადა
 ზღაპრითაცა და ცხადითაც,
 ნუგეშის შუქი მოგვფინა —
 როცა მამული ადიდა...
 მერე წელთა გზას დაადგა
 თავისი გუდა-ნაბდითა.

მნარია სასიკვდილო სარეცელზე

მადლი მიგყვება სათიბის,
 სათიბებში რომ ჰყვავისა,
 მადლი მიგყვება ღვთიური
 შენი მწყაზარი ყანისა.
 წუხელ სიზმრად რომ იხილე
 ყმა შენი მიწა-წყალისა —
 ბუბუნაურთა იმედი,
 მტრისთვის ამრევი კვალისა,
 წინაპრის მირონცხებული —
 თავსასთუმალთან გყავისა.

მიდინარ, ზესთასოფელსა
 სასუფეველი ღვივისა...
 ნათელი ჩამოგფენია
 მზის კურთხეული სხივისა.
 მგებრნი გიდგამენ ტაბლასა
 სიკეთის წილ-ნაწილისა...
 თავისას ამბობს სანუთრო,
 წელთა ბილიკის წვრილისა.

* * *

წუხელ, შენ და ის
 სიზმარეთის ჭერქვეშ დანაყრდით,
 გქონდათ პური და მარლი და
 ცოტა არაყიც...

იდუმალი და წუთიერი
 სული მოფრინდა —
 სულთა პეპელა
 უხილავი ზესთასოფლიდან.

სალამოს ესკიზი

დღე მიიწურა... თავის წილ
 ილაღა, იპირქუფრა...
 მოსვლა არ დააგვიანა,
 მწუხრი მოვიდა უბრად.

ცა გადასერა ცთომილმა
 და მათა ხერხემალი —
 მთვარის ნათელში გარინდდა,
 გადაეყარა ნავლი...

ზამთრისპირის ესკიზი

ათოვს წარბშეკრულ ქარაფებს,
 ათოვს ნაცრისფერ ჭალებსო.
 ნიავი, სადღაც მიმქროლი,
 შიშველა ტყეში ალერსობს...
 პირველი თოვლის სიმღერა
 დარდებს ვერ გაგიქარვებსო.
 უმანკო ფიფქი არაგვის
 უმანკო წვეთებს დალევსო.
 კვლავ ზეცა მიინანილებს —
 თოვლ-წყალთა სიანკარესო.

მთვარიანი ღამის ესკიზი

ქათქათი სავსე მთვარისა, ირგვლივ
 მთებსა და გორებს ადგამდა გვირგვინს.

ხის კენწეროზე თრთოდნენ ფოთლები,
 ცის სიახლოვეს — ყოვლის მომთმენნი.

ქათქათი სავსე მთვარისა, ირგვლივ
 იფურცლებოდა — ვითარცა წიგნი...

ვერცხლისწყალს სვამდა სივრცე სვიანი,
 ხეები იდგნენ ოცნებიანნი.

* * *

ვიარე, მაგრამ ვერსად მივედი
 და მიმავალი გზადაგზა ვლექსობ.
 არ მომეშლება შენი იმედი,
 ჩემი იმედის და ფიქრის მწყემსო!
 ზამთარ-ზაფხულის თოვლში, წვიმებში —
 გზისპირზე დავჯექე,
 დაღლილი ვხემსობ
 და ისევ ვცოცხლობ შენი იმედით,
 ჩემი იმედის და ფიქრის მწყემსო.



მისტიფიკაციური დღიური

ჯონათან ლინისა და ენტონი ჯეის წიგნი — „დიახ, ბატონო მინისტრო, //მინისტრთა კაბინეტის წევრის, პარლამენტარის, ღირსპატივსაცემი ჯეიმს (ჯიმ) ჰეკერის დღიურები“. დაინერა იმ „დღიურების“ მიხედვით, რომელიც ავტორებმა ვითომდაც მომავალი საუკუნის 2019 წელს მოიპოვეს „ჰეკერის კოლეჯში“, ოქსფორდში, და გამოსაქვეყნებლად „დაამუშავეს“, როგორც „რედაქტორებმა“.

აი, მაგალითად, რას წერენ „დღიურების“ „დაამუშავების“ პროცესზე ავტორები:

„როგორც წესი, პოლიტიკური მოღვაწენი თავიანთ მემუარებში ცდილობენ ყურადღება გაამახვილონ თავიანთ მიღწევებზე და არა წარუმატებლობებზე. მათ ამასთან, ურჩევნიათ აღწერონ ადრინდელი მოვლენები, და არა ისინი, რომელიც ახლახან მოხდა. და რამდენადაც ჰეკერის კარიერა, ისევე როგორც მისი თანამოძმეთა უმრავლესობისა, ალსავსე იყო წარუმატებლობებითა და ჩავარდნებით, მისი დღიურების პუბლიკაციას ალბათ არ ექნებოდა რამდენადმე სერიოზული ისტორიული მნიშვნელობა, მაგრამ იმის ნყალობით, რომ ავტორს პრაქტიკულად არ ჰქონდა დღიურის ტექსტში შესაბამისი ცვლილებების შეტანისა და რაიმეს ამოღების შესაძლებლობა, ასე ვთქვათ, „შემდეგდროინდელ მოვლენების შუქზე“, ჩვენ მოვასურებთ ამ ნედლი მასალიდან შეგვექმნა დოკუმენტური ნაწარმოები, რომელიც წარმოადგენს უნიკალურ ღირებულებას ყველასათვის, ვინც დაინტერესებულია დიდი ბრიტანეთის იმდროინდელი ისტორიით“.

ავტორები ცნობილები არიან დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში. ჯონათან ლინი — წარსულში თეატრის მსახიობი და რეჟისორი, ავტორი არაერთი სატელევიზიო დადგმისა, და ენტონი ჯეი — მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა ლონდონის ტელევიზიაში, ხოლო შემდგომ მთლიანად მიუძღვნა თავი ლიტერატურულ მოღვაწეობას; პუბლიცისტი და დოკუმენტალისტი; არაერთი გახმაურებული წიგნის ავტორი. მის კალამს ეკუთვნის მწვავე პოლიტიკური პამფლეტები, რომლებიც ფართო საზოგადოებრიობაში ყურადღებას იქცევდა.

„დიახ, ბატონო მინისტრო“, თავდაპირველად XX საუკუნის 80-იან წლებში წარმოსდგა სერიალის სახით ნისლიანი ალბომის ტელეეკრანებზე, შემდეგ კი სცენარი ამავე სახელწოდებით საფუძვლად დაედო წიგნს.

წიგნი გამოდიოდა ნაწილ-ნაწილ 1981-1983 წლებში, ხოლო 1985 წელს, იგი უკვე (ადრე ჟურნალებში და ცალკეულ კრებულებად დაბეჭდილი) ერთიანი შეკრული სახით, 500-გვერდიანი მოცულობის, ლონდონში გამოცემლობა „BBC“-ის ეგიდით გამოიცა. ის მალევე იქცა ბესტსელერად და დიდი პოპულარობა მოიპოვა არამარტო დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს ქვეყნებში, ასევე აშშ-ში, კანადაში, ავსტრალიასა და სხვა ქვეყნებში.

წინათქმის მაგიერ, გვერდზე, განვითარებული აზრით — მთავარი მაინც წიგნის შინაარსში ძვეს. „გამოგონილი“ პერსონაჟები და ასევე სიტუაციები (ერთი მხრივ, ვთქვათ, სხვადასხვა დროის დიდი ბრიტანეთის მთავრობის პოლიტიკური ისტებლიშმენტის პერსონები), მათი აზრით თვით არაინგლისელმა ნკითხველმაც ადვილად შეიძლება იპოვოს, თქვენთვის ნაცნობი კონკრეტული პერსონა, „გამოგონილი“

სიტუაციიდან კი — მიმდინარე პოლიტიკური ცხოვრება. ავტორები მართალია აღმოჩნდნენ...

ჯონათან ლინისა და ენტონი ჯეის ესოდენ დიდი წარმატება განპირობებული იყო მათი პროფესიონალიზმის, პიროვნული ღირსების, წლების განმავლობაში მყარი პოლიტიკურ-მსოფლმხედველობითი პოზიციის (ანტიტოტალისტური, ანტიდიქტატორული) ერთგულების გამო. ამდენად, ყოველივეს გათვალისწინებით, საზოგადოებაში მაღალი ხარისხის ნდობის მოპოვება ბუნებრივი აღმოჩნდა. როგორც ლიტერატურის კრიტიკოსები აღნიშნავენ, საზოგადოებისათვის სიძნელეს არ წარმოადგენდა, მიმდინარე პოლიტიკური ცხოვრებიდან ამოეცნოთ რეალური პირები, რეალური სიტუაციები და მოვლენები.

წიგნი წარმოადგენს მძაფრ პოლიტიკურ პამფლეტს. „დღიურებში“ ასახულია ის პოლიტიკური სისტემა, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო მანქანის მთავარ ჭანჭიკებს არჩევითი მინისტრები წარმოადგენენ, ხოლო სამინისტროების ბიუროკრატიულ იერარქიას სათავეში უდგანან მათი მოადგიელები, რომლებიც, კაცმა რომ თქვას, თავად არიან ხელმძღვანელები. არჩევნებიდან არჩევნებამდე ისინი ერთი დამკვიდრებული წესით მუშაობენ. სხვადასხვა მინისტრებთან ურთიერთობის შედეგად სახელმწიფო მოსამსახურებმა გამოიმუშავეს გარკვეული წესების მეთოდოლოგია, ერთგვარი უსაფრთხოების ტექნიკა (შრომის დაცვის ტექნიკა), რის საფუძველზეც ადმინისტრაციული მანქანა არცთუ წარუმატებლად ებრძვის დემოკრატიულ ღირებულებებს. და ეს ყველაფერი დახვეწილი იუმორითაა გადმოცემული ავტორების მიერ.

„დღიურებში“ პოლიტიკურ მოვლენათა ეპიცენტრში მყოფი „გამოგონილი“ ადმინისტრაციული საქმეთა მინისტრის ჰეკერის (რომელიც მოღვაწეობს ლონდონში, დაუნინგ სტრიტ 10-ში; სინამდვილეში დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ოფიციალური რეზიდენცია) ნებისმიერ მცდელობას — მიაღწიოს სერიოზულ სახელმწიფოებრივ გადაწყვეტილებას, წინ ელობება ბიუროკრატიული მანქანის სასტიკი წინააღმდეგობა.

წიგნში ასახული მოვლენები და „გამოგონილი სიტუაციები“, მართალია XX საუკუნის 80-იან წლებში დაინერა დიდ ბრიტანეთში, მაგრამ „ჰეკერის დღიურებში“ აღწერილი, ასე ვთქვათ, ანტიდემოკრატიული სახის პოლიტიკური პრობლემატიკა, დღეს სინამდვილეში მრავალი ფსევდოდემოკრატიული ქვეყნისათვის სულაც არ გახლავთ უცხო. აი, ძალზე მოკლედ ისინიც:

სახელმწიფო ინსტიტუტთა ირიბობა, სახელმწიფო ჩინოვნიკთა დაუფარავი ყოვლისშემძლეობა, ელიტარული კორუფცია, მოქრთამვა, სახელმწიფო მართვის მანქანის არასრულყოფილება, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც შედის ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული სისტემის ცნებაში — იგი არაერთხელ გამხდარა საბაზი სატირული წარმოჩენისა; კერძოდ, ინგლისურ ლიტერატურაში.

ყველა ეს მანკიერებანი ვფიქრობთ, საგულისხმო მომენტებსაც შეიცავს, როგორც პოსტ-კომუნისტური სივრცის ქვეყნების ხელისუფლებებისათვის, ასევე დღევანდელი საქართველოს ე.წ. „დემოკრატიის მეორე ტალღის“ ხელისუფლების პოლიტიკური რეალობის თვალსაზრისითაც.

სწორედ ამ თვალთახედვით იქნა ჩემს მიერ სათარგმნელად (ინგლისურ ენაზე) შერჩეული წიგნის მხოლოდ რამდენიმე თავი. ამასთან დაკავშირებით მინდა აღვნიშნო, რომ მართალია, წიგნი ფაქტობრივად ერთი და იმავე მთავარ პერსონაჟთა ირგვლივაა შეკრული, ცალკეულ თავებში თემატურად დამოუკიდებელი ამბებიცაა გადმოცემული.

შახტანოვ ბახტაძე

პაატა ჩხეიძე

მაიკლ ოუკუოთის კონსერვატიზმი

მაიკლ ოუკუოთის (1901-90) აკადემიური კარიერა კემბრიჯში დაიწყო. იგი ისტორიკოსი იყო, მაგრამ პირველივე წიგნი, „გამოცდილება და მისი ფორმები“ (1933), ფილოსოფიური გახლდათ. ამ წიგნს მალევე შეფასება მისცა ცნობილმა ფილოსოფოსმა რ. კოლინგვუდმა, მაგრამ მაინც ვერ მოიხვეჭა სახელი. აი, მეორე ნაშრომი კი სწრაფად გახმაურდა; ეს გახლდათ ცხენთა შეჯიბრის ანალიზი და მშვენიერი სათაურიც ჰქონდა: „სახელმძღვანელო კლასიკაში; ანუ, როგორ გამოვარჩიოთ დერბიში გამარჯვებული“.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ოუკუოთმა ჰობსის „ლევიათანს“ დაურთო წინასიტყვაობა და სწრაფად გაითქვა სახელი; „კემბრიჯ ჯორნალის“ რედაქტორიც გახდა. 1951 წელს **ლონდონის ეკონომიკის სკოლაში** მიიწვიეს და კათედრა ჩააბარეს. მალე სახელი მოიხვეჭა როგორც ერთ-ერთმა გამორჩეულმა მცირეოდენ ბრიტანულ ინტელექტუალებს შორის, ვინც საეკონომიკის შეჭრას ამხელდნენ და ეწინააღმდეგებოდნენ ინგლისში. პენსიაზე გასვლის შემდგომ, ცოლთან ერთად, პატარა კოტეჯში დაბინავდა დორსეტში და ისე მოკრძალებულად ცხოვრობდა, რომ ადგილობრივებმა მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ გაიგეს, დიდი მწერალი გვყოლია მეზობლადო.

მაიკლ ოუკუოთი ერთ-ერთი ყველაზე არაორდინარული და გამოუცნობი მოაზროვნეა XX საუკუნის ინტელექტუალთა შორის. იგი ინგლისელი ჯენტლმენი იყო და ათვალუნებით უყურებდა თანამედროვე ცხოვრებასა და პოლიტიკას. მის თხზულებათა გამორჩეული ღირებულება საყოველთაოდაა აღიარებული; მის ესეებს, „რაციონალიზმი პოლიტიკაში“ და „კონსერვატორად ყოფნის გამო“, ხშირად შევხვდებით კონსერვატორ მოაზროვნეთა ანთოლოგიებში, მაგრამ მრავალთათვის მაინც მიუწვდომელი საკითხავია.

გარდა სტილისტური ჩახლართულობისა და გადმოცემის ფორმათა სირთულისა, სხვა მრავალი მიზეზიც არსებობს, რაც ხელს უშლის მკითხველს ოუკუოთის თხზულებათა აღქმას. ტრადიციულ კონსერვატორებს მისი შეხედულება, რომ: „არ არსებობს ადამიანური ბუნება“ — სკეპტიკურადაც ეჩვენებათ და პროვოკაციულადაც. ოუკუოთი თავის ფილოსოფიას აფუძნებს არა ისტორიასა თუ ბუნებით კანონზე, არამედ ანმყო ტკობისაგან წარმოქმნილ განწყობაზე; ამით იგი უარყოფს პრინციპებს, რასაც ეყრდნობა ანგლო-ამერიკული კონსერვატიული აზროვნება. ლიბერალებს არ მოსწონთ, როცა ოუკუოთი დიდ როლს ანიჭებს „ტრადიციას“ რაციონალური დაგეგმვის დროს,



არქაულად მიიჩნევდნენ მის პოლიტიკურ შეხედულებებს და კიდევ ერთ ახირებულ პროფესორად თვლიდნენ.

ახალგაზრდობაში ოუკუოთი გულდასმით კითხულობს უოლტერ პეიტერის, ჯორჯ სანტაიანასა და ანრი ბერგსონის თხზულებებს; ძველებიდან ნეტარ ავგუსტინესა და პლოტინს; იგი ფიქრობს სიცოცხლეზე, რომელიც „საკუთარ თავში მთავრდება“ და მარადიულად მიუწვდომელ მომავალს არ ეწირება მსხვერპლად. სურს სრული სიცოცხლე ანმყოში, სჯერდება იმას, რაც არის, და არ დაეძებს მეტსა და უკეთესს; ეს გახლავთ ოუკუოთის კონსერვატიზმის საფუძველი. ოუკუოთის შემოქმედება გამუდმებული პროტესტია აქტიური და აგრესიული საქმიანობის, პროგრესისა და პროდუქტიულობისაკენ თანამედროვეობის მონოდებათა წინააღმდეგ. მას უყვარდა მშვიდი და თვითკმარი საქმიანობა დიდი მოგება-მდეგების გარეშე. ჯორჯ სანტაიანასავით მასაც შურდა ტოროლასი, რომელიც ზეცისაკენ ისწრაფის არა ანგარებისათვის, არამედ თავყვანისსაცემად და მსხვერპლის შესანიშნავად.

„კონსერვატორობა ნიშნავს, ამჯობინო შეჩვეული უცნობს, ამჯობინო ნაცადი უცდელს, ფაქტი — იდუმალებას, ნამდვილი — შესაძლებელს, დასაზღვრული — დაუსაზღვრელს, ახლოს მყოფი — შორეულს, საკმარისი — გადაჭარბებულს, ჯანსაღი მზიარულება — უტოპიურ ნეტარებას“, წერდა ოუკუოთი ესეებში „კონსერვატორად ყოფნის გამო“. ესეი დაიბეჭდა წიგნში „რაციონალიზმი პოლიტიკაში და სხვა ესეები“, 1962 წელს. ამით ოუკუოთმა უარყო არსებული შეხედულება, რომლის მიხედვითაც, კონსერვატიზმი უნდა განისაზღვროს გარკვეულ იდეათა და მოძღვრებათა მიხედვით. კონსერვატიზმი ოუკუოთისათვის „განწყობაა“, რის მიხედვითაც, უნდა დასჯერდე იმას, რაც გაქვს, და არ მოინდომო რაღაც უკეთესი.

ოუკუოთის კონსერვატიზმი უპირისპირდება თანამედროვე პოლიტიკური აზროვნების უმთავრეს მეცდომას — რაციონალიზმს. რაციონალიზმს ახასიათებს შეურყეველი რწმენა, რომ მხოლოდ ადამიანის გონების საშუალებით შეიძლება სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების წარმართვა. რაციონალისტებს სჯერათ, რომ პოლიტიკური ხელმძღვანელობა უნდა დაეფუძნოს მხოლოდ თეორიულ ანუ ტექნიკურ ცოდნას, არგუმენტებს, ფაქტებს, რიცხვებს, და პატივს არ სცემენ პრაქტიკულ გამოცდილებას, ცოდნას, რაც მრავალწლიანი საქმიანობის შედეგად წარმოიშობა.

ცვლილებებისადმი დამოკიდებულება პირველი საკითხია, რომელსაც ოუკუოთი ეხება კონსერვატიულ განწყობაზე მსჯელობისას; კონსერვატორი ძნელად ეგუება გარდაქმნებს და მხოლოდ ზომიერი ცვლილება და უწყვეტობა მისთვის მისაღებია; მაგრამ კონსერვატორობა არ არის „მხოლოდ ცვლილებებისადმი სიძულვილი“, არამედ „ცვლილებებისადმი შეგუების მანერა“. ცვლილებანი თვითმყოფადობის დაკარგვას მოასწავებს, რასაც ვერაფრით შეეგუება კონსერვატორი, და საშველად უხმობს გამოცდილებას; იგი ისე აწინილებს შეჩვეულსა და მშობლიურ გარემოს, რომ ყველაფერს ერთბაშად არ დაემუქროს საფრთხე და ცდილობს ისე შემოი-

ტანოს ახალი, რომ სრულიად უცხო და გაურკვეველი არ აღმოჩნდეს ხალხისათვის. აქ ოუკმოთს მოაქვს მაგალითი, თუ როგორ არქმევენ გადასახლებული ტომები ახალ მიწებებს, მთებსა და მდინარეებს ძველ, მშობლიურ სახელებს, რითაც არა მხოლოდ სახეს ინარჩუნებენ, არამედ გაქრობის სირცხვილსაც ებრძვიან. კონსერვატორული ბუნების კაცი ცვლილებებზე იმ არეულობის მიხედვით მსჯელობს, რაც ცვლილებებს მოსდევს თან, და მთელ თავის ძალ-ღონეს განაწილებს მის წინააღმდეგ. მიჩნეულია, რომ განახლების გარეშე არ არსებობს გაუმჯობესება; კონსერვატორი კი სრულებითაც არ ფიქრობს, რომ არაფერი ხდება ქვეყნად და საჭიროა დიდი ცვლილებანი; მან იცის, რომ “ყოველი განახლება გაუმჯობესება არ არის და... რომ განახლება გაუმჯობესების გარეშე უგუნური შეცდომა იქნებოდა”. განახლება წარმოშობს ახალსა და რთულ ვითარებას, მისი შედეგების გათვლა რთულია და “გაუმჯობესება” მხოლოდ ერთი ნაწილია განახლებისა, რაც ყოველთვის უფრო ფართოა, ვიდრე განზრახული იყო, და ცვლილებებადატანილი ხალხი მოგება-ზარალს თანაბრად ვერ მიიღებს; შეიძლება ისე მოხდეს, რომ მოგებამ გადარწმუნოს, მაგრამ უფრო მეტად ის არის მოსალოდნელი, რომ დანაკარგი გამოდგეს დიდი და აუნაზღაურებელი. კონსერვატორი ბუნების კაცი დარწმუნებულია, რომ განახლება აუცილებლად მოიტანს დანაკარგს და ამიტომაც, განახლების მსურველს დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება; კონსერვატორმა იცის, რომ რაც უფრო “მეტად ჰგავს განახლებას ზრდას”, მით ნაკლები ზარალია მოსალოდნელი; მას სურს არა ზოგადი და აბსტრაქტული მისწრაფება გაუმჯობესებისაკენ, არამედ კონკრეტული მცდელობა არსებული ნაკლოვანების გამოსასწორებლად; იგი აუჩქარებლად ირჯება და “თანაბარმნიშვნელოვანი მოვლენებიდან ის შემთხვევა მიაჩნია ყველაზე კეთილსაიმედოდ ცვლილებისათვის, როცა ცვლილების პროექტი დასაზღვრულია და მიმართულია განზრახულისაკენ, რის გამოც ნაკლებად მოსალოდნელია გადაგვარდეს არასასურველი და მოუწესრიგებელი შედეგების გამო.”

კონსერვატორები ფრთხილები, თავგადასავალითა და მოგზაურობათა მოძულენი, ინერტულები და ზარმაცები არიანო, ამბობენ. ოუკმოთი ფიქრობს, რომ ეს თვისებები ადამიანურია და კონსერვატიზმიც ადამიანური ბუნებაა. მისი აზრით, ადამიანურ ბუნებაზე ზოგადი განსჯით ვერაფერს მივაღწევთ, ამიტომ “უფრო მნიშვნელოვანია განვიხილოთ ადამიანის არსებული ბუნება, განვიხილოთ ჩვენი თავი”.

აქ ოუკმოთი მკვეთრად ცვლის მსჯელობის მიმართულებას და, თუ აქამდე ადამიანის კონსერვატულ განწყობას გამოკვეთდა, უეცრად დაეჭვდება მასში, როგორც ადამიანის მთავარ თვისებაში, და ამბობს, რომ ბოლო ხუთასი წლის მანძილზე ადამიანის ქმედების მიხედვით თუ განვსჯით, უნდა ვიფიქროთ, რომ არაფრად ვაგდებთ თვითმყოფადობას, მოგვწონს სიახლეები, განსაკუთრებით დიადი სიახლეები, და ხალისით ვვჯერა, რომ მას გაუმჯობესებისაკენ მივყავართ; ადამიანს უყვარს აზარტული თამაში, ხარბია და მომხვეჭელი, ყოველგვარი სიახლის გასინჯვა სურს და დაუღალავად მიისწრაფის წინ — პროგრესისაკენ. მაშ სადღა კონსერვატული განწყობა? ოუკმოთის აზრით, კონსერვატული განწყობა არსებობს არა როგორც ალტერნატივა ჩვენი გონების “პროგრესული” თვისებისა, არამედ როგორც შემაკავებელი აღძრული მოძრაობისა და კონსერვატორის მუზეუმის მცველს ადარებს, ვინც ჟამგადასულ და უმაქნის ნივთებს

უვლის, რათა ბავშვებს აჩვენოს. ამრიგად, კონსერვატორი არის კაცი, ვინც დინების სანინააღმდეგოდ მიცურავს და პატივისცემას არ იმსახურებს. და მიუხედავად იმისა, რომ კონსერვატული განწყობა ცხოვრებაში ანუ უშუალოდ საგნების მიმართ პატივისცემას არ იმსახურებს, მაინც არის შემთხვევები კაცის ყოფაში, როცა აუცილებლად კონსერვატულად განვწყობით. ოუკმოთი ჩამოთვლის რამდენიმე შემთხვევას, როცა კონსერვატული განწყობის ზეგავლენა აშკარაა.

პირველია უმთავრესი სიქველე კონსერვატიზმისა: ადამიანი მიდრეკილია დატკეპს ანმყოთი და ამ ტკეპობისას არ ეძიოს მოგება, პრიზი, ჯილდო ან თვით გამოცდილები-საგან მიღებული შედეგი; ამით კონსერვატული განწყობა გვევლინება არა წინასწარგანზრახულ მტრობად პროგრესისა, არამედ ადამიანურ ქმედებათა ნიშანდობლივ სფეროსათვის შესაფერის მოვლენად.

ყოველდღიურ ურთიერთობებში ადამიანებს სურთ მოემსახურონ ან აუნაზღაურონ სამსახური და მოაწონონ ის, რისი გასაღებაც სურთ. ასეთია ურთიერთობა ბატონისა და მსახურისა, გამყიდველისა და მყიდველისა, დირექტორისა და მოსამსახურისა, მესაკუთრისა და სასამართლოს აღმასრულებლისა. როცა ამგვარ ურთიერთობებში დაუკმაყოფილებლობა ჩნდება, ურთიერთობები იშლება და ადამიანი ეძიებს ახალ კავშირს იმგვარი შედეგის მისაღებად, როგორც ესაჭიროება. რა თქმა უნდა ამგვარ დამოკიდებულებაში ძნელია კონსერვატული განწყობის დაძებნა, მაგრამ არსებობს სხვაგვარი ურთიერთობაც კაცის ყოველდღიურ ცხოვრებაში — მყარი და გამძლე — რაც იმიტომ არის, რომ ადამიანებს ასე სურთ, და არა იმიტომ, რომ რაიმე სარგებელს ელიან. ასეთი განწყობაა **მეგობრობა**.

ოუკმოთი ღრმად წვდება მეგობრობის ფენომენს და დაასკვნის, რომ ურთიერთობა მეგობრებს შორის დრამატულია და არა უტილიტარული, მათ შორის კავშირი შინაურულობის გამოა და არა ანგარების; მეგობრობა კონსერვატული განწყობაა და არა პროგრესული. იგივე შეიძლება ითქვას სხვა გამოცდილებათა შესახებ და მათ შორის აღსანიშნავია **პატირიტიზმი**, რაც აგრეთვე მოითხოვს კონსერვატულ განწყობას, როგორც პირობას კმაყოფილების შესაგრძობად.

კონსერვატული განწყობა ადამიანის საყვარელი საქმიანობანი, მაგალითად თევზაობა, ოღონდ არა მაშინ, როცა თევზის დაჭერა თვითმიზანია, არამედ მაშინ, როცა თვით პროცესი განიჭებს სიამოვნებას. კონსერვატულ განწყობას შეიძლება მივაკუთვნოთ აზარტული თამაშის ნაირსახეობა, როცა მოგება-წაგება ერთნაირად განიჭებს ტკეპობას, რაკი თვით თამაში გსიამოვნებს. ასეთ საქმიანობათაგან ოუკმოთი მხოლოდ მოდის სიყვარულს არ მიიჩნევს კონსერვატულ განწყობად და თავქარიან ტკეპობად მიიჩნევს.

ოუკმოთის აზრით, ადამიანის საქმიანობაში ცოტას თუ ვნახავთ ისეთს, კონსერვატულ განწყობას რომ არ ეხმაურებოდეს, და მაგალითად მოაქვს ხელსაწყო-იარაღების ხმარების გამოკვეთილად კონსერვატული განწყობა, როცა დურგალს ყოველთვის ურჩევნია შეჩვეული იარაღით შეუდგეს საქმეს და ახალ იარაღს არ მოჰკიდოს ხელი. ზოგადად ჩვენი დამოკიდებულება იარაღთა მიმართ უფრო კონსერვატულია, ვიდრე პროექტების მიმართ; პროექტები იცვლება, იარაღები კი ძირითადად იგივე რჩება. გარდა ამისა, ოსტატს თავისი კონსერვატული განწყობა აქვს იარაღების გარკვეული ჯგუფისადმი და უიმათოდ ხელს არ კიდებს საქმეს.

კონსერვატული განწყობა წარმართველია სპორტი. მწრთონელმა შეიძლება მოთამაშე შეცვალოს, მაგრამ არავინ არ მოინდომებს ჩოგანის ფორმა გამოცვალს გახურებულ სეზონში ან წესების გამოცვლაზე დაიწყოს კამათი თვით თამაშის დროს; რაც მეტად უნდა თვითულ მხარეს გამარჯვება, მით ფასეულია შეუცვლელი თამაშის წესები. ან კიდევ, მუსიკოსს შეუძლია იმპროვიზაციას მიმართოს შესრულებისას, მაგრამ არავინ მოინდომებს თვით ინსტრუმენტის იმპროვიზაციას.

კონსერვატული განწყობის საუკეთესო მაგალითებია: საოფისე რუტინა, სახალხო მეკრების წარმართვის წესი, დებატების წესი პარლამენტში ან სასამართლო პროცედურა. მთავარი ღირსება ამ უწყებებისა ის გახლავთ, რომ დადგენილია და გათავისებული; აქა დაფუძნებული და აქვე სრულდება ყოველი პირობა; ნებადართულია საუბარი შესაბამისი წესრიგის მიხედვით, აკრძალულია განცხადებული კამათი და შენახულია ადამიანური ენერჯია. ესაა ტიპური იარაღები, უფლებამოსილი ინსტრუმენტები, მრავალფეროვანი, მაგრამ მსგავსი სამსახურისათვის შერჩეული. ისინი განსჯისა და არჩევანის შედეგია, მათში არაფერია საკრალური, საეჭვო მათი შეცვლა და გაუმჯობესება, და თუ მათდამი კონსერვატულად არ განწყობით, თუ გავაკრიტიკებთ და შევცვლით ყოველჯერზე, მაშინვე დაკარგავს ღირებულებას. და თუნდაც განსაკუთრებულ შემთხვევაში სასარგებლოც კი გამოდგეს მათი შეჩერება, უაღრესად შეუფერებელი იქნებოდა მათი განახლება და გაუმჯობესება მაშინ, როცა მუშაობს.

მაიკლ ოუკმოთი არაფერს ამბობს ადამიანის ხასიათის ისეთ თვისებებზე, როგორც არის მტრობა და შურისძიება, არაფერს ამბობს ზნობასა და რელიგიაზე, ანუ არ იკვლევს ამ მხარეებს ადამიანური ცხოვრებისა კონსერვატული განწყობის ასპექტით, მაგრამ მის ესეში საკმაო მსჯელობაა იმის დასასაბუთებლად, რომ კონსერვატული განწყობა ჩვენი აზროვნებისათვის ყოველთვის არ არის ჩვეული და ხშირად ისე უცხოა, რომ ვერც კი ვიგებთ, თუ რა უნდა იყოს. და მაინც, ჩვენი საქმიანობის ერთ ნაწილში კონსერვატულ განწყობას არათუ დასახმარებლად ვუხმობთ და ამხანაგად ვიხდით, არამედ უფროს ამხანაგადაც ვაღიარებთ და ზოგიერთ საქმიანობაში სამართლიანად ვცნობთ ბატონად.

ყველაზე საგულისხმო ოუკმოთის ესეში მაინც ის ყველაზე ვრცელი და რთული ნაწილია, რომელიც პოლიტიკას ეხება. ოუკმოთი განმარტავს, თუ როგორი არაკონსერვატული დამოკიდებულება აქვს პოლიტიკისადმი ადამიანთა ერთ ნაწილს: „ზოგიერთებს „მთავრობა“ ძალაუფლების ვრცელ საცავად ესახებათ, რაც შთააგონებთ იოცნებონ იმაზე, თუ როგორ შეიძლება მისი გამოყენება. მათ აქვთ სხვადასხვა ზომის სანუკვარი პროექტები, რაც გულწრფელად სჯერათ, კაცობრიობის სასიკეთოდ იმუშავებსო, და მმართველი კაცების საქმედ მიიჩნევენ ამ ძალაუფლების მოპოვებას, თუ საჭიროა, მის გაზრდასა და გავრცელებას თანამომძებზე. ამრიგად, ისინი განწყობილი არიან, მთავრობა აღიქვან ვნების ინსტრუმენტად: პოლიტიკის ხელოვნება სურვილის აგზნება და წარმართვა ჰგონიათ“.

ამის საპირისპიროდ, „კონსერვატული განწყობის ადამიანი მიიჩნევს, რომ მთავრობის საქმეა არა ვნების აგზნება და მისი ახალ ობიექტებით გამოკვება, არამედ უკვე მეთისმეტად მგზნებარე ადამიანთა საქმიანობაში თავშეკავების, ზომიერების, დაოკების, დამშვიდების, შერიგების დანერგვა; არა ვნების ცეცხლის გაღვივება, არამედ მისი

ჩაქრობა. და ეს ხდება არა იმიტომ, რომ ვნება ცოდვაა და ზომიერება სიქველე — არამედ იმიტომ, რომ ზომიერება აუცილებელია, როცა მგზნებარე ადამიანი უნდა გადაურჩეს საყოველთაო იმედგაცრუების ტყვეობას.“

ოუკმოთი მთავრობას ხედავს მსაჯად ან მსაჯულად; ეს მოვალეობა ირღვევა ან ირყვება, როცა მმართველები თავის ინტერესებს ახვევენ თავს მართულებს: „მსაჯი, ვინც იმავე დროს მოთამაშეც არის, მსაჯი ვერ იქნება; „კანონები“, რომლისადმიც კონსერვატულად არ განვენყობით, კანონები კი არაა, უნესრიგობის წამქეზებელი ხდება; ოცნებისა და მართვის შერწყმა წარმოშობს ტირანას“.

ოუკმოთი დაიჟინებს, მართვა „სპეციფიკური და გამოინაკლისი საქმიანობაა“, მაგრამ რადგან თანამედროვე პოლიტიკას „რაციონალიზმის“ ბაცილა შეეყარა, სახელმწიფო თავისთავად ხდება წყარო და მიზეზი უნესრიგობისა.“

სხვაგან ოუკმოთი განასხვავებს ორი ტიპის მთავრობას, რომლებსაც „ნომოკრატია“ და „ტელეოკრატია“ უწოდებს. ნომოკრატია მტკიცე კანონებზე დამყარებული სახელმწიფოა, მთავრობა მიზნად არ ისახავს საკუთარ უმალეს მიზანს და არ ებრძვის თავის მოქალაქეთა მიზნებს. ტელეოკრატული მთავრობა კი უდაოდეს მიზნებს ისახავს, რისთვისაც კანონები უბრალო ინსტრუმენტებია და სურვილისამებრ შეიძლება შეიცვალოს მიზნის შესაბამისად; მაგალითისათვის, ომს გამოუცხადებს სილატაკეს, შიმშილს ან ნამდვილ ომს გამოაცხადებს. ტელეოკრატია პოტენციურად ტოტალიტარული მმართველობაა, რადგან მთელ საზოგადოებას რჩეული მიზნის მისაღწევად დარაზმავს.

ოუკმოთი ასევე განასხვავებს „საწარმოო ასოციაციას“ „სამოქალაქო ასოციაციისაგან“. პირველი გაერთიანებაა გარკვეული მიზნებისათვის, ვთქვათ, როგორც ეკლესია თუ ბიზნესი; მეორე უფრო ზოგადია და კანონებისა და წესების წარმართვის ხელშეკრულება გახლავთ. მოქმევე კორპორაციები აღიქვამენ თანასწორ კანონებს და ცივილიზებულად ურთიერთობენ ერთმანეთთან, თუმცა კი მათი მიზნები შეჯახებას გულისხმობს. მთავრობა დაინტერესებული უნდა იყოს, შეინარჩუნოს სამოქალაქო ასოციაციის წესები და ამ გარემოში ხალხს თავისი მიზნების განხორციელების საშუალება მისცეს.

ოუკმოთი დაიჟინებს, კანონებს კი არ „მორჩილებენ“, არამედ „აღიქვამენ“. ეს განასხვავებს კანონს ბრძანებისაგან. ჯანსაღი კანონი უპიროვნოა; მხოლოდ კორუმპირებული კანონი გამოხატავს პიროვნულ სურვილს და ადამიანების ერთ ჯგუფს აიძულებს დაემორჩილოს მეორეს. ყველა ხედავს, როცა ასეთი რამ ხდება; მაგალითად, სპორტული შეჯიბრების დროს არსებული კანონი უზრუნველყოფს კონკრეტული გუნდის გამარჯვებას; ასეთი კანონი, რა თქმა უნდა, ცუდია. მაგრამ ცუდი კანონები რუტინად იქცა პოლიტიკაში. ლობისტებს იმიტომ არ სცემენ პატივს, რომ ისინი ცდილობენ გააძვინონ ასეთი კანონები და ამას ადამიანი შევლის, რადგან ფავორიტიზმი კანონშემოქმედებაში საყოველთაოდაა მიღებული.

ოუკმოთი კონსერვატორია თავისი წერის მანერითა და ლექსიკითაც კი. იგი ერიდება თანამედროვე პოლიტიკურ ტერმინოლოგიას და, თუ ვინმე მის წიგნში პოლიტიკური დისკურსის გავრცელებული ფორმების ძებნას დაიწყებს, იმედი გაუცრუვდება. აზროვნებისა და გადმოცემის საკუთარი და გამორჩეული სტილი გამოაცალკევებს მას სხვა-

უცხოეთის ცხოვრებიდან

თავან. და თუ დაძლევე აღქმის სიძნელეს და მიეახლები ოუკუოთის ფილოსოფიას, აღმოაჩენ მისი აზროვნების სიღრმესა და სიმადლეს.

ვეიქრობ, საშურიო ოუკუოთის ფილოსოფიის შემოტანა ქართულ ენობრივ სივრცეში დღეს, როცა პოლიტიკური

ლიტერატურის მკითხველთათვის ცხადი ხდება, რომ აღან ბლუმის, ლეო სტრაუსის და სხვათა ფილოსოფიამ, მათი მონაფე ნეოკონსერვატორებისა და ახალი იაკობინელების აზროვნებამ და მოღვაწეობამ სასარგებლო ვერაფერი შეგვძინა სახელმწიფოს დაფუძნებისა და შენების გზაზე.

წუთები და წლები

გოგი ოჩიაური

უცხოები მთა

არსობი

ახალგაზრდობიდან ისე ვიცოდი უფროსებისგან, რომ ვისზეც უნდა ვიამბოთ, ერთმანეთს შებერებული დები იყვნენ, მაგრამ ესე არა ყოფილა!.. მეზობლები ყოფილან. ამაღში.

ერთი ბედი დაჰყოლია ორივეს, მარტოხელები დარჩენილან. რა მოუვიდა მათ ოჯახებს, არაფერი ვიცი და არც თქვენთვისა აქვს მნიშვნელობა, ალბათ, ამას. რამე მნიშვნელოვანი მიზეზი რომ ყოფილიყო, გადმოცემა შეგვიწახავდა... არაფერი.

ვიცი, რომ ერთმანეთის მიჯრით ჰქონდათ სახლები და წინ საკარტოფილე და სათამბაქოე ფართობიც — ზიარი. სახნავ-სათესს დაქირავებული მუშახელით უვლიდნენ, მსხვილფეხიც საკმარისი ჰყავდათ.

ცოტა გაგვიკვირდებოდათ, რომ საკარტოფილეს გვერდით ყორეშემოვლებული დიდი ადგილი სათამბაქოესთვის დაეთმოთ.

ზამთრის პირისთვის, დანარჩენ მოსავალთან ერთად, თამბაქოსაც დიდი მზრუნველობით დააბინავებდნენ. გაბმულ საბლებზე ლამაზად შეხვეულ, ქედნის ზომის გუნდებს აასხამდნენ და ლელას ჭერხობში აშრობდნენ საზამთროდ.

ლელაის სახლი უფრო მარჯვე მისადგომი იყო და ყორეზე დაბმული სტუმრების ცხენებიც არავის უშლიდნენ შარაზე ავლას...

და როცა არხოტი ქვეყანას მოწყდებოდა, კავკასიონის თოვლიანი მთებითა და ლურჯი ჭაუხების გაღავნით მჭიდროდმემორტყმული, ოთხი არხოტული სოფლის ზამთარი დადგებოდა, განსხვავებული დანარჩენი ხევსურეთის და, რალა თქმა უნდა, დედა საქართველოსგანაც. თუმცა საქართველომ ამ მხრიდან თავისი ჩრდილო საზღვრის დამცველის არსებობის შესახებ არც იცოდა როდისმე და არც ეხლა იცის რაიმე.

არხოტიონები თავად იცავდნენ იარაღითა და სისხლით თავის მამულსა და ღირსებას და არც დასჭირვებიათ ვინმეს დახმარება, არც ვინმესთვის უთხოვნიათ... არც ვინმეს საქართველოში უთარეშია ასის ხეობის გადმოლაზვით...

**გამაგრდით, არხოტიონნო,
გატეხით რა იქნებისა,
ვისაც მაგვიკვლენ, დავმარხათ,
სხვა კიდევ გაიზრდებისა...**

იქნებ გაგიგიათ მსგავსი მეომრული შეძახილი საქართველოს დამცველთაგან... არც მეზობლების, არც ღმერთის, არც დედასამშობლოს შეწუხება დახმარებისთვის. ეგაც სათქმელია: არხოტშია შექმნილი მითი გველისმჭამელისა — ჰუმანიზმის ყველაზე მაღალი მოდელის მითოსი, ჯერაც სათანადოდ რომ არ არის შეცნობილი... ვეფხვისა და მოყმის ბალადაც არხოტში შეიქმნა...

და... შორს წავედი... მე იმ მეზობელ მარტოხელა დიაცებზე ვიამბობდით, ამაღში რომ ცხოვრობდნენ და ზამთრისთვის ბევრ თამბაქოს იმარაგებდნენ. თამბაქოს მაშინ ოქროს ფასი ჰქონდა.

მარტი იდგა, მილუულიყო ზამთარი და კვირა დღეს, სახლის საქმე რომ მოათავა, დედიკამ ხორცი და კარტოფილი შეწვა და ლელასთან ჩაიტანა. კარგ ამინდში მზეზე დაჯდომა და გავლილის მოგონება უყვარდა ორივეს. გაუხარდა ლელას და არაყიანი ბოთლი გამოდგა, ყოველთვის რომ ჰქონდა გადანახული. ტაბლა დადგეს და ვიდრე მოკალათდებოდნენ, ერთმანეთს აჰყვინენ და უმიზეზოდ იმდენი იცინეს სმამალა და ცრემლის წმენდით, ხან ხვევით, ხან მხარზე ჩამოკიდებით, რომ დაოსებულები ძლივს დალაგდნენ.

— არ გიკვირსა, რას ვგვიორთ, ქალო? რაის ჩამომავლობისა, რა სახელიან მამა-ბიძათ პატრონნი რაწლად მავრჩით. რა ყოფილ ეს ცხოვრება. ჩვენი ყოფა, ცოდვილობა ჩვენ მამა-ბიძათ რო აყურებოვ, რას იტყოდეს. იცინებდესა თუ იტირებდეს?

ჩამოასხეს პატარა ყანწებში არაყი: შაუნდნას ჩვენ მამა-ბიძათ. არა გაგვიწირეს სირცხვილი.

გადაჰკრეს. დედიკა დაიკლაკნა, არაყი მწარე ყოფილაო და მეორე, დასასხმელად განვდილი ყანწიანი ხელი ჰაერში გაუჩერდა. ახილის მხრიდან სოფელზე ტყვიამ წივილით გადაიარა. ქუხილი გვიან მოვიდა და გაღმა ქარაფებიდან დაბრუნებული ეხო სოფლის ქვითკირებში დაიკარგა. და აღმართზეც, სოფლისკენ რომ შემოუყვება ხოგაის მიწიას ნასახლარიდან, ორი მხედარი ამოუყვება. მენინავეს განზე განვდილ ხელზე მათრახა ეკიდა. რას იძახდნენ, სიტყვები არ ისმოდა, ისმოდა არწივების მსგავსი ყივილი და ვიდრე გაარჩევი, ვინ იყვნენ, ცხენები ყორეს მოაგდეს და ჯერ კიდევ ნესტოდაბერილი, თვალგადათეთრებული ხვადებიდან გადმოვლებით გაქვავდნენ მიწაზე. ბანზე გადმომდგარ დებს კარგი ღიმილი შემოანათეს. ცხენები ყორის პირზე მოაბეს და მასპინძლებისკენ გამოემართნენ.

**ვმა მამწონს თქვენი თოფისა,
იცის გველივით წივილი,
თქვენი მთათ შამავლილობა,
ქორებულ შამაკივილი!.. —**

თავისთვის ჩაიუბნა ლელამ. საქმე იმაშია, ძვირფასებო, რომ დიაცებს ვეფხისტყაოსნის მოსმენა უყვარდათ, კითხვა კი

არ იცოდნენ. ამიტომ, მხოლოდ ამიტომ თესავდნენ თამბაქოს, რომ ზამთარში, როცა არხოტიონთა უმრავლესობას თამბაქო უთავდებოდა, კითხვის მცოდნე, ძირითადად ახალგაზრდები, ლელასა და დედიკას თამბაქოსათვის მიადგებოდნენ და თითქმის ნლობით დადგენილი წესით ფურცლის წაკითხვაზე, რაც ერგებოდა, იმდენ თამბაქოს მიიღებდნენ. ორივემ უკვე თითქმის ზეპირად დაისწავლა თავისი საყვარელი ადგილები, მაგრამ წიგნი ამოუწურავ სიამოვნებას იტევდა მსმენელისათვის და ისინიც ნეტარებით ელოდნენ მეთამბაქოეთა მოსვლას.

გულით მოიკითხეს ერთმანეთი სტუმარ-მასპინძლებმა და როცა მისალმება დაამთავრეს, გრძელი და სერიოზული, თითქოს რაღაც რიტუალს ასრულებდნენ, ტაბლასთან მიინვიეს. თვითონ ფეხზე მდგარნი დაფუსფუსდნენ — ჯიხვის ხორცი გვაქვ, მაისტელის მაკლულისა. გამოიტანა ლელამ გაცხელებული ერანი და ტაბლაზე დაუდგა. თან ორივეს წამოუსხა არაყი: გვეჩქარის, ბალახურისძეთ სტუმრები ჰყავა-დ უფროსებმ გამაგვგზავნეს თამბაქოსად, აღარც ვის სოფელში აქვა და ლელა-დედიკათ აუცილებლად ექნებისაო და ერთი-ორის კონა თამბაქოს ფასად წაუკითხეთაო და მეტს ნულარ დაგვიგვიანებთავ... გამაგვილით წასაკითხი! ეს თქვენი დღეგრძელობისა იყვას და თითო ყანწი დაცალეს. ეგრ იყვას თქვენებურად! — თქვა ლელამ და ქაზდარში შევიდა. სუფთა ტილოში გახვეული ვეფხისტყაოსანი გამოასვენა... რომენ წაკითხავთ წინ... გარსიას ხელები გადააბანინა ნაცარწყლით. გასამშრალებიც მისცა და: — აბა, თითო კიდევ დაჰკარითა და ამ ბოთლასაც შავინახავ.

— მე დამჯდარ ვერ ვკითხულობ, — თქვა გარსიამ და მალალ კოდზე დაასვენა წიგნი. აბა, საით დავიწყ? ლელამ წითელი შიბით დანიშნული გვერდი გადაშალა: — აქამდე სამშაბათს უშიშამ წაკითხეთხა, — მიანიშნა ადგილზე და ცხენის უნაგირი რომ იდგა, იმაზე ფლასი გადაფინა და გვერდით მიეყრდნო ჯიხვის ტყავზე ფეხმორთხმული. დავბერდი, დიდხანს ფეხზე დგომა აღარ შამიძლავ.

გარსიამ, დიდხანს ღრმად ჩასუნთქული რომ იდგა, უცბად დაიყფა და აღარ გაჩერებულა. ისე ხმამაღლა და შეტევით კითხულობდა, თითქოს აქ მოკალათებულთათვის კი არა, მთელი სოფლისთვის გასაგონად ლაღადებდა.

**ვერა შავიგენ, რა იყო ანუ წაწმარი რაულად!
ვისცა ვუჩვენე, უკვირდის, ღმრთისაგან თქვის სასწაულად;
არცა ლარულად ჰგებოდა მას ქსელი, არც ორხაულად;
სიმტკიცე ჰქონდა ნაჭედსა, ვთქვი ცეცხლთა
შენართაულად...**

შუკის გადაღმა ორმა ბავშვმა გადმოიბრინა მეზობელ ბანზე და მოსასმენად ომაიც გამოჩნდა, თან ჩიკა მოჰქონდა. ბანის პირზე შვილების უკან ჩამოჯდა, თან ხელით აქაურებს ანიშნა, ყველაფერს მდუმარედ ვაკეთებ, თქვენც ნუ შემომეხმეიანებითო.

ორი ფურცლის მერე სახეშეცვლილმა გარსიამ ჩაისუნთქა და: — განა იოლია, ეე! კითხვა შეწყვიტა და დაისვენა. ომა ბანიდან მიესალმა მოსულებს, ყველას სიკეთე უსურვა და — შენც ხო წაკითხავო, — გაგას გამოხედა.

— ჩვენ ამაში გვიხდიან, უფასოდ კი არ ვირჯებით, — თქვა გაგამ და თავადაც და სხვებმაც გაიცინეს. ეგ რუსთაველცუდ კაცი! — თქვა ომამ. სურო არ მენადას, შულ მამინდების, ეეგრ, სალალოდ, განა სამტროდ. აი, შარშაც რო არაისად კაცი ვჭერ ხმლით, მაგის ბრალ იყვ. ესლაც მანუხებს ჩემ საქციელი.

— შენ რუსთაველს ნუ დააბრალებ შენ უჭკობას და სიმსუბუქეს, ეგ თქვენ მაგიდისთ, იოლად შულლი, — უთხრა ლელამ.

— აბა, მე რო ვეფხისტყაოსნის ლექსს გავიგონებ, აი, ეთოვლიან-ყინულიან მთანიც, ზაფხულის რო მინდორ-ველნ აყვავდებიან, პურის ყანა რო დაიწყებს ქარში ლასტვას, მერცხალიკან რო დაიწყებენ ცაში ცურვას, აისრ მამეჩვენების სუ ყველაი.

კაცნ ბედენანი, — დაასკვნა დედიკამ. გადათვალეს წაკითხული ტაეპი, კითხვის ხარისხი და ორი გუნდა თამბაქო მიართვეს.

— კლოვ როცა კიდევ მაგინდებისთ თამბაქოი, მახოლთა და წაკვიკითხავთა და თამბაქოსაც მიიღებთ.

ლელაის სიტყვა რომ არ გადალახებოდა, ყველამ იცოდა და მადლობა გადაუხადეს მოსულებმა, დებმაც ცხენებამდე მიაცილეს და, როგორც წესია, გამოეთხოვნენ.

მზეზე ყანწიმები ათამაშდა, ყვითელთავშალნაკრულებმა ისე მოასხლიტეს ულაყები, თითქოს დოღში ყოფილიყვნენ და კიდევ გაისმა ჰაერში არწივების ყვილი, რომელიც მხედრებთან ერთად ნელ-ნელა გაცურდა სივრცეში.

**მაინც არ გასტყდა, არხვატო, ბასრო ფოლადო, რკინაო!
მაკვდას თუ მაკვდა ოყკაცი არხვატის გულისთვისაო!..**

ილი

1970 წელი დადგა. პირველ იანვარს ქრისტიანულმა თბილისმა ტრადიციულად მოიღწინა, ღვინითა და მილოცვებით. გააცილა ძველი და შეხედა ახალ წელს. რამდენიმე დღე კიდევ გაგრძელდა მხიარული ურთიერთსტუმრობა, მონახულება, მოსიყვარულება და ყველაფერი კალაპოტში ჩადგა.



გოგი ოჩიაური

ილო საქმეებზე იყო ჩამოსული თბილისში, ნაცნობებიც მოიკითხა და მეოთხე დღეს საბურთალოზე გავიდა, ფშავისკენ მიმავალ რამე მანქანას რომ გაჰყოლოდა.

საბურთალოს ბოლოს სამხედრო გზის დასაწყისში საათი რომ იდგა, იქ აჩერებდნენ საბარგო მანქანები თუ პატარა ავტობუსები და მგზავრებს ეპატიჟებოდნენ. ფასანაურისკენ, დუშეთისკენ და ძალიან იშვიათად, თქვენ წარმოიდგინეთ, ხევსურეთისკენა თუ უკანაფშავისკენაც. მაგრამ ზამთარში?.. დუშეთი! დუშეთი! გააჩერა სამგზავროდ გადაკეთებული საბარგო მანქანა მძღოლმა და მგზავრებმაც დაიწყეს ერთმანეთის დახმარებით ძარაზე აფორთხება.

ილო ბრუნვით გადახურულ პატარა საბარგოზე აძვრა და ორი ფიცარი რომ იყო გარდი-გარდმო სკამებზე დაგებული, სხვა მგზავრებს შორის მოთავსდა. მძღოლმა კიდევ აკრიფა რამდენიმე გაჭირვებული მგზავრი, რომელთაც ფეხზე დგომა მოუწევდათ და დაძრა მანქანა. ამოსულ მგზავრებში ერთი ხნიერი დედაკაცი აღმოჩნდა და ილომაც ადგილი დაუთმო.

თუმცა მასზე ახალგაზრდებიც ისხდნენ უკვე, სკამებზე ჩაფრენილები და ირგვლივ ვერაფერს ამჩნევდნენ.

ბორტზე მიყრდნობილი, თბილად ჩაცმული კაცის უკან მოთავსდა, ცალი ხელით ბრუნვების რკინის ჩარჩოს ებლა-უჭებოდა, ნაფანჯრალი ნახევრიდან იყურებოდა და მინის ბრუნვით ერთობოდა.

მცხეთის მისასვლელელებში, შავჯაგიანი კლდეების გასწვრივ რომ მიდის გზა, თბილად ჩაცმულმა თქვა: ამ კლდეებზე გიორგი სააკაძესა თამარ მეფის დროსა ბლომათ მონღოლები უწყევტია. თქვა ხმაშალა, თუმცა ილოს მეტს არავის გაუგონია ჯანჯლარში. სხვა არაფერი. ესეთი მცოდნე ხალხიც ბევრჯერ შეხვედრია ილოს მაგ გზებზე.

დუშეთის გადასახვევთან ილო ჩამოვიდა შემხვედრი მანქანის მოსაცდელად და თითქმის იმავდროულად გაჩერდა, ესლა რომ ჩამოვიდა, სწორედ იმნაირი, ბრუნვებგადაჭიმული „პალტარატონკა“. — ილო! ზემოთ თუ მოდიხარ, ორწყლამდე გაგიყოლებ, მე ხევსურეთში მივდივარ“. ილომ იცნო გივი ბარათაშვილი. მიესალმა, მადლობა გადაუხადა და ძარაზე ავიდა. ბარათაშვილი ხარ თუ ბარათოვი? — ადრე როდესაც ილომ რომ ჰკითხა, — გახიე და გაბლღიძე, ერთი არ არისო? — მიილო პასუხად.

ჟინვალისგან ფშავ-ხევსურეთისკენ მუდამ შესაკეთებელი ხრიკი ორმოებით დათხრილი გზა იწყებოდა.

და გახეულ-გაფხრევილმა მძღოლმა დაიწყო თავისი, მხოლოდ მისთვის ცნობილი მიზეზით აზარტული, ყველაზე მაღალ სიჩქარეზე ჩართული ძრავით დაბრკოლებათა გადალახვა. რატომ აჩერებდნენ სამსახურში, ან როგორ უძლებდა მანქანები ასეთ თავანყვეტილ ჯირითს, არავინ იცოდა. მაგრამ უკვე რამდენიმე წელი იყო, რაც ბარათოვი ამ გზებზე აღმა-დაღმა სიარულით ამტკრევდა მანქანებს, მინდობილ ტვირთსა და ხალხსაც.

ილომ იმარჯვა, ნამობარბაცება მოახერხა და ბიგს ჩამოეკიდა. ხან მუხლებში მოხრილი იდგა მოთხილამურესავით, ხან ამჯობინებდა წინ და უკან მონაცვლეობით შორს გართხმული ფეხებით, ხან განზე უკიდურესად გადაშლილ ლაჯით, ხან ბიძგით მაღლა შეტყორცნილი ხელებზე დაკიდებული ეშვებოდა მოხტუნავე ძარაზე. და ახლიდან არჩევდა რომელიმე მომგებიან პოზიციას. და რადგან წინა სკამზე მსხდომი წამებულთა ჯგუფი მაგას ვერ ხედავდა, სახის ღრეჯაც დაიწყო სატირლად, ხან მრისხანედ, ზოგჯერ კი სიცხლის ნიღაბსაც ირგებდა.

როგორც იქნა... ბოლოს — ოლონდ არ იფიქროთ, რომ ისე მალე, როგორც მე გადმოგეცით, ეს გოლგოთა დამთავრდა. ორმოცი კილომეტრი გმირული თავშეკავებისა თუ დაკავების მერე მანქანა უტბად შეჩერდა და ისე სწრაფად, რომ ილო წინმდგომ ტანჯულებს გადაემხო და ძლივს, ძლივს წამოდგა. ბარბაცით მიაღწია ძარის ბოლომდე, გადავიდა, მინაზე დაეშვა და: — შე შობელძაღლო, სულ არაფერი გიძევს მაგ თავშიო?! — ბარათაშვილისკენ გაიწია.

— ილოჯან! რათა მკადრებ: მე შენი ჩქარა მოყვანა მინდოდა, რომ არ დაგიღამდეს სახლამდე ფეხით სიარულში, შენ მადლობის მაგიერ მაგინებო?

დაჭმუჭნული ფული კაბინაში შეუგდო ილომ და ძარიდან, ვილაცამ რომ გადმოაწოდა, ბავშვებისთვის და მაროსთვის ნაყიდებიანი ჩანთა ჩამოართვა.

მანქანა წავიდა და ილოც ხიდის მოაჯირს გადაესვენა სულის მოსათქმელად. დაბლა ყინულებში მოჩურჩულე არაგვს ჩახედა. გახეულს მანქანა ხევსურეთის მხარეს გაეჩერებინა და ესლა ხიდზე უკან უნდა გადასულიყო. შემზარავი იყო სიჩუმე, ბინდიც ჩამონოლილიყო და ილომ არაგვს რომ გადახედა: — შენი დედა... ესლა რო ანგელოზით მოგაქვს თავი და ჩუმად, უხმოდ მიიპარები, ის ლამაზი ჩოლაგაური შარშან ზაფხულში რო ჩაითრიე და დაჰკარგე, როგორა ბლაოდი და ქვებს კბილებით აკრაჭუნებდი, აქეთაც გვემუქრებოდიო.

და კიდევ და კიდევ დააგინა. ეს არ აკმარა, იქით-აქით მიმოიხედა და: — ზემოდან წყალიც დაგკლებია, შე საცოდავო და საკმაოდ დაუმატა.

მერეღა შეუდგა გზას. ტანი, ფეხები ჯერ კიდევ უკანკალებდა, ვერ წყნარდებოდა, ბრაზობდა, ფეხით რა ნელა გადის მანძილიო.

თხილიანასთან რომ მივიდა, უკვე ღამე იყო. აღმართი აიარა და ჯღუნით სახლიდან გამოვარდნილი სითბო, მწვადისა და არაყის სუნი ეცა. შებრუნდა, ალბათ სტუმრები ჰყავთო და როგორც დაჩვეული იყო, კარი უკითხავად შეაღო. ღამფაზე მასპინძლები და ორი ბარიდან მოსული მლოცავი რომ შემოსხდომოდნენ, ნელ-ნელა გააჩნია.

ყველა ფეხზე წამოდგა, მიესალმნენ ერთმანეთს, მოიკითხეს. ილოს ყანნი მიანოდეს, დაგვლოცეო. დასხდნენ. მერე უკვე ილოც ნელ-ნელა დამშვიდდა და კარგა მოილხინა.

შინ მოგვიანებით აიარა. მაროს ჯერ კიდევ ერთო სინათლე, რაღაცას ხელსაქმობდა. ჰკითხა ქალაქობისა და ილოს მაშინდა გაახსენდა, რომ ცულებთან ერთად პატარა თინასთვის ნაყიდი რვეულები და ლამაზი ზღაპრების წიგნიც გააყოლა ბარათოვის მანქანას.

დილას ღამისთვისთვის საჭირო საგებ-სახური, ნაბადი შეკრა: ხატში ადრევე შევივლი, ბიჭურს დავემარებო. გუშინდელი გაახსენდა და შერცხვა, როგორ უგულოდ შეხვდა ჯღუნისთან სუფრაზე უკვე მოლხენილ დავითოს. ერთი წელი არ ენახა და არც მოიკითხა, როგორც წესი იყო, არც ტკბილი სიტყვა უთხრა. პირდაპირ არაყი დააძგერეს და მწვადს მიეტანა. რა იყო? ნეტავ რა იფიქრეს?..

დავითო აქაური, ლალი იაჭსარის ყმა იყო, მაგრამ თიანეთის მხარეს დიდხნის გადასული, წელიწადში ერთი-ორჯერ მანაც ახერხებდა იახსარის კარზე მოსვლას, სანთლის დანთებას, ხევისბერის დახმარებას, დიდებისა თუ დამწყალობების ან საკლავის დაკვლის დროს.

ხატის სამსახური მემკვიდრეობით გადადის თაობიდან თაობაზე. ილოსაც ეს ვალდებულება აკისრებდა, ხანდახან

მანც, როცა ადგილზე იყო, ვალი მოეხადა ღვთისა და სოფლის წინაშე.

დავითოც ასაბუთებდა, რომ იმასაც ჩამომავლობით ეკისრებოდა ხევისბერისა და ხატის სამსახური. არც ვინმე ედავებოდა.

ხევისბერი ბიჭური დავითოს დასტურობას დიდსულოვნად იღებდა და ყოველთვის ემადლიერებოდა სამსახურისთვის.

ჯღუნის ბავშვი გამოეგზავნა, დილით არაფერი ჭამოს, ჩვენთან ჩამოვიდეს, სუფრა გვაქვს და დაგვეწვიოსო.

მაროს უთხრა, პირდაპირ იქიდან წავალ ხატშიო და გადავიდო მხარზე საღამურები და ჯღუნისთან ჩაიარა.

სუფრაზე ისევე ის ხალხი დახვდა, თითო არაყი უკვე მოესწროთ და ილოს მხიარულად მიესალმნენ. დაილოცა ილომაც და: — ერთი ყანნი დამისხით, ვიდრე დავჯდები, რალაცა უნდა მოგახსენოთო. დაიჭირა ყანნი:

— ამ ხნისა მოვიყარე და რაც გასულ ღამეს ხილვა მქონდა, არაფერი მსგავსი სხვისგანაც არ გამიგონიაო... გამომეცხადა ნათელი, დაილოცოს იმის სახელიო და პირჯვარი გადაისახა. სუფრის წვერებმაც გადაისახეს. ჯღუნის ცოლიც აღარ გავიდა, სუფრაზე მოსამატებლად რომ აპირებდა გასვლას. იდიდოს! გამამეცხადა და წელნად ღამესაო, ვინც მოგვემსახურება მეცა და თქვენცა, შორით მოსული ჩემი ყმა არი და ბოლოს ეგ გაუძღვება იახსარის კარზე ხატ-ღმერთის წესსა და საზღვრულად მოსულებსაცაო.

კიდევ გადაისახეს პირჯვარი და როგორი იყო, დაილოცოს იმის სახელიო, შესახედავადო? — ჰკითხეს.

— არა ჩანდა თავად, მარტო ხმა მომდიოდა და ნათელი იყო მზესავითა, თვალს ვერ ვუსწორებდი, ხმა კი ანგელოზის იყო, მანამდე რომ არ გამეგონა, ისეთიო, — დამთავრა ილომ და მერელა მიუჯდა სუფრას. სხვებმაც გადაინერეს პირჯვარი და დავითოზე მიუნიშნებავ, ეგ არიო, იდიდოს ლალი იახსარიო, — ჯღუნამ გააცხადა. არაო, — ილომ, სახელი, რაც მართალია, არ უთქომ იმ დალოცვილსა, მაგრამ მეც დავითოზე ვიფიქრე, რა დასამალიაო.

კიდევ ჩამოასხმევინა და დავითო ადღეგრძელა თბილად და გაზვიადებული პატივისცემით.

დამშვიდდა, გუშინდელი უკმეხობა რომ გამოისყიდა. ცოტა ხნის მერე წამოდგა: — მე ადრე შევივლი ხატში, საკლავი არა ჰყავდათ ჩვენებს მზადა და, დავითო იქნებ შენ შემოავლიო. დალოცა მასპინძელი და გარეთ გავიდა, დავითო გამოჰყვა, ცოტას გაგაცილებო და უამბო: — გაგიმხელ, რომ მეც გამომეცხადა ღამითა და (პირჯვარი გადაინერა) შენ დაგავალე მალე ჩემ სამსახურსა და შენ იცი, როგორ გაუძღვებიო.

— სახით როგორი იყო, არც შენ მოგცა ხილვის ნებო? — ჰკითხა ილომ. დავითომ, დიდებული იყო, დიდი უღვაშები და გაშლილი თეთრი თმა-წვერი ჰქონდა და ანათებდაო.

ილოს ხატში ხევისბერი დახვდა, ბიჭური ადრე მისულიყო, საყვარელი და მართლა დიდებული ხევისბერი. ყველასგან პატივცემული. ძალიან თბილად მოიკითხა. ქალაქის ამბავი გამოჰკითხა.

შემა მოგროვილია. ცეცხლიც დავაგზე. სამი კოკა წყალი დაგვჭირდება ყველაფრისთვის. ხორციც მოსახარში გვექნება. სხვა კიდევ რამდენი რამისთვის. სანთელიცა გვაქვს, მლოცავს კარგა დავხვდებითო.

შევიდნენ დარბაზში. სალუდეც იქვეა. და ცეცხლიც იქ დაენტო ბიჭურს. თავის საგებელიც გაშალა ილომ და პატარა ტაბლახზე რალაც-რალაცები იყო დალაგებული, თავი-

სიც მიუმატა. დასხდნენ. ილომ უამბო დავითოსთან თავისი შეუფერებელი საქციელის და დღეს იმის გამოსწორებისთვის შეთხზული ხილვის შესახებაც. ბიჭურმა კარგა იცინა: — დალოცვილია ლალი იახსარი, უყვარს მხიარულებო და არ გინწყენსო, — დაამშვიდა.

უკან დაბრუნებულ ბარათაშვილს, ილოს რომ ცელები დარჩა, ისიც გამოეგზავნა ვილაც მგზავრის ხელითა და კაი გუნებაზე დადგომას რალა უშლიდა ხელს. მერე დავითოს ხილვის ამბავიც უამბო, დიდი, თეთრ თმანვერიანი ყოფილაო. ამაზე კი ბიჭური ძალიან გამხიარულდა. ბევრი იცინა, ნეტა იახსარი გამოეცხადა თუ კოპაზალო? დაილოცოს იმათი სახელებიო. და კიდევ და კიდევ რალაცებს იგონებდნენ დასტურ-ხევისბერი. მაგას ალბათ მარქსი გამოეცხადაო, ის მინახავს ეგეთიო, — თქვა ბიჭურმა და უკვე ხმამალალი, კენესადაყოლებული სიცილი გააბეს, ორივე გვიან დაწყნარდა. ბიჭურმა პირჯვარი გადაისახა.

ხევისბერი ღრმად მორწმუნე იყო. მხურვალედ იცოდა თემისა და მლოცავის შევედრება. დამიგდია ყური შორიახლოს მდგომს, როგორი გულით შესთხოვდა ხოლმე წყალობის მიღებას ლალ იახსარსა თუ სხვა ღვთიშვილთ მლოცველის მიმართ. უბრალოდ, ადამიანურად, ღირსეულად, თითქოს რეალურად ხედავდა შემწე ღვთისშვილსა და არა ჰკადრებდა არა წრფელს რაიმეს. წყნარი და უბრალოდ მეტყველი...

ილოც და დავითოც, რა თქმა უნდა, მორწმუნეები იყვნენ, უბრალოდ, სხვანაირად ცხოვრება ვერც წარმოედგინათ, მათი ლოცვაც და ვედრებაც, ბუნებრივი, ლალი და ღირსებით აღსავსე იყო.

სალამოს პირზე დავითოც მოვიდა, საკლავი ახალგაზრდა სიძეს არ გამოეტარებინა, — შემოვავლევო.

ცეცხლიც მოუმატეს და სადღეისოდ ორი ბოთლი კახური რომ შემოენახა ბიჭურს, იმით ღმერთიც ახსენეს. გვიან, შუალამე უკვე დიდხნის გადასული იყო, დასაძინებლად რომ მოენწყვნენ. ილო და ბიჭური, ცოტა შემალღებული რომ იყო, იქ გვერდი-გვერდ მოენწყვნენ. ტყავები და ნაბდეები წაიხურეს. დავითოს ცეცხლის გვერდით, გრძელი ფიცრებით გაკეთებული განიერი სკამი რომ იყო, იქ დაუთმეს ადგილი, ძილი ნებისა უსურვეს ერთმანეთს და დაიძინეს.

ზამთრის სუსხიანი თენება უკვე მოახლოებული ჩანდა, როცა ბიჭური, არა გძინავსო? — ილოს გამოელაპარაკა ხმადაბლა, დავითოს არ გაელვძიძოსო.

გამომეცხადა ის დალოცვილი (დავითოს სუნთქვის ხმა შეწყდა), გამომეცხადა ნათელი და სუ ყველაფერი განათდაო.

იმ დალოცვილმა: დაისვენე ბიჭურო, მაღლობელი ვარ, რო ამდენ წელს მემსახურე და ეხლაც ემსახურები თემსაცა და ხატსაცაო. და ეხლა კი უნდა დაისვენო.

ვინც დილამდე სამ კოკა წყალს გადმართანს ხატისხევაზეთ, ის იქნება შენი შემცველიო. ალბათ მოვიდა, ილო, ამ ქვეყნიდან ჩემი წასვლის დრო, უკვე 80-ს გადავაცილე, ამ ხატში გამოისვლაც უკვე მიჭირსო. ყველაფერს თავისი დრო აქვს და მეც მომივიდაო. ცოტა გათენდეს და წყალს მე ვადმოვიტანო, ილომ — ხმადაბლა, მაგრამ დავითოს სუნთქვა და ხვნეშა რომ ისმოდა, იმაზე კი, ალბათ, ცოტა, სულ ოდნავ ხმამალლა.

დავითოს მხრიდან ჯერ მოძრაობის, მერე კი კარებზე სპილენძის კოკის გასმის ხმაც გაისმა.

— იდიდოს ლალი იახსარი, ჩვენი საუბარი მიზღის მაგ დალოცვილსა!..

სამოცი წელია ვემსახურები და ვიცი, რომ განსაკუთრებით წელნადი უყვარს. ყველაზე მეტად მაშინ იცის გალალე-ბა. დაილოცოს მაგის მადლი. დიდება შენდა, ლალო იახსარო!

დავითომ მესამე კოკაც ჩაცალა დიდ საძროხე ქვაბში და: — აბა, ეხლა კი ნამოდექით, დასტურო და ხევისბერო, სავსე ქვაბი დგას ცეცხლზე და მალე გაგვითენდებაო!..

შეშმუშუნენ ილო და ბიჭურიც.

— ამ ღამეში რატომ ეზიდებოდი წყალსა, რო მაგ კლდეზე ფეხი დაგსხლეტიყო, მე მოვიტანდი, რო გათენდებოდაო. კი მესმოდა წყლის ხმა, მაგრამ თავი ძილში მეგონაო... — ილომ.

მალე კიდევ გათენდა. კარგა გათენდა. ვიდრე ტაბლას მიუსხდებოდნენ, ილოცეს, მხურვალედ ილოცეს და მერე კარგა მოიღინეს, არც ღვინო და არაყი მოიკლეს. ბიჭური მარტო დაილოცებოდა, ბაგეზე მიიდგამდა ყანსა და არა სვამდა. ამბობდნენ, რომ არც ახალგაზრდობაში სვამდა, ცოტას, გუნების გასასწორებლად, თორემ... ისე დაბერდა, მთვრალი არავის უნახავს, სიტყვა და ფეხი რომ არეოდეს ნასვამს, არავის უნახავს.

დავითომ ფანდური გადმოიღო თავისი ბარგიდან: — აბა, ილო, სათამაშო დაუკარ! თამაში მომინდაო. და ილოს დაკრულზე დაიძახა რალაცა სასიხარულო და ადგილზე ათამაშდა. დავითომ ცეკვა განსაკუთრებით ღამაში იცოდა. ააას! და გარეთ! გარეთ გავიდეთო და ცეკვით გავიდა და იქ გააგრძელა, დასტურ-ხევისბერიც გაჰყვნენ.

გარეთ ჩამოეთოვა. ილომ დაკვრა შეწყვიტა. ისე ეცეკვებოდა ცეკვის ეშხში შესულ დავითოს. აას! ბიჭურმა ქვემოთკენ ჩაინაცვლა, მოცეკვავენიც მიჰყვნენ. იქ დადგნენ, საიდანაც კარგა მოსწანდა შუაფხოს ქალა და სოფელიც. ილომ თოვლში მოკრძალებით განოლილ არაგვს გახედა, გუშინდელი არაგვის ლანძღვა გაიხსენა და შერცხვა, ძალიან გაბრაზებული ვიყავიო. პატიება სთხოვა. შენ ხო იცი როგორ მიყვარხარო.

ბიჭური სოფელს გადაჰყურებდა: აგე, ზემო უბნიდან მაგის ჯალაფნი გამოემართნენ. აგე, თვარელანიცა. ელიზბარისა და იოსების ახალგაზრდებიც დაინახა, ქვემოთა გზაზე მომავალნი. ბუჩქლანი, ხაზარანი, ყუჯიანი, აგე, თხილიანელებიც გამომძივდნენ დათოვლილ ქალაზე.

ორიაურთ კარზე მელანია გამოჩნდა, ალბათ ეგ აპირებს ხატში გამოვლას.

ალექსისა და ნათელას კი აქედან გაუფლის, ბევრს აცინებს და ბევრსაც მოიგონებენ ერთად მრავალ ჭირგამოვლილნი.

დაილოცოს ლალი იახსარო, გწყალობდეთ იმისი მადლი ყველა მომავალ ახალ წელს.

ციცა-მგელაი

ფშავ-ხევსურეთში მგელას „ციცა-მგელაის“ სახელით იცნობდნენ. ხევსურულად ციცა კატასა და ქურდსაც ნიშნავს და მგელამაც სახელი ქურდობით გაითქვა.

სამემოდგომო საქმეები ოჯახში მოთავებული ჰქონდა. არ იყო ზარმაცი და უხეირო, მაგრამ სახლში ჯდომას არჩია ფშავისკენ ჩავლა, ერთ ღამეს ჩარგალში გაათევა თავისი ძმობილთან და თუ იქ რამე საქმეს იშოვიდა, ერთი-ორ დღესაც დარჩებოდა. მასპინძლის სახლში და სოფელშიც არაფერს კისრულობდა უკადრისს; მთლად ეგრე კი არ იყო საქმე, როგორც სახელი ჰქონდა გატეხილი. მხიარული იყო და ძმობილსაც ახარებდა თავისი სტუმრობით. დილით ჩარგლიდან წამოვიდა ხელმოცარული, საქმე არავის ჰქონდა გასაკეთები,

თიბის დროს რომ გამოჩენილიყავი, კიდევ ჰო, თორემ საზამთროდ... სათიბი თავისიც ბევრი ჰქონდა და როგორ წამოვიდოდა ზაფხულში. ჩარგლიდან სულ ცოტა ჰქონდა გამოვლილი, რომ შორიდან დაინახა, ფოთლიანში როგორ აბამდა წყალში ორაგულს მეთევზე. მაშინ ზაჰესი ჯერ არ იყო აშენებული და ორაგული საქვითოდ არაგვზე ამოდიოდა. ეს გვიან დააყენეს ავჭალაში თუჯის ლენინი, რომელიც დაღმა ჩამვერილი თითით აჩვენებდა, აქედან ორაგულს არაგვზე საქვითოდ ასვლა ეკრძალებოდა. მანამდე კი არაგვზე და მის შენაკადებზე ძალიან ბევრ კალმახს და ორაგულს იჭერდნენ.

მეთევზემ ორაგული პორლაყურში გაყრილი წვრილი საბლით ჩააბა და ზემოთკენ გააგრძელა ძებნა. მგელამ უკან აირბინა რალაც მანძილზე და გზის პირზე ჩამოჯდა, იქვე, ჩარგლურასთან. კარგა ხნის მერე მეთევზემაც მოაღწია და: — შენი ჭირიმე, ვეღარ წამოვდექი, წელი მაქვს გაშეშებულიო, — მისალმების მერე უთხრა. ახალგაზრდამ ჩანგალი დადო და ფრთხილად დაეხმარა წამოდგომაში. აქ რამდენი თევზი სცოდნია, ამ პატარა წყალშიო. რაც აქა ვზივარ, ერთმა ისეთმა ორაგულმა აიარა, წყალი ზურგს ვერ უფარავდაო, და სხვა უფრო ნაკლები ზომისამ კიდევ რამდენმაო.

მე ჩარგალში მოვიდვიარ და ცოდვილობით მივღწევიო. მოდრეკილი გამოემშვიდობა, მადლობით. მეთევზეც აღმა აუყვა. თვალს რომ მიეფარა, უსწრაფესად დაღმა გაიქცა და იმისი ორაგული ამოხსნა, საბლით გადაიკიდა და ცხენი ვერ დაეწეოდა, ისე დაეშვა დაღმართში... ხევსურეთისკენ მიმავალ გზაზე რომ შევარდა, შეტრიალდა და ცოტა კიდევ ირბინა. მოულოდნელად მოსულმა წვიმამ მოუმატა; თხის მოკლე სახელოებიანი ტყავი გაიხადა, ორაგული ზურგზე გადაიკიდა და თხის ტყავი ზედ გადაიკვა. ვერც კი შეატყობდი, ამხელა თევზი ისე მოთავსდა ზურგის ღარში. წინიდან შემხედვარე ხომ, მითუმეტეს, ვერაფერს შეატყობდა. კარგა ხნის მერე წინ მიმავალი მგ ზავრი შენიშნა, წვიმისაგან თავს ბუერის ფოთლით იფარავდა. დაენია, ვინაობა ჰკითხა. დედულებთან მივდივარ ბარისახოში, ახალას მეძახიან სახელადო. როგორც მთის წესი მოითხოვდა, დანარჩენი აღარ გამოჰკითხა. მე ბაძიას მეძახან და რომკაში მინდა დღეს ავალნიოო, ჩვეულებისამებრ მოატყუა ციცამ. წვიმამ მოუმატა და იქვე, გზის გვერდზე, შემადლებულზე აწლიანის იქით, დიდი პანტის ქვეშ, შევიდნენ. მაგ ადგილიდან შორ მანძილზე გზა უტყეო ველებზე მოდიოდა და მალე, ძალიან მალე დაინახეს, რომ ქოლგაგადაფარებული მღვდელი გაბერილ, ხურჯინაკიდებულ ცხენს დაგრძელებული ავშარით მოუძღვებოდა. წინ წამდგარი ახალა მაგას უყურებდა და:

— ეტყობა, ბარისახოში დანათლა ბავშვები და ძღვენი მოაქვსო. და გოცებულმა ახალა შეხედა, შეხედა და შეკრთა — მის გვერდზე დედიშობილა მგელა, ფეხზეც რომ გაეხადა, წელზე დახვეულ საბელს ორაგულს ამორებდა (ან ორაგული საიდან გაჩნდა!) და ეს ავშარად გამოგადგებო, მიანოდა. როცა განიშნებ, სწრაფად გამოვარდი, ცხენი ჩამომართვი, ავშარა დაუდვიე და ისევ აწლებში დამაღლა, მეც მალე მოვბრუნდებიო. მღვდელმა მაგათ ადგილს თავდახრილმა ჩაუარა, არაფერი შეუნიშნავს და მგელაც გასრიალდა... თან ორაგულის შებმაც მოესწრო წელზე. კატასავით ფრთხილად აჰყვა ცხენს, აღვირი ნაჰყარა და თავზე გადაიკვა. ახალამ საბელი ავშარად მოარგო დატვირთულ ცხენს და აწლებში მიაბრუნა. სწრაფად, სიარულში, ძალიან სწრაფად გააკეთა ორივემ თავისი საქმე და ციცაც უკვე მორჩილად მიჰყვა მის წინ მიმავალ

ქოლგას. ნვიმამ უმატა და შესცივდა ციცას. კაი ხანს მოგყევი-ბიო და ჯერ ფეხი მიადგა და მერე ჩაიცუცქა, მუხლები გაშალა. ფეხებშუა ჩამოკიდებული ორაგული მინამდე დასწვდა.

მღვდელმა „აჩუო“, — კიდეე გასწია საბელს და უკვე ჩამჯდარი, მრგვალად წითელთმაშეჭრილი, გაუპარსავი, მწვანეთვალეზა, ცხვირმაღალი ეშმაკი რომ ველარ დაძრა, მოტრიალდა და დაიღრიალა. ციცა-მგელას პირი ბოლომდე გაეღო და ენა გადმოეგდო. მღვდელმა აღვირი. დააგდო და გაიქცა, მერე ქოლგაც გაისროლა და მუხლებზე დაჩოქილმა ლოცვა დაიწყო, ზურგით ეშმაკისკენ. განაჩენის მოლოდინში ლოცვას უმატა. ვაითუ ვერ ვაგონებო და ხმაამალა, ძალიან ხმამალა, ისე, რომ შორს ისმოდა, ითხოვდა ღვთისგან შველას. მგელას გაუკვირდა, ამდენი როდის გამოვიარეო და უკან გაიქცა, აწწვებამდე მიაღწია და მსხლის ქვეშ შევარდა, შევარდა და გაშეშდა.

ტალახში დაგდებული ლურჯი შარვლის მეტი არაფერი დახვდა, ფეხსაცმელი რაღად უნდოდა ნეტაო?! შარვალის ადღზე გაეხია და დაცალკევებული ტოტები მხოლოდ საწვლესლა ეჭირა.

ახალას დიდი ხურჯინი ალბათ ცხენზე შეჯდომამი უშლიდა და მოხადა: დეკეულის ბარკლებით, წინა ფეხებით და ნეკნებით იყო გატენილი. მგელამ ბალახზე გადმოყარა ყველაფერი. ხურჯინის ყელში სატახტავეჭრილი გააფართოვა. ქვით გაძენდა, რომ თავი გატეულიყო. ცარიელი ხურჯინი გადაიცვა და შარვლის გაცალკევებულ ტოტებში გაუყარა ფეხები; აღვირი რომ წამოყვა მღვდლისგან, იმით შემოიკრა ხურჯინის თვლები, წინ და უკან კალთებად რომ მოერგო და გზაზე გავარდა. მღვდლისკენ გაიხედა. მღვდელს ცოტა გაეხედა და აქეთ წამოსულიყო; და რომ დაინახა, ცხადად რომ დაინახა, ჭრელხურჯინა კიდებულ, ორფეხზე მდგარი ეშმაკად ქცეული თავისი ცხენი, კიდეე მუხლებზე დასაცემად მოემზადა, მაგრამ ეშმაკ მუქარით ფეხები დაუბრაცუნა და მღვდელმაც იკადრა გაქცევა. მგელა ჯერ ცხენის მსგავსად დაოთხილი გაიქცა ზემოთკენ, ვაითუ მღვდელმა კიდეე მოიხედაო და მერე მოუსვა, ისე, რომ აქეთ-იქით აშხეფებდა წვიმას, შიშველი ფეხები კი... არა, შიშველი ფეხებით სირბილი კი, როგორც თვითონაც იგონებდა ამ ამბავს, ძნელი გამოდგა. ახალა! ახალა! ახალას ასავალ-დასავალი და სადაურობა კი სიცოცხლის ბოლომდე არ გაუგია.

ღიალოზი

„დროა ვისწავლოთ ცურვა...“

ახლახან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სამეცნიერო ჟურნალ „სემიოტიკის“ ორგანიზებით ბათუმში ჩატარდა სემიოტიკის პირველი სამეცნიერო კონფერენცია, რომლის თემა იყო „ზღვა ენასა და კულტურაში, ზღვის სემიოტიკა“.

რატომ ზღვა? — ამ კითხვით დაიწყო ჩვენი ჟურნალისტის ანა ბერძენიშვილის საუბარი კონფერენციის საორგანიზაციო და სამეცნიერო კომიტეტის წევრთან ცირა ბარბაქაძესთან, რომელმაც არაერთი საინტერესო რამ გვიამბო ზღვის მეტაფორისა და სიმბოლური მნიშვნელობების შესახებ.

— ბოლო დროს ზღვის თემა გააქტიურდა ჩვენს კულტურასა და სოციალურ გარემოში, რაც შემთხვევითი არ მგონია, — თქვა მან, — რევოლუციის შემდეგ მატარებლის მეტაფორა ზღვის გადაცურვის მეტაფორამ ჩაანაცვლა. გზა ევროპისაკენ ზღვაზე გადის... თუმცა მეტაფორულად ზღვის გააქტიურება კიდეე უფრო მნიშვნელოვანია. ახლახან ბათუმში ჩატარდა არტფესტივალი, რომლის იდეის ავტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი, ცნობილი ევროპელი პროდუსერი კრის ტორში ფესტივალთან დაკავშირებით ასეთ რამეს ამბობს:

„მთელი ეს ვოიაჟი 2002 წელს ერთი იმპულსისაგან დაიწყო: ევროპულ პროექტს ხელახალი შთაგონება სჭირდებოდა. ზღვარი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის წაიშალა. ევროპას ახალი მეტაფორა სჭირდებოდა. ჩვენ ზღვა ავირჩიეთ... 2006 წლიდან მოყოლებული ფესტივალი „ზღვები“ შავი და ჩრდილოეთის ზღვების სანაპიროებზე მოგზაურობს, სთავაზობს რა ჩვენს ხელოვნებას და იზიდავს მაყურებელს,

რაც საპორტო ქალაქების ცხოვრებას ცვლის“.

— როგორც ჩანს, ზღვის იდეით უფრო დიდ პროექტს ვეხმიანებით, რაც დაკავშირებულია ცვლილებებთან, ახალ ხელოვნებასთან, ახალ ნესებთან...

სხვათა შორის, 1981 წელს საქართველოშიც გამოქვეყნდა თამაზ ბერაძის მშვენიერი წიგნი „ზღვაოსნობა ძველ საქართველოში“, სადაც მკვლევარი ქართული ზღვაოსნობის თემას მიმოიხილავს და საინტერესო მსჯელობით აღწერს არა მარტო ნაოსნობის საკითხებს და თავისებურებებს, არამედ მთელ ისტორიულ ფონსაც. ამ წიგნს მაშინ რეცენზიით გამოეხმაურა როსტომ ჩხეიძე. მის წერილში „ზღვა და ქართველები“ სიღრმისეულად არის გაანალიზებული ეს ნაშრომიც და მისი მნიშვნელობაც. ჩანს, საკითხის აქტუალობა ჯერ კიდევ 80-იანი წლების დასაწყისში გამოიკვეთა.

— როსტომ ჩხეიძის ეს ესეი შემთხვევით აღმოვაჩინე, როცა სემიოტიკის კონფერენციაზე ვსაუბრობდით. ეჭვი მაქვს, რომ ჩვენს კულტურულ სივრცეში არ არსებობს საკითხი, რომელზეც როსტომს დაწერილი და ნაფიქრი არ ჰქონდეს, ერთი ასეთი პრობლემა იყო ქართველისა და ზღვის ურთიერთმომართობა, რომელიც კიდეე ერთხელ გააქტიურდა დღეს. როსტომი თავის ესეში ერთ ასეთ ფაქტს იმონებებს — თავის დროზე გალაკტიონს ჩაუნიშნავს დღიურებში:

„1921-22 წ. ქართულ პრესაში გამოჰქვეყნდა ილია ჭავჭავაძის დიდი მეგობრის არტურ ლაისტის წერილი: „ზღვა და ქართველები“. დაახლოებით ამ წერილის შინაარსი ასე-



თი იყო: საქართველოს აქვს მშვენიერი ზღვის სანაპიროები, მიუხედავად ამისა, ქართულ ლიტერატურაში არა სჩანს ზღვის თემატიკა, მოტივები. რუსთაველის უკვდავ „ვეფხისტყაოსანში“ ზღვა მხოლოდ გაკვრითაა ნახსენებო და სხვა. დასკვნა ისეთი იყო, რომ ქართველებს თითქოს საზოგადოთ არ უყვართ ზღვა. მართალი არის თუ არა არტურ ლაისტის ეს შეხედულება, ეს მკვლევარების საქმეა, ერთი რამ კი უდავოა, ზღვის თემატიკა ქართულ ლიტერატურაში რუსთაველის შემდეგ არა სჩანდა, ეს მოძრაობა დაინყო მხოლოდ მეოცე საუკუნის ქართულმა ლიტერატურამ“.

რეცენზიის დასასრულს კი როსტომ ჩხეიძე დაასკვნის: თამაზ ბერაძის წიგნი კი გერმანელი სწავლულის მიერ წამოჭრილ საკითხებს სულ სხვაგვარად გაგვააზრებინებსო.

დამოუკიდებელი საქართველოს ერთ-ერთი მესაჭე გრიგოლ ლორთქიფანიძე 1925 წელს თავის „პოლიტიკურ ანდეგრძში“ წერდა:

„შავ ზღვას უნდა შეეცხოვროთ და დაუშობილდეთ; დროა, ვისწავლოთ ცურვა, თორემ საკაცობრიო კულტურამ გაიარა სამდინარო, საზღვაო, საოკეანო კულტურის პერიოდები და კინაღამ საპაერო ოკეანის სტადიაში გადადის, და ჩვენ კი, ასე ვთქვათ, პალიასტომის ეპოქაშიც კი არ შევსულვართ, მგონი... მით უმეტეს უნდა დაუშეგობრდეთ ზღვას, რომ ჩვენთვის დიდი ხანია, გადანყვეტილია ერთი ძირითადი საკითხი — კულტურული ორიენტაცია ევროპაზე“.

ასე რომ, ქართველისა და ზღვის საკითხი თასიდან თასში გადადინებული პრობლემაა.

— სწორედ ამ თემას ეხმიანება გიგი თევზაძის ესეე „ქართველი და ზღვა“, რომელიც ინტერნეტ-სივრცეშიც გამოქვეყნდა და ახლახან „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებიდანაც გაიცნო მკითხველმა...

— სხვათა შორის, ამ ესემე ფეისბუქში საინტერესო დისკუსია გამოიწვია. სწორედ ამ წერილში დასმული პრობლემა გახდა სტიმული სემიოტიკის კონფერენციის თემად ზღვის სემიოტიკა გამოცხადებულიყო. გიგი თევზაძის აზრით, ქართველებისა და ზღვის შესახებ არსებულ წარმოდგენათა კომპლექსი (ანტიზღვაური) ძირითადად საბჭოთა დროს შეიქმნა და საბჭოთა ხელისუფლებაც, ნებისით თუ უნებლიეთ, ცდილობდა ამ წარმოდგენის კულტივირებას და წარმატებით მოახერხა კიდევ. ამ წარმოდგენის გავრცელების პოლიტიკური მოტივი ცხადია — ქართველებს არ უნდა გასჩენოდათ სურვილი ზღვის გადალახვით და გავლით მოხვედრილიყვნენ სასურველ ადგილას. ერთადერთი გზა, რომელიც საქართველოს მისთვის სასურველ სამყაროს — ევროპას დააკავშირებდა, რუსეთზე და სამხედრო გზაზე გავლით უნდა მომხდარიყო.

— ინტერნეტსივრცეში გამართული დისკუსია ახსენეთ, ამ მსჯელობიდან უთუოდ გამოიკვეთებოდა საზოგადოების დამოკიდებულება ესეში წამოწეული საკითხების მიმართ.

— დისკუსია ძირითადად ქართველებისა და ზღვის შესახებ არსებულ წარმოდგენებს შეეხებოდა და მრავალპლანინანი იყო. ამ კითხვაზე პასუხი რომ გაცვით, რამდენიმე კომენტარი უნდა მოვიყვანო ნიმუშად. მაგალითად, **გია მურღულიას** აზრით, ძალიან საინტერესო (და დამაფიქრებელი) მსჯელობაა. სწორი კითხვებია და „სახიფათომდე“ სიმართლესთან მისული პასუხები. ქართული და ზღვა დღემდე ისე გამოიყურებიან ერთმანეთის სიახლოვეს, როგორც ეკლესიაში ერთად მისული ნეფე-პატარძალი, რომლებიც იქიდან ცალ-ცალკე გამოვიდნენ, მაგრამ ეს წერილი გვაუწყებს,

რომ საქმე ამგვარად ტრაგიკულად არ ყოფილა. კარგ ფიქრად ღირს ეს ყველაფერი.

კობა ჭუმბურიძე მითოსურ წარსულში ეძებს ამ საკითხის ფესვებს და წერს, რომ მითი ევროპეს მოტაცებაზე შესაძლოა ასეც წავიკითხოთ: რაკილა მომავალმა ევროპელებმა თავად ვერ მიაგნეს ევროპეს, ახალ სამყაროში დასამკვიდრებლად მომწიფებულმა ზევსმა გაიტაცა იგი და ამოზინა შუალედური რგოლი — მინოსი, რომელსაც შორეული, საოცნებო კოლხეთიც შემოუერთდა აიეტის დის, პასიფაეს სახით, ანუ კოლხურმა ღვთაებამ წინააზიური კულტურა გაიტანა ევროპაში. როგორც მახსოვს, ეს გატაცებაც ზღვით მოხდაო.

გია მარიამიძე მიიჩნევს, რომ შავი ზღვის ადგილას ადრე ქვეყანა იყო, სადაც ხალხი მხოლოდ ხელოვნებით, შემოქმედებით იყო დაკავებული. არ ომობდნენ, არ ენეოდნენ მინათმოქმედებას და არ ვაჭრობდნენ. მერე ის ცნობილი ზღვის მოქცევა მოხდა და ამ ხალხს თავისი ქვეყნის დატოვება მოუწია. გაიფანტა ეს შემოქმედი ხალხი სხვადასხვა მხარეს და მთელ მსოფლიოს მოედო. ყველა მხატვარი, მწერალი, მუსიკოსი მათი შთამომავალია...

— საინტერესო მოსაზრებებია. სამეცნიერო კონფერენციამ კი ალბათ მნიშვნელოვან კვლევებს მოუყარა თავი...

— ნამდვილად ასეა. რაც მთავარია, ქართულ ენასა და კულტურაში „ზღვის მიმოქცევა“ ადასტურებს, რომ ზღვა ქართველის ბუნების ნაწილია და თუ იგი დროებით დაშორდა ზღვას, ახლა დროა, მიუბრუნდეს და გაააქტიუროს ცნობიერებასა და ცხოვრებაში; თავსმოხვეული „ზღვა, რომელიც შორია“, ახლობლად აქციოს და ხელახლა მოიმიწაუროს, მითუმეტეს, რომ ახლა ზღვა ჩვენთვის ევროპისკენ ფანჯრად იქცა. ის ჩვენთვის დაიკარგა არა მხოლოდ მენტალურად, არამედ ფიზიკურადაც, და რომ დავიბრუნოთ, ჯერ ცნობიერებაში უნდა შემოვიყვანოთ.

ამ კვლევებმა ზუსტად ის დაასაბუთა, რომ ზღვა ჩვენი ნაწილი იყო (და არის) მითებში, ფოლკლორში, მხატვრულ ლიტერატურაში, ენაში და, საერთოდ, კულტურაში... და ახლა ეს ყველაფერი „გასახსენებელია“ და დასაბრუნებელი.

— კონფერენციაზე თქვენი მოხსენების თემა ასეთი იყო: „ზღვის სემიოტიკური ველი ქართული ენის მასალების მიხედვით“. იქნებ ამაზეც გვითხრათ ორიოდ სიტყვით.

— ჩემი ნაშრომი შეეხებოდა იმას, რომ „ზღვა“ უძველესი საერთოქართველური ფუძეა (ასეთი ფუძეები კი ცოტაა ენაში). საერთოდ, ლექსიკაში კრისტალიზებულია სიტყვის ისტორია და ფუნქცია, ანუ სახელი არ გაჩნდებოდა, თუ მას შესაბამისი ფუნქცია არ ექნებოდა. შეიძლება რაღაც იყოს ჩვენი გეოგრაფიის ნაწილი, როგორც ზღვა, მაგრამ ფუნქციის გარეშე ლექსიკის აქტუალიზება არ ხდება.

კონფერენციაზე ძალიან ბევრი კარგი ნაშრომი იყო წარმოდგენილი, აქ ყველაფერზე ვერ ვისაუბრებთ. დაინტერესებულ მკითხველს კი ვაცნობებთ, რომ უკვე გამოვიდა სამეცნიერო ჟურნალ „სემიოტიკის“ მე-8 ნომერი, რომელშიც კონფერენციის მასალებია დაბეჭდილი.

— გისმენთ და ასე მგონია, ეს ყველაფერი მეტაფორის დანიშნულების ფარგლებს სცდება და უფრო შორს მიდის.

— უფრო შორს მიდის, რა თქმა უნდა... კვლევა თავისთავად ხომ გულსხმობს სიღრმეებში ჩასვლას. ჩვენ ვცდებით ფიზიკურ სამყაროს და მივდივართ ელემენტთა არსისეული გაგებისკენ. წყალი ხომ ერთი მთავარი ელემენტია ოთხთაგან... ყოველთვის, როცა ჩვენ ვიკვლევთ რაიმეს, ვსწავლობთ და ვეცნობით საკუთარ თავს...

ელენე ამალლობელი

„პითარცა კლდოვანი კედელი“

წელსაც შეკრებილიყო საზოგადოება ილიაობის აღსანიშნავად. წელსაც მთელი საქართველო მიაგებდა პატივის წმიდა ილია მართლის ხსოვნას.

საგურამოშიც მოიყრიდნენ თავს, ისინი მაინც, ვინც იცის, რომ უკვე მერვე წელია ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმისა და ილიას ფონდის ძალისხმევით, შპს „კალასის“ თანადგომით, ამ დიდი მოღვაწის კარ-მიდამოზე ქართული კულტურის ყოველწლიურ წარმატებებს აჯამებენ და სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულებს ილიას სახელობის ჯილდოს — „საბუჩაბა“ — გადასცემენ.

ლიტერატურული პრემიები, ხელოვნებისა და ჰუმანიტარული მეცნიერების დარგებში დაწესებული ჯილდოები და მედალი ქართული კულტურისათვის განუვლი განსაკუთრებული ღვაწლისათვის წელს ასე გადაიწინადა:

- პროზა — **ოტია იოსელიანი;**
- პოეზია — **მანანა ჩიტიშვილი;**
- ტარიელ ხარხალაური;
- თარგმანი — **თამარ კოტრიკაძე;**
- ხელოვნება — **ზაურ ბოლქვაძე;**
- ჰუმანიტარული მეცნიერება — **ნოდარ ტაბიძე;**
- ილიას მედალი განსაკუთრებული ღვაწლისათვის — **მერაბ ბერძენიშვილი.**

— რომ არა ილია, დღეს აქ, მისი სახლის ეზოში ვერ შევიკრიბებოდით... ან ვიქნებოდით კი საერთოდ. ამიტომ თითოეული ჩვენგანის ვალია, ყოველ წელს შევიკრიბოთ და გავერთიანდეთ მთელი ერისათვის იმის შესახსენებლად, რომ ილია საქართველოს მამაა და მამის ხსოვნას გაფრთხილება სჭირდება, — ასე (ან დაახლოებით ასე) იწყება ყოველ წელიწადს დაჯილდოების ცერემონიალი, რომელსაც საგურამოს სახლ-მუზეუმის დირექტორი **ანდრო ბედუკაძე** ხსნის და შეკრებილებს კიდევ ერთხელ მოუხმობს დიდი ილიას ღვაწლზე სასაუბროდ, სულ უფრო და უფრო რომ ათვალსაჩინოებს დროის გადასახედი.

— ილია არ იყო მარტო მწერალი, პოეტი ან საზოგადო მოღვაწე, იგი ღვთისგან მოვლენილი იყო, მხსნელი იყო ჩვენი დაღუპული ქვეყნისა. ჩვენ როგორც ახლა არ გვეკითხება ჭკუა, ისე არ გვეკითხებოდა მაშინაც. ვჭუჭყუკებდით რუსულად, სახლშიც სხვათა შორის, და პირს არ გვწვავდა, რუსის სამსახურში ვდგებოდით, ჩინოვნიკები ვხდებოდით და არ გვეთაკილებოდა, როგორც მოგვიანებით რაკომის მდივნობა.



დაჯილდოების ცერემონიას ხსნის ილიას მუზეუმის დირექტორი ანდრო ბედუკაძე

და, აი, ამ დროს ჩამოდის ილია საქართველოში... და ეს მოვლინება ღვთის წყალობა უფრო მგონია.

არ ვიცი, რამდენად მიზანშეწონილია მწერლობაში პრემიების დარიგება. არც ილიას და არც იმ თაობას ჩინ-მედლები არ ჰქონია, ისინი პრემიებს არ არიგებდნენ, სულიერებას ანანილებდნენ ქართველობაში და სულს უბერავდნენ ეროვნულობას. მაგრამ თუ საქართველოში უნდა გაიცეს რამე მსგავსი, ყველაფერი ილიას სახელს უნდა უკავშირდებოდეს და მაღლობის მეტი რა მეთქმის ამ დიდი ჯილდოსათვის, — აღნიშნავს თავის კოლორიტულ გამოსვლაში **ოტია იოსელიანი**.

მანანა ჩიტიშვილი კი ილიას სახელს ჩვენი ცნობიერების ლაბირინთებს რომ გამოატარებს, როგორც „საქართველოს თანამდევ, უკვდავ სულს“, დღემდე განუშორებლად რომ მოჰყვება ჩვენს ისტორიას და არავის ეპარება ეჭვი, რომ იგი ცოცხალზე უფრო ცოცხალი, თანამედროვეზე უფრო თანამედროვეა. პოეტის მიერ უწმინდეს ცნებებად აღიარებული „მამული, ენა და სარწმუნოება“ ჯერაც უმწვავეს პრობლემებად რჩება ჩვენი ერის ცხოვრებაში და თუ ილია ჭავჭავაძეობას ვერ შევძლებთ, იმას მაინც უნდა ვეცადოთ, საქმით ვიაროთ ილიას გზით და საქვეყნო სატკივარს გაუფსნოროთ მზერა“.

ილიას მზერა კი აქედან სწვდებოდა თავისი ქვეყნის ცასა და მიწას, ამ სიმალიდან გაჰყურებდა საკუთარი სამშობლოს წარსულსა და მომავალს.

— აი, იქაც ნავიდეოთ რა, ის ადგილებიც ვნახოთო, — სთხოვდა საგურამოს აღმართიდან მომზირალი არტურ ლაისტი ილიას, ის კი:

— აქედან რა, არა ჩანსო, — მიაგებებდა პასუხად, მიაგებებდა, რადგან ყოველი წუთი და წამი საკუთარი სიცოცხლისა თავისი ქვეყნისათვის უნდა გაეხარჯა, ერის სულიერების გადარჩენა ეჩქარებოდა, აქეთ ესწრაფებოდა, თორემ დასალუპავად განწირულიყო მისი ქვეყანა.

„ილია ალუდგა ამ ბოროტებას ვითარცა კლდოვანი კედელი. ამ ჭიდილში მისმა სიმტკიცემ და გენიამ შეგვიწარმუნა ქართული სულიერების საზრდო — ენა, და მისი წყალობით დღეს ამ ენაზე ვსაუბრობთ.“

ჩემს ბავშვობაში ილიას შემოქმედებამ მაზიარა დიდებულ განცდას, სამშობლოს სიყვარული რომ ჰქვია და მერე ეს სიყვარული (და შრომა) იყო ჩემი შემოქმედების მეგზური.

როცა ილიას პრემიით დაჯილდოების შესახებ შევიტყვევ, სასიამოვნო ინფორმაციას გადაჩვეულმა ვერ აღვიქვი ეს სასიხარულო ამბავი. ამიტომ მიზნდა ახლა გადავუხადო მაღლობა ყველას, ვინც ჩემს მოღვაწეობას ასეთი შეფასება მისცა და ილიას პრემია მომანიჭა“, — დაუწერია თავის სეფესიტყვაში **მერაბ ბერძენიშვილს**, რომელიც დაჯილდოების ცერემონიალს ვერ დაესწრო და სამადლობელი წერი-

ლიც მისმა მეუღლემ **კირა მიქელაძემ** ნაიკითხა. ქალბატონმა კირამ საგურამოს მუზეუმს თავისი ოჯახის რელიკვია, ილიას უახლოესი მეგობრის, კოტე აფხაზის სურათი გადასცა.

სალამოს ვერ დაესწრო **ზაურ ბოლქვაძეც**, ვისი წერილიც შეკრებილ საზოგადოებას **თამაზ ტყემალაძემ** გააცნო. სამადლობელ მიმართვაში ბატონი ზაური იხსენებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სცენაზე „ქართულ ხმებთან“ ერთად შესრულებულ სიმღერებს, შექმნილს ილიას ლექსებზე და მათ შორის გამოარჩევს „ასეთი უცნაური შინაგანი ბუნების სიმღერას „ჩემო კარგო ქვეყანავ“, რომლის ჰიმნისებურ ლექსსა და მელოდიაში აფლერებული ფრაზები, ახლაც ასე რეალურ ფონზე ისმინება. ეს ის რეალობაა, რომელიც კვლავაც მარადიულ სიფხიზლეს საჭიროებს ქართველობისგან, რომ ახალმა ქართველებმა არ მოგვირდვიოს ბურჯი ჩვენი ეროვნულობისა... ილიამ კი...

— ილიამ, ერის ამ მარადიულმა სიფხიზლემ, სულ ერთი წამით მოუხუჭა რეალობას, ცხოვრებას თვალი და ისიც საკუთარ სიცოცხლეს. სანამ მოკვდებოდა მისმა ქუთუთომ მანამ მოასწრო შესიებულ წიაღში თვალის კაკლის შემალვა. თითქოს თანამემამულეების მაგივრად ახლაც მას შერცხვა, თითქოს არაფერიც არ დაუნახავს. ეს თვალისმოხუჭვა ერთგვარი თანაგრძნობაც იყო მისი გაუბედურებული ხალხისადმი. ხოლო რაც შეეხება „ჩემო კარგო ქვეყანას“ — სიყრმის მეგობარივით რომ დაადო ხელი საკუთარ სამშობლოს მხარზე, თვით წინამურის ტყვიამაც კი ვერაფერი დააკლო. ვერ დააცილა ერთმანეთს. დღემდე ხელიხელგადახვეულები მოდიან ეკლიან გზაზე ორივე, — თქვა **მაკა ჯოხაძემ** თავის სიღრმისეულ გამოსვლაში, ჩვეულებრივ, ფიქრისა და განსჯისათვის რომ განაწყობს ხოლმე მსმენელს და თვალნათლივ გვიჩვენებს მის, როგორც შემოქმედებით, ასევე პიროვნულ მრწამსსაც.

თამარ კოტრიკაძემ კი მთარგმნელის მრწამსზე ისაუბრა, იმ სიღრმეებზე, სადამდე ჩასვლაც მხოლოდ ერთი ენის სივრციდან მეორეში გადატანისას არის შესაძლებელი, რადგან თარგმანი, მისი აზრით, ჭეშმარიტი კითხვაა, რომლის დროსაც უშინაგანესი კავშირი მყარდება მთარგმნელსა და ავტორს შორის. მან ტოლკინის სიტყვებიც მოიხმო იმის შესახებ, რომ „ხელოვანი უზენაესი შემოქმედის მაგალითს მისდევს და მეორად სამყაროს ქმნის“... ეს კი თარგმანს უაღრესად საპატიო და საპასუხისმგებლო საქმედ აქცევს.

ნოდარ ტაბიძემ აღნიშნა:

— ჩემი დამოკიდებულება ილიასადმი უხერხული თემაა, გულწრფელად გითხრათ, ვერიდები ჭრილობათა გაშიშვლებას და მით უფრო, ჭერში ქუდის სროლას. ილია ჩემი ტკივილიცაა და სიხარულიც; მკაცრი ოსტატი და მოწყალე დამრიგებელ-მომფონებელი. სათქმელი მაინც უნდა ითქვას. ჩვენს ოჯახში ილიას კულტი მეფობდა და მეფობს. ჭყვიშში სამსაუკუნოვან დიდ ზანდუკში ჩაეკტილია ძვირფასი საოჯახო ნივთები, საგვარეულო არქივის თვალსაჩინო, ჯერ კიდევ უცნობი ნაწილი. აქვეა 1891 წლის „ივერიის“ ერთი გაცრეცილი ნომერი, რომელშიც ბიძაჩემის — ვასილის დაღუპვასთან დაკავშირებით საგულისხმო წერილია დასტამბული. ახლა გავიხსენოთ გალაკტიონის, ტიციანის, აბესალომის ნაწერები. ილიას პრემიის დამაარსებლები ჩვენი ინტელექტუალური ცხოვრების გაძლიერება-გაღრმავებას ესწრაფიან. ეს ჩინებული საქმეა და ყოველმხრივ მხარდაჭერას იმსახურებს.

ტარიელ ხარხელაურმა კი:

— მიზანი ჩვენი აქ შეყრისა მხოლოდ ილიას დაბადების დღე არ უნდა იყოს, აქ მარტო ამან არ უნდა მოგვიყვანოს. არა მგონია, დიდად ესიამოვნოს თანამდევ სულს საქართველოსას, თუ ჩვენს აქ შეკრებას საფანელად ტკივილს არ დაუდებთ, ტკივილს ერისას. ამგვარად ვფიქრობ და თუ ამ ფიქრმა თქვენიც სააქეთოდ გადმონონა, ნება მომეცით ილიას სიტყვებითვე დავიწყო: „რა გითხრათ, რით გაგახაროთ!“

რა კარგად ეხმიანება ჩვენს ახლანდელ ყოფას. რა გითხრათ, სათქმელი და თავში სახლელი ახლაც ბევრია. გახარებისა კი ვერაფერს გეტყვით, ვერაფერს დაგაიმედებთ. საუბარს ილიაზე მაშინ აქვს აზრი, როცა მთლიანად ვრი ილიათი იცხოვრებს, როცა გონებას ერისას დვრიტად ილიას სიბრძნეს დაუდებთ.

კაცობრიობა შეცდა მაშინ, როცა ბარაბას გზით სიარული არჩია, საქართველო კი მაშინ, როცა ილიას გზა საეჭვო გახადა.

შედეგი, კაცობრიობისთვისაც და საქართველოსთვისაც, ნათელიაო.

ეკა ბუჯიაშვილი

რისტვის ღირს ცხოვრება

თვითონაც ერთი ჩვეულებრივი ბავშვი იყო.

მასაც ჰქონდა თავისი სამყარო, რომელიც ერთ დროს საკუთარი ეზო-კარივით შემოელობა, თავისი ბავშვური ოცნებებით დაესახლებინა და სურდა, ერთ მშვენიერ დღეს სცენაზე დამდგარიყო და ისევე მოეხიბლა ირგვლივ ყველა, როგორც მას უფართოვდებოდა თვალეები სხვისი მოსმენისას.

ოჯახურ გარემოში ხშირად მღეროდნენ, და უფროსებს ყოველთვის უკვირდათ, რომ ეს პატარა გოგონა ასაკისთვის შეუფერებელი სერიოზულობით ეკიდებოდა ამ საქმეს.

მერე მეოთხე მუსიკალური სკოლა იყო და კიდევ — მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე, სადაც ბადრი ტულუშის კლასში სწავლობდა და მის ვაჟთა ვოკალურ ანსამბლს „ნადურს“ მალე სამი გოგონა რომ შეუერთდა, ერთ-ერთი ჩვენი ამბის გმირიც იყო. დაიწყო თავბრუდამხვევი გასტროლები, ფესტივალები, კონცერტები...

აი, ასე შედგა ფეხი პროფესიულ სცენაზე **სოფიო კუჭავამ** და ის სამყარო, ის საოცარი სამყარო — თავისი ეზოკარიანად და ოცნებებიანად — ერთ მშვენიერ დღეს მართლაც რეალობად ქცა.

თამარ ჭოხონელიძესთან სწავლისას კიდევ უფრო მეტად გაისივრდა ის, რასაც სიმღერა ჰქვია.

ამბობს, რომ როცა კულისებიდან გამოდიხარ, იმ სამყაროს კარს აღებ, სადაც საკუთარ თავს აღარ ეკუთვნი. შენ ხარ მაყურებლისთვის, რომლის წინაშეც მართალი უნდა იყო, უნდა შეგეძლოს გულწრფელად უამბო მას შენი ტკივილისა თუ სიხარულის შესახებ; შუამავალი უნდა გახდე ტექსტის ავტორს, კომპოზიტორსა და მსმენელს შორის. ამიტომაც მიიჩნევს, რომ სიმღერა ურთიერთობასა და თანაზიარობას გასწავლის.

სწორედ ამ გულწრფელობით და, რაც მთავარია, ნიჭი-ერებით შეაბიჯა მან მუსიკის დიად და უჩვეულო სამყაროში, და ნარმატებებმაც არ დააყოვნა.

* * *

მას თუ ჰკითხავთ, შენი საყვარელი სიმღერა რომელიაო, არც კი დაფიქრდება, ისე გიპასუხებთ, რომ ეს არის „ქარი კვლავ არხევს“, რომლის უბადლო შემსრულებლაც ინოლა გურგულიას მიიჩნევს.

სწორედ ეს სიმღერა, კიდევ რუსული რომანსი და „იას სინაზე“ გაგზავნა კონკურსზე, რომელიც იმხანად უჩვეულო სი-ახლე იყო — როცა ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში რეკლამა გამოჩინდა მუსიკალური პროექტის — „ნუცას სკოლა“ — შესახებ, დედამ თქვა, მოდი ვცადოთ... და სცადა.

სიმღერები სახლის პირობებში ჩანერა და ახლა რომ იხსენებს, ეღიმება... ეღიმება... ხან გიტარა ისმოდა უფრო მეტად, ხან ჩემი ხმაო, — ამბობს.

დაუძახეს.

მივიდა თავისი სავიზიტო ბარათით — გიტარით... და შეარჩიეს.

ასე დაიწყო მის ცხოვრებაში სრულიად ახალი ეტაპი.

აჩიკო ნიჭარაძე, სოფო ბედია, ნოდiko ტატიშვილი, სოფო ხალვაში, ვლად არამოვი, გიორგი შარაბიძე, ნინი შერმადინი, ზვიად აბაშიძე, ლიკა შუბითიძე, ელენე ფოჩხუა, სალომე კორკოტაშვილი... რომელი ერთი ჩამოგიტვალოთ. ეს სახელები სწორედ მაშინ გაიცნო მსმენელმა და მოხდა ისე, რომ ამ პროექტის თითქმის ყველა მონაწილემ საკუთარი თავის დამკვიდრება შეძლო.

სწორედ მათთან ერთად გაიარა ძალიან დიდი კონკურსი სოფომაც და ნახევარფინალამდე მივიდა.

ეს იყო უზარმაზარი გამოცდილება.

ეს იყო შანსი, სტიმული, ტრამპლინი... რადგან საქმე ტელეპროექტს ეხებოდა, სიახლეს, რომელმაც პირველივე ეთერიდან მოიპოვა პოპულარობა. მონაწილეებს ქუჩაში ცნობდნენ. მათ მიმართ სიყვარულს გამოხატავდნენ... ამას მოჰყვა კონცერტები, მონვევები, გამოსვლები სხვადასხვა სცენაზე... და ისინიც მთელი სიმძაფრით იგემონებდნენ პოპულარობის გამაბრუნებელ სიტკბობას.

16-17 წლის ასაკში ეს ძალიან ბევრია, იმდენია, იმდენი... ხანდახან გგონია, ვერ მოერევი...

თვითონ ამბობს, რომ პოპულარობა უწინარესად პასუხისმგებლობაა იმ მაყურებლის წინაშე, რომელმაც შეგიყვარა... და თუ აქამდე ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობდი, ახლა უფლება აღარ გაქვს, ხვალ უფრო უკეთესი არ იყო, ვიდრე დღეს.

ამ პროექტმა მის ცხოვრებაში ყველაფერი შეცვალა.



სოფიო კუჭავა

მერე... „ჯეოსტარი“ იყო.

ეს მუსიკალური კონკურსი თავდაპირველად ტელეკომპანია „მზის“ ეთერით გაიცნო მაყურებელმა. პირველ წელიწადს შესარჩევ ტურზე გასვლისაგან თავი შეიკავა.

— „ნუცას სკოლა“ ახალი დამთავრებული იყო. კონკურსი კი, მოგეხსენებათ, დიდ ენერჯიას გართმევს და ძალების მოკრება მჭირდებოდაო. კიდევ: ახალი ტელევიზია უნდა გახსნილიყო თემო რცხილადის ხელმძღვანელობით, ამისთვის ვემზადებოდით და ორი კურდღლის მადევრობას მოვერიდეთ.

მერე ისე მოხდა, რომ ეს პროექტი ჩაიშალა და მეორე წელიწადს უკვე პოპულარობამოპოვებულ „ჯეოსტარში“ სცადა ბედი. და კიდევ ერთი ახალი ეტაპი დაიწყო.

ამჯერად მხოლოდ ტელევიზიით კი არა, დიდ სცენაზე უნდა გემღერა, გადაჭედილ დარბაზში და უშუალოდ მაყურებელთან გქონოდა კონტაქტი.

ახლა პირისპირ გაფასებდა ყოფილი, შენი ბედი დამოკიდებული იყო ესემესებზე... და აკომპანიმენტს გინვედა არაჩვეულებრივი ბენდი (ნოდარ ექვთიმიშვილი, გია სალალიშვილი, პაატა ანდრიაძე)... ამაზე მხოლოდ ოცნება თუ შეგეძლო... და უცებ ყველაფერი ერთად რეალობად ქცეულიყო. ის ბავშვობისდროინდელი ზღაპარი მთელი სიცხადით ამხდარიყო... და ბედნიერებისგან სუნთქვაშეკრულს ხშირად უთქვამს:

— ეს კონკურსი იმდენს გამატებს, იმხელა გამოცდილებაა, გამარჯვება მნიშვნელოვანი აღარც კი არისო.

ნახევარფინალამდე მივიდა. მხოლოდ ერთი — ხალხური ტური არ უმღერია, მაგრამ გული არ სწყდება, რადგან ამ ყველაფერმა მას ბევრი რამ ასწავლა, გამოცდილებასთან ერთად უამრავი მეგობარი შესძინა და, რაც მთავარია, მაყურებელმა შეიყვარა.

მერე?

მერე იყო გარკვეული სირთულეები ცხოვრებაში და ყველაზე დიდი საჩუქარი ღვთისგან — თათუკა.

* * *

თათუკა ერთი ციდა ქერაკულულებიანი გოგოა.

მას ამქვეყნად ყველა და ყველაფერი და კიდევ სიმღერა უყვარს.

ბებო ამბობს, თათუკა ძალიან ნიჭიერი გოგოაო.

დედა ამბობს, როცა თათუკა გაიზრდება, ალბათ სცენაზეც დადგება, თუმცა მთავარი არც ეს არის, მთავარია იგი კარგ ადამიანად ჩამოყალიბდეს და აუცილებლად, აუცი-ლებ-ლად ბედნიერი იყოსო.

თუ სტუმრად ეწვევით, თათუკა პირველი შემოგეგებებათ, თავის მეგობარ სათამაშოებსაც გააცნობთ და მას-პინძლობაში ტოლს არ დაუდებს ოჯახის დიასახლისებს.

თათუკა მთელი დღე „საქმიანობს“, თავის „შვილობილბსა“ და ფერად-ფერად მეგობრებს მზრუნველი სახით აპურებს, არწყულებს და უნანავებს, ოღონდ როცა დედა შინაა, მთელი ეს სამყარო, თავის შვილობილებიანფერად-ფერადმეგობრებიანად, დედის გარშემო იწყებს ტრიალს და ერთი ნუთითაც არავის უთმობს მის თავს.

თათუკას ლამაზი თვალები აქვს და ამ თვალებში ვარსკვლავები ციმციმებენ, თუმცა რა ვარსკვლავები, უზარმაზარი მზეები ანთია, ყოფიერების გამნათებელი და გამათბობელი.

ბებო ამბობს, თათუკა ძალიან თბილი და მოსიყვარულე გოგოაო.

დედა ამბობს, რომ თათუკა ის გოგოა, რომელიც თავისი არსებობით უბედნიერეს ადამიანად აქცევს და უფლებას არ აძლევს ცხოვრებას თვალი მოუხუჭოს — მან უნდა იბრძოლოს, უნდა მიაღწიოს, უნდა შექმნას... იმიტომ, რომ თათუკა აუცილებლად, ა-უ-ცი-ლებ-ლად ბედნიერი იყოს.

და თათუკას ბედნიერება რას ნიშნავს?

ეს ისეთი რამაა, ისეთი... აბა როგორ გითხრათ, ამისთვის ცხოვრება ღირს!

პირად ცხოვრებაზე საუბარი არ უყვარს, უბრალოდ ამბობს, რომ თანაცხოვრება უნინარესად თანადგომაა. მითუმეტეს, როცა ორი ხელოვანი ადამიანი ქმნის ოჯახს. ეს დიდი პასუხისმგებლობაა და ორივე მხარე უნდა ეცადოს, ერთმანეთს მხარში დაუდგენენ.

ცხოვრებაში ყველაფერი ხდება. მისი ყოფაც ისე აენყო, რომ გარკვეულ სირთულეთა გადალახვა მოუწია. ამის გამო ცოტა ხნით კულისებში დარჩა.

— სცენას განწყობა სჭირდება, მე კი ჩემი მდგომარეობის გამო ვერ შევძლებდი ასეთი დიდი ტკივილით გამოვსულიყავი სცენაზე, ვერ ვიფიქრებდი სიმღერასა თუ ტექსტზე და, შესაბამისად, ვერც გულწრფელი ვიქნებოდი მაყურებლის წინაშეო.

მერე... აღმოაჩინა, რომ სიმღერის გარდა ცხოვრებაც ბევრ რამეს გასწავლის — ერთ დღეს უბრალოდ გაცნობიერა, რომ დადგა ეტაპი, როცა საკუთარი შესაძლებლობების სრულყოფილად გამოვლენაზე უნდა ეფიქრა, რადგან შვილი უნდა გაეზარდა, თავი უნდა გაეტანა... და სურდა, ეს ყველაფერი თვითონ გაეკეთებინა, საკუთარი ძალებით.

ერთხანს TV-ლოტოს სახეც იყო და აი, სწორედ ერთ-ერთი გადაცემის შემდეგ რეჟისორმა დათო კიკვაძემ (კულუმბურა) უთხრა, რომ საპატრიარქოს ტელევიზიაში ახალი გადაცემები მზადდებოდა და ქეთი დუმბაძისთვის მიემართა. ტელევიზიაში მისულს ქეთი დუმბაძემ უთხრა, რომ ერთ-ერთი გადაცემის წამყვანის როლში ხედავდა... და კიდევ შედგა მისი დებიუტი დილის გადაცემაში „განთიადი“.

ექსტრემალურ რეჟიმში მუშაობა მისთვის უცხო არ ყოფილა, სცენაზეც არაერთხელ აღმოჩენილა ასეთ ვითარებაში, და არც არასოდეს დაბნეულა, მაგრამ პირდაპირი ეთერი, წამყვანის როლში, სულ სხვა რამ აღმოჩნდა. იმხანად ჟურნალისტობაც მოსინჯა და რამდენიმე სიუჟეტიც მოამზადა. ყველაფრისთვის კი სტიმული ის არაჩვეულებრივი გარემო აღმოჩნდა.

— აქ მხოლოდ ჯანსაღი ურთიერთობები, თანადგომა და ერთსულოვნება სუფევს... ეს ძალიან ბევრს ნიშნავს და ძალიან მადლობელი ვარ თითოეულის, რეჟისორის, ოპერატორების, ჟურნალისტების, ტექნიკოსების, მძღოლების.. ერთი სიტყვით მთელი შემოქმედებითი ჯგუფის. პირდაპირი ეთერის დროს ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მაგრამ იცი, რომ აქ ყველა გვერდით გიდგას და გეხმარება, თუნდაც იმ ერთი ფრაზითაც, ყურში რომ ჩაგესმის რედაქტორ მართა კასრადის სიტყვები:

— სოფო, კარგი იყო!

მადლობელი ვარ ტელევიზიის ხელმძღვანელის, მეუფე პეტრესი და ასევე „განთიადის“ ხელმძღვანელის, ელისაბედ აბულაძისა, რომ მომცეს საშუალება ვყოფილიყავი „ერთსულოვნების“ დილის გადაცემის ერთ-ერთი წამყვანი.

სოფოს კიდევ ერთი სამსახური აქვს ასეთი გრძელი სათაურით — ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, რომელსაც გიორგი ხიზანიშვილი ხელმძღვანელობს. სოფო ამბობს, რომ მისგანაც და სხვა თანამშრომლებისგანაც დიდ სითბოს, სიყვარულს, მხარდაჭერასა და გულისხმიერებას გრძნობს და მადლიერია მათი.

იქ იგი საზოგადოებასთან ურთიერთობას ხელმძღვანელობს.

ყველაფერი თავისთავად ლავდება — ეს საქმე სოფოს ნამდვილად კარგად ეხერხება, მაგრამ... საზოგადოებას ის მაინც სცენაზე შეიყვარა და მოინატრა კიდევ მომღერალი სოფო კუჭავა.

და თუ ამის შესახებაც ჰკითხავთ, გეტყვით, რომ მომღერალი სულ სიახლეს უნდა ეძებდეს, ჩამწერ სტუდიებში მუშაობდეს ახალ-ახალ სიმღერებზე, რათა სრულყოფილად ამჟღავნებდეს თავს. ამას კი დიდი დრო და ფინანსები სჭირდება... და, რაც მთავარია, გარემო, სადაც ამ ყველაფრის ხორცშესხმას შეძლებ. დღეს კი შოუბიზნესი მიძინებულია, საინტერესო ბევრი არაფერი ხდება, თანაც, სამწუხაროდ, მომღერალი საქართველოში სიმღერით თავს ვერ შეინახავ. ეს მხოლოდ სულიერი საზრდოა, მატერიალური კი მოსაპოვებელია.

— უფლის მადლობელი ვარ, რომ მყავს არაჩვეულებრივი ოჯახი, რომლის თითოეული წევრი მთელი ცხოვრების მანძილზე იმას ცდილობს, ყოველი დღე გამილამაზოს. დღეს რომ მიცნობს საზოგადოება და მივალნიე წარმატებას ეს მხოლოდ ჩემი ოჯახის დამსახურებაა და მადლიერი ვარ მათი.

გული კი მაინც სწყდება... იმაზე, რომ საშუალება არ აქვს ხშირად შეხვდეს მსმენელს — რომელიც ძალიან მოენატრა — და ბევრი რამ მოუთხროს კულისებში გატარებული დღეებისა თუ დაუგროვდა, ამაში თვითონაც დავრწმუნდი, როცა ვუსმენდი, როგორ მღეროდა ოჯახურ გარემოში შვილსა და დედასთან ერთად... და თავის სათქმელს „მიაბობდა“...

ცხოვრება ამისთვისაც ღირს...

გურამ პეტრიაშვილი

არა ნიჭითა ერთითა

ვულოცავ ქართული პოეზიის მოყვარულთ, რომ დაარსდა გალაკტიონოლოგიის ცენტრი და, როგორც ვიცი, უკვე გამოიცა ხუთი კრებული. ვულოცავ ჩემს მეგობარს თეიმურაზ დონაშვილს, რომ იგი არის ამ ცენტრის ხელმძღვანელი. გთხოვთ მიიღოთ ჩემგან მონივნებით შემოთავაზებული მოსაზრებანი გალაკტიონის შესახებ.

პოეზიის მოყვარულ მკითხველს კარგად ახსოვს მურმან ლებანიძის ლექსის სტრიქონი:

„ნიჭი, ძამიკო, ნიჭი, — გალაკტიონმა ბრძანა“.

ამას წერს თავისთავად დიდებული პოეტი. ამიტომაც მკითხველი აღარა სვამს კითხვებს, თუ სინამდვილეში როდის, სად და ვის უთხრა ეს გალაკტიონმა. რა კონტექსტში თქვა და რას ასაბუთებდა ამ სიტყვებით, ან თქვა კი საერთოდ?

და ისე გამოდის, რომ გალაკტიონ ტაბიძე და მურმან ლებანიძე ხელს უწყობენ იმ მოარული მცდარი შეხედულებისთვის ბეჭედის დასმას, რომ პოეზიაში ნიჭი წყვეტს ყველაფერს.

ცხადია, ვერც მე დავინყებ კამათს იმ აზრთან, რომ პოეტი ნიჭით იწყება, მაგრამ...

თქვენი ნებართვით, ერთი ფაქტი მინდა მოვიყვანო იმ სფეროდან, სადაც სილამაზე ისევე ფასობს, როგორც პოეზიაში. ბრილიანტებზე მინდა ვთქვა.

ბუნებაში არ არსებობს ბრილიანტების საბადოები.

არსებობს ალმასების საბადოები, სადაც მოიპოვებენ ალმასებს.

ალმასი მაინც და მაინც ლამაზი სულაც არაა. თუ არ იცი, რომ შენ წინ ალმასია, ვერც კი მიხვდები. მაგრამ მცოდნე ადამიანები იღებენ ხელში ალმასის ნატეხს, გაუკეთებენ მას წახნაგებს და... აელვარდება ბრილიანტი.

ასეთივეა პოეტური ნიჭის ამბავი.

ნიჭს ანუ შთაგონებას, ანუ მუზის ნაჩურჩულევს ემატება პოეტის მიერ თავისი საქმის ცოდნა ანუ ოსტატობა და... აელვარდება ლექსი — ბრილიანტი.

მაგალითისთვის ავიღოთ თვით მურმან ლებანიძის საყოველთაოდ ცნობილი „უფლისციხესთან სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი“ (ამ ლექსს ავტორიც თავის უმნიშვნელოვანეს ნაწარმოებად მიიჩნევდა. თითქმის ყველა მისი კრებული ამ ლექსით იწყება).

ლექსის საფუძველი, ცხადია, პირველი ორი სტრიქონია.

პოეტს შთაგონებამ დაანახა ულამაზესი და უმძაფრესი გაცნა:

**უფლისციხესთან სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი
არა დაღვრილის — დასაღვრელის, ალბათ მაცნეა.**

მსოფლიო პოეზიის ერთ-ერთი უდიდესი ლირიკოსი ვლადიმერ მაიაკოვსკი თავის სტატილაში: „როგორ ვაკეთოთ ლექსები“ („კაკ დელატ სტიხი“) ამბობს, რომ ლექსი იწყება რიტმით. რომ პოეტი ჯერ გრძნობს რაღაც რიტმს უსიტყვებოდ,

ხოლო შემდეგ მოდიან სიტყვები. ვფიქრობ, რომ მურმან ლებანიძესთან იმ ბედნიერ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როცა პოეტმა ერთდროულად იგრძნო მხატვრული სახე: „სისხლი — ყაყაჩოს წვეთი“ და რიტმი — თოთხმეტმარცვლიანი ლექსი.

მესამე სტრიქონი თავისი პათოსით პირველი ორის გაგრძელებას წარმოადგენს: „არავითარი სხვა სამშობლო ამაზე მეტი...“

და აქ ძალუმად იჩენს თავს პოეტის ოსტატობა: იმის მაგიერ, რომ მეოთხე სტრიქონიც თოთხმეტმარცვლიანი გაეკეთებინა, პოეტი მოულოდნელად გვთავაზობს ხუთ მარცვალს: „არ გამაჩნია!“

მოულოდნელობის გამო ეს „არ გამაჩნია!“ გაისმის, როგორც მტრისთვის ნასროლი მუქარა ან ბრძოლაში ყიჟინის დაცემა.

მეორე სტროფში მეორდება რიტმული მონახაზი: სამ თოთხმეტმარცვლიან სტრიქონს კვლავ მოსდევს ხუთმარცვლიანი „არ გამაჩნია!“

ხოლო, მესამე სტროფში კი, როცა მკითხველი უკვე შეეჩვივა, რომ სტროფები მთავრდება ხუთმარცვლიანი სტრიქონით, უცებ (კვლავ მოულოდნელად!) პოეტი „ამთლიანებს“ მეოთხე სტრიქონს: „არავითარი სხვა გზა, სხვა ხსნა არ გამაჩნია!“

საინტერესოა ისიც, თუ როგორ ვითარდება, როგორც იტყვიან, სამშობლოს თემა.

პირველ სტროფში უფლისციხესთან ყაყაჩოს რომ სისხლად აღიქვამს პოეტი, მეორე სტროფში შემოდის „სვეტიციხოვლის თორმეტი სვეტი“, „თოთხმეტი ციხე“, რომლებიც „ზეგნებიდან ლაჟვარდს გასჩრია“, მესამე სტროფში კი „ორ ზღვას შუა კავკასიის ხედი“ მოჩანს...

ამას მოსდევს:

„და კითხვა „ვინ ვის?“ ბებერ გულში ლახვრად მაჩნია“. ეს სტრიქონი ეხმიანება იმას, რომ ყაყაჩოს წვეთი არა დაღვრილი სისხლის, არამედ „დასაღვრელის, ალბათ, მაცნეა“.

და ამით გასრულდება სამშობლოს თემა!

დასკვნის სახით ვიტყვი, რომ ეს ლექსი არის პოეტური ნიჭის ანუ ზეშთაგონებისა და პოეტური ოსტატობის შერწყმის ნიმუში.

ამრიგად, მურმან ლებანიძემ თვით გვიჩვენა, რომ ნიჭი აუცილებელი კია, მაგრამ საკმარისი არაა შედევრის შესაქმნელად.

ნება მომეცით, თქვენთან ერთად კიდევ ერთხელ დავტკებ ამ დიდებული ლექსის ნაკითხვით:

**უფლისციხესთან სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი
არა დაღვრილის — დასაღვრელის, ალბათ, მაცნეა,
არავითარი სხვა სამშობლო ამაზე მეტი არ გამაჩნია!**

**მე დავინახე სვეტიციხოვლის თორმეტი სვეტი,
თოთხმეტი ციხე ზეგნებიდან ლაჟვარდს გასჩრია,
არავითარი სხვა სამშობლო ამაზე მეტი არ გამაჩნია!**

**მშვენიერია ორ ზღვას შუა კავკასის ხედი
და კითხვა „ვინ ვის?“ ბებერ გულში ლახვრად მაჩნია,
არავითარი სხვა სამშობლო ამაზე მეტი,
არავითარი სხვა გზა, სხვა ხსნა არ გამაჩნია!**

ალბათ აქ შემეძლო დამესვა წერტილი, მაგრამ...

მას შემდეგ, რაც ლიტერატურაში შემოვადგი ფეხი, სულ ნაირნაირ კამათებში ვიყავი, ამიტომ უკვე წინასწარ

ვეგრძნობთ ოპონენტებს.

აი, ახლაც, ალბათ რომელიმე ოპონენტი მეტყვის, მურმან ლებანიძეს სჭირდებოდა ოსტატობა და ლექსზე მუშაობა, რადგან ისეთი გენიალური ნიჭი არა ჰქონდა, როგორც გალაკტიონსო.

ვითომ მართლა ეგრეა?

ავიღოთ გალაკტიონის გენიალურ პოეზიაშიც კი გამორჩეული და ბრწყინვალე „ლურჯა ცხენები“:

**როგორც ნისლის ნამქერი, ჩამავალ მზით ნაფერი
ელვარებდა ნაპირი სამუდამო მხარეში.
არ ჩანდა შენაპირი, ვერ ვნახე ვერაფერი,
ცივ და მიუსაფარი მდუმარების გარეშე.**

მდუმარების გარეშე და სიცივის თარეშში
სამუდამო მხარეში მხოლოდ სიმწუხარეა!
ცეცხლი არ კრთის თვალეშში, წევხარ ცივ სამარეში,
წევხარ ცივ სამარეში და არც სულს უხარია.

შეშლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეებით
უსულდგმულო დღეები რბიან, მიიჩქარიან!
სიზმარიან ჩვენებით — ჩემი ლურჯა ცხენებით
ჩემთან მოესვენებით! ყველანი აქ არიან!

იჩქარიან ნამები, მე კი არ მენანება:
ცრემლით არ ინამება სამუდამო ბალიში;
გაქრა ვნება-ნამება, როგორც ღამის ზმანება,
ვით სულის ხმოვანება ლოცვის სიმხურვალეში.

ვით ცეცხლის ხეტიალი, როგორც ბედის ტრიალი,
ჩქარი გრგვინვა-გრიალით ჰქრიან ლურჯა ცხენები!
ყვავილნი არ არიან, არც შვება-სიზმარია!
ახლა კი სამარეა შენი განსასვენები.

რომელი სცნობს შენს სახეს, ან ვინ იტყვის
შენს სახელს?
ვინ გაიგებს შენს ძახილს, ძახილს ვინ დაიჯერებს?
ვერაღინ განუგეშებს საოცრების უბეში
სძინავთ ბნელ ჯუღღღებში გამოუცნობ ქიმერებს!

მხოლოდ შუქთა კამარა ვერაფერმა დაფარა:
მშრალ რიცხვების ამარა უდაბნოში ლელდება!
შეშლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეებით
უსულდგმულო დღეები ჩნდება და ქვესკნელდება.

მხოლოდ ნისლის თარეშში, სამუდამო მხარეში.
ზევით თუ სამარეში, წყევლით შენაჩვენები,
როგორც ზღვის ხეტიალი, როგორც ბედის ტრიალი,
ჩქარი გრგვინვა-გრიალით ჰქრიან ლურჯა ცხენები!

რა უნდა ვთქვათ ამ ყოვლად სრულყოფილ შედევრზე?
ასი ათასი აღმატებითი ეპითეტიც არ გვეყოფა, რომ სათანადოდ შევაქოთ ეს ლექსი. თითქოს მართლაც რომ ციდან ჩამოფრენილმა ღვთაებრივმა მუზამ უკარნახა გალაკტიონს, თუ როგორ ებრძვის სიკვდილი პოეტს და როგორ მარცხდება! პოეტი კვდება, მაგრამ კვლავაც „ჩქარი გრგვინვა-გრიალით ჰქრიან ლურჯა ცხენები!“

— აბა ეს ხაზგასმული სიტყვები რაღას ნიშნავს? —
მკითხავს იქედნური ღიმილით ჩემი ოპონენტი, — მაინც

ეჭვი ხომ არ გეპარება რამეში?

— არა ბატონო, ღმერთმა დამიფაროს, რა ეჭვი, რის ეჭვი! — ვეტყვი მე მშვიდად, — ახლავე გეტყვით, თუ რატომ გავუსვი ხაზი სიტყვებს.

მოდით, ჯერ წავიკითხოთ „ლურჯა ცხენების“ ერთ-ერთი ვარიანტი ანუ რედაქცია.

მე არ ვიცი ეს ბოლოსწინა რედაქციაა თუ არა. ოღონდ ნამდვილად გალაკტიონისეული ხელნაწერია (იგი მაჩუქა ჩემმა კიეველმა ძმაკაცმა მწერალმა სოსო ჩოჩიამ და დიდი მადლობა მას!).

**როგორც ნისლის ნამქერი, ჩამავალ მზით ნაფერი
ელვარებდა ნაპირი სამუდამო მხარეში.
არ სჩანდა შენაპირი, ვერ ვნახე ვერაფერი
რუხი და ქერაფერის მდუმარების გარეშე.**

მდუმარების გარეშე და სიცივის თარეშში
სამუდამო მხარეში მხოლოდ სიმწუხარეა,
ცეცხლი არ კრთის თვალეშში, წევხარ ცივ სამარეში,
წევხარ ცივ სამარეში და არც სულს უხარია.

შეშლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეებით
უსულდგმულო დღეები რბიან, მიიჩქარიან
სიზმარიან ჩვენებით — ჩემი ლურჯა ცხენებით
ჩემთან მოესვენებით, ყველანი აქ არიან.

იჩქარიან ნამები, მე კი არ მენანება
ცრემლით არ ინამება სამუდამო ბალიში,
გაქრა ვნება-ნამება, როგორც ღამის ზმანება,
ვით ქალის ხმოვანება ვნების სიმხურვალეში.

როგორც შხამი ფიალის, როგორც ბედის ტრიალი,
ჩქარი გრგვინვა-გრიალით ქრიან ლურჯა ცხენები
ყვავილნი არ არიან, არც შვება-სიზმარია
ეხლა კი სამარეა — შენი განსასვენები.

რომელი სცნობს შენს სახეს, ან ვინ იტყვის
შენს სახელს,
ვინ გაიგებს შენს ძახილს, ძახილს ვინ დაიჯერებს?
ვერაღინ განუგეშებს საოცრების უბეში
სძინავთ ბნელ ჯუღღღებში გამოუცნობ ქიმერებს!

მხოლოდ შუქთა კამარა ვერაფერმა დაფარა:
მშრალ რიცხვების ამარა უდაბნოში ლელდება!
შეშლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეებით
უსულდგმულო დღეები ჩნდება და ქვესკნელდება.

მხოლოდ ნისლის თარეშში, სამუდამო მხარეში.
ზევით თუ სამარეში, წყევლით შენაჩვენები,
როგორც ელვა ფიალის, როგორც ბედის ტრიალი,
ჩქარი გრგვინვა-გრიალით ქრიან ლურჯა ცხენები.

ჩემი ოპონენტისთვის ახლა, ალბათ, უკვე გასაგებია ჩემი ხაზგასმების არსი:

წინა რედაქციის (ვარიანტის) სტროფებში ხაზგასმული სიტყვები გალაკტიონმა შეცვალა საბოლოო რედაქციის (ვარიანტის) შესაბამის სტროფებში ხაზგასმული სიტყვებით. განვიხილოთ ცალ-ცალკე ყოველი ცვლილება.

გალაკტიონობა

1. წინა ვარიანტის პირველი სტროფის მეოთხე სტრიქონში სიტყვები: „რუხი და ქერაფერის“ მესამე და მეოთხე სტრიქონი ასე იკითხებოდა:

არ სჩანდა შენაპირი, ვერ ვნახე ვერაფერი რუხი და ქერაფერის მდუმარების გარეშე.

ცხადია, რომ „რუხი და ქერაფერის მდუმარებას“ ბევრად სჯობია ცივი და მიუსაფარი მდუმარება.

2. მეოთხე სტროფის მეოთხე სტრიქონი ასეთი იყო:

„ვით ქალის ხმოვანება ვნების სიმხურვალეში“.

ეს ძალიან მინიერი რამაა და უხერხულ ასოციაციებს იწვევს. ამიტომაც გალაკტიონმა ოსტატმა ურჩია გალაკტიონ პოეტს, შეცვალეო.

და გალაკტიონმა პოეტმა ასე შეცვალა:

„ვით სულის ხმოვანება ლოცვის სიმხურვალეში“.

ახლა ეს სტრიქონი გენიალურია და ისე განსხვავდება ადრეულისგან, როგორც მართლაც ცა მიწისაგან.

ოპონენტი მეტყვის, მერედა ეგ ნიჭმა არა ჰქმნაო?

— ცხადია, — ვუპასუხებ მშვიდად, — მაგრამ ოსტატს რომ არ ეთქვა პოეტისთვის, შეცვალეო, ხომ ძველი (აშკარად სუსტი სტრიქონი) დარჩებოდა ლექსში.

3. მეხუთე სტროფის პირველი და მეორე სტრიქონები ასე იკითხებოდა:

როგორც შხამი ფიალის, როგორც ბედის ტრიალი ჩქარი გრგვინვა-გრიალით ჰქრიან ლურჯა ცხენები.

აშკარად დარღვეული იყო პოეტური ლოგიკა: ფიალის შხამი უძრავი და უხმო რამაა, ვერც გრგვინვა-გრიალს და ვერც ქროლას იგი ვერ დაემგვანება.

გალაკტიონმა პოეტმა აქაც დაუჯერა გალაკტიონ ოს-

ტატს. და ახლა გვაქვს გალაკტიონის ნიჭის შესაფერი მხატვრული სახე: „ვით ცეცხლს ხეტიალი“. და აღსდგა პოეტური ლოგიკა: ცეცხლის ხეტიალში ცხადია ისმის გრგვინვა-გრიალიც და იგრძნობა მოძრაობაც.

4. მეექვსე სტროფის მეოთხე სტრიქონი იკითხებოდა:

„სძინავთ ბნელ ჯურღმულებში გამოუცნობ ქიმერებს“. „ჯურღმულებში“ შეცვალა სიტყვამ: „ხვეულებში“.

ცხადია, რომ „ხვეულებში“ სჯობს. საქმე ისაა, რომ ჯურღმულები (ისევე, როგორც სრა-დარბაზები) ადამიანთა ცხოვრებისთვისაა დამახასიათებელი და ქიმერებს იქ არაფერი ესაქმებათ. ხოლო „ხვეულები“ კი, ალბათ, იმიტომ განჩნდა ბოლო რედაქციაში, რომ გალაკტიონმა შესანიშნავად იცოდა დასავლური კულტურა და იქაურ არქიტექტურაში ქიმერების ფიგურები სწორედ ბნელ ხვეულებში არიან ხოლმე.

5. მერვე სტროფის მესამე და მეოთხე სტრიქონები ასეთი იყო:

როგორც ელვა ფიალის, როგორც ბედის ტრიალი ჩქარი გრგვინვა-გრიალით ჰქრიან ლურჯა ცხენები.

ისევე, როგორც ადრე „შხამი ფიალის“ ეს „ელვა ფიალის“ სუსტი შედარება იყო და ოსტატი გალაკტიონის რჩევით გალაკტიონმა პოეტმა იგი შეცვალა საოცარი მხატვრული სახით „როგორც ზღვის ხეტიალი“. როცა ზღვა ღელავს, იგი მართლაც თითქოს ხეტილობს, მოძრაობს. თანაც ამ „ხეტიალს“ გრგვინვა-გრიალიც ახლავს თან.

დასკვნის სახით ვიტყვი:

დიახ! ყოველ ჭეშმარიტ პოეტში ზის ორი ადამიანი: ერთია დიდი (თუ პატარა) გენიის მქონე, მეორე კი — პოეტური საქმის კარგი მცოდნე ანუ ოსტატი.

მათი ერთობლივი ღვნიტ იქმნება პოეზიის სასწაულეებიცა და შედარებით უარესი ნაწარმოებებიც.

ქრონიკა

საქართველოს ყოფილი მეფისნაცვლის, მიხაილ ვორონცოვის საცხოვრებელი სახლი 1941 წელს ბავშვებს გადაეცათ და „პიონერთა სასახლე“ დაერქვა. ამჟამად მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეს 70 წელი უსრულდება და თავისი აღზრდილებით სამართლიანად ამაყობს – თქვა სასახლის მხატვრული კითხვის პედაგოგმა ზორა ეგუტიაძე.

29 ნოემბერს სასახლის თოჯინების თეატრში იმ დღეს საპატიო სტუმარი იყო პოეტი **მარინე თექთუმანიძე**. შეხვედრას უძღვებოდა მსახიობი **ელდინო საღარაძე**: „საქართველოს ძალიან რთული და ძნელი დღეები უდგას, დრო მოვიდა ასეთი, იქნებ ჩვენ მოვიტანეთ, ალბათ, დავეთესეთ ქარი და მოვიმკით ქარიშხალს... ერთი სიტყვით, ჩვენი დედამიწა ავადაა, მას სიცხე აქვს და პულსაცია აჩქარებული, ერთ პოეტს უთქვამს: „დედამიწა თუ გაიბზარა, ბზარი პოეტის გულზე გაივლისო“, აქედან გამომდინარე ყველაზე მძიმე განწყობილებით ალბათ პოეტები არიან, იმ ბზარის გამოც მათ გულზე რომ გაიარა, და იმ ტვირთის გამოც, რაც ოდითგანვე აიღეს თავის თავზე, ამას ილიას ნატყვიარი შუბლიც მოწმობს... უჭირთ, ჭეშმარიტ პოეტებს ძალიან უჭირთ, იმიტომ, რომ უფაქიხესი გული აქვთ, ალბათ საზოგადოებას ეს კარგად აქვს გაცნობიერებული, რადგან ძალიან ხშირად ასე მოიყრის ხოლმე თავს, რათა პოეტებს სიყვარულნარევი სიტყვა უთხრას, თავისი ენერჯით გაათბოს, შეუძახოს და ამით მისცეს სტიმული იმ ტვირთის ღირსეულად ზიდვისთვის, რაც მათ აიღეს საკუთარ თავზე. დღევანდელი საღამოს სტუმარი, მასპინძელი, დი-

ასახლის რამდენად მშვენიერია, თქვენი თვალთ დაინახავთ, რამდენად ნიჭიერი ლექსი აქვს, ამაზე თვით ლექსები ისაუბრებენ, რამდენად ზნეობრივია, ამაზე მისი გავლილი ცხოვრება მეტყველებს, რამდენად მართალი გული აქვს, ეს დიდმა სამყაროს შემოქმედმა იცის...“

შემდეგ ქალბატონმა ელდინომ ნაიკითხა პოეტის ლექსები და ასევე მისადმი მიძღვნილი რამდენიმე ლექსი.

მარინე თექთუმანიძეს მიესალმნენ, ლექსებიც უძღვენეს მისმა მეგობრებმა, აღზრდილებმა, თანამოკალმებმა: **მზია ხეთაგური, თამარ ლომიძე, იზა ჯაჭვაძე, ჰამლეტ გეგია, მიმოზა ცანავა, ზურაბ მამულაშვილი, გიორგი ლობჯანიძე, ეკა ბაქრაძე, ლინა ბარათაშვილი, რამაზ ბერაძე, ნინო ვარსაგაშვილი, ლექსო დორეული**.

ყველა გამომსვლელმა აღნიშნა, რომ ამ შეხვედრამ ბავშვობასთან დააბრუნა. ქალბატონი მარინეს ცხოვრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენად დასახელდა მის მიერ საბავშვო გაზეთ **„ნერგის“** რედაქტორობა. პოეტის წარმატებად და აღიარებად მიიჩნის ლიტერატურულ კონკურს **„შოთაბაში“** გამარჯვება.

მარინე თექთუმანიძის მოძღვარმა **მამა დავითმა (ლონდარიძე)** დალოცა სტუმრები. პოეზიას აღსარება უწოდა, ხოლო პოეტს – დემონსა და ანგელოზს შორის მდგარი არსება.

ბოლოს პოეტმა მადლობა გადაუხადა ყველას და თქვა, რომ მას აცოცხლებს და პოეტად ქმნის მეგობრების, ნაცნობებისა და საერთოდ ადამიანთა სიყვარული.

თეკლე ჯანელიძე

მეგობრობის დიდი საგალობელი

□

ლევან ზურაბიშვილის ბარათები ავტრე ხვედელიძისთან

— მეგობრობის დიდი საგალობელია „ვეფხისტყაოსანი“, ალექსანდრე ყაზბეგის რომანები და თუ შეიძლება ერთი-ორი ნიგნი დაუწყენოთ გვერდით მათ ამ მხრივ, მათ შორის უსათუოდ იგულისხმება „პარიზიდან ვაშინგტონამდე საქართველოზე ფიქრით“, მართლაც მეგობრობის დიდი საგალობელი, — თქვა როსტომ ჩხეიძემ შეხვედრაზე, რომელიც 18 ოქტომბერს სამების საკათედრო ტაძრის ახალგაზრდულ ცენტრში გაიმართა. შეხვედრა ახალი ნიგნის წარდგინებას მიეძღვნა. ციციანო ჯერვალის „პარიზიდან ვაშინგტონამდე საქართველოზე ფიქრით“ (გამომცემლობა „არტანუჯი“) ქართული ემიგრაციის ისტორიის მნიშვნელოვან ფრაგმენტებს მოიცავს. ნიგნში შესულია ოცი წლის მანძილზე საფრანგეთის ქართული ემიგრაციის სათვისტომოს ხელმძღვანელის ლევან ზურაბიშვილის 45 პირადი წერილი. წერილების ადრესატი არის ქართული ემიგრაციის უხუცესი წარმომადგენელი ამჟამად 92 წლის პეტრე ხვედელიძე, რომელიც 18 წლის მანძილზე რადიო „ამერიკის ხმის“ ქართული განყოფილების წამყვანი გახლდათ.

სალამოს წამყვანმა ერეკლე საღლიანმა მიულოცა საზოგადოებას ნიგნის გამოსვლა, აღნიშნა, რომ ამ ნიგნით ვეცნობით არამარტო ლევან ზურაბიშვილისა და პეტრე ხვედელიძის ცხოვრებას, არამედ იმასაც ვიგებთ, რას გრძნობენ სამშობლოსგან მონყვეტილი ადამიანები. სიხარული გამოთქვა იმის გამო, რომ ნიგნის მეშვეობით დავინწყებას გადაურჩა დიდ მამულიშვილთა ეპისტოლეები.

მამა ელიზბარმა (დიაკონიძე) დალოცა დამსწრე საზოგადოება და აღნიშნა რომ არ შეიძლება ის ხალხი დავივიწყოთ, რომლებმაც სამშობლოს გამო ამდენ ტკივილს გაუძლეს.

სოფიკო ჯერვალიძე ნიგნის რედაქტორია. მან მოკლედ ისაუბრა ნიგნის შესახებ და ავტორისგან, ციციანო ჯერვალისგან გამოგზავნილი წერილი წაიკითხა, შემდეგ პეტრე ხვედელიძის წერილი გაგვაცნო. განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა ლევან ზურაბიშვილის მეუღლეს ზეინაბ კედისას, ვინც საგანგებოდ ჩამობრძანდა პარიზიდან ამ თავყრილობაზე დასასწრებად.

როსტომ ჩხეიძე: მინდა ჩემი სიხარული შეგუერთო ყველა იმ ადამიანის სიხარულს, ვისაც ესმის ნამდვილი ლიტერატურის ფასი, ვისაც ესმის პირუთენელად აღდგენილი ისტორიის ფასი. ასეთი ნიგნები გვაკვებენ სიმხვევით, კიდევ ერთხელ შეგვახსენებს ეს ყველაფერი, რომ „ანმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია“. ლევან ზურაბიშვილის მამა, ივანე იყო ილიას მეგობარი და თანამებრძოლი. მამის გავლენით ლევანს ჰქონდა გაცნობიერებული, რომ დიდი მისია ეკისრებოდა, მას

უნდა გაეხა ძაფები XIX საუკუნის საქართველოსთან და შეენარჩუნებინა კულტურისა და სულიერების უწყვეტობა. ეს ემიგრაციაში ძნელი იყო, მან უარყო ყოველგვარი პარტიულობა, შექმნა სათვისტომო, სადაც ყველა ემიგრანტი იყრიდა თავს. მისი გამოსვლები სათვისტომოს სხდომაზე გახდა საბაბი პეტრე ხვედელიძესთან დაახლოებისა. „პარიზიდან ვაშინგტონამდე საქართველოზე ფიქრით“ ისე კარგად არის შეკრული და გააზრებული, რომ ბევრი არაფერი ჭირდება, რათა ბიოგრაფიულ რომანად გადაიქცეს, ოდნავი ჩარევა და ხელთ გვექნება შესანიშნავი დოკუმენტური რომანი. ვახტანგ ჭელიძე ეპისტოლურ მემკვიდრეობას მეტად კოლორიტულ ფანრს უწოდებს, აუცილებელია შენახვა ეპისტოლეების... მოგვიწოდებს, ვნეროთ პირადი წერილები, დღევანდელი საქართველოს ბედისწერა ისევეა შემოსანახი, ისევეა გადასარჩენი, როგორც ის ეპოქა, რომელიც ჩვენამდე მოიტანეს ემიგრაციაში მყოფმა ლევან ზურაბიშვილმა და პეტრე ხვედელიძემ.

სოფიო ჯაფარიძის თქმით, „პარიზიდან ვაშინგტონამდე საქართველოზე ფიქრით“ იმგვარი ნიგნია, რომელიც არასოდეს გაანელეს განცდებს, გრძნობებს, პირიქით, უფრო გაამძაფრებს. ამ ნიგნიდან ყველას გვიყვარს შორიდან დანახული საქართველო იმაზე მეტადაც კი, ვიდრე ნიგნის წაკითხვამდე. იმდენად შთაბეჭდავი ნიგნია, რომ გამოფენებსა და ლიტერატურულ კონკურსებსაც დაამშვენებს.

ნინელი ჭანკვეტაძემ ისაუბრა, თუ როგორ გაიცნო პეტრე ხვედელიძე ვაშინგტონში — დიდი სიყვარულით მიგვილო და ჩვენს მეგობრობას ჩაეყარა საფუძველი. აღნიშნა, რომ ნიგნი ერთი ამოსუნთქვით წაიკითხა, სურს, რომ წაიკითხონ ახალგაზრდებმა და სამშობლოს სიყვარულის, მეგობრობის, ერთგულების მაგალითი აიღონ მათგან. ქალბატონმა ნინელი წაიკითხა ლევან ზურაბიშვილის დაკრძალვაზე გიორგი ყიფიანის მიერ წარმოთქმული სიტყვა.

რუსუდანი ბოლქვაძემ ნინელი ჭანკვეტაძის მსგავსად პეტრე ხვედელიძე ვაშინგტონში გასტროლებზე გაიცნო. ვისაც ნიგნი წაიკითხული არ აქვს, „მოსალოცი“ არის, რადგან მათ დიდი სიამოვნება ელით, გურამ დოჩანაშვილის სიტყვები მოიშველია მსახიობმა და წაიკითხა ფრაგმენტი ნიგნიდან.

მზია ბაქრაძემ, თინათინ კასრაძემ, რუსუდანი კობახიძემ ისაუბრეს ნიგნის მნიშვნელობაზე. თინათინ კასრაძის თქმით, ნიგნში აღწერილია საქართველოს ისტორიის პატარა თავი, რომელიც ყველამ უნდა წაიკითხო.

პაატა ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ ამ ნიგნის გამოცემით დიდი ნაბიჯი გადაიდგა იმისთვის, რომ ლევან ზურაბიშვილი დაუბრუნდეს საქართველოს, როგორც ღირსეული ქართველი მოღვაწე. გამოთქვა იმედი, რომ თანდათან უფრო გაბრწყინდება ქართველ ემიგრანტთა სახეები და სახელები.

თინათინ მღვდლიაშვილს მოსწონს ამ ნიგნში მოთხრობილი საინტერესო პასაჟები, ამაღლევებელი, ტრაგიკული, ემოციური ამბები. მისი თქმით, ქართულ ემიგრაციას არც ერთი ნამით არ შეუწყვეტია ქართული საქმისთვის ზრუნვა. ამ ბარათებიდან ჩანს, როგორ წუხს საქართველოზე ლევან ზურაბიშვილი, როგორი ქველმოქმედია იგი. ნიგნში ძველს მისი გული — აღნიშნა ქალბატონმა თინათინმა, რის შემდეგაც საზოგადოებას საკუთარი ლექსი წაუკითხა.

ზეინაბ კედია მადლობა გადაუხადა ნიგნის გამომცემლებსა და შეხვედრაზე მოსულ სტუმრებს.

საღამო დაამშვენა სიმღერებმა, რომელსაც ასრულებდნენ ანსამბლები: „საგალობელი“, „ლაზარე“, „კვირია“.

დასასრულ წმინდა სამების ეკლესიის სახელით ამ ეკლესიის მოძღვარმა **მამა იაკობმა** დალოცა დამსწრე საზოგადოება.

ნინო დეკანოიძე

მიტოვებული პასტორალები

□

ზაზა ბიბილაშვილის კოიტური კრახულის განხილვა

ზამთრის ბალის მარადმწვანე მცენარეები ხალვათობასა და წესრიგს რომ გაზიარებენ აქ, ამ დარბაზში, დროდადრო, ხმაურიანი და ხალხმრავალი სამშაბათობების მონაწილეც ხდები.

სამშაბათობები თვეში ორჯერ, შუაღამით, ტრადიციულად და ეთიმობა ლიტერატურულ ღონისძიებებს, რომლებიც, იშვიათი გამონაკლისის გარდა, სპექტაკლებსაც დამსგავსებია ხოლმე.

აუდიტორია ანუ დამსწრე საზოგადოება ყოველთვისაა მრავალრიცხოვანი, უმეტეს შემთხვევაში, გადაჭარბებულად მრავალრიცხოვანი. ისეთ დროს, როცა ყველა სკამი და სავარძელი შევსებულია, ლამაზმოაჯირიან კიბის საფეხურებზეც არ ეთაკილებათ მოკალათება, მიუხედავად ასაკისა.

23 ნოემბრის ლიტერატურული ღონისძიება არ იყო გადაჭარბებულად მრავალრიცხოვანი, მაგრამ გახლდათ მოულოდნელად სასიამოვნო, ტრადიციულად — საქმიანი.

მოულოდნელად სასიამოვნო იმიტომაც, რომ აუდიტორიის წინაშე წარსდგა ბევრისათვის თითქმის უცნობი ავტორი **ზაზა ბიბილაშვილი**, გამოჩენა პრეტენზიული გამორჩეულობის გარეშე, უეპატაჟოდ არასნობურ გარემოში, მოგესხენებათ, გულისმოგების სანინდარია... სხვა ყველაფერს კი რაც ითქვა ახალგაზრდა კაცის შემოქმედების შესახებ და კერძოდ, მესამე პოეტურ კრებულზე **„ჩემი მდოგვის მარცვალი“**, თანდათანობით და შეძლებისდაგვარად შემოგთავაზებთ. აქვე შეიძლება დამატებით ითქვას, წიგნი გამოცემლობა **„ინტელექტმა“** მიანოდა მკითხველს ჩვეული პროფესიონალური საგამომცემლო კულტურითა და ხარისხით.



ღონისძიება **როსტომ ჩხეიძემ** გახსნა შესავალი სიტყვით. მანვე ლაკონურად წარადგინა ახალი გამოცემა:

— „ჩემი მდოგვის მარცვალი“ — ამ წიგნის პრეზენტაცია უკვე გაიმართა, მაგრამ იმსახურებს კიდევ უფრო ღრმად დავუკვირდეთ და გავიაზროთ, რადგან ეს არის არაორდინარული კრებული, უდავოდ წარმატებული გამოცემა, რომლის მსგავსი მაინცდამაინც ბევრი არ არის ჩვენ თვალწინ. თავისებურია იმ მხრივაც, რომ ემოციანება ამოზრდილი. პოეზია რომ ემოციანა, ამას მტკიცება არ უნდა სჭირდებოდეს. მაგრამ ისე გადაიხარა ყველაფერი განსჯისაკენ, რიტორიკისაკენ, ფიქრობ ადამიანი, რომ ლამის პოეზია იქცა რიტორიკად და გარჯად. ამიტომ გიხარია, როცა ხედავ ოაზისივით მარცვლებს, საღ და გაღვივებულ მარცვლებს ემოციისა.

ზაზა ბიბილაშვილი ხშირად არ ბეჭდავს, თუმცა პოეტური ტექნიკა რაც აქვს, აძლევს საშუალებას წეროს ლექსების დაუსრულებელი რაოდენობა. თან იმ რანგის და მნიშვნელობის, რომ არაფერი დააბრკოლებს დასაბეჭდად. მაგრამ მისთვის გამოქვეყნება არ არის მთავარი. მისთვის მთავარია მოიპოვოს ეს ღირებული, ის სულიერი, ის ნამდვილად პოეტური და რომანტიკული, რაც მიღმა არ დარჩება სალიტერატურო პროცესებს. კრებულში, ლექსებთან ერთად, შეტანილია ლირიკული პოემა. ამ წიგნში პოემა შესაძლებელია სხვა ნიმუშსაც დარქმეოდა. ყოველ შემთხვევაში, ამ ყაიდის ლექსების გამოქვეყნებისას, როგორცაა **„წელიწადი როგორც ერთი დღე“**, წლების წინათ ამტკიცებდნენ, რომ ლირიკული პოემებით სიასხეს ამკვიდრებდნენ ჩვენს სინამდვილეში.

„წელიწადი როგორც ერთი დღე“ აგებულია დღიურის პრინციპზე, ეს არის მისი გარეგნული სტრუქტურა. ეს პრინციპი ვრცელდება კრებულში თავმოყრილ სხვა ლექსებზეც. შეიძლება ითქვას, ამაზეა ამოზრდილი მისი პოეზია. ყოფითი, ძალიან ყოფითი და ამ ყოფითში იკვეთება რომანტიკული სული. სიმბოლიკა, მეტაფორა ყოფითობიდან უნდა ამოიზარდოს და განზოგადდეს. ძალიან ძნელია, რომ მოარიგო ეს ორი მხარე. არის საშიშროება ნატურალიზმში ჩაფლობისა, მაგრამ საშიშროება სრულყოფილად დაძლეული თავიდან ბოლომდე კარგად გააზრებულ ამ ერთიან წიგნში.

ვიდრე **კრიტიკოსთა სოხუმური ფრთის** წარმომადგენელი სალომე კაპანაძე გამოვიდოდა მოხსენებით, პოეტს ეთხოვა ჭაშნიკად წაეკითხა პოეტური ნიმუშები. დარბაზი თანაბარი მონონებით შეეგება ნიჭიერი დეკლამატორის მიერ გახმიანებულ რითმიან თუ ურითმო ლექსებს.

სალომე კაპანაძე:

— ერთი ამოსუნთქვით იკითხება, თუმცა ხშირად სუნ-
თქვას გიკრავს, რადგან მედიუმით ატარებს ჩვენი არ-
სებობის, ჩვენი ყოფიერების „ბზარსა“ და „იარას“,
ტვირთს, რომლის გარეშე სიცოცხლის გზაზე სიარული
შეუძლებელია.

სიყვარულის სევდა არაერთხელ გახმინდა ზაზა ბიბი-
ლაშვილის ამ ლირიკულ კრებულში. მის ტაეპებს ზოგჯერ
ირონიული ტონალობაც შეერევა, რადგან სიყვარულის
სიმაღლესა და კნინ სინამდვილეს შორის კოლიზია მართ-
ლაც წარმოშობს კომიკურ ეფექტს. ზაზა ბიბილაშვილის
პოეტურ სივრცეში სტერეოტიპებსა და მონოტონურობას
ვერსად წაანყდებით. აქ არის აღმოჩენის ის ნეტარება,
რაც დიდ სულიერ გამოცდილებასა და მისი გადმოცემის
ნიჭიერებას მოჰყვება ხოლმე.

წარმავლობის ხატოვანება, მასთან დამარცხების სევ-
დიანი ოდისიდა ამ კრებულში სიკვდილთან შეხვედრის
შიშსაც არარად აქცევს.

დროის მდინარების ასეთ მხატვრულ ასოციაციას კი
ბევრგან ნამდვილად ვერ შეხვდებით:

**წუთების ფოთოლი ცვივა:
ნითელი, ყვითელი, მწვანეც,
ვაგროვებ მშვენიერ ნამებს —
ზამთრისთვის ავისხამ მძივად.**

ლექსზე „ნელინადი როგორც ერთი დღე“ როსტომ
ჩხეიძემ სამართლიანად აღნიშნა, ლირიკულ პოემას და-
ვარქმევდით. დავეთანხმები. პოეტის ბენჯის ხიდზე სია-
რულს მიაგავს აქ თითოეული სტრიქონი. თითქოს ერთად
უნდა შეკრას ის, რაც აქამდე უთქვამს და უფიქრია.

მომხსენებელმა საინტერესოდ განიხილა პოემა „**წე-
რილი ბოთლიდან**“ და დასძინა:

— ანმყოს მიყურადებულები პოეტი წარსულს უხმობს
საშველად, იქნებ განგაშის ზარების რეკა დაგვიანებული
არ იყოსო. ზაზა ბიბილაშვილის პოეტური ესთეტიკა შე-
ღავათს არ საჭიროებს. განცდის სიფაქიზეს, მაღალი რე-
გისტრის ემოციურობას და აზრის აქტუალობას მოაქვს
მისთვის პოეტის მანდატი. მან თავისი ყამირი უკვე გაკვა-
ლა, — აი ასეთი „მაღალი რეგისტრით“ დაასრულა სალო-
მე კაპანაძემ სიტყვა და დადებითი ემოციების გამოსახ-
ტავად ასპარეზი თავის კოლეგას და საინტერესო კრიტი-
კოსს ნანა კუციას დაუთმო.

პოეტური კრებულის სიფაქიზე და გულშიჩამწვდომო-
ბა სიტყვით გამომსვლელმა ერთი ფრაზით შემოკალა —
„სასთუმალთან დასადები ლექსები“. ამით საგულისხმო
გახდა, რომ წიგნი „ჩემი მდოგვის მარცვლი“ ვერ გაემე-
ტება მკითხველს მხოლოდ ერთხელ წასაკითხად. კრებუ-
ლის გადაფურცვლა მოუწყინრადაა შესაძლებელი, რად-
გან მკითხველი და განსაკუთრებით რომანტიკოსკენ მიდ-
რეკილი ადამიანი აღმოაჩენს მონათესავე სულს და იგრძ-
ნობს იმასაც, რომ პირქუში ყოფის პირისპირ მარტო არაა.

ლონისძიებაზე სიტყვით გამოვიდნენ პოეტები **დალი-
ლა ბედიანიძე** და **რენე კალანდია**.

პოეტესამ აქცენტი გაამახვილა ზაზა ბიბილაშვილის
სტილურ დახვეწილობაზე და აღნიშნა, კარგი ლექსები არ

ძველდება და არც მოდიდან გადისო. ორიგინალური რით-
მებისა და შედარებების საილუსტრაციოდ სტროფებიც
მოიშველია კრებულიდან; ბევრ მათგანში ანტიკური მი-
თოსისა და ქართული ხალხური პოეზიის მოტივების სინ-
თეზიც გამოარჩია.

რენე კალანდიამ თავის ასოციაციურ და პარალელე-
ბით დახუნძლულ სიტყვით დაადასტურა, რომ ლექსმა
თავი უნდა დაგამახსოვროს. მწერლობა პასუხისმგებლო-
ბაა შენი სამშობლოს, შენი ერის წინაშე. ავტორის სანაქე-
ბოდ კი თქვა, რომ ეს ჭეშმარიტებანი უნაკლოდ აქვს გათ-
ვითცნობიერებული, საინტერესოდ მუშაობს სიტყვებზე,
რითმები აქვს ისეთი, რომ აღფრთოვანებულია. რენე კა-
ლანდიამ გულახდილი კაცის სისადავით დაამატა: აკუტა-
გავას რომ მიუძღვნა, ვინატრებდი, ასეთი ლექსი მეც და-
მეწერაო.

ქეთევან შენგელიამ ზაზა ბიბილაშვილის პოეტურ ეს-
თეტიკაზე ისაუბრა. საიმოვნებით აღნიშნა, რომ იგი ხარკს
არ უხდის სკაბრეზსა და ეროტიზმს, ასერიგად მოძალე-
ბულს და ლამის უხამსობად ქცეულს ქართულ პოეზიაში.

სოფიო ჯაფარიძემ სიმპათიები გამოხატა რა ახალი
პოეტური კრებულისადმი, ქუთაისში მივლინებული მწერ-
ლის **ნინო სადღობლაშვილის** შემონათვალის არ დაი-
ტოვა გულში და საზოგადოებას ამცნო, რომ ახალგაზრდა
პროზაიკოსი ქალბატონი მიესალმებოდა თავყრილობას.

...დარბაზის თხოვნას თავპატიჟის გარეშე შეაგება
ლექსები ზაზა ბიბილაშვილმა; მოგვიანებით კი უპასუხა
მაია ავლიაშვილისა და **ლამზირა კიკორიას** შეკითხვებს.

ვერ გაიმეტება რეპორტაჟის მიღმა ორი აქტიური და
ერთგული მონაწილე.

ექიმი, ტროპიკული მედიცინის სპეციალისტი, აკადე-
მიკოსი **ლევან ქურციკაშვილი** მუდამ შემართული არა
ჰიპერბოლიზებული, თუმცა რიხიანი ეპითეტებისათვის.
მან კლასიკოსების სინათლესა და სისადავეს შეადარა ზა-
ზა ბიბილაშვილის პოეტური პუბლიკაციები.

მუდამ დაბევეებული და უფლებამინიჭებული აქვს
სიტყვა **თემურ ნადარეიშვილს**, მაღალი ენერჯის ფიზი-
კის ინსტიტუტის ველის კვანტური თეორიების მეცნიერს.
ლიტერატურასა და ხელოვნებასთან წილნაყარად მიიჩ-
ნევს თავს და ბრძანებს ხოლმე, ფიზიკოსი ფილოლოგების
გარემოში ისე ვგრძნობ თავს, როგორც თევზი წყალშიო.

სახასიათო იყო მისი იმდღევანდელი გამოსვლაც. ზა-
ზა ბიბილაშვილის შემოქმედება დიდ ინტელექტუალურ
პოეზიას შეადარა. დასძინა — მეცნიერსაც და ხელოვან-
საც უნდა გააჩნდეს შინაგანი ცენზორი, მეორეხარისხო-
ვანი და უკვე მიღწეული დონე რომ არ გაიმეოროსო. შექ-
მნას და დაწეროს უფრო მნიშვნელოვანი. იმედიანად დას-
ძინა, მდარე ლექსს ზაზა ბიბილაშვილი არასოდეს გამოა-
ჩენსო. მისი დეკლამატორული ნიჭი კი ლისტის საშემსრუ-
ლებლო ხელოვნებას შეადარა...

ასე რომ აქაური ღონისძიებები გახლავთ ერთსულოვ-
ნად წამახალისებელ-წამაქეზებელი ლიტერატურულ
სარბიელზე. ბევრისათვის არის გარემო, მოსვლა სადაც
უხარიათ... და გადაჭარბების გარეშე, ეს არ ნიშნავს ცო-
ტას — ნამდვილი მეგობრობა რომ ღვივდება ერთ სახუ-
რავექვემ. მეგობრობას კი ქვეყანა არსად დაუქცევია. მხო-
ლოდ პირიქით.

რევაზ სირაძე

გოჩა კუჭუხიძე

არაბული რეალიები „წმიდა ჰაბოს წამებანი“

„წმიდა ჰაბოს წამების“ ანალიზისას მიზანშეწონილად გვესახება გამოვყოთ ერთი არსებითი საკითხი: „ჰაბოს წამება“ ისლამის უპირისპირდება არა მხოლოდ აღმსარებლობით, ისტორიოსოფიით, არამედ — აზროვნების წესით, პრევენტიული აზრთაწყობით, და ეს სხვადასხვაგვარად ვლინდება.

ცნობილია, რომ ისლამურ თეოლოგიაში ჩამოყალიბდა ალაჰის 99 „საღმრთო სახელი“, „ალაჰის მშვენიერი სახელები“ (الاسماء الحسنی — ალ-ასმა'უ-ლ-ლაჰი-ლ-ხუსნა); მათ შორისაა: არ-რაჰმან (الرحمان — შემწყალებელი), არ-რაჰიმ (الرحيم — მწყალობელი), ალ-ჰაქიმ (الحكيم — უბრძნესი), ალ-ქარიმ (الكريم — სულგრძელი), ალ-ნურ (النور — ნათელი) (იხ. წერეთელი 1955).

როგორც ვიცით, „წმიდა ჰაბოს წამების“ პირველ თავში მაცხოვრის სიმბოლოები, მისი საღმრთო სახელებია ჩამოთვლილი (კარი, გზა, ტარიგი, მწყემსი, ლოდი, მარგალიტი, მარილი, ყვავილი, ანგელოზი, კაცი, ღმერთი, ნათელი, ქვეყანა, მდოგვის მარცვალი, მატლი, მზე სიმართლისა, ძე მამის უკვდავის, ერთ ღმერთ გარდაუქცეველ) (ძეგლები 1964: 52). ვფიქრობთ, რომ „ჰაბოს წამების“ პირველი თავის ბოლოს ალაჰის „საღმრთოთა სახელთადმი“ დასაპირისპირებლადაც არის შეტანილი მაცხოვრის საღმრთო სახელები. არამაჰმადიანთათვის მძიმე სავადასახადო სისტემის შემოღებით, გამაჰმადიანებული ყოფილი ქრისტიანებისათვის პრივილეგიების მინიჭებითა და სხვა საშუალებებით არაბები (ცდილობდნენ კარგი პირობები შეექმნათ მაჰმადიანობის გასავრცელებლად. ასეთ შემთხვევაში მაჰმადიანობის მქადაგებელსაც უადვილდებოდა საქმე. იგი შეეცდებოდა იმგვარად წარემართა ქადაგება, რომ მაჰმადიანობასა და ქრისტიანობას შორის შეხების წერტილები ეპოვა, რათა ქრისტიანისათვის მაჰმადიანობაზე გადასასვლელად მეტი ცდუნება შეექმნა.

როგორც ცნობილია, ყურანში არაერთგზის არის მოხსენიებული იესო, — ძირითადად, მე-3, მე-5 და მე-19 სურებში. ყურანის თანახმად, ღმერთმა კაცობრიობას იესომდე 26 მოციქული მოუვლინა, ესენი არიან: ადამი, იდრისი (ენუქი), ნაეხი (ნოე), ჰუდი, სალიხი, შუხაიბი, იბრაჰიმი (აბრაამი), ლოტი, ისხაკი (ისააკი), ისმაილი, იაკუბი, იუსუფი (იოსები), მუსა (მოსე), ხარუნი (არონი), აიუბი (იობი), დავუდი (დავითი), სულაიმანი (სოლომონი), ლუკმანი (ეზოპე?), ზუ-ლ-კარნაინი (ალექსანდრე მაკედონელი), ზუ-ლ-კიფლი, იუნუსი (იონა), ილიასი (ელია), ალ-იასაკი (ელისე), ეზდრა, ზაკარია (ზაქარია), იაჰია (იოანე ნათლისმცემელი); ყურანის თანახმად, 27-ე მოციქული იყო ისა იბნ მარიამ (იესო ძე მარიამისა), რომელმაც კაცობრიობას უბოძა ჭეშმარიტი წიგნი; ხოლო თვით მუჰამადი მიჩნეულია იმ მოციქულად, რომელმაც მანამდე წიგნის არმქონე არაბ ხალხს წიგნი მიუტანა. მაჰმადიანობის თანახმად, ღმერთს (ალაჰს) შვილები არა ჰყავს, ჰყავს მხო-

ლოდ მონები; მონა ღვთისად (عبد الله — აბდ ალ-ლაჰ) არის ყურანში ნოდებული „წინასწარმეტყველი ისაჰ“ (XIX,31); მუჰამადის თქმით, იესოს არ შეიძლება ეწოდოს ღმერთის ძე და, ცხადია, საერთოდ, ადამიანს არ შეიძლება ღმერთის შვილი ეწოდოს, — ადამიანები არიან მხოლოდ მონები ღვთისა.

იმისათვის, რომ ქრისტიანები ნდობით განენყო, მაჰმადიანი მათ წინაშე ისაუბრებდა ყურანში მოხსენიებულ იმ „დიდ წინასწარმეტყველზე“, რომელიც, როგორც ითქვა, ამ წიგნში ნოდებულია სახელით — „ისა“ (يسى), როგორც — „მარიამის ძე“ (ابن مريم — იბნ მარიამ).

მაჰმადიანებს შეეძლოთ ესაუბრათ „წინასწარმეტყველ ისაზე“, ღმერთის (ალაჰის) „დიდ მოციქულზე“, მაგრამ მაჰმადიანი თეოლოგი ღმერთის ძედ და ღმერთად არასოდეს არ იხსენიებს „ისას“, მათ შეუძლიათ თქვან, რომ ღმერთი არის „შემწყალებელი“, „უბრძნესი“, „სულგრძელი“, „ნათელი“, მაგრამ არასდროს ავინყდებათ, რომ ეს არის სახელები, რომელიც მხოლოდ უზენაესს მიემართება და არა — იმ „დიდ წინასწარმეტყველს“, რომელსაც, როგორც მიაჩნიათ, სახელებით მცდარად უწოდებენ ღმერთის ძეს და ქრისტიანთაგან, მათი აზრით, — შეცდომით მაჰმად ნოდებული ღმერთის თანაარს.

იოვანე საბანისძე მაცხოვარს ნათელსაც უწოდებს და ძე ღმერთისასაც, ღმერთი მისთვის, ცხადია, მონყალეც არის, შემწყნარებელიც, მაგრამ საბანისძე უპირველესად იმას უსვამს ხაზს, რომ ეს ჭეშმარიტი ნათელი, — იესო ქრისტე თავად ღმერთია, იგი არის „ერთ ღმერთ გარდაუქცეველ და განუქარვებელ და უცვალებელ“ (ძეგლები 1964: 52); ჩვენს წინაშე მერვე საუკუნის ქართლში გაბატონებულმა განწყობილებამ, ამ საუკუნის სურათებმა იწყო წარმოჩენა... ჩანს, რომ ქართლში ისეთი დრო დგას, როცა აქ მცხოვრები არაბები ახსენებენ ალაჰის „საღმრთო სახელებს“, ამბობენ, რომ მონყალეა, ნათელია ყურანისეული ღმერთი (ალაჰი)... საბანისძე არ უარყოფს ამას, მაგრამ თავის მსმენელთ ცხადად, აშკარად განუმარტავს, რომ ეს ნათელი და მონყალე ღმერთი იგია, ვინც განსხვულდა, ადამიანებთან მოვიდა, ვინაც „იქადაგების იგივე სახელით ენმანუელ — ჩუენ თანა ღმერთი“ (ძეგლები 1964: 52); როგორც ჩანს, მერვე საუკუნის ქართლში არაბთაგან ხშირად ისმოდა ალაჰის „საღმრთო სახელები“ და ერთ-ერთი მიზეზი, რამაც საბანისძეს მაცხოვრის საღვთო სახელთა ჩამოთვლა გადაწყვეტინა, არაბულ თეოლოგიასთან დაპირისპირება იყო. იოვანე საბანისძე ბრძანებს, რომ მაჰმადიანებმა „მრავალნი შეაცოუნნეს და გარდადრიკნეს გზისაგან სიმართლისა და ჭეშმარიტებასა ქრისტესს სახარებისასა შეეცოდნეს“ (ზოგი ხელნაწერის თანახმად, — „შეაცოუნნეს“) (ძეგლები 1964: 50). „მიერთიგან და ვიდრე აქამომდე ნაშობნი ქრისტეანეთანი გარდაგულარძნეს, რომელნიმე მძლავრებით, რომელნიმე შეტყუვლით, რომელნიმე სიყრმესა შინა უმეცრებით, რომელნიმე მზაკუვარებით და სხუანი, რომელნი ესე ვართ მორწმუნენი, მძლავრებასა შინა დამონებულნი და ნაკლულევენებითა და სიგლახაკითა შეკრულნი, ვითარცა რკინითა, ხარკსა ქუეშე მათსა გუემულნი და ქენჯნილნი, ძმრძმრად ზღვეულნი, შიშითა განილევიან და ირყევიან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“... ამ კარგად ცნობილ სიტყვებში ჩანს იოვანე საბანისძის დიდი არისტოკრატიზმი, შეიძლება ასეც ითქვას, — დიდი ტაქტი, — იგი ჯერ პირველ პირში ლაპარაკობს, მსმენელებსა და საკუთარ თავს მორწმუნეებად მოიხსენიებს, ამავდროულად, სურს თავის მსმენელთ უთხრას, რომ ისინიც შიშით ცხოვრობენ, მაგრამ ამას ძალზე

ტაქტიკიდან აკეთებს, — არ ეუბნება მათ, — „შიშით განილევითო“, არამედ უეცრად, მოულოდნელადაც, თითქოს გამართული სტილის ერთგვარად დარღვევითაც კი, მე-3 პირში გადააქვს საუბარი და ბრძანებს, — „შიშითა განილევითან“, თითქოს სხვებზე ლაპარაკობდეს, მაგრამ ამ ტაქტიკიდან ნათქვამ სიტყვებში მრევლმა კარგად უნდა იგრძნოს, რომ მათ მიმართავს იოვანე საბანისძე, — მის მსმენელთა შორის არიან ისინი, რომელთაც მაჰმადიანთა შიში ვერ დაუძლევიათ და ლერწამივით ირყევიან, მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიაში მოლოცველი არიან... მათში, ვინც „ქრისტეს სახარებასა შეეცოდნეს“ („შეაცთუნნეს“), ალბათ, ის მორწმუნეებიც უნდა ვიგულისხმობთ, რომელთაც თითქოს არ უღალატიათ სახარებისათვის, თითქოს არ უარუყვიათ იგი, მაგრამ სახარების ჭეშმარიტ გზას კი აცდენილან და „სცთებიან“, სცოდავენ მის წინაშე; აქ სწორედ ის ქრისტიანები უნდა იგულისხმებოდნენ, რომელთაც, ჩანს, მაჰმადიანები უქადაგებდნენ, რომ ყურანი აღიარებს „ისას“, — მარიამის ძეს და რომ ყურანისეულ სწავლებას არ უნდა გაურბოდნენ ქრისტიანები...

შესაძლოა, შედარება მოულოდნელი მოგვეჩვენოს, მაგრამ გავიხსენებთ დავით გურამიშვილის სიტყვებს... „დავითიანის“ 153-ე სტროფში (1955 წლის საბიბლიო გამოცემა) გურამიშვილი სჯულის მოლაღატე ქრისტიანებზე ამბობს: „ყმად ნაუვიდნენ ისასა, იქმნენ მამადის ქოლანი“; გურამიშვილის ამ ტაქტის განმარტებისას „ისა“ ზოგჯერ ესმით ხოლმე როგორც — იესო ქრისტე, ზოგჯერ — როგორც მუჰამადის თიკუნი... ჩვენი აზრით, აქ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ყურანის პერსონაჟი „ისა“ იგულისხმება, — იგი, ვისაც ქრისტიანთა იესო ქრისტესთან თითქმის არაფერი აქვს საერთო, ვინც ყურანში ღმრთის ძედ, ღმერთად კი არა, არამედ, — ღმერთის მოციქულად, მის მონად არის წარმოდგენილი... „ისა“ გურამიშვილის ლექსიკონებში უნდა განიმარტოს როგორც — ყურანის პერსონაჟი... ამ ტაქტის განმარტებისას უნდა ითქვას, რომ გურამიშვილთან ლაპარაკია იმ ქართველებზე, რომელთაც მაჰმადიანობა მიიღეს, მაგრამ, რადგან თავისი ღმერთი მთლიანად არ ეთმობოდათ, „ისას“ თავყანისმცემლებად მოიხსენიებდნენ თავს, — იმით ცდილობენ საკუთარი თავის ნუგეშისცემას, რომ ისევ იესოს ეთაყვანებოდნენ, — მაინც ვერ იმეტებდნენ მას (ვრცლად ამ საკითხებზე იხ. კუჭუხიძე 2005: 147)...

ჩანს, რომ გურამიშვილის დროს მაჰმადიანები „ისას“ საშუალებით ცდილობდნენ ქრისტიანთა თავისკენ, თუ შეიძლება ასე ითქვას, — „მიტყუებას“ და დაახლოებით იგივე მდგომარეობა ყოფილა მე-8 საუკუნეშიც... როგორც ვიცით, იოვანე საბანისძე ქართველებს ეუბნება, — „საყურენლო მამისანო და მეგობარნო და მონანო ქრისტეს ძისა ღმრთისანო და სამკვიდრებელნო სულისა წმიდისანო“ (ძეგლები 1964: 48); გარდა იმისა, რომ აქ სახარებასთან არის ძალზე ადვილად შესამჩნევი პარადიგმები (ი. 15, 13-16... ამ საკითხზე იხ. — კუჭუხიძე 2006: 30), იქმნება შთაბეჭდილება, რომ სიტყვები „მონანო ღმრთისანო“, მაჰმადიანურ „აბდ-ალ-ლაჰ“-საც ეხმიანება, — იოვანე საბანისძე ადასტურებს, რომ ადამიანი მართლაც არის მონა ღმრთისა, მაგრამ იქვე ძალიან ხმაყვანულადაა შეახსენებს მსმენელს, რომ ეს ღმერთი იესოა, რომ იგი ძე არის მამა ღმრთისა, და, ამავდროულად, შეახსენებს, რომ ადამიანი უნდა იყოს არა მხოლოდ — მონა ღმრთისა, არამედ, — მეგობარი მისი; ღვთის მონაც (მორწმუნე) და მისი მეგობარიც (მორწმუნე და ღვთაებრივ სიბრძენსთან მიახლოებული) უნდა იყოს „სამკვიდრებელი სულისა წმიდისა“...

„ჰაბოს წამების“ კომპოზიცია „ღერძული სიმეტრიის“ პრიციპზე არის აგებული. I თავში მოცემულია ქრისტიანობის ზოგადი იდეალები, II და III თავებში წარმორჩენილია, თუ როგორ რეალიზდება ჰაბოს სახეში ეს იდეალები, ე. ი. ნაჩვენებია, თუ როგორ გადის ჰაბო იმ იდეალებთან მიახლოების, განღმრთობის, — თეოზისის გზას... IV თავში შექმნილია წმიდანი, რომელშიც ეს იდეალები განხორციელდა. I და IV თავები ზოგადი მსჯელობით და მიმართვის ფორმით ერთმანეთს ემსგავსება. I თავში განმარტებული სიმბოლოები IV თავში ჰაბოს მიემართება. ეს სამკარედული (ტრიპტიკული) სტრუქტურა ანალოგიას პოულობს ქართული ტაძრის სტრუქტურაში, სადაც ღერძული სიმეტრიის ცენტრი გუმბათია, ხოლო ტაძრის სიმეტრიულად შეთანხმებული ელემენტები ერთმანეთს მთლიანად არ იმეორებს (ამ საკითხებზე ვრცლად იხ. — სირაძე 1987: 56-67)... „წმიდა ჰაბოს წამებაში“ იკონოგრაფიული სახისმეტყველებაა, რაც არა მხოლოდ ხუროთმოძღვრებას, არამედ — ხატწერასთან მიმართებაშიც შეიძლება განვიხილოთ (სირაძე 2006: 2).

ცნობილია, რომ არაბები ხატმებრძოლობას უჭერდნენ მხარს და ამ მხრივაც არის საყურადღებო ის ფაქტი, რომ საბანისძე ასეთ დროს იკონოგრაფიული სახისმეტყველების მეთოდს მიმართავს (სირაძე 2006: 2-3); არაბებთან დაპირისპირების კონტექსტში ყოველი მცირე ნიუანსი იქცევა ჩვენს ყურადღებას... „წმიდა ჰაბოს წამებაში“ ღმერთისა და კაცის დაახლოების მოტივი ასევე შეიძლება ანტიარაბულ კონტესტში იქნას განხილული (ვრცლად ამ საკითხზე — სირაძე 1987, 63).

იოვანე საბანისძე მსმენელებს ამ სიტყვებით მიმართავს: „შემოკრებულსა ამას ჟამსა მეშვესა დარსა ზედა ვდგათ, რომლისა ჟამისათესაცა უფალი იტყვს, ვითარმედ: მრავალნი სცთებოდნან და მრავალთა აცთუნებდენ“ (ძეგლები 1964: 49). ზოგიერთ ხელნაწერშია „დარასა“ (ძეგლები 1964: 49). აკად. კორნელი კეკელიძის აღნიშვნით, „სწორი ნაკითხვა არის ან „დარასა“, ან „დარსა“ (კეკელიძე 1986: 37). შემდეგ კ. კეკელიძე დასძენს: „არსებობს სირიული, არაბული, ეთიოპური და სომხური ტერმინი — სიტყვა „დარ“, რაც საუკუნეს (საეცულუმ, გენერატიო) ნიშნავს (კეკელიძე 1986: 37); მისი აღნიშვნით, სირიულ-არაბული (ზოგადად — სემიტური) შესატყვისების შესახებ ცნობები მიაწოდა გიორგი წერეთელმა, რისთვისაც მადლობით მოიხსენიებს მას (კეკელიძე 1986: 37). შემდეგ კორნელი კეკელიძე დასძენს: „საკითხი იმის შესახებ, თუ რა ფორმით ხმარობდა იოანე საბანისძე ამ უცხო, მაგრამ ტექნიკურ ტერმინს, დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი კულტურული სამყაროდან იყო ის შეთვისებული მის თუ მის წინამორბედთა მიერ. გამორიცხული არც ერთია და არც მეორე, მაგრამ ძველი ქართული მწერლობის გათვალისწინებით, სირიულ-არაბულ-სომხური სფერო უფრო მისაღები უნდა იყოს ამ შემთხვევაში, ამიტომაც ჩვენ ამ სიტყვას ჩვენს გამოცემაში ვიღებთ როგორც „დარსა“ (კეკელიძე 1964: 37).

აკად. გიორგი წერეთელმა, ჩანს, ივარაუდა, რომ, თუ საბანისძესთან ხსენებული ტერმინი არაბული ენიდან არის მიღებული, იგი არაბულ **دور** (დვრ) ძირთან დაკავშირებული სიტყვიდან უნდა მომდინარეობდეს; როგორც ჩანს, შესაძლებლად მიიჩნია, რომ საბანისძისეული ტერმინი მოდის არაბული სიტყვიდან — **دور** (დვრ).

არაბული ლექსემა — **دور** (დვრ) ითარგმნება როგორც 1. оборот, 2. период, 3. круг (Баранов 1977)... ხოლო სიტყ-

ვები „დრო“, „საუკუნე“, „ეპოქა“ არაბულად ითარგმნება როგორც — **دور** (დაჰრ — წერეთელი 1951; Баранов 1977)... ჩვენი აზრით, არ არის შეუძლებელი არც ის, რომ საბანისძისეული „დარი“ არაბული „დაჰრიდანაც“ (**دور**) მომდინარეობდეს. რა სიტყვაც არ უნდა ეხმარა საბანისძეს, ერთი რამ არის საყურადღებო, — მწერალი ისტორიოსოფიის ისეთი მნიშვნელოვანი კატეგორიის აღსანიშნავად, როგორც აპოკალიფსური მოვლენების დაწყებაა, არა — ქართულ, არამედ, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, არაბულ ტერმინს იყენებს, და ეს — მაშინ, როცა უკვე არსებობს „ჟამი“, როცა მას შეუძლია სიტყვა „საუკუნე“ გამოიყენოს... შეიძლება ამ სიტყვების

სათანადო „მოდელირება“ (სირაძე 2006: 4); საბანისძე ახსენებს VII ათასწლეულს, საყოველთაო განკითხვის წინარე ჟამს, რაც, ზოგჯერ ისე ესმით ხოლმე, თითქოს საბანისძეს მიაჩნდა, რომ სამყარო მისი შექმნიდან შვიდი ათასწლეულის შემდეგ უნდა აღსრულებულიყო... ცნობილია, რომ ესქატოლოგიური თემებისადმი ინტერესი საზოგადოებაში ერის პოლიტიკურად, ეკონომიკურად დაკნინების დროს იღვიძებს ხოლმე (კეკელიძე 1986: 36); ამ პერიოდში სამყაროს აღსასრულის კონკრეტულ თარიღსაც ასახელებდნენ (კეკელიძე 1986: 35)...

უნდა ითქვას, რომ საბანისძე არსად არ ამბობს, თითქოს წუთისოფლის აღსასრული და საყოველთაო განკითხვა სამყაროს შექმნიდან მეშვიდე ათასწლეულის გასვლის შემდეგ მოხდება; ქრისტიანული თეოლოგიის ღრმად მცოდნე იოვანე საბანისძე, — ეს ძალიან ღრმად მოაზროვნე ადამიანი ამას არ იტყოდა იმ გასაგები მიზეზის გამო, რომ „დღისა მისთვის და ჟამისა არავინ იცის, არცა ანგელოზთა ცათა შინა, არცა ძემან, არამედ მამამან“ (მრ. 13,32); საბანისძემ, ცხადია, იცოდა, რომ აპოკალიფსის ნიშნები მთლიანად ჯერ არ იყო წარმოჩენილი; მაგრამ, ჩანს, დაწყებას ხედავდა იმ აპოკალიფსური ნიშნებისა, რომელიც წუთისოფლის აღსასრულის წინ უნდა მოხდეს, მეშვიდე ათასწლეულის სხენებით კი აშკარად მიაჩნდა იმაზე, რომ წუთისოფლის აღსასრული და საყოველთაო განკითხვის დღე შორს არ არის. საბანისძეს არაბობის მომძლავრება ესქატოლოგიური ჟამის დასაწყისად მიაჩნდა, ამასთან, ერის გაფრთხილებასა და გამოფხიზლებას ესწრაფვოდა (სირაძე 1987: 50); იგი ვერ იტყოდა, კონკრეტულად როდის მოხდება წუთისოფლის აღსასრული, მაგრამ მიაჩნდა, რომ მეშვიდე ათასწლეულში ქვეყნის აღსასრული დაიწყო (სირაძე 1987: 50).

იოვანე საბანისძის მიერ ნახსენები ტერმინი — „დარი“ — რომ, შესაძლოა, არაბული წარმოშობისა იყოს, ამას შემდეგი შემდეგი გარემოებაც გვაფიქრებინებს... „აპოკალიფსის“ თანახმად, საყოველთაო განკითხვას წინ უსჯულო ძალის მიერ მთელი ქვეყნიერების დაპყრობა და უსჯულოების გავრცელება უძღვის. იმხანად სწორედ არაბები შეუდგნენ თავიანთი მბრძა-

ნებლობის ქვეშ ქვეყნიერების გაერთიანებას. ჩანს, საბანისძის სურვილია, რომ მისმა ქადაგებამ ზეგავლენა არა მხოლოდ ქართველებზე და, საერთოდ, ქრისტიანებზე, არამედ, წმიდა ჰაბოს მსგავს არაბებზეც მოახდინოს; მიაჩნია, რომ არაბების მცდელობით, დაიპყრონ მთელი ქვეყნიერება და გაავრცელონ უსჯულოება, აპოკალიფსურმა ნიშნებმა უკვე დაიწყო გამოვლენა.

არაბული „დავრ“ — აღნიშნავს ერთ მონაკვეთს სამყაროული დროისა, რომელიც შესაქმიდან მის აღსასრულამდე გრძელდება. ასეა ისლამშიც. იგივე მნიშვნელობა შეიძლება შეიძინოს არაბულმა ტერმინმა „დაჰრ“. ჩინებული მოქართულე — იოვანე საბანისძე თავისი ნაწარმოების ქადაგებით ნაწილში,



აბო ტფილელი

ქართულში გავრცელებულის ნაცვლად, არაბულ ტერმინს ხმარობს და, შეუძლებელია, ამ ფაქტს არაბის ყურადღება არ მიექცია, — მისი სიტყვა, — ქრისტიან წმიდანად შერაცხილი ყოფილი მაჰმადიანის სხენების დღეს წარმოთქმული, აუცილებლად მოექცეოდა არაბთა ყურადღების ცენტრში. აპოკალიფსურ მოვლენებთან მიმართებაში სიტყვა „დარის“ სხენებით იოვანე საბანისძე ქართველებსაც მიანიშნებს, რომ ეს მოვლენები არაბთა პოლიტიკას უკავშირდება. ვფიქრობთ, საყოველთაო განკითხვის წინარე პერიოდზე მსჯელობისას არაბული სიტყვის ხმარებით საბანისძეს მსწენელთა და მკითხველთა ყურადღება არაბულ სამყაროზე გადააქვს, — იცის, რომ ეს სიტყვა აუცილებლად მიიპყრობს არაბების განსაკუთრებულ ყურადღებას, ვფიქრობთ, სწორედ მათი ყურადღების მიქცევას ცდილობს იოვანე საბანისძე... თითქოს ცოტა გამომწვევადაც კი იქცევა, — მისი სურვილია, სწორედ არაბებს გააგებინოს, რომ მოახ-

ლოებულია განკითხვის დღე, უნდა, რომ გააცნოს თავისი ტექსტი, დაინტერესოს მისით; ჰაბოს მსგავსმა არაბმა, თუ იქნება ასეთი, იქნებ შეისმინოს მისი სიტყვა, დაინტერესდეს, თუ რად მიაჩნიათ იოვანე საბანისძის თანამედროვე ქრისტიანებს, რომ არაბები ბოროტებას ემსახურებიან და, თუ ჰაბოსავით ქრისტიანი არ გახდა, ეგებ „მძლავრება“ მაინც შეამციროს დაპყრობილ ქვეყნებში; იოვანე საბანისძე არაბების საყურადღებოდაც წერს თავის წიგნს და, თუ გავიხსენებთ იმ ფაქტს, რომ ჯერაც მეჩეთში მლოცველ ჰაბოს ქრისტიანული ეკლესია ფართოდ უხსნიდა კარს და მაჰმადიან ჭაბუკს ქრისტიანობის შესწავლის საშუალებას აძლევდა, თუ გავიხსენებთ, რომ ჰაბო შემდგომში თვითონ გახდა არაბთა შორის ქრისტიანობის მქადაგებელი (ამ საკითხებზე იხ. კუჭუხიძე 2006: 18), მაშინ უჩვეულოდ არ უნდა მოგვეჩვენოს იოვანე საბანისძის მოქმედება, — მერვე საუკუნის ქართლის ეკლესია, ჩანს, მხოლოდ თავს კი არ იცავდა, არამედ ერთგვარად შემალული ფორმით, ისეთი მეთოდებით, რომელიც მცირეოდენ ნაყოფს მაინც გამოიღებდა, არაბებზე ზემოქმედებასაც ცდილობდა. გარდა იმისა, რომ არაბი ჭაბუკი ჰაბობი, რომელსაც იმდროინდელი ქართველები სიყვარულით ჰაბოს ეძახდნენ (ამ საკითხების შესახებ იხ. — ჭუმბურიძე

1978: 320; კუჭუხიძე 2002-2003: 40-41), თვითონ იყო კოლოსალური ენერჯის მქონე და ამ ძლიერად მოაზროვნე ახალგაზრდას შეეძლო საკუთარი ინიციატივით ახალი ცხოვრებისეული გზა აერჩია, ვფიქრობთ, რომ ქართლის ეკლესიის ასეთმა მოქმედებამაც შეუნყო ხელი იმ ფაქტს, რომ ჰაბიბი ქრისტიანი გახდა, — ისეთი ქრისტიანი, რომ შემდეგ სარწმუნოებისათვის წამებულ წმიდანადაც შეიქმნა.

ამრიგად, ჩანს, რომ, მერვე საუკუნის ქართლის ეკლესია ერთგვარად შეფარული ფორმით არაბებზე ზეგავლენის მოხდენასაც ცდილობდა და იოვანე საბანისძემ განსაკუთრებულ მოვლენაზე მსჯელობისას არაბულ ტერმინს საგანგებოდ მიმართა. ამ, ერთი შეხედვით, მცირე დეტალიდან საშუალება გვეძლევა მერვე საუკუნის ქართული ეკლესიის მოღვაწეობის თავისებურებებზე ვიმსჯელოთ. ამასთან, ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ სიტყვა „დარი“ დამკვიდრებული იყო იმდროინდელ ქართველთა მეტყველებაში; — საბანისძესთან მისი გამოყენების ფაქტი, როგორც ზემორე მსჯელობიდან უკვე წარმოჩნდა, მწერლურ თავისებურებაზე უფრო მეტყველებს; მწერალს, განსაკუთრებით, — დიდ მწერალს, ყოველთვის შეუძლია გამოიყენოს ხალხის მეტყველებაში არდამკვიდრებული სიტყვები, მას ხშირად სიტყვის გამოვლენაც ჩვევია... ვფიქრობთ, აპოკალიფსთან დაკავშირებული ტერმინი საბანისძეს არაბული „დარ“, ან „დაჰრ“-იდან უნდა ჰქონდეს შემოტანილი და ტექსტში მართლაც „დარ“ („დარსა“) უნდა დამკვიდრდეს, როგორც ეს სავსებით მართებულად მიაჩნდა აკად. კორნელი კეკელიძეს.

ამ საკითხებთან მიმართებაში ჩვენს ყურადღებას კიდევ ერთი გარემოება იპყრობს, — ისლამურ ღვთისმსახურებაში გავრცელებული იყო ჟანრი — „ხუტბა“; ვფიქრობთ, საჭიროა დაისვას საკითხი, — ამის გათვალისწინებითაც ხომ არ შეიტანა იოვანე საბანისძემ თავის თხზულებაში წმიდა ჰაბოს ქება (სირაძე 2006: 3-4). ქრისტიანი წმიდანის სახის წარმოსაჩენად, შესაძლოა, საგანგებოდ გამოიყენა არაბულ სამყაროში გავრცელებული ჟანრი, რითაც, ასევე, მიიქცევდა არაბთა ყურადღებას.

„წმიდა ჰაბოს წამების“ არაბულ კონტექსტში განხილვა გვეკარნახობს დაისვას ასეთი საკითხიც: ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იოვანე საბანისძე იცნობდა შატბერდის კრებულს, მის არქტიპს?

„შატბერდის კრებულში“ შედის თხზულებანი მხოლოდ IV-V სს-ის პატრისტიკის წარმომადგენლებისა და არა ჩანს იოვანე დამასკელი (VIII ს.). „შატბერდის კრებული“ მრავალთავი არ არის, მაგრამ სასწავლო წიგნია და იგი რომ თავდაპირველად VIII ს-ის შემდეგ შეედგინათ, ყოვლად მოულოდნელია დამასკელის გაუთვალისწინებლობა. საინტერესოა, რომ ამ კრებულში არაფერია ანტიარაბული, თუმცა, არაერთგზის ჩანს ანტისპარსული ტენდენციები (სირაძე 2006: 4). შერმადინ ონიანმა გამოთქვა მოსაზრება, რომ საბანისძეს გამოყენებული უნდა ჰქონდეს იპოლიტ რომაელის „ანტიქრისტიანთეს“; როგორც იგი აღნიშნავს, იპოლიტ რომაელის ამ შრომაზე მას კორნელი კეკელიძემ მიუთითა (ონიანი 1955: 95-96). უნდა დაისვას საკითხი, — ხომ არ შეიძლება საბანისძეს ამ შრომით „შატბერდის კრებულიდან“, მისი არქტიპიდან, ესარგებლა? (სირაძე 2006: 5). ძალიან ძნელი დასაჯერებელია, რომ არაბული ექსპანსიის კვალს „შატბერდის კრებულზე“ არავითარი კვალი არ დაეტოვებინა, ის კი სავარაუდოა, რომ მერვე საუკუნის ქართ-

ველ მწერალს თავისი ეპოქის ინტერესების გათვალისწინებით გამოეყენებინა ეს წიგნი და ანტიქრისტიკულ დაწერილ ნაწარმოებში ამ ეპოქის რეალიებისათვის მიესადაგებინა.

ჩვენს ხელთ არსებულ მონაცემებს თუ გავითვალისწინებთ, ჯერჯერობით ურყევია კორნელი კეკელიძის დებულება, რომ იოვანე საბანისძეს ლიტერატურაში პირველს უწევს ანტიმაჰმადიანური პოლემიკის წარმართვა, რაც ზოგჯერ პირდაპირ, ზოგჯერ კი, როგორც ვფიქრობთ, თავისებურად, — შეფარული ფორმით ვლინდება. იოვანე საბანისძის გვერდით, ცხადია, დგას ქართული ეკლესია, პირადად — სამუელ კათოლიკოსი, რომლის გარეშეც საბანისძე ანტიმაჰმადიანურ განწყობილებას არ დაამკვიდრებდა წიგნში (სირაძე 2006: 5).

თუკი საბანისძე ის პირველთაგანია, ვინც გაბედა და ქართლში გაბატონებულ მკაცრ არაბულ სისტემას დაუპირისპირდა, მაშინ, მითუმეტეს, ადვილი ასახსნელია ის თავისებურებანი, რაც მისეულ პოლემიკას ახასიათებს.

იოვანე საბანისძის სტრიქონთა შორის სხვა შემთხვევაშიც შეიძლება დაგვანახვოს თავი მერვე საუკუნის ქართლის მკაცრმა სინამდვილემ.

ლიტერატურა:

1. **კეკელიძე 1964:** კორნელი კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, XIV, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1964; 2. **კუჭუხიძე 2002-2003:** გოჩა კუჭუხიძე, რა იყო ჰაბო ტფილელის არაბული სახელი? — კრებ. კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა, 5-6, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბ., 2002-2003; 3. **კუჭუხიძე 2005:** გ. კუჭუხიძე, „ისას“ თაყვანისმცემელი, ფ. კრიტიკიუმი, 13, 2005; 4. **კუჭუხიძე 2006:** გ. კუჭუხიძე, იოვანე საბანისძის „წმიდა ჰაბო ტფილელის მარტილობა“ (ტექსტოლოგიური და ღვთისმეტყველებითი ანალიზი), ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეზიუმე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბ., 2006; 5. **ონიანი 1955:** შერმადინ ონიანი, იოვანე საბანის ძე, ცხოვრება და მოღვაწეობა, დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1955 (ხელნაწერი, — ინახება თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში); 6. **სირაძე 1987:** რევაზ სირაძე, ლიტერატურულ ესთეტიკური ნარკვევები, თბ., 1987; 7. **სირაძე 2001:** რ. სირაძე, დრო და ჟამი, — კრებ. ლიტერატურული ძეგლები, XXII, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 2001; 8. **სირაძე 2006:** რ. სირაძე, რეცენზია-დასკვნა გოჩა კუჭუხიძის სადოქტორო დისერტაციაზე — იოვანე საბანისძის „წმიდა ჰაბო ტფილელის მარტილობა“ (ტექსტოლოგიური და ღვთისმეტყველებითი ანალიზი), 2006 (ხელნაწერი, — ინახება კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში); 9. **ძეგლები 1964:** ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელაშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკვიევამ და ც. ჯღამაიამ **ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით**, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, თბ., 1964; 10. **წერეთელი 1951:** გიორგი წერეთელი, არაბულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1951; 11. **ჭუმბურიძე 1978:** ზურაბ ჭუმბურიძე, დედა-ენა ქართული, თბ., 1978; 12. **Баранов 1977:** X. K. Баранов, *Арабско-русский словарь*, ს., 1977.

ბაბუა ალუდაური

თამარ ხელაშვილი — გაბრიელ ჯაბუშანურის „მარეხი“

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში თამარ მიხას ასულ ხელაშვილს, იმჟამად 70 წელს მიტანებულს, ჟინვალის ახალი დასახლების ერთ-ერთ კორპუსში მისცეს ერთოთახიანი ბინა.

მე მანამდე, 1982 წელს გავიცანი ქალბატონი თამარი, როდესაც ზემო ქედში ვიყავი ჩასული მიხა ხელაშვილის დის — პელაგიას სანახავად.

თამარ ხელაშვილს ჟინვალში ხშირად ვაკითხავდით.

ერთ-ერთი მისვლისას თავისი შვილიშვილის მონათვლა შემომთავაზა. მე, რა თქმა უნდა, სიხარულით დავთანხმდი. ნათლობა მალე შედგა ანანურის ეკლესიაში, რომელიც 1988 წლის გიორგობას ახლად ამოქმედებული იყო.

ნათლობის შემდეგ ქალბატონი თამარის ერთოთახიან ბინაში გადავინაცვლეთ და პატარა სუფრას თამარის თანაკლასელი და ბავშვობის მეგობარი ბატონი ივანე ლიქოკელი უძღვებოდა. ეს ის ივანე ლიქოკელია, რომელმაც ახლახან გამოსცა ორი წიგნი — „ხევსურები და ქაქუცა“ და „ხევსურეთის სისხლიანი 37“.

დამშვიდობებისას მასპინძელმა მთხოვა — მივსულიყავი მეორე დღეს, რადგან მას ჩემთვის სიურპრიზი ჰქონდა (იმხანად დუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი ვიყავი).

მეორე დღეს ვესტუმრე ქალბატონ თამარს, რომელმაც გადმომცა გაბრიელ ჯაბუშანურის ლექსების ხელნაწერი რვეული, სადაც ოთხ სხვა ცნობილ ლექსთან ერთად ერთი უცნობი ლექსიც იყო შეტანილი — ექსპრომტი (თამარ ხელაშვილს) — სათაურით.

დამაინტერესა ამ ლექსის ისტორიამ. თან გაბრიელ ჯაბუშანურის პოეზიას საკმაოდ კარგად ვიცნობდი და ეს ლექსი არც ერთი კრებულიდან არ მახსოვდა.

ქალბატონმა თამარმა გაიხსენა ახალგაზრდობა (სავარაუდოდ 1950-იანი წლების დასაწყისი), როდესაც თავის თანატოლებთან ერთად სოფელ ჩარგალში, ხატობაზე, შემთხვევით შეხვდა გაბრიელ ჯაბუშანურს.

— ვინ ხარ, ქალო, შენ? — უკითხავს პოეტს თამარისთვის.

მსგავსი შემთხვევა არც მანამდე და არც მას შემდეგ არ მიგრძენიაო — ბრძანა თამარმა.

— თამარი ვარ, ხელაშვილი, მიხას ასული. — უპასუხია თამარს და სხვათა შორის დაუმატებია — გათხოვილი!

გაბრიელ ჯაბუშანური ერთხანს უხმოდ უყურებდა თურმე მიხა ხელაშვილის ულამაზეს ასულს და მეორე ჩაულაპარაკია:

— მიხა ხელაშვილი... მიხა ხელაშვილი...

ეჰ, გაბრიელ, როგორ ყველგან გაგვიანდება!

— მე და ჩემი მეგობრები ინტერესითა და ცოტა ახალგაზრდული სიცელქითაც შევეყურებდით ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილ პოეტსო — თამარმა (გაბრიელი თამარზე ათიოდ წლით იყო უფროსი).

მერე გაბრიელს უკითხავს თამარისთვის, თუ სად ცხოვრობდა, ჩარგალში ვინ ჰყავდა ახლობელი.

ბოლოს შეუთავაზებია — ლექსები დაგებედე, ცოტა ჰონორარი მაქვს და შენ და შენს მეგობრებს დაგპატიჟებთო (მაშინ ჩარგლის ქალაში რამდენიმე დუქანი ყოფილა).

„სამწუხაროდ“ (ქალბატონი თამარის სიტყვით) ეს სტუმარმასპინძლობა არ შემდგარა.

მეორე ზაფხულს თამარისთვის მიუტანიათ გაბრიელის მიერ გამოგზავნილი ხელნაწერი რვეული.

მე კიდევ ერთხელ ნავიკითხე რვეულში გაბრიელის ულამაზესი კალიგრაფიით ჩაწერილი „ექსპრომტი“.

ლექსით გამოწვეული აღფრთოვანება რომ შემატყო, ადრესატმა კიდევ ერთი საიდუმლო გამიმხილა:

— აქამდე ამ რვეულსაც საიდუმლოდ ვინახავდი, არც არავისთვის მითქვამს. ახლა კი დავბერდი და მინაში ხომ არ ჩავიყოლებ ამ საიდუმლოს — ლექსების ციკლის სათაური „მარეხი“ ჩემი სახელ-გვარიდან აქვს აღებული დიდ პოეტსო.

მეხსიერებაში უცებ ამოტივტივდა სტრიქონები ამ ციკლის სხვა ლექსიდან:

**ხუცესი შენს თავს ახვენებს გამჩენს,
ხატის კარს ხალხი დამდგარა ჯგუფად.
მე გულში ეჭვი როგორ არ ჩამრჩეს:
ასე გულდაგულ რასა სთხოვ უფალს?**

გაბრიელ ჯაბუშანურის პოეზიის მცოდნეთათვის ეს ციკლი (როგორც „ცისკარი“ და „მზექალი“) კარგად არის ცნობილი.

ღვთის წყალობით თამარ ხელაშვილი დღესაც ცოცხალია და მეორე რომ ეჭვქვეშ არავინ დააყენოს მისი „მარეხობა“, ჩვენც მის სიცოცხლეშივე „გავაქვეყნოთ“ დიდხანსანახი საიდუმლო!

თქვენ წინაშეა გაბრიელ ჯაბუშანურის ლექსი.

ექსპრომტი

თამარ ხელაშვილს

**ლამაზი ქალი იმიტომ ჩნდება,
რომ პოეტები ლექსად დაგვცალოს,
ჯერ ჩვენგან ტკბილი ისმინოს ქება,
მერე ადგეს და სხვაში გაგვცვალოს.**

**მეც ხომ ასევე, — ლექსის კარიბჭეს
შენთვის ვაღებ და ალად ვენთები,
მე საუკუნო სახელს განიჭებ,
შენ კი ერთ წუთსაც არ გახსენდება.**

P.S. ბატონო როსტომ, ყურნალის ეს ნომერი აუცილებლად მიაღწევს ქალბატონ თამარ ხელაშვილამდე და საჯაროდ ვეტიყვი მადლობას ამ საიდუმლოს ჩემთვის განდობისთვის.

ქეთევან ტომარაძე ათას ერთი ანარეკლი

აზერბაიჯანელი ხალხის სულიერი მემკვიდრეობის მემკვიდრეობა, მწერალმა და მთარგმნელმა, ზეზვა მედულაშვილმა სულ ახლახან მკითხველ საზოგადოებას კიდევ ერთი მშვენიერი თარგმანი შესთავაზა. „ათას ერთი აზერბაიჯანული ბაიათის“ სახელწოდებით გამოცემულ კრებულში თავმოყრილი, ქართულ ენაზე აჟღერებული ხალხური პოეზიის ნიმუშები იმ საშუალო საქმის ორგანული გაგრძელებაა, საქართველოს მეზობელი ქვეყნების ზეპირსიტყვიერების გაცნობას, კავკასიის ხალხთა დაახლოებას, კულტურათა დიალოგს რომ ისახავს მიზნად. ამ პროცესში ფასდაუდებელია მკვლევრისა და მთარგმნელის, ზეზვა მედულაშვილის წვლილი. ხალხური პოეზიის თვალწინდელი ველზე მან, სწორედ რომ, ოქროს რტოს მიაკვლია. გამოცემა ორენოვანია, რაც კიდევ უფრო ზრდის წიგნის მნიშვნელობას. ამ უნიკალური კრებულით საქართველოს აზერბაიჯანულ მოსახლეობას საშუალება ეძლევა დედანშიც ეზიაროს წინაპართა მიერ ჩვენამდე სათუთად მოტანილ, მხატვრულად ტრანსფორმირებულ უბრალო ადამიანთა უშუალო და გულწრფელ განცდებს. ამასთან, მკითხველს აზერბაიჯანულის ქართულ ტექსტთან შედარებისკენაც უბიძგებს. ამ მარტივი და ეფექტური ხერხით გამომცემლობა, სახელმწიფო ენის შესწავლის ორიგინალურ და საიმედო ხერხს სთავაზობს საქართველოს აზერბაიჯანულ მოსახლეობას. პოეზიის ქართველი მოყვარული კი, მეზობელი ერის საუკეთესო ფოლკლორულ ნიმუშებში, ბაიათებში არეკლილ ხალხურ სიბრძნეს, სევდასა და ნუგეშს გაითავისებს, არაერთ შეგონებას კეთილ მეგზურად გაიყოლიებს, არცთუ იოლად დასაძლევ, ცხოვრებისეულ წინააღმდეგობათა საცალფეხო ბილიკებზე.

სასიამოვნო ფაქტია, რომ მთარგმნელმა ადეკვატურად გადმოსცა დედნისათვის ნიშნდობლივი ლექსის ტევაობა, სილაღე და სიმსუბუქე. იმავდროულად, ზუსტად მიაგნო ბაიათის პოეტური სახეებისა თუ სენტიმენტების, ლექსის ბოლო ბნკარში აკუმულირებული ხალხური სიბრძნის ქართულ შესატყვისებს. ავტორის მიერ ფოლკლორის საკითხებში ჩახედულობამ სათანადოდ იჩინა თავი, ხალხური ზეპირსიტყვიერებისა და, ზოგადად, ლიტერატურის კვლევისას ნლეების მანძილზე დაგროვილმა ინფორმაციამ სასურველი ნაყოფი გამოიღო, პოზიტიური როლი ითამაშა და ლექსის საბოლოო გარანდვა-გაჩარხვაში ნაადგა მთარგმნელს.

სხვადასხვა ენობრივ სივრცეში ლაღად მოქმედების, თავისუფალი კომუნიკაციის უნარის გარდა, ზეზვას შემოქმედი ადამიანის არაერთი მისაბაძი თვისება აღმოაჩნდა. კომუნიკაცია სასურველი, თუმცა, არასაკმარისი პირობაა სხვა ენაზე მაღალი ხარისხის ტექსტის შესაქმნელად. აუცილებელია, ლექსთწარმოქმნის პროცესის გათავისება, იმპროვიზების ოსტატობა, სათარგმნი მასალის ტონალობასა და სიღრმესეულ პლასტებში წვდომის უნარი. ამ ანბა-

ნურ ჭეშმარიტებას მთარგმნელი არა მარტო თეორიულად იცნობს, სისხლხორცეულად აქვს გათავისებული. ზეზვა გრძნობს ლექსის ჩვეულებრივი თვალისთვის უხილავ, ხშირად ძნელად მოსახელთებელ ნიუანსებს. ამასთან, შინაგანი მზერით ჭერეტს იმ პერიპეტეებს, ნაწარმოებმა ჩასახვისა და განვითარების პროცესში რომ გამოიარა, გენეზისს, რამაც, ხალხური ცეკვებისა თუ ინსტრუმენტების თანხლებით აღმოცენებული, რიტმითა და რითმით გახედნილი, იდეებით დახუნძლული პოეტური სტრიქონები, საბოლოოდ, კოლექტიურ შემოქმედებად აქცია.

ზეზვა მედულაშვილი თვითონაც არაერთი მშვენიერი ლექსისა თუ კაფიის ავტორია. თუმცა პოეზიის თავმდაბალ მსახურს, ჩემი სჯობსო, არასოდეს დაუქადნია. საგულისხმო ფაქტია, რომ იგი ძველი თბილისური, აშუღური სკოლის ტრადიციებს ფეხდაფეხ მისდევს და ამ ჟანრში რამდენიმე ენაზე ქმნის გულშიჩამწვდომ პოეტურ სტრიქონებს: ქართულად, აზერბაიჯანულად, სომხურად, სპარსულად. ვერ დავიჩემებ, თუმცა, ვეჭვობ, ზეზვა არაერთ სხვა ენასაც თავისუფლად ფლობს. მაგრამ პოლიგლოტი კიდევ რომ ვუნოდო, ვგონებ, მაინც სრულად ვერ გადმოვცემ მისი, როგორც მკვლევრისა და მთარგმნელის, ფართო ინტელექტუალურ შესაძლებლობებს. ზეზვა არა მარტო თავისუფლად მეტყველებს აღნიშნულ ენებზე, მკითხველს ხიბლავს მისი გამორჩეული თვისება, იოლად დაეუფლოს სრულიად განსხვავებულ გეოგრაფიულ და ფსიქო-სოციალურ გარემოში მყოფი მთქმელისა, თუ განსწავლული ავტორის მხატვრული აზროვნების ზიგზაგებს, ამა თუ იმ ლექსის სტილურ თავისებურებებს; თითოეულის ცნობიერების კუთხე-კუნჭულში შეაღწიოს, მნიშვნელოვანი და აუცილებელი მყისვე შეიცნოს, ჩაეჭიდოს და სამზეოზე გამოიტანოს; იმავდროულად, ყოველი ნიუანსი ისე მოგვანოდოს, დედნის მიმზიდველობა და სურნელება სრულფასოვნად გვაგრძნობინოს.

მთარგმნელი ცდილობს, ჯერ კიდევ უცნობი, ადამიანური ყოფის მრავალფეროვნების წარმოჩენის თვალსაზრისით, აქტუალური, ხოლო ესთეტიკურად, რაც შეიძლება დახვეწილი, აკუსტიკურად სრულყოფილი ტექსტი შემოგვთავაზოს. მისი მოღვაწეობის სპექტრი და პარამეტრები, უპირველეს ყოვლისა, ლიტერატურის მოყვარულთა თვალსაზრისით გაფართოებას ისახავს მიზნად. ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის მდიდარ ტრადიციებზე აღზრდილი, ცნობილი სპეციალისტების მიერ დამოძღვრილი, მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით აღჭურვილი მწერალი განაგრძობს სახელოვან წინაპართა მიერ, მრავალი წლის წინათ დანყებულ საქმეს. მისი მოღვაწეობა, შუა საუკუნეების თურქ, არაბ თუ სპარსელ პოეტთა მსგავსად, მისიონერულ ხასიათის ატარებს, პოზიტიური ინფორმაციის გაცვლით, ადამიანთა შორის ურთიერთგაგებას ემსახურება და გაუგებრობისა და დაპირისპირების ალტერნატივას, ერთგვარ ჭეშმანურ აქციას წარმოადგენს. ამდენად, უნებლიეთ, ძირითად საქმიანობასთან ერთად, ზეზვამ სახალხო დიპლომატიის გონიერი და კეთილი ელჩის ფუნქციაც შეითავსა.

წიგნის შესავალ წერილში მთარგმნელი ბაიათის რაობა-როგორობაზე გვესაუბრება. იგი აღმოსავლური მწერლობის ლაბირინთებში გზამკვლევის როლსაც კისრულობს და დასძენს: ბაიათები სწორედაც რომ აზერბაიჯანელი ხალხის სულია და ეს სული ბაიათებში ისე აირეკლება, როგორც მზის სხივი წყლის წვეთში.

მკითხველი აზერბაიჯანულ ბაიათში მრავალი კულტურის ნაზავს ამოიცნობს. თითოეული ლექსი, არა მარტო რომელიმე ცალკეული ხალხის, მეზობელი ერების მრავალსაუკუნოვანი, ისტორიული გამოცდილების მხატვრულ სახეებად გარდასახვის საგულისხმო ილუსტრაციაა. ამ თვალსაზრისით, ანგარიშგასწავნა ბაიათების მეცნიერული ანალიზი, რაც მეზობელი ხალხის პოეტური აზროვნების მრავალ საიდუმლოს ხდის ფარდას. მეცნიერული კვლევისთვის ზეზვა მედულაშვილს მდიდარი არსენალი, ყველა ღირსება გააჩნია. მას ამ სფეროშიც არა ერთხელ გამოუჩენია თავი და, დინჯი, გააზრებული, ნონიანი სიტყვის სათქმელად, უშურველად გადაუხსნია მრავალნაირი ნაფიქრითა და ნააზრევით სავესე ზარდახმა.



„ათას ერთი აზერბაიჯანული ბაიათის“ შესავალ წერილში არაერთ ნიაღვრას შეხვდებით აღმოსავლეთისთვის ტრადიციულ ლექსთწყობის სისტემებსა თუ მის შინაარსობრივ ასპექტებზე: „ბაიათების პოპულარობა განაპირობა ჯერ მისმა ხალხურობამ, მერე კიდევ მცირე და მოქნილმა ფორმამ (იგი წარმოადგენს ოთხადოთხტაეპიან ლირიკულ ლექსს, სადაც ერთმანეთს ერითმებიან პირველი, მეორე და მესამე სტრიქონები, მესამე კი ურითმოდაა დატოვებული. სალექსო ზომა შვიდი მარცვალია)“, შენიშნავს მთარგმნელი. იმავე წერილიდან ვიგებთ, რომ ზეზვა ადრეც შეთამაშებია აზერბაიჯანულ ბაიათს. ამჯერად კი, წიგნის განვრცობილი ვარიანტით, ათას ერთი ბაიათით შეგვეხშიანა. 1979 წელს, მის მიერ თარგმნილი და გამოცემული სხვადასხვა დროს დასტამბული ოთხბუნკარეებიდან ზოგი გაბნეულა, ზოგიერთის დედნისთვის ველარ მიუკვლევი და წლების მანძილზე ნაშრომ-ნაღვანიდან, რაც ხელთ შემორჩენია, ახალი თარგმანებით შეუვსია და დაუმშვენებია. თუმცა იმდენად მომხიბლავი, შთამბეჭდავი, შინაარსობრივად მდიდარი კრებული შეუკრავს, უკმარისობის განცდა როდი გეუფლებათ.

ავტორის კეთილშობილი მიზანი თავდაპირველად წიგნის სახელწოდებაშია გაცხადებული: ათასი — სისახისა და ჰარმონიის, ერთი — უსასრულობისა და მარადიული სრულყოფისკენ სწრაფვის სიმბოლო. ათას ერთი ბაიათი ზუსტად მიგნებული სათაურია, რომლითაც მთარგმნელი მომავალშიც არაერთ სიახლეს ჰპირდება პოეზიის მოყვარულებს, გვაგრძობინებს, კვლავაც რომ გააგრძელებს ახალი ბაიათების მოძიებას და საბოლოოდ სრულყოფს წლების წინათ დანებულ საქმეს.

ჯინი ბოთლის ვინრო ყელიდან ამოძვრა, მოსაწყენ ერთფეროვნებას თავი დააღწია და ათას ერთი ღამის ზღაპრებში განფენილ ადამიანურ სისუსტეთა გრძელი შლეიფი: შური, ბოროტება, გაუტანლობა, გაიძვერობა, მცონარობა და ა.შ. რომელთაც სიკეთის სხივები ცულლუტად დანათის და მიჩქმალვასა და გაქრობას ღამობს, აზერბაიჯანულ ბაიათებშიც ძალუმადა აკიაფდა. თითოეული ლექსი, შეფარული სევდის მიუხედავად, გვასწავლის ცხოვრების გზის თამამად, მტკიცედ, ღირსეულად გავლას... ხალხური შემოქმედების ძირითადი და წამყვანი, შავთეთრი ფერები, აქა-იქ ფა-

ქიზი, მსუბუქი საღებავებითაც ივსება, მჟღერ ტონალობას ზოგჯერ პასტელის ფერები ენაცვლება და ბაიათს კლასიკური აღმოსავლური პოეზიის იერსახეს ანიჭებს, მასთან ძალუმადა აახლოებს.

ბაიათებიდან, სიყვარულის გულდამთუთქავ სევდასთან ერთად, კეთილი იუმორი, მძლავრი სასიცოცხლო იმპულსები მოედინება ოპტიმისტური ბიძგებით, რაც კაცს აფხიზლებს და ამ ცოდვა-მადლით დამძიმებულ მინაზე აძლებინებს. სიცოცხლის სიყვარული, სინრფელითა და უკომპლექსობით განპირობებული თვითშეფასების მაღალი ხარისხი, ნაღდი და ძლიერი ინსტინქტი, ხალისითა და სიხარულით რომ ავსებს მოსიყვარულე, ზოგჯერ უსამართლოდ დაჩაგრულ, მაგრამ მინც ძლიერად

და ჯანსაღად მფეთქავ გულებს: „ვაჰ, თავო ფუჭად მბაქველო, ტყუილად წყლისა მნაყველო, ვითომ ბედსა სწვდი ყელში და, ხელთ შეგრჩა შენივ საყელო“. ან კიდევ: „ვერ მივალნიე მიზნამდი, საფიქრალს გულში ვზიზნავდი. გონს არ მოიცემს უგნური, ოქროშიც ჩასვი კისრამდი“.

სრულფასოვანი თარგმანი მკითხველს საშუალებას აძლევს, ბაიათის კაფიასთან ტიპოლოგიური მსგავსება იოლად შენიშნოს, მრავალი პოეტური სახე ეცნაუროს და თავისად დაიგულოს: „წყლის პირას მწვანე ჭალაა, თივას მოსთიბენ, ჩალაა. სიღარიბე ხომ ქირია, სიმდიდრეც ხათაბალაა“.

არა მარტო კაფიების პარალელებს, დაკვირვებული თვლით, ზოგადად, ქართულ ხალხურ ბალადასა თუ ლექსში დაუნჯებულ, მიმზიდველ პოეტურ ხატებად გარდაქმნილ, კაცთმოყვარეობით გამსჭვალულ სტრიქონებსაც იოლად შეიცნობს, არაერთი ჩინებული მთქმელის ნიჭიერად, ხალასად ნათქვამ სიტყვებსაც გაიხსენებს და გაოცებაც მრავალგზის დაეუფლება. იმდენად კარგად გრძობს მთარგმნელი ლექსის ინტონაციას, ისე ოსტატურად აქცევს იდეას რიტმისა და რითმის არტახებში, თანმიმდევრულად მისდევს თითოეული აზერბაიჯანული ბაიათის შინაარსს, რომ ნათქვამისთვის მეტი დამაჯერებლობის მისანიჭებლად, ბუნკარეების მოტანას შეგნებულად მოვერინდეთ, ზედმეტად მივიჩნიეთ. კომენტარი კი, კვლავ მკაცრ და მომთხოვნ მკითხველს მივანდეთ და სანიმუშოდ ორიოდ ბაიათიც მოვაცოლეთ. ქართველი მთქმელი იტყვის: „რა მექნას ციხე ავაგე, დარდი შავაბი კარადა...“ აზერბაიჯანელი: „ქვეყანა შემომივლია, ეს ერთი დამიჩვილია: კაემნის სახლი ავიგე, გარს დარდის ღობე მივლია“. ან სხვაგან: „დავდივარ ცრემლით მე სველი, სულ გადავხანი ეს ველი, სევდის გუთანი მიბია, დარდებისა ვარ მთესველი“. ეგებ, მომდევნო ბაიათის გაცნობისას, გონებაში ვეფხისა და მოყმის ბალადაც ამოტივტივდეს და ქართული დედის სანიმუშო კეთილშობილებით აღფრთოვანებული, აზერბაიჯანელი მთქმელის შორსმჭკრეტელობით, ვაჟკაცობითა და კაცთმოყვარეობითაც მოიხიბლოთ: „ჩემს მტერს უთხარით, იხაროს, ქედი არვის წინ იხაროს, მე რომ არ შემერჩა ქვეყანა, იმას შერჩეს და იხაროს“...

„...მას შემდეგ, რაც აზერბაიჯანმა დამოუკიდებლობა ხელახლა მოიპოვა, სხვა სფეროების დარად, ლიტერატურ-

რისა და კულტურის საკითხებში შესამჩნევი გამოცოცხლება შეინიშნება“, აღნიშნავს ნამიგ ალიევი ნიგნის შესავალ ნერილში, რომელიც მრავალ საგულისხმო ინფორმაციას გვანდის აზერბაიჯანულ მწერლობაზე, კერძოდ, ფოლკლორზე. ამგვარ ვითარებას მკვლევარი 2004 წლის 12 იანვარს, ქვეყნის პრეზიდენტის, ილჰამ ალიევის მიერ გაცემული განკარგულებით ხსნის. აღნიშნული დოკუმენტით აზერბაიჯანულ ენაზე არსებული ნიგნების ლათინური დამწერლობით მასობრივი გამოცემა დაიწყო, რაც მნიშვნელოვან კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობაში გადაიზარდა. მისასაღმებელი ფაქტია, რომ იუნესკოსა და ისიესკოს კეთილი ნების ელჩის, აზერბაიჯანის პირველი ლედის, დეპუტატ მეჰრიბან ალიევის ძალისხმევით, ეროვნული საგანძური, მულადი და აშულურ-ოზანური ხელოვნება, სრულიად დამსახურებულად, მსოფლიოს ხალხთა კუთვნილებადაც იქცა. საამაყოა, რომ ამ დიდ საქმეში ძალზე მნიშვნელოვანია, ქართული მთარგმნელობითი სკოლის დამსახურება.

ბაიათების ქართულ ენაზე ბრწყინვალედ ამტყველები მათგან ზეზვამ აზერბაიჯანელი ხალხის გულწრფელი მადლობა დაიმსახურა. სიამაყის გრძნობა ეუფლება მკითხველს პროფესორ ნამიგ ალიევის მიერ, ზეზვა მედულაშვილის მრავალწლიანი შრომის შედეგების შეჯამებისას: „აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელით, დიდ მადლობას მოვასხენებ ჩვენი ფოლკლორისა და წერილობითი ლიტერატურის უბადლო მცოდნესა და დამფასებელს, აზერბაიჯანელი ხალხის დიდ მეგობარს, ნიჭიერ პოეტსა და მთარგმნელს, აზერბაიჯანული ზეპირსიტყვიერებისა და ლიტერატურის დაულალავ ავტორს, ბატონ ზეზვა მედულაშვილს აზერბაიჯანული ბაიათის ამ სწორუპოვარი თარგმნისთვის“.

თბილისის კულტურის ცენტრ-ვარლიგის დირექტორი, რაფიგ გუმბათი ზეზვას „ჩვენი სულის თარჯიმანს“ უწოდებს და შეგვახსენებს: „ერთი წელია, რაც ჩემი ნარდგენის საფუძველზე ზეზვა აზერბაიჯანის მწერალთა კავშირის წევრი გახდა და გასულ წელს ამ კავშირის მიერ დაწესებული ნაჯიფ ნაჯიფოვის სახელობის პრემიით დაჯილდოვდა...“

ზეზვა მედულაშვილი კავკასიის ხალხთა ჭეშმარიტი გულთამხილავია. ჩვენი მეზობელი, ქვეყნების მიწის ფეთქებასა თუ ადამიანთა სულის ვიბრაციას მწერალი და მთარგმნელი სათუთად აყურადებს. მას ფართოდ უღებენ გულის კარს როგორც ერთგულ და გამგებ ძმას, ყველას ვარამისა და სიხარულის გამზიარებელს: აზერბაიჯანელები და სომხები, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები. თავის მხრივ, ზეზვა საკუთარი კულტურის, გენეტიკური და ისტორიული ხსოვნის მარგალიტებს უშურველად უნილადებს ყველა მოკეთეს, ვით კირითხურო, მეგობრობის, ურთერთგაგების მყარ და საიმედო ციხესიმაგრეს აგებს. ამიტომაც არის მალალი პროფესიონალიზმითა და გამორჩეული კაცთმოყვარეობით შემკული მწერალი საყოველთაო სიყვარულითა და პატივისცემით გარემოცული.

ზეზვას მიერ გადმოქართულებულ ბაიათებშიც აზერბაიჯანელი ხალხის ნაღდი, ხალასი გრძნობების ათას ერთი ანარეკლი იკითხება, რაც კიდევ ერთხელ, მრავალ მისაბაძ ღირსებას მატებს მთარგმნელს, მკვლევარსა და პოეტს ქართველ და აზერბაიჯანელ ხალხთა წინაშე მის უცილობლად თვალსაჩინო დამსახურებას.

საყოველთაოდ ცნობილია ინგლისელი ქართველოლოგების, და-ძმა მარჯორი და ოლივერ უორდროპების ღვანლი საქართველოს წინაშე, ის უდიდესი ამაგი, რაც მათ დასდეს ქართულ კულტურას და ევროპაში მისი პოპულარიზაციის საქმეს. უორდროპების საქართველოში სტუმრობის, ქართველ საზოგადოებასთან შეხვედრების და ურთიერთობის რამდენიმე ეპიზოდზე მოგვიხრობს ელისაბედ ერისთავის ერთი გამოუქვეყნებელი მოგონება, რომელიც საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა კოლექციაშია დაცული (13493-ხ).

ელისაბედ ერისთავი (1864-1949) 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი მეთაურის ელიზბარ ერისთავის უმცროსი ქალიშვილია. მისი ხელნაწერი მემუარები ბევრ საინტერესო ცნობას გვანდის მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოების ისტორიისათვის. დასახელებულ მოგონებაში მემუარისტი იხსენებს ინგლისელ და-ძმასთან ქართველი ინტელიგენციის შეხვედრებს, რომლებშიც თავად მიუღია მონაწილეობა და პირადად გასცნობია მათ, უორდროპებთან ურთიერთობის სხვა ამბებს. ვფიქრობთ, მოგონების გამოქვეყნება ქართული კულტურის ისტორიის ერთ ფურცელს გადაუშლის ქართველ მკითხველს.

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ფოტომასალა და კომენტარები დაურთო მანია ცარცვაძემ.

მოგონება პორტროზი¹

მასსომს[.] ერთ საღამოს მარიამ დემურიამ² შემოიარა ჩვენსა და გვეტხოვა[.] რომ უსათუოთ ნავსულიყავით იმასთან ერთათ[.] საღამო გაგვეტარებინა. ეს აღარ მახსოვს[.] ვის სახლში[.] ვიცი[.] რომ ამ ვეჩერს მართამდენ ქართველი ინტელიგენცია[.] უფროსი ერთი ქალები ანასტასია მიხეილის ასული წერეთელი თუმანიშვილი-სა³[.] კეკე მესხი⁴[.] ეკატერინა გაბაშვილისა⁵ და სხვები ვორტროპის⁶ დასახვედრათა. ჩაი და ტკბილეულობა ბევრი ჰქონდათ. რასაკვირველია[.] გავიცანი. ძალიან მოგვეწონა[.] მე კუთხეში ვიჯექი და თითქმის არ მილაპარაკანია და [ე]უგდებდი ყურს სხვებს. თუმცა ინგლისელი იყო[.] მა[გ]რამ ვერა მალამდა თავის ალტაცებას საქართველოზე. ნამოსვლის დროს ჩემმა დამ⁷ სთხოვა[.] ჩვენსა მოსვლა ხომ კი ესამოვნებოდა და დაუნიშნა დრო[.] როცა ვიყავით სახლში[.] ჩემი და მაშინ სცხოვრობდა ეგზარხოსის მეიდანზე⁸ თავის ქმართან⁹[.] ძველ სახლებში[.] დიდი ბეზიის თეკლე ბატონიშვილის¹⁰ სასახლეში[.] ასე[.] რომ ოლივერ ვორტროპი ხშირი სტუმარი გავიცნა და ძალიან მტანჯამდა მით[.] რომ მთელი საღამოები ბიძაჩემის[.] ვახტანგ ორბელიანის¹¹ თხზულებებს ფრანგულათ მათარგმლებდა. თავიდან არ დამავინყდებდა[.] ”იმედს“¹² რომ [ვ]უთარგმდიდი[.] ხვითქი გადამდიოდა. ეს[.] ვგონებ[.] პირველი ჩამოსვლა იყო იმისი¹³. მეორეთ[.] არ ვიცი[.] როდის ჩამოვიდა[.] მე ალბათ აქ არ ვიყავი[.] ვიცი[.] რომ ბევრნი გაიცნო და სიამოვნებდა[.] ქუთაისში დიდათ მიელოთ[.] თევზაობა გაემართნათ და ალტაცებული ჩამოსუ-

ლიყო.[.] ხშირათ იგონებდა იქაურ დროს გატარებას. მეორე ჩამოსვლაზე თავისი და მარჯორიც¹⁴ ჩამოიყვანა.[.]¹⁵

დიდი ვეჩერი ჰქონდა დავიდ სარაჯიშვილსა¹⁶. მაშინდელ სერგეის ქუჩა[.] ესე იგი[.] მაჩაბლის ქუჩაზე თავის სახლებში დიდი[.] ელექტრონებით გაჩაჩხრა[.]ღებულნი ოთახები მთლათ ყვავილებში[.] კედლებზე გირლანდები[თ,] [მოერთოთ,] სავახშმო სტოლებზე[.] ზაკუსკებით დატვირთულზე[.] ყველა პრიბორეფთან [ენყო] ყვავილები მშვენიერი[.] რომ სტუმრებს ეელოთ და ქალებს ნელში გვეკეთებინათ[.] კაცებს კიდევ [—] პეტლიცებში. მშვენიერი ღვინოები[.] შამფანსკები და თავისი[.] ლიკვერები გაუთავებელი ისმოდა. ქმარი და ცოლი¹⁷ დასტრიალებდნენ სტოლებსა[.] ყველას სთხოვდნენ[.] გამხიარულ[ებულ]იყვნენ. მშვენიერი კონცერტი იყო ყოველთვის: კარგარეთელის¹⁸ და ევლახოვის¹⁹ ზმები ამხიარულებდნენ ყველას[.] აგრეთვე ხორო იტალიანელების. რასაკვირველია[.] რომ ვახშამი მშვენიერი იყო და გაუთავებელი[.] ვახშამს უკან ლეკურები[.] საუკეთესო საზანდარი და ტანცაობა.

მარჯორი ვორტროპი იმ საღამოს გავიცანი და [ვ]ითხარი[.] ხომ კარგათ იმოგზაურეთ[.]მეთქი[.] ხომ ზღვაზე არ შენუხდით[.]მეთქი[.] პასუხათ ეს მითხრა[.] "არაო[.] დასაბამითგანვე ფურთნა არ იყოვო[.] ზღვა მშვიდობიანი იყოვო". ჩვენი ქვეყანა როგორ მოგნონთ[.]მეთქი[.] ფრიად მომნონსო[.] მშვენიერიყო. სად შეისწავლეთ[.]მეთქი[.] აგრე ღრმა ქართული და მიპასუხა[.] სახარებაზეო. ამაზე მეტი არა გვილაპარაკნია[.] რადგანაც ყველას უკვირდა იმის ქართული[.] ასეთი მშვენიერი და ყველა ყვლებდა.

მე რომ იმპერიალურ[ი] ომის²⁰ დროს ლენინგრადში²¹ ვიყავი[.] ბაბო ბაგრატიონის²² ვნახე[.] ჩემი კუზინა²³[.] რომელიც დიდი მეგობარი იყო მარჯ[.]ორის და ავათმყოფობის შემდეგ მარჯორი[.] გა[.]რდაცვილიყო²⁴. ბაბო ბაგრატიონის მწუხარებას ვერ აგინერთ[.] იჯდა და იმდულვრებოდა[.] მეგობარიც იყოვო[.] დაცა და დედაცაო[.] შენ არ იციო[.] რამდენ[.] სიკეთეს[.] აკეთებდაო ყველასათვისაო[.] თ[.]ვითონაც იმდენი არა ჰქონდა რაო[.] მა[.]გრამ თ[.]ვითონ იკლებდა და სხვას აძლევდაო. ამისთანა[.] მშვენიერი სული და ადამიანი იყო[.]

ელისაბედ ელიზბარის ასულის ერისთავისა

8. V. 1947 ქ. თბილისი



ელისაბედ ერისთავი

1. ვორტროპი – ოლივერ უორდროპი (1864-1948), ინგლისელი ქართველოლოგი, დიპლომატი, მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე, 1919-1921 წლებში ინგლისის სრულფლებიანი წარმომადგენელი დამოუკიდებელ საქართველოში.

2. მარიამ დემურია – მარიამ ივანეს ასული დემურია-ივანიშვილი (1860-1910), საბავშვო მწერალი, დრამატურგი, ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე. სწავლობდა გორის სამრევლო სკოლაში, 1877 წლიდან თბილისის საბავშვო ინსტიტუტში.

1904 წელს მისი ინიციატივით დაარსდა ჟურნალი "ნაკადული", რომელსაც 1906 წლიდან თავად რედაქტირობდა.

3. ანასტასია მიხეილის ასული წერეთელი თუმანიშვილისა – ანასტასია თუმანიშვილი-წერეთელი, მწერალ მიხეილ თუმანიშვილის (ხელთუბნელის) ასული და მწერალ გიორგი წერეთლის მეუღლე, ქართველი საბავშვო მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე. განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის საყმაწვილო ჟურნალისტიკის განვითარებაში. 1890 წელს დააარსა ჟურნალი "ჯეჯილი". იყო ჟურნალ "კვალის" თანარედაქტორი.

4. კეკე მესხი – ეკატერინე (კეკე) მელიქიშვილი-მესხი (1854-1928), მწერალი, მთარგმნელი, პროფესორ პეტრე მელიქიშვილის დაი და "დროების" რედაქტორის სერგი მესხის მეუღლე.

5. ეკატერინა გაბაშვილისა – ეკატერინე რევაზის ასული თარხნიშვილი-გაბაშვილი (1851-1938), პროზაიკოსი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, "ქართველ ქალთა ამხანაგობის" წევრი, ჟურნალ "ჯეჯილის" დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი და თანამშრომელი. დაამთავრა ცნობილი ფრანგი ქალის ფავრის პანსიონი.

6. ვორტროპი – იგულისხმება ოლივერ უორდროპი.

7. იგულისხმება ნინო ელიზბარის ასული ერისთავი ქობულაშვილისა (1860-?).

8. ეგზარხოსის მოედანი – დღევანდელი ერეკლეს II-ის მოედანი, თბილისის ერთ-ერთი ძველი მოედანი მტკვრის მარჯვენა მხარეს, სიონისა და ანჩისხატის ეკლესიებს შორის. სხვადასხვა დროს სახელი ეცვლებოდა. XIX საუკუნის I მეოთხედში ამ ადგილას იყო

სინოდალური კანტორა და ეგზარქოსის რეზიდენცია. აქედან მიიღო სახელწოდება - ეგზარქოსის მოედანი.

9. ნინო ელიზბარის ასული ერისთავი (1860-?) გათხოვილი იყო თეკლე ბატონიშვილის (1778-1846) შვილიშვილის შვილზე ევგენი დავითის ძე ქობულაშვილზე (1856-1915), ალექსანდრე ორბელიანის (1801-1869) ქალიშვილის დარიას (1828-1884) შვილზე.

10. თეკლე ბატონიშვილი – (1778-1846) მეფე ერეკლე მეორის (1720-1798) და დარეჯან დადიანის (1738-1807) უმცროსი ასული, მონაწილეობას ღებულობდა ქვეყნის პოლიტიკურსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, იყო 1832 წლის შეთქმულების მხარდამჭერი. გამოირჩეოდა გონიერებით და განათლებით. წერდა რომანტიკული ხასიათის ლექსებს.

11. ვახტანგ ორბელიანი – (1812-1890) ქართველი რომანტიკოსი პოეტი, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე, თეკლე ბატონიშვილის (1778-1846) უმცროსი ვაჟი. ვახტანგ ორბელიანი და ელისაბედ ერისთავის პაპა დედის მხრიდან შალვა ქსნის ერისთავი (1798-1854) — ანასტასია ბატონიშვილის (1763-1838) ვაჟი იყვნენ

მკვიდრი დეიდაშვილები. ვახტანგ ორბელიანის შესახებ იხილე ილია ჭავჭავაძის "მოკლე ბიოგრაფია ვახტანგ ვახტანგის ძის თავ. ჯამბაკურიან-ორბელიანისა". ილია ჭავჭავაძე. თბზულებათა სრული კრებული ოც ტომად. ტომი V. "მეცნიერება" 1991 წ. გვ. 562.

12. "იმედი" – ვახტანგ ორბელიანის პატრიოტული ხასიათის ცნობილი ლექსი. ილია ჭავჭავაძე მას ქართული პოეზიის ერთ უნარჩინებულეს მარგალიტს უწოდებს. იხ. ილია ჭავჭავაძის "მოკლე ბიოგრაფია ვახტანგ ვახტანგის ძის თავ. ჯამბაკურიან-ორბელიანისა".

13. ოლივერ უორდროპი საქართველოში პირველად ჩამოვიდა 1887 წლის აპრილში. მან იმოგზაურა მარშრუტით: ბათუმი – ქუთაისი – თბილისი – კახეთი – ხევი. ქვეყანაში მიღებული შთაბეჭდილებანი ასახა წიგნში "საქართველოს სამეფო – მოგზაურობა ბანოვანთა, ღვინისა და სიმღერის ქვეყანაში" (The Kingdom of Georgia – Notes of Travel in a Land of Women, Wine and Song. By Sir Oliver Wardrop), რომელიც გამოიცა ინგლისში 1888 წელს. 2001 წელს გამოქვეყნდა მისი ქართული თარგმანი, შესრულებული მერაბ ურუშაძის მიერ.

14. მარჯორი – მარჯორი სკოტ უორდროპი (1869-1909), ინგლისელი ქართველოლოგი. ქართულიდან ინგლისურად თარგმნა ქართული ხალხური ზღაპრები, ილია ჭავჭავაძის "განდეგილი", შოთა რუსთაველის "ვეფხისტყაოსანი". ორჯერ იმოგზაურა საქართველოში (1894-1896 წლებში). მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ქართველ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებთან.

15. მარჯორი უორდროპი პირველად საქართველოს ეწვია 1894 წლის 3 დეკემბერს ძმასთან ოლივერთან ერთად. აქ ის ორ თვეს დარჩა. და-ძმის მოგზაურობის მარშრუტი იყო ბათუმი – თბილისი – ქუთაისი – გელათი – მონაშეთი – ნიგოეთი – ჯუმათი – სუფსა – ოზურგეთი – შემოქმედი – ბათუმი. თბილისში მათ სამი კვირა გაატარეს. საქართველოში მოგზაურობის შთაბეჭდილებანი მარჯორი უორდროპმა აღწერა ნარკვევში "შენიშვნები 1894-95 წლებში საქართველოში მოგზაურობის შესახებ" (M. Wardrop. Notes on Journey in Georgia in 1894-95), რომელიც ხელნაწერი დღიურების სახით ინახება ოქსფორდის უნივერსიტეტის ბოლდის ბიბლიოთეკაში. იგი ქართულად თარგმნა ლეილა თაქთაქიშვილი-ურუშაძემ (იხ. "ცისკარი", 1958, 11, გვ. 146-155).

16. დავით სარაჯიშვილი – (1848-1911) ცნობილი ქართველი მრეწველი, საზოგადო მოღვაწე და ქველმოქმედი, ქიმიისა და ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, რუსეთის იმპერიაში კონიაკის და არყის ქარხნული წესით პირველი მწარმოებელი.

17. ცოლი – ეკატერინე ივანეს ასული ფორაქიშვილი (1862-1916), დავით სარაჯიშვილის მეუღლე, ასევე ცნობილი ქველმოქმედებით.

18. კარგარეთელი – ია (ილია) გიორგის ძე კარგარეთელი (1867-1939), ქართველი კომპოზიტორი, მუსიკათმცოდნე, პედაგოგი, მომღერალი, ფოლკლორისტი, საზოგადო მოღვაწე, ქართული მუსიკალური ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენელი, ავტორი საინტერესო მემუარებისა. იხ. ია კარგარეთელი. "მემუარები". საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის გამოცემა. თბილისი, 2008.

19. ევლახოვი – ვფიქრობთ, იგულისხმება სერგო ევლახოვი (ევლახიშვილი), მოსკოვის საოპერო მომღერალი. გასული საუკუნის დასაწყისის ქართული პრესის ფურცლებიდან ჩანს, რომ იგი მონაწილეობას ღებულობდა საქართველოში გამართულ საქველ-

მოქმედო საღამოებში. იხილე "წარმოდგენა და კონცერტი ნ.კ. საზოგადოების სასარგებლოდ". "ისარი", 1907, 14 დეკემბერი, 276, გვ. 2, აგრეთვე "სახაზინო თეატრი ორშაბათს 27 ამ თვეს... "იმედი", 1908, 18 ოქტომბერი, 6, გვ. 1. და მეტრეველი ლევ. "ილიას საღამო სახაზინო თეატრში". "ჩვენი კვალი", 1908, 24, გვ. 387-388.

20. ივულისხმება პირველი მსოფლიო ომი (1914-1918 წწ.).

21. 1914-1924 წლებში სანქტ-პეტერბურგს პეტროგრადი ეწოდებოდა.

22. ბაბო ბაგრატიონი – ბარბაღე (ბაბო) ალექსანდრეს ასული ბაგრატიონ-დავითაშვილი (1870-1915), ივანე მაჩაბლის ცოლისდა. დებთან ანასტასია (ტასო) და ნინო (ნიცა) ბაგრატიონ-დავითაშვილებთან ერთად გულთადი მეგობრობა აკავშირებდა უორდროპებთან, რაც კარგად ჩანს მარჯორის ბაბოსათვის გაგზავნილი წერილებიდან, აგრეთვე უორდროპების და ივანე და ტასო მაჩაბლების მიმონერიდან, (იხ, გ. შარაძე. "ბედნიერებისა და სათნოების საუნჯე – უორდროპები და საქართველო". "საბჭოთა საქართველო" თბილისი, 1984, აგრეთვე "თქათაქიშვილი-ურუშაძე. "მარჯორი უორდროპი". "ლიტერატურა და ხელოვნება" თბილისი. 1965. გვ.173). მარჯორი უორდროპისეულ ფოტო-ალბომებში ინახება ბაბო ბაგრატიონის სამახსოვრო წარწერიანი ფოტოსურათები, რომლებზეც იგი გამოსახულია მარტო და ახლობლებთან ერთად. ახლახანს ახალგაზრდა ქართველი მკვლევარის შორენა ბორაშვილი-შტოიერის მიერ ოქსფორდის ბოლდის ბიბლიოთეკის უორდროპის კოლექციის მასალებში მოძიებულ ქენა მარჯორის მიერ შესრულებული ინგლისური თარგმანი წერილისა, რომელიც მისთვის საქართველოდან გაუგზავნია ბაბო ბაგრატიონ-დავითაშვილს. ეს წერილი თავად ბაბოს თავისი ბიძაშვილის ვერა ჩიჯავაძისაგან ქუთაისიდან მიუღია 1906 წლის თებერვალში. (ვფიქრობთ, დასახელებული ვერა ჩიჯავაძე უნდა იყოს ბაბოს ბიძაშვილი დედის მხრიდან, ანასტასია კონსტანტინეს ასული ერისთავი-ჩიჯავაძისა (1874-1923), რომელიც გათხოვილი იყო ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ჩიჯავაძეზე (1860-1933), ყაფლან ორბელიანის (1813-1878) ქალის ელენეს (1833-?) შვილზე, შესაძლოა, ვერას მას შინაურულად ეძახდნენ). წერილში აღწერილია მდგომარეობა ერთი ოჯახის ტრაგედიის ფონზე. ბაბოს ის ინფორმაციის სახით მიუწოდებია მარჯორისათვის უკეთ გამოყენებისთვის. მართლაც, მას იგი უთარგმნია და პეტერბურგს საგარეო საქმეთა მინისტრ სესილ სპრინგ რაისისათვის გაუგზავნა ქართველთა უფლებების დაცვის მიზნით (იხილე შორენა ბორაშვილი-შტოიერი. "საიდუმლოდ შენახული ქართული საგანძური – ოქსფორდის ბოლდის ბიბლიოთეკის უორდროპის კოლექციის კუთვნილი მასალები". "ნეკერი". თბილისი. 2009. გვ. 32-38).

23. ელისაბედ ელიზბარის ასული ერისთავი და ბარბაღე (ბაბო) ბაგრატიონ-დავითაშვილი ერთმანეთისთვის გარე ბიძაშვილები იყვნენ. ელისაბედ ერისთავის პაპა დედის, ქეთევან ერისთავის (1819-1906) მხრიდან — შალვა ქსნის ერისთავი (1798-1854) და ბაბო ბაგრატიონის პაპა დედის, დარია ერისთავის (1830-?) მხრიდან — ბიძინა ქსნის ერისთავი (1800-1876) იყვნენ ლვიძლი ძმები, რევაზ ქსნის ერისთავისა (?-1813) და მეფე ერეკლე მეორის (1720-1798) და დარეჯან დადიანის (1738-1807) ქალის ანასტასია ბატონიშვილის (1763-1838) შვილები.

24. მარჯორი სკოტ უორდროპი გარდაიცვალა ბუქარესტში 1909 წელს. დაკრძალულია ლონდონის მახლობლად, სვეენოუკში.

ქრონიკა

ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტის წიგნის მალაზიაში გაიმართა წარდგინება ნათია მეგრელიშვილის პირველი რომანისა „+5,0“. შეხვედრას უძღვრება როსტომ ჩხეიძე. მონაწილეობდნენ: მიხეილ მინდაძე, თამარ ამზაშვილი, ნათელა მაჭავარიანი, მიხეილ კობახიძე, მერი ტორაძე, ილიას უნივერსიტეტის

სტუდენტი საბა ნერგაძე. ავტორმა ნაიკითხა რამდენიმე ფრაგმენტი რომანიდან. წიგნი შეფასდა, როგორც თანამედროვე ქართული სალიტერატურო პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, თავისებური გზამკვლევი ბოლო ოცწლეულის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ რეალობაში გასარკვევად.



თეონა კომახიძეს პირველად არ ვხვდებით ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე, მისი ლექსები ადრეც წაგვიკითხავს, ასე თუ ისე, ვიცნობთ მის პოეტურ პროფილს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, რჩება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს პირველად ვხვდებით, თითქოს ახლიდან ვეცნობით, თითქოს თავიდან აღმოვაჩენთ ერთხელ უკვე აღმოჩენილ პოეტს.

არა გვგონია, ეს ცუდის ნიშანი იყოს. ყოველ შემთხვევაში, არის ამაში რაღაც საინტერესო, რაღაც თავისებური, რაღაც ხასიათის მაგვარი. კაცმა რომ თქვას, რატომაც არა, ყოველ შეხვედრაზე — ისე, როგორც პირველად.

თუმცა ამჯერად მთავარი მაინც ის არის, თუ საიდან იღებს სათავეს მისი ლექსის გამოკვეთილი სტილური ნიშანი — მასშტაბური მინორი, მსგავსი კოსმიური პესიმიზმისა. ჩანს, ეს არ მოდის არც რომანტიკული იმპულსებიდან, არც სხვა რაიმე კონკრეტული გავლენებიდან, არამედ იმ „ტკივილების სახლიდან“, რომელიც რეალობამ აუფო პოეტს.

მართლაც, ამ ლექსებში რაც უფრო ღრმავდება აბსტრაქტული სახისმეტყველება, მით უფრო ცხადად იკვეთება სოციალური შიფრი. პოეტური იმპულსები ცხოვრებიდან, ყოველდღიურობიდან, თანამედროვე ქართული პრაქტიკიდან მოდის. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ თეონა კომახიძის ლექსებში ვხედავთ ნაცნობი ყოფიერების უცნობ აბსტრაქციებს.

თეონა კომახიძე

დედამინა

დამიჯერე ცაო, საყვარელო,
შენ არ არსებობ.

დედამინავ, ღმერთისგან მიტოვებული
პატარძალი ხარ,

მრუშობით ველარ დაილაღე
და ოკეანევე ყელგამოჭრილო,
უძლები სისხლით რომ ხრიალებ,
საით მიდიხარ.

ცისფერთმიანი ქარიშხლები

ავ სულელებს ჰგვანან,

ვთესე ფერები,

სინათლის შრიალა ბაღში ვდგავარ,

მე ფეხებს ყვავილების მიწაში ვრგავდი

და დღემდე ასე მგონია,

რომ მცენარეს ვგავარ.

დამალევიანე მწვანე სისხლი,

ო,დედამინავ, მოცურდი ჩემთან.

ატირებული განთიადით დასველებულნო,

მოგესალმებით მეტეორებო!

დამიჯერე ცაო, საყვარელო,

შენ არ არსებობ.

დამიჯერე მზეო,

ყველას ერთად შენ ვერ გაგვატობო

და ცალ-ცალკე ამიტომ ვდგავართ.

დავდივარ შემფოთებული.

მოცურდი ჩემთან დედამინავ,

მოცურდი ჩემთან.

* * *

და რომ მთვარეა ჩემი ნავი

ჩემი მკლავები უცხოები დროის სუფრაზე,

და რომ ქარია ჩემი რაში

წყვილი ძარღვების ლიანდაგით

ნაგებ სხეულზე.

ჩემი სახლია ხელი სახეზე

და გავაძევე სიყვარული ჩემი სახლიდან

და რომ თვალებად

ორი მწვანე ემბრიონი მაქვს,

რომ ჩემი სისხლი გადაიქცა

წითელ ყინულად,

გიყვარდეთ!

* * *

გამომალვიძეთ, გევედრებით,

მთვარის ბაღში.

ჩემს ორგანიზმში უკვე იცეკვებს ჰიდრებმა,

მეორე მხარეს გადავბრუნდი,

გამომალვიძეთ!

ოცდამეერთე საუკუნევე!

ამბოხებულ სისხლს რომ იხედნი,

მე მეზიზღები.

შემოდგომის შვილები მაინც ვიყოთ,

მზეო, მხოლოდ ყვითელ ბავშვებს

რატომ ეფერები...

აქ ჩვენი ფრთები მხოლოდ ქარია,

არა, არ გვიანდა ჩვენ აქ.

ჟამი დაგიდგა დედამინავ,

შენ ორსულად ხარ და დროა გემობო!

საბრალო ხეები, მათ უკვე იცეკვებს ნოემბერთან.

თვითმკვლელი ცეცხლის ალები,

მსურს მოვეხვიო მათ

და ცისარტყელა ღამის ცაზე, უკანასკნელი.

გამომალვიძეთ!

* * *

ჩემი ტკივილების სახლში

ცხოვრობს ჩემი დაც,

რომელსაც აქვს ორქიდეას კანი

და ცისფერი სული.

ყოველ ცისმარე დღეს მიმეორებს:

როცა მოკვდები,

გააღე გაზაფხულის კარები

და შემოდი ჩემს ლაჟვარდის სიზმარში,

ოღონდ არა აქ.

ჩემი ტკივილების სახლში

ცხოვრობს ჩემი დაც,

რომელსაც აქვს თითბერის ხელები და ამბობს: როცა მოგვკვდები, მინდა რომ ცრიდეს, დაეშვას მჩქეფარე ფარდად სისხლის სოსანი. ყველა იასამანი დღეს თეთრია, ვით ჩემი სიძულვილი, ოცნებები ღამეულ ქსელში გაიბანტენენ, წვიმა მინებზე ხატავს ჩემს სახეს, ჩემი დის მწუხარე თვალებს. ჩემი ტკივილების სახლში, ცხოვრობს ჩემი დაც.

* * *

ჩემი სახლია შავი შუშის ტყე და დამირბია წვიმამ სამეფო. მირბის ჩემი ფერია შეშლილი სახით და ვერასოდეს, ვერასოდეს მას ვერ ვიხილავ, ვარ მოჩვენება, იისფერი სისხლით მოსვრილი. მალე გახდინა ჩემს ფერიას გიშრისფერ კაბას, მალე დაღევენ მის თეთრ სხეულს შავი ღორები, ირბინე სწრაფად საყვარელო, მე ვერ გიშველი, მოჩვენება ვარ, იისფერი სისხლით მოსვრილი, დემონი ფრთებზე შევისვი და დღეიდან მას ვემონები.

ანგალოზს ჩემს მარცხნივ

მოლიპულია ჩემი კანი, როგორც ცინული, დარბეულია ჩემი ღიმოლი.

ჩემო მშვენიერო დაო, რომელიც ზიხარ ჩემს მხართან მარცხნივ, შენ იცი ყველა კვდება, მაგრამ ზოგიერთი დღისით კვდება, ბედნიერი კი ისაა, ვინც ღამე მიდის, ის გზას იმოკლებს ქვიშის ჰაერში. ჩემი სიზმრების სახლში შენი ხელები დაღლილი სვეტებია, რომლებზედაც სტრიპტიზს ცეკვავს საკვამურის ცისფერი კვამლი. მაინც რა არის სიკვდილი? იქნებ ჯობს მას დავემლო დაკრეფილ ღიმონების ტყავში მაშინ ველარ მომაგნებენ ტერმიტები, ველარ დამფატრავენ შავფრაკიანი მწერები ჩემო მშვენიერო დაო. მაგრამ რა ვქნა, თუკი მინდა მნახონ მკვდარი, ადამიანებმა, კოცნის სურვილით რომ მწვავენ, რა ვქნა, თუკი მინდა დავემსგავსო, იმ სევდიან მტვრის ასულებს? ჩემო მშვენიერო დაო, რომელიც ზიხარ ჩემს მხართან მარცხნივ, რომელიც მისმენ.

* * *

და თუ დაგვეძებს ქარი, ჩვენ ორს, უმისამართოს, თუ მკვდარ სხეულებს გვიპოვიან უმნიკვლო ტბაში, თუ ტირიან ოქროსფერი მეთევზეები ჩვენს გამო, რადგან არ გვექონდა სახლი, მე დავწვები იქ, სადაც სდუმან ჰამბურგერები, მზისფერ წვიმის დროს, მზისფერ სილაში. ნუ ელით ჩემს ხმას, მე ის დავკრძაღე პირის საფლავში. იქნებ ცა არის ჩემი სასახლე, თეთრი ღრუბლები კი აივნები. უცნაურია ჩემი ხელები, ვსერავდი სარკეს, რომ შემესვა მისი სისხლი, როგორც ნექტარი, ყვავილების ფიალებიდან. ვინ აფრიალებს დროის მარაოს აღარ მადარდებს, დაე, მოისხას ვაზმა ფილტვის ყურძნები, არ დავლონდები. იქნებ ტირის ჩვენზე სამყარო და ადამიანთა სულებში ნაზი მცენარეები, ვერას გავანყობთ, ჩვენ დაგვენგრა ურთიერთობის სახლი თქვენს გვერდით.

ნითელი ბავშვი

მე შევიყვარე, აბრეშუმის ნითელი ბავშვი ხელში გვირილით, ჩემი სიზმრების რბილ ფაიფურზე გამოვხადე იგი წყლისაგან. უცნაურო მგ ზავრო, ტყუილად გვიმზერ, ჩვენ ერთად გვინდა და გემალებით, გადაიხვეწე ჩვენი ქუჩიდან, დალიე ქარი. მიწაზე კოცნას ვერავის მოსტაცებ, შენ მარტო დარჩი, ჩემი თმა, საუკუნეზე უფრო გრძელია, მაგრამ მე მიყვარს ბავშვი. გადამწვარ ველზე დარგულ ყვითელ ხეებში, გელოდებიან სიკვდილის დები, ისინიც წუხან... პარსავენ მატლის სამართებლები. მე შევიყვარე აბრეშუმის ნითელი ბავშვი დამტოვე მასთან.



სამების ახალგაზრდული ცენტრის მორიგ თავყრილობაზე გაიმართა შეხვედრა ჩვენს სახელოვან მსახიობთან თენგიზ არჩვაძესთან. საღამოს უძღვებოდა თავყრილობათა ხელმძღვანელი, პოეტი ერეკლე საღლიანი. მონაწილეობდნენ: ზეინაბ მეტრეველი, ციცო ერისთავი, მიმოზა ცანავა, ბადრი ქუთათელაძე, გია ჯაფარიძე, ომარ მხეიძე, ლევან ფრუიძე. აგრეთვე 56-ე სკოლის მე-12 კლასის მოსწავლე ალბი კორძაია... გთავაზობთ ორი გამომსვლელის სიტყვას.

საუკეთესო ჯილდო

სჯობს სიყვარულის მოხვეჭა

ბატონო თენგიზ!

სახალხო არტისტობა არ გულისხმობს მხოლოდ ხელისუფლებისა და სახელმწიფოსგან მონიჭებულ ჯილდოს. არსებობს დიდი სიყვარული ხალხისა, რომელსაც ვერაფერი შეედრება. ჩვენ დღეს, სამწუხაროდ, სხვა ფასეულობებზე გვზრდებიან. ტელევიზიის სხვადასხვა არხით იშვიათად გვიჩვენებენ იმ ფილმებს, რომლებიც სასიკეთო როლს ითამაშებენ ჩვენი სულის ჩამოყალიბებაზე. ცოდვა გამხელილი სჯობს და ნამდვილად არ ვართ განებივრებული იმ ფილმებით, სადაც თქვენ განუმეორებელ მხატვრულ სახეებს ქმნით. ამისდა მიუხედავად, საკმარისია საზოგადოებაში თქვენი გამოჩენა, რომ ჩემს თანატოლებშიც მსგავსი ჩურჩული გაისმას: „ეს სახელოვანი მსახიობი თენგიზ არჩვაძეა“.

მე ახლაც არ ვიცი, ცხადში ვარ თუ სიზმარი. მე ხომ საშუალება მეძლევა ჩემი დიდი სიყვარულიცა და მოკრძალებაც გაგიზიაროთ. ცხოვრების მძიმე პირობების გამო ჩემი ოჯახი წლების მანძილზე რუსეთში ცხოვრობდა. მეც დანებდითი განათლება რუსეთში მივიღე. როდესაც საქართველოში ჩამოვედი, მშობლიური ენა თითქმის არ ვიცოდი.

ბატონო თენგიზ!

თქვენ მართო საქართველოში კი არა, ყველგან უყვარხართ. არ ვიცი, დამიჯერებთ თუ არა, რომ მე საქართველოში ჩამოსვლამდეც უკვე ვიცოდი თქვენს შესახებ. ჩემი დაბრუნება ჩემს ქვეყანაში ნიშნავდა ფუძესთან დაბრუნებას, ამიტომაც განსაკუთრებული პატივისცემისა და სიყვარულის ღირსი არიან ჩემთვის ის ადამიანები, რომელთა შემოქმედებაც ამ ფუძეზეა დაშენებული.

თქვენ ფუძისეული კაცი ხართ.

მასხენდება ერთ-ერთი უბრწყინვალესი ქართული ფილმი „კეთილი ადამიანები“, სადაც თქვენ თქვენი კოლეგა ასეთ კითხვას გისვამთ: „გჯერათ ჩემი?“ თქვენი პასუხი უსიტყვო მოქმედებით გამოიხატება. თქვენ გჯერათ ადამიანის, ვინაიდან თქვენი სინძინდე და სისპეტაკე არ მოგცემთ სხვაგვარი რწმენის საშუალებას.

დიდი ბედნიერებაა, როდესაც თანამემამულენი საუბრობენ ღირსეულ კაცზე და სჯერათ მისი. ჩვენც გვჯერა თქვენი და დიდი მადლობა იმისთვის, რომ ჩვენს გვერდით არიან თქვენნაირი ადამიანები და ჩვენც შეგვიძლია თქვენს მაგალითზე გავიზარდოთ.



ალუდა ქეთელაური („ვედრება“)

ალბი კორძაია

ხშირად ვყოფილვართ შემსწრენი, თუ რა რიხით წარუდგენენ ხოლმე საზოგადოებას ამა თუ იმ მწერალს, მხატვარს, რეჟისორს, მსახიობს; თქვენი საყვარელი ხელოვანიაო. მსმენელი კი უხერხულად იშმუშნება და ზრდილობისათვის თუ გაისმის კანტი-კუნტი ტაში.

დღეს კი ითქვა თუ არა, ხალხის საყვარელი მსახიობიო, დარბაზი როგორი ტაშისცემით წამოიშალა ფეხზე და ის ოვაცია გაიმართა, თენგიზ არჩვაძის რანგის ხელოვანს რომ შეშვენიეს.

და ეს ის შემთხვევაა, როდესაც წვეთი ზღვას აირეკლავს და ადამიანთა ეს გუნდი, თავმყერილი სამების ტაძრის ამ დიდებულ გარემოში, მთელი საქართველოს გულისთქმას გამოხატავს.

ასე მოხდა შარშანაც ილია ჭავჭავაძის მამულში, როდესაც ბატონ თენგიზს „საგურამოს“ პრემია გადაეცა, როგორც საუკეთესო ხელოვანს.

თავთუღმა იქ დამსწრემ ეს ჯილდო თავის პირად გამარჯვებად მიითვალა და მხურვალე ოვაციით დაადასტურა ჟიურის ამ გადაწყვეტილების უტყუარობა.

ასეთ სიყვარულს ვერ მოიხვეჭს

ადამიანი მარტოდენ პროფესიონალიზმით.

აუცილებელია, იგი პიროვნებაც იყოს, ის ზნეობრივი მაგალითი, რისი ხილვაც ასე სწყურია ხოლმე ხალხს და ყოველ ამგვარ გამოვლინებაში ხედავს თავისი არსებობის გამართლებას — კერძოში ძალდაუტანებლად ცნაურდება ზოგადი.

ვერც თენგიზ არჩვაძე მოიპოვებდა ამ უზომო აღტაცებას მხოლოდ ჩინებულად შესრულებული თეატრალური და კინოროლებით.

ვერც ღრმა ინტელექტით.

ვერც ფართო განსწავლულობით, ხელოვნების ყველა სფეროში ასერიგად რომ გარკვეულა და მწერლებსაც ისევე მიაჩნიათ შინაურ კაცად თავიანთ წრეში, როგორც მხატვრებს. შინაურ კაცად იმიტომაც, რომ ყოველთვის გულისყურით უსმენენ მის ლიტერატურულ დაკვირვებებსა და მოსაზრებებს, როგორც ანგარიშგასანევს. და ამ ფონზე კომიკურადაც კი გამოიყურებიან ის მსახიობები, რომელთაც საკუთარი როლის იქით არაფერი წაუკითხავთ და არც სურვილი აქვთ, რომ თვალი ჩაკრან მანძე.

თენგიზ არჩვაძის იმ უამრავი როლიდან სანიმუშოდ ერთს მოვიხმობ.

მუშნი ზარანდიად გარდასახული თენგიზ არჩვაძე კი-

ნოსერიაში „დათა თუთაშხია“ საკმაოდ რთულ, წინააღმდეგობრივ ხასიათს გვაცნობს.

მის ადგილას სხვა მსახიობი მოარულ ბოროტებას წარმოგვიდგენდა, რითაც გაამარტივებდა და სულაც გააღარიბებდა ამ რთულ სახეს და დაკარგავდა იმ მიგნების შთამბეჭდაობას, რასაც ამ რომანის სიახლე იწვევს.

სიახლე კი სწორედ მუშნი ზარანდიას ხასიათია, მანამდე უცნობი ჩვენი მწერლობისათვის.

ამ მხრივ დათა თუთაშხიას ხასიათი ორდინარულ მოვლენად რჩება და ოდნავადაც არ სცილდება კეთილშობილი ყაჩაღის მხატვრულ ჩარჩოს. და თუმც იგია მთავარი გმირიც და მკითხველის საყვარელი პერსონაჟიც, ლიტერატურული მოულოდნელობით მუშნი ზარანდია გადაწონის.

— აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს, — მარტინ ლუთერის სიტყვებით პასუხობს იგი მსჯავრდებულ რევოლუციონერს, როდესაც ამიერკავკასიის საიდუმლო სამსახურის შეფის თანდასწრებით განუცხადებს: სამსახურებრივი ინტერესები პირად მიზნებს დავამთხვიეო:

— მე, უპირველეს ყოვლისა, ჩემი ხალხის, ჩემი მოდემისა და ერის შვილთაგანი ვარ... ახლო მომავალში, სულერთია, დაარსდება ქართული უნივერსიტეტი, აღდგება მეცნიერული ცოდნის გამოუმუშავების ძველთაძველი ტრადიციები. თქვენ და თქვენისთანების ამ დანესეულებაში მოღვაწეობა გაცილებით მეტ სარგებლობას მოუტანს ჩემს ხალხს, ვიდრე ანარქისტული იდეების ქადაგება...

ეს ხომ ის შეგონებაა, რითაც ექვთიმე თაყაიშვილმა ანარქისტულ მოძღვრებას გამოსტაცა მიხაკო წერეთელი და სამეცნიერო მოღვაწეობისათვის შეაგულიანა.

იგი წინააღმდეგია რევოლუციების, რადგანაც ძველი რეჟიმის დამხობა მხოლოდ ძალმომრეობით, სისხლისღვრით თუ შეიძლება, ამიტომაც ახლისა და ძველის შეტაკების პროცესში გონიერი, სათნო, ნესიერი ადამიანი ძველ ძალმომრეობას უნდა მიემხროს, რადგან არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს მიემხრო იმას, რაც არსებითად ვერ გააუკეთესება ადამიანს, მაგრამ მოიტანს ახალ უბედურებას, კვლასა და ათაგვარ ბოროტებას მაშინ, როდესაც ძველიც თავზუსაყრელია.

ეს ხომ ის რწმენა და მტკიცებაა, რაც ასეთი მახლობელი შეიქნა გვიანდელი ილია ჭავჭავაძისათვის, სასტიკ მონინააღმდეგედ რომ გაუხდა რევოლუციურ მონოდებებსა და განწყობილებებს.

ორივე შემთხვევაში მუშნი ზარანდია სავესებით გულწრფელია და, არამცთუ არ თვალთმაქცობს, მზადაა თავი განიროს პატრიოტული იდეალისათვის.

მუშნი ზარანდიას პიროვნულ ხასიათში არსებული ეს სანყისი არ უნდა დაკარგულიყო და იმ ექსპრესიულობითა და ხიბლითაც გამოხატულიყო, თენგიზ არჩვაძე რომ აღწევს.

მაგრამ პატრიოტული სულისკვეთება გამოცდის წინაშე უნდა დადგეს.

სამსახურებრივი კარიერის კიბეზე აღმასვლა იმით უნდა დაგვირგვინდეს, რომ მუშნი ზარანდია პეტერბურგში უნდა გადაიყვანონ დიდ თანამდებობაზე — მართალია მინისტრი არ ერქმევა, მაგრამ სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვან სახელმწიფო საქმეებში ვერც მეფე და ვერც მინისტრები ნაბიჯს ვერ გადადგამენ უიმისოდ.

და იგი არწმუნებს ოჯახის წევრებს: ამ ცვლილებით უპირველეს ყოვლისა იმას ველი, რომ მეტი სარგებლობის მოტანას შევძლებ ჩემი ქვეყნისთვის და ხალხისთვისო.

მამა ასე ადვილად ვერ იზიარებს შვილის თავდაჯერებას:

— მაგ განზრახვით და დაპირებით ბევრმა მიაღწია მაღალ თანამდებობას, მარა იქ რომ მივიდა, მერე ველარ შეძლო სურვილისა და დაპირების შესრულება. ასე იცის სხვის სამსახურში დიდკაცობამ. მეფის სამსახური, მისთვის სასარგებლო და შენი ერისთვის საზარალო რაც არის, იმას გაგაკეთებინებს მარტო.

ეს ის მარადიული ჭეშმარიტებაა, რომლის გაუთვალისწინებლობაც არ ივარგებს. ამიტომაც ვინც სანინააღმდეგოს დამტკიცებას ლამობს, ან თავს იტყუებს, ან სხვებს ატყუებს. ერთი გაუცნობიერებელი განცდაა, მეორე შეგნებული, მაგრამ საბოლოოდ ორივე ერთია.

— ეგ კაცი არ ვარ, ბაბა! — ამჯერადაც დაე ვიფიქროთ, რომ მუშნი ზარანდიას წრფელად სჯერა, რუსეთის იმპერატორის სამსახურში ასერიგად დანიშნურებით საკუთარ სამშობლოს შეენევა რითიმე — მაგრამ რაც გამოირიცხულია, იმას ვერც ვერავინ აღასრულებს.

ესეც მის პიროვნულ ხასიათში ჩაბუდებული მეორე სანყისი, მუშნი ზარანდიას გაორება რასაც გამოუწვევია, და აღარც ის გვიკვირს, იმხელა მზაკვრობა რომ მოიფიქრა, ათაგვარ ბოროტებაში გარეული და მხილველი ადამიანების გაოცებაც შეაძლებინა: დათა თუთაშხია, ძმასავით შეზრდილი ბიძაშვილი, იმისვე შვილს რომ მოაკვლევინა.

ორივე სანყისი თანაბარი ძალით ცნაურდება თენგიზ არჩვაძისეული პერსონაჟის პორტრეტში, და ეს იმიტომ, რომ მისთვის არამარტო სცენარი გახლდათ ცნობილი, არამედ თვითონ რომანიც და ღრმად და ნიუანსობრივად ამიტომაც ჩანდა გმირის ხასიათის დანაშრევებს.

რაც შეუმჩნეველი დარჩა მაშინდელ სალიტერატურო კრიტიკისათვის, მსახიობმა გაათვალსაჩინოვა თავისი ოსტატური თამაშით.

მისი როლები თავთავისებურად არიან საგულისხმონი და თენგიზ არჩვაძის ფსიქოლოგიური პორტრეტის შემქმნელს — ვრცელ ნარკვევადაც რომ შეიძლება გაშალოს — უხვი მასალა ექნება ხელთ ანალიტიკური განსჯისათვის.

და კიდევ: რომანტიკული, პოეტური გააზრებისათვის.

ამ თვალთახედვით განსჯა თუ ვინმეს შეჰფერის, უთუოდ თენგიზ არჩვაძესაც.

და თუმც დღევანდელი დღის თაოსნის — ერეკლე სალღისანის — ორატორული გამოსვლებისათვის ჩვეულია მგზნებარება და ალტკინებული მანერა, მისი სიტყვა ამჯერად, რა გასაკვირია, განსაკუთრებული პოეტურობით სუნთქავდა.

ჩვენს კინოხელოვნებას, ისევე, როგორც სხვა დარგებს, სიმბოლოსა თუ ემბლემასაც რომ მიუსადაგებენ ხოლმე, ზოჯერ სურთ ამა თუ იმ მოღვაწესთან გააიგივონ და ამგვარ გაპიროვნებასა თუ გასიმბოლოებას თავისი დანიშნულება აქვს.

და თუ თავისებურ სოციოლოგიურ გამოკითხვას გავმართავთ და მაყურებელს შევთავაზებთ, საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვრონ ჩვენი კინემატოგრაფი რომელიმე მსახიობის სახელით, დარწმუნებული ვარ, უამრავი და უამრავი ადამიანი იგულისხმებს თენგიზ არჩვაძეს იმ გარეგნული და სულიერი არტისტიზმისათვის, იმ ზნეობრივი მრწამსისა და ღირსეულად გამოვლილი ცხოვრებისათვის, ჩვენს სულიერ ყოფას რომ ამშვენებს და არა მარტოდენ ერთი პიროვნების ბიოგრაფიას.

საგა სულხანიშვილი

ნანა ტრაპაიძე

ფრაგმენტები დაუნერელი ნიგნიდან

თავისუფლება აუქმებს დაბრკოლებათა სირთულეს და წესრიგის სისტემაში კარგავს თვითონ დაბრკოლებას. დათრგუნული ან არასაკმარისი თავისუფლება თვითნებურ საქციელს წარმოშობს, რომელიც გამოიხატება ჯიუტ დაუმორჩილებლობასა და გაქცევებში.

მინაწერი:

წესრიგისა და თავისუფლების კოდის მუშაობა მიბმულია ცოდნასთან და წარმოდგენასთან არსებობისა და ბედნიერების შესახებ.

17 აგვისტო, 2009 წელი

ცოდნა აქტიური სათნოებაა. ვერ ვაკეთებ, ე.ი. არ ვიცი.

25 აგვისტო, 2009 წელი

სამართლიანობას არაფერი აქვს საერთო მორალთან. ის არის წესი საგანთა და მოვლენათა სწორი განლაგების შესახებ, სადაც „სწორი“ განიმარტება მათი (საგანთა და მოვლენათა) ურთიერთმიზიდულობის მიხედვით.

აქედან, სამართლიანობა სივრცული კატეგორიაა; დროითი განზომილების – მარადისობის სივრცული უკუფენა.

თანამედროვე სამართლებრივი შეგნება, ანუ მთელი დემოკრატიული ჰუმანიზმი ადგილისა და დროის, — სამართლისა და მარადისობის აცდენათა რეგულირებას ეფუძნება.

კანონთა სამართლებრივი იდეოლოგია აუჩინარებს უსამართლობას, ამიტომაც უსამართლობა არასოდეს ყოფილა ისე შეფუთული და ტოტალური, როგორც დღეს, ან სამართლიანობა განდევნის ახალ ფორმებს ატარებს იურიდიულ კანონთა სახით, რაც ნიშნავს, რომ პრინციპში არაფერი შეცვლილა.

26 სექტემბერი, 2009 წელი

ნაკლის დემონსტრაცია მისი დაფარვაა: სხვას არაფერი რჩება აღმოსაჩენი.

2 დეკემბერი, 2009 წელი

არსებობს განცდა თუ განუცდებლობა, რომელიც ჭამს ტკივილს და გაყრუებს საკუთარი ნაბიჯების მიმართ.

მერე დგება ცხოვრება, — სიცოცხლე სიკვდილის ყველაზე სასტიკი ფორმით, თუ პირიქით, სიკვდილი – სიცოცხლის ყველაზე სასტიკი ფორმით.

მინაწერი:

ყველა ისე კვდება როგორც შეუძლია.
2 დეკემბერი, 2009 წელი

სხვის ნაბიჯებზე საკუთარ გზას ვერ გაივლი.
19 დეკემბერი, 2009 წელი

დრო მაშინაა მკურნალი, როცა ის გადის. დრო გაჩერებათა სიმრავლეა...

28 დეკემბერი, 2009 წელი



კეთილსინდისიერთათვის სასჯელი ატარებს დამსახურებულობის ჯადოს, განჯადოება კეთილგონიერებაა. ჩვენ ვირჩევთ კეთილსინდისიერებასა და კეთილგონიერებას შორის.

28 დეკემბერი, 2009 წელი

სულის ანაბეჭდი (ცხოვრების) ფსკერზე სიარულის ნაკვალევია.

5 იანვარი, 2010 წელი

„ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერთა“.

ყველა ფერი სასრულია. სიშავე უფსკრულებისა და ჯურღმულების სიღრმეებსა და სივინროვეს ფლობს. მხოლოდ სითეთრესა აქვს კოსმიური უსასრულობა.

სიშავის მაგიური ძალაუფლება უფსკრულთა სიღრმის გამოცდილებით დასცინის სითეთრის გულუბრყვილო ძალაუფლებას.

სიშავისთვის თეთრი უფერობის არასერიოზულობა და ინფანტილიზმია.

მაგრამ თეთრი არამარტო თავისი თავის (სითეთრის) უსასრულობაა, არამედ ყველა სხვა ფერთა წყარო და არსებობა: მხოლოდ თეთრი იშლება სპექტრად და წარმოშობს ფერთა მრავლობითობას. თეთრი თავის სითეთრეში უმაღლეს მრავალფეროვანიცაა. ამიტომ ის არასოდეს იქნება მოსაწყენი.

სითეთრე ფლობს ყველა ფერს და მასში ყველაფ(ე)რის სიბრძნევია.

შემეცნება უსასრულოა. სიშავეც (ბოროტება), როგორც სასრულობა, ლოგიკური სიცხადით ნიშნავს უმეცრებას.

მინაწერი:

თუ კადრს უკან გადავახვევთ – უფსკრულებს ზემოთკენ ამოვაყოლებთ თვალს, ვნახავთ, რომ ასეთი შემეცნება სინამდვილეში უმეცრებათა მაგიის გრძელი ჯაჭვია, ხოლო მისი ელვარება ეშმაკის ჭიაკოკონის მაცდური ანარეკლი.

11 იანვარი, 2010 წელი

ძლიერის ძალა დათმენასა და დანდობაზე გადის, სუსტის — სულსწრაფობასა და დაუნდობლობაზე.

17 იანვარი, 2010 წელი

არსებობენ ეთერული მოლეკულები, რომლებიც ქიმიურ რეაქციებში შედიან სულთან. ამ რეაქციის შედეგად წარმოიშობა სინამდვილეზე (გა)მსწრები ახალი სუნთქვა, რომელიც თავის მხრივ ჯაჭვურ რეაქციაში მოდის თვითონ სინამდვილესთან და ცვლის მის შემადგენლობით კონცენტრატს.

არსებობენ ინერტული სულები, რომელთა ასეთ რეაქციაში მომყვანი კატალიზატორი ბუნებაში არ არსებობს.

9 იანვარი, 2010 წელი

მარადისობა ღირსებაა, რომელიც შეიძლება გამოიგონო. ჯერ ცხოვრება, მერე ღირსება — ამბობს „ხალხური“ სიბრძნე...

19 იანვარი, 2010 წელი

სიტყვები ქარია, რომელსაც ყველაფერი მიაქვს... და რაც უფრო ძლიერია ქარი, მით უფრო პირნიმნდად ხვეტს და მძარცველურად ასუფთავებს ყველაფერს.

29 იანვარი, 2010 წელი

მარტოობას აქვს თავისი ტემპერატურები: ციების, ცხელების, ანთების, ჯანმრთელობის...

მაგრამ არის გაუზომავი მარტოობაც — სხვა გა(ნ)ზომილების, რომელიც გარეგნული სიმპტომებითი ჯანმრთელობასა ჰგავს.

...ერთხელაც მოიხედავ და აღმოაჩენ, რომ იქ აღარ ცხოვრობ, სადაც ცხოვრობდი. ეს სხვა მიწაა, დასაჯერებლად მინას თითებით მოფრხვნი და პირით გემოს გაუგებ: ხვდები, რომ სხვაგან ხარ — საკუთარ თავს ზემოთ, სრული უკაცრიელობისა და მარტოობის ციებ-ცხელებიან საუფლოში.

ძველი მიწების სითბო ბუნდად გახსოვს. ცდუნდები. გინდა გაიხსენო, გადმოხედო, მაგრამ მოულოდნელი სიმალლის ალიყული უკან გაგდებს, რომ სიმალლისგან შეშინებული ძირს არ გადმოემვა და არ მოახდინო უცნაური თვითმკვლელობა ნახტომით საკუთარი თავიდან საკუთარ თავში.

29 იანვარი, 2010 წელი

ტანჯვა აუხსნელი ლტოლვაა საკუთარი თავისაკენ. ტანჯვა კონცენტრაციაა საკუთარ თვითობასა და ნამდვილობაში, იმაში, რაც ცხოვრების მოლიპულ ზედაპირზე ხშირად გვისხლტება.

29 იანვარი, 2010 წელი

[გეომეტრიულად] სიყვარული სფეროა. მის მრგვალ სრულყოფილებაში ბრუნავს ბინარულობის პოლარული ნახნაგები, - „ზემოთ“ და „ქვემოთ“, „მალა“ და „დაბლა“, „მარჯვნივ“ და „მარცხნივ“, - რითაც მოვედით. ბრუნვა არ ცვლის სანყის პოზიციებს; „ზემოთ“ ეს არის ამოტრიალებული „ქვემოთ“ და პირიქით.

სფეროში ყოფნა ემბრიონული უზრუნველობაა მარადიულში. აქ ცნობიერების არამდგრადი ფერადოვნება

სიჭრელეს კარგავს და თეთრდება; ხოლო მის სპეტაკ ბზინვარებაში მომნუსხველად ელვარებს ფერთა ისტორიის მოკრძალებული ღიმილი.

11 თებერვალი, 2010 წელი

ვაჭარბებთ იმაში, რითაც სავე ვართ. სიჭარბის ინტენსივობა უცნაურ სიმეტრიას ქმნის:

სიმახინჯის სიჭარბე წარმოშობს გონიერებას, რაციოს უნიჭობის სიჭარბე — შრომისმოყვარეობას, ამბიციებს თავკერძობის სიჭარბე — მესაკუთრეობას სიძულვილის სიჭარბე — სიბრმავეს, უგნურებას სიგამხდრის სიჭარბე — ასკეტიზმს, მორალს სიდაბლის სიჭარბე — ძალაუფლებას საკუთრების სიჭარბე — მონყენას, გულგრილობას

ნიჭიერების სიჭარბე — ინფანტილიზმს, ირონიას სიმრგვალის სიჭარბე — სურვილებს სიმალის სიჭარბე — შეუმჩნეველობას სიბრძნის სიჭარბე — დუმბილს, მორჩილებას სიკეთის სიჭარბე — უთვისებობას, განურჩევლობას, სიბრყივეს თავისუფლების სიჭარბე — სიჩლუნგეს ბედნიერების სიჭარბე — ზომიერებას, წონასწორობას

პოზიტიური განიცდის ნეგაციას, მაგრამ ნეგატიური ვერ წარმოშობს პოზიტიურს, ან წარმოშობს ნაკლოვან პროგრესს, რომელიც მოკლებულია საკუთარ თვითობას: უნიჭოს შრომისმოყვარეობა იმედოვნებას უკავშირდება. ყველაფერი ნამდვილი კი უიმედოა.

იმედოვნება აკნინებს. ისევე როგორც საკუთრებაში ცუდი არაფერია, თუ იგი არაა მიზანი: მიზნებიც აკნინებს.

ეს მიზეზ-შედეგობრივი სიმეტრია შეუქცევადია. ვნებები არ ბადებს სილამაზეს, ისევე როგორც მორჩილება არ წარმოშობს სიბრძნეს, ან მონყენა — საკუთრებას, ან მესაკუთრეობა სიყვარულს.

არსებობს ორი გზა — ან პოზიტიური გადაგვარება ან ზღვარზე დგომის შუალედი. ჩვენ ვირჩევთ ამ ორ შესაძლებლობას შორის ვიყოთ გადაგვარებულნი ან ზომიერნი. სიყვარული ზომიერების სიბრძნეა, რომელიც ფლობს უსაფრთხო გადარჩენის საიდუმლოებას. გადარჩენა საჭიროა!

21 თებერვალი, 2010 წელი

ნამდვილი მკვლელი თოკით არ ახრჩობს: თქვენზე ადამიანობის ყულფში გაგაყოფინებთ თავს... არავითარი დამნაშავე, არავითარი კვალი — სუფთა შესრულება და ცივი პედანტიზმი! ალიბი — უნამდვილესი: ყულფში თვითონვე ვყოფთ თავს, სიკვდილი — ადამიანობაში გადაჭარბების შემთხვევითობა...

2 მარტი, 2010 წელი

უნდობლობის წყარო თავისთავად „ისტორიული“ ტკივილები კი არ არის, არამედ დაქვეითებული მზერა, რო-

გორც „ისტორიის“ ტრავმა. დაღლილ მზერას აღარ შეუძლია გაატაროს გაქვავებულ ტკივილთა ყრუ კედლის მიღმა.

ვინ დადის იმავე წრეზე იმავე შედეგებით? — ბრძენი თუ სულელი?
23 მარტი, 2010 წელი

დიდ ნათელში საგნები მკრთალდებიან და უჩინარდებიან. დიდ ბნელშიც ესაა მალვა ორგვარი: ჩვენ ვირჩევთ სამალავს.

ნათელი იცავს ხილვადის ბინიერებისაგან.

ძველი ბერძნები იტყოდნენ: ფარდა არაფერს ფარავს: ფარდა სურათია თვითონ.

2 მაისი, 2010 წელი

შეგრძნებათა ჭურჭელი ირონიულად ფსკერდაბზარულია მარადისობის ესენციებისათვის.

10 მაისი, 2010 წელი

ზოგჯერ საგნები იმდენად მკაფიოა, რომ მათი კონტურები [საგანთა შორის] პირშეკრული უფსკრულების შავ ნაპრალეს ველარ მალავენ.

ზღვართა კედელი მაცდურია შეხებისათვის.

25 მაისი, 2010 წელი

საკუთარ დამარცხებათა ადგილები ყველაზე მაგიური ადგილებია ადამიანის შინაგან ბუნებაში.

უკან დაბრუნების ყოველი მხდალი გაბედულება სინამდვილეში ამ ადგილთა მნიშვნელობას ტკეპნის და აპირკეთებს.

საკუთარ ისტორიაში გარდაცვლილები მათ ვერც ტოვებენ. ისინი ჯიუტად რჩებიან თავიანთი გარდაცვალების ადგილის, როგორც (არ)არსებობის ერთადერთი სწორი წერტილის ერთგულნი.

არსებობს საკუთარი სიკვდილის ცქერის ეროტიკული ცდუნება და გემოვნება — იცხოვრო სასაფლაოს უკაცრიელი ლანდშაფტის ცივი მისტიკით.

ეს სიკვდილის გემოვნებაა.

მის გარეთ მხოლოდ საგანთა ცარიელი სიმკვრივე იგულისხმება, ამიტომ ჩრდილების გამჭოლი ჰაეროვნება ნაზ განცდებს ინვესს, რომელსაც ღირს რომ გაუფრთხილდე, როგორც არჩეული გარდაცვალების ღირებულ მონაპოვარს.

მინანერი ძველი ფრაგმენტიდან:

„ცხოვრება ქვადქცეულ ადამიანთა არაჩვეულებრივი გამოფენაა, ცოცხალთა უცნაური სასაფლაო, დაბორილობა ამ ცოცხალ გვამთა შორის და საკუთარი თვალთ ხედავ და ხედები, თუ რატომ არ უნდა მოიხედო უკან“.

29 ივნისი, 2010 წელი

მხოლოდ სასონარკვეთილებისაგან იბადება ნამდვილი, დაუნანვერებელი, უპირობო და თავისი თავის ტოლი თავისუფლება.

რთული დაბადება პირველსავე ნამოლიმებაში შლის ღირებულებების მნიშვნელობით ფარდობითობებს და დროის (ისტორიის) რთულ რელიეფს სივრცის თანმიმდევრულ, თანაბარ წერტილებად (გადა)აქცევს.

თავისუფლება პილიგრიმოებაა ცარიელ სივრცეში, დროისგან, ისტორიისაგან გასვლა.

მინანერი:

თანშობილი ღიმილი, — დროსთან ერთად გარდაცვალების ეს მაგიუ-

რი სტიგმა, — მკრთალ ირონიამი ინახავს მოკლული დროის დავიწყებულ საიდუმლოებებს.

ისევ მინანერი:

ყოფნა, თუ არყოფნა?

.....

წარმოსახვა ინახავს სამყაროს პირველქმნილ მატრიცას.

მაცდური ქიმერები მესხიერებას ბინდავენ. მაგრამ ბუნების ზღვართან ყველა სულიერი, მრუდი თუ წყნეტილი, იბრუნებს მარადიულ სიმრგვალებს.

4 აგვისტო, 2004 წელი

ბედნიერებაა, როცა კვლავ და კვლავ გინდა ის, რაც გაქვს. ანუ აღარაფერი გინდა. ეს ნიშნავს:

სულიერი ზღვის უსასრულო ლივლივში დღენიადაგ იჭერდე ცისფერი თალის ოქროსფერ ღიმილს და შენი პეშვის თიხიდან ნებიერად სვამდე საკუთარ უკვდავებას.

21 აგვისტო, 2010 წელი

ოცნების ცოდვა უზრუნველობისა და კმაყოფილების მიუღწევლობაშია.

24 სექტემბერი, 2010 წელი



გურამ პეტრიაშვილის საბავშვო თხზულებათა კრებული საერთო სახელწოდებით „პატარა ქალაქის სასწაულები“ უკრაინამ წარადგინა „ვეროპის საბავშვო ფანტასტთა“ კონკურსზე, რომელიც ყოველწლიურად იმართება.

ამჯერად მთავარი პრიზით გურამ პეტრიაშვილის ეს წიგნი დაჯილდოვდა.

ჯორჯ ეიდი (1866 — 1944) ამერიკელი იუმორისტი მწერალი — პროზაიკოსი, დრამატურგი, საგაზეთო მიმომხილველი. მან ასახა ამერიკის ისტორიის უმნიშვნელოვანესი მოვლენა — დიდი გადასახლების პირველი ტალღა სოფლიდან აყვავებულ ქალაქებამდე. ერთ-ერთი ასეთი სწრაფად განვითარებული ქალაქი იყო ჩიკაგო, სადაც ეიდიმ შექმნა თავისი საუკეთესო ბელეტრისტიკა. იგი გაზეთისათვის წერდა სვეტს, სადაც მკითხველს უამბობდა ქალაქ ჩიკაგოსა და მისი ქუჩების ისტორიას. სოფლის მეურნეობიდან ინდუსტრიულ ეკონომიკაზე გადასვლისას ამერიკელებმა გადაიტანეს ღირებულებათა ცვლილებების მტანჯველი პროცესი. ეიდი წერს „პატარა ადამიანის“ პრაგმატულ მცდელობებზე, — თავი გაიტანოს რთულ სამყაროში. სახელი განსაკუთრებით გაუთქვა მისმა უნიკალურმა ნაწარმოებმა — „იგავები სლენგიით“.

ჯორჯ ეიდი არის ამერიკელი მწერალი, რომელიც პუბლიკაციებმა მილიონერად აქცია.

ჯორჯ ეიდი

ეფი ვითლესი

მისის უოლასი ქმარს ქურთუკის გახდაში შეეშველა და თბილი ხელისგულები ქარისგან ალაჟღაჟებულ წითელ ლოყებზე შემოაწყო.

— ახალი ამბავი მაქვს! — ახარა ქალმა.

— ისევ უნდა ვიკამათოთ?

— კარგი რა! ისეთი მოახლე გამოჩნდა, ნამდვილი განძია. მთლად ახალგაზრდაც არაა, არც კარგი შესახედავია. როცა ვკითხე, თუ რას ფიქრობდა ლამის ცხოვრებაზე, მიპასუხა, შებინდდება თუ არა, შინიდან ფეხს აღარ ვადგამო.

— მართლა?! ძნელი დასაჯერებელია.

— სწორედ ასეა! ცოტაც მოითმინე და თვითონვე დარწმუნდები. სააგენტოდან მოვიდა, მზადაა ახლავე შეუდგეს საქმეს. როგორც სარჩით საგულდაგულოდ დამაგრებული ვარცხნილობიდან უშნოდ ჩამოშლილ ერთ ღერ თმასაც ვერ მოჰკრავ თვალს, ისე მის მიერ დალაგებულ სამზარეულოში, ძალიანაც რომ მოინადინო, ზედმეტს ვერაფერს იპოვი.

— საიდანაა?

— სოფლიდან. ბუნების შვილია, გამოუცდელი, ალალი, ძალიან სათნო სული აქვს, ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. დანახვისთანავე მივხვდი, რომ შეგვიძლია ვენდოთ.

— ვიმედოვნებ, რომ ასეა, მაგრამ სრულყოფილებისთვის რატომ უხდინა ნებისმიერ საფასურს? მას სურს თავის ოთახში ზონრიანი ფარდები დაჰკიდოს და გამოინეროს საბაზრო ქალაქები.

— შენც თქვი რა, არა მგონია კითხულობდეს. სამზარეულოში მუხლჩაუხრელად მუშაობს და თან „ბეულაჰის მინას“* ლილინებს.

— მღერის კიდევ? ნუთუ სიმღერის ნიჭითაც დააჯილდოვა ბუნებამ?

— კარი შეღებული დავტოვოთ და თვითონვე მოისმენ.

მაგიდა განყოფილი იყო და არნახული სისუფთავე კერძებს კიდევ უფრო მიმზიდველსა და მადისაღმძვრელს ხდიდა. მისის უოლასმა სუფრა ყურადღებით შეათვალიერა, დანკრილებული ჭიქების ათინათმა თვალი მოსჭრა და კმაყოფილების ნიშნად თავი დააქნია, შემდეგ ზარი აიღო და გაანკარუნა. ახალი მოახლე წამსვე იქ გაჩნდა.

* სახარების ცნობილი ჰიმნი, რომელიც დაწერა ედგარ პეჯ სთაისმა (1836-1921) 1875 ან 1876 წელს.

მალალი იყო და აშკარად ეტყობოდა, რომ კარგა ხანია გამომშვიდობებოდა ყმანვილქალობას.

მისტერ უოლასი მოახლის შესახვედრად შემოტრიალდა და სახტად დარჩენილი ქალს დაჟინებით დააცქერდა, თითქოს მისმა ქუდმა ან ჭორფლმა მოაჯადოვაო.

მოახლე მაგიდას მიუახლოვდა და კაცის დანახვაზე აღელვებისგან თეფში შეუტოკდა. მერე ნაძალადევად გაიღიმა და წვნიანი აჩქარებით ჩამოდგა მაგიდაზე.

მისტერ უოლასი გონს ვერ მოდიოდა, მომხდარის გაცნობიერება უჭირდა, თვალწინ წარსული დაუდგა და რატომღაც დემოკრატიის, თანასწორობის განცდა მოეძალა.

— ეს ეფი ვითლესია? — ძლივს ამოღერდა კაცმა.

— ღვთის გულისათვის, — მოახლემ უკან დაიხია და თითქოს ეს იყო კაცის სიტყვების აღიარება, ერთგვარი დასტური.

— მიცანით?

— ედ უოლასი არა ხართ?

ამ სიტყვების გაგონებაზე მისის უოლასი სკამის საზურგეს მიეყრდნო — ჯერ ქმარს შეხედა, შემდეგ მოახლეს. მომხდარში გარკვევას ამაოდ ცდილობდა. უცებ შენიშნა, ქმარმა მოახლეს ხელი როგორ გულთბილად ჩამოართვა და თითქოს სული შეუგუბდა.

მისტერ უოლასი თავს გაორებულად გრძნობდა. ერთი მხრივ იგი იყო დამქირავებელი, მეორე მხრივ კი ვალდებულება აიძულებდა სტუმართმოყვრულად დახვედროდა და გულითადად მოეკითხა ბავშვობის მეგობარი. ბოლოს და ბოლოს კაცი მიხვდა, რომ უხერხული ვითარება მეუღლისთვის რაც შეიძლება დროულად უნდა განემარტა.

— ეს ეფი ვითლესია, ბრანინერდიდან, — თქვა კაცმა, — ჩვენ ერთად ვსწავლობდით სკოლაში. აღარც კი მახსოვს, ბოლოს როდის ვნახე, — მისტერ უოლასი ახლა ეფის მიუბრუნდა, — არ ვიცოდი, ჩიკაგოში თუ იყავი.

— ოჰ, ედ უოლას, გაოგნებული ვარ, — თქვა ეფიმ, რომელიც კვლავ მონუსხული იდგა მაგიდიდან ორიოდ ნაბიჯის მოშორებით, — როდესაც უოლასი გავიგოლე, ვერც კი წარმოვიდგენდი, შენ თუ იქნებოდი, უოლასი ხომ ძალიან გავრცელებული გვარია, მაგრამ დაგინახე თუ არა, მაშინვე გიცანი.



— მეგონა, კვლავ ბრაინერდში იყავი, — თქვა მისტერ უოლასმა მცირე პაუზის შემდეგ.

— შარშან ნოემბერში წამოვედი იქიდან და მორტის ვესტუმრე. შენც ხომ იცი, მორტი ტრამვაის კომპანიაში მსახურობს. არ მინდოდა ტვირთად დავნოლოდი და მუშაობა დავინწყე. ბრაინერდში არაფერი ყრია, კვირაში სულ რაღაც ორ დოლარად მონასავით უნდა იშრომო. მისტერ სანდერსთან მშვენივრად ვიყავი, მაგრამ წამოვედი, რადგან გამუდმებით მაიძულებდა მისთვის ლიქიორი მიმერთ-მია. სასმელმა დაღუპა ჯესიცი, უკვე ორი წელია, რაც ცირკში ძაღლები გამოჰყავს.

— მაშ მთელი ოჯახი დაიქცა? — იკითხა მისტერ უოლასმა.

— ორი წელია, რაც დედა დაიღუპა. გეცოდინება, ლორა ტომას ჰანთფორთზე რომ გათხოვდა. ძველ საკარტოფილზე ცხოვრობენ. ვერ ვიტყვი, რომ ხელგაშლით არიან — აბა სხვას რას უნდა მოელოდეს ისეთი ზარმაცი ადამიანისგან როგორც ჰანთფორთია.

— ასეა, — თქვა მისტერ უოლასმა.

საკითხავია, სუფრა ძველი ნაცნობების შესახვედრად იყო გაშლილი თუ წყნარი ოჯახური ვახშმისთვის? წვნიანი იცდიდა.

მისის უოლასმა მყუდროება დაარღვია.

— ეს მხოლოდ ოჯახური ვახშამია! — თქვა მან.

— კი, რა თქმა უნდა, — ეფი შეკრთა და უმაღლესი სამზარეულოში გავიდა.

— ჩვენ ბავშვობა ბრაინერდში გავატარეთ. ერთი გუბიდან ვაცხოვდით ტალახის ღვეზელებს და გვერდივერდ ვისხედით ძველი სკოლის შენობაში. გვარად ვითლესია. ბრაინერდში ვითლესებს ყველა იცნობს. დიდი ოჯახია — მართალია საყდრის თავვებივით არაფერი აბადიათ, მაგრამ გულგულია და მეგობრული ხალხია. მოკლედ, ეფი ძალიან კარგი გოგონაა.

— ეფი, ეფი. ის შენ ედს გეძახის.

— ძვირფასო, ბრაინერდში ერთმანეთს ოფიციალურად არ მიმართავენ. მუდამ ედს მეძახდა.

— უთხარი, აქ სხვაგვარად მოგმართოს.

— ამას ნუ მაიძულებ. ბავშვობიდან ერთად მოვდივართ, ეფი ჩვენი ოჯახის წევრივით იყო. როცა დედა ავადმყოფობდა, უვლიდა და ეხმარებოდა. თუ სწორად მახსოვს, ეფი მე მივიყვანე მუსიკალურ სკოლაში, გამოფენებზეც დამყავდა. ასე რომ, მე მისთვის ბატონი ვერას-

დროს გავხდები, ამას არ გავაკეთებ. როცა ის ბრაინერდში დაბრუნდება და იტყვის, ჩიკაგოში შეხვედრისას მიბრძანა, მისტერ უოლასი დამეძახაო, თავი როგორღა გამოვყო? პატარა ქალაქში არ გიცხოვრია, ამიტომ ამას ვერ მიხვდები.

— რა თქმა უნდა, ამ პრივილეგიით არასოდეს მისარგებლია, — მკვახედ მიუგო ცოლმა.

— ზოგი რამის შესასწავლად ეს მართლაც რომ პრივილეგიაა, მაგრამ ერთი მხრივ ცუდიცაა — პატარა ქალაქი არაა შესაფერისი ადგილი იმ ყმაწვილისთვის, ვისაც სურს ბოლო მოდაზე ჩაცმული დაიარებოდეს.

— ისიც კი არ შეგიძლია, მოახლეს აუკრძალო ედი აღარ დაგიძახოს. არც უნდა დადო თავი სნობობაზე. ასე მეც კი არასოდეს მომიმართავს შენთვის.

— შენ არასოდეს გიცხოვრია ბრაინერდში.

— ამბობ, რომ მუსიკალურ სკოლაში შეიყვანე?

— კი, ეს იყო ოცი წლის წინათ, ბრაინერდში. შენ იცოდი, როდესაც ცოლად მომყვებოდი, რომ სოფლად გაზრდილი ვიყავი. ვსწავლობდი კოლეჯში და ქალაქში მზა ტანსაცმლის შესაძენად ჩამოვედი. არასოდეს მიცხოვრია ოთხასთა* მსგავსად, თუმცა კარგი იქნება, თუ ოდესმე პოლიტიკაში გავვერევი.

— ნამდვილად არ მიფიქრია შენთვის წარსულის შესხენება. უბრალოდ, ვცდილობ წარმოვიდგინო, როდენ არასასიამოვნო იქნება, როცა წვეულება გვექ-

ნება, იგი კი შემოვა და ედს დაგიძახებს.

მისტერ უოლასი სუფრას ორივე ხელით მხიარულად აწვალებდა და იცინოდა.

— არ ვარ დარწმუნებული, რომ მასთან თავს სათანადოდ დაიჭერ, — თქვა მისის უოლასმა.

— ეფი ჩვენს ურთიერთობებში შემოჭრას არ აპირებს, — გადაჭრით თქვა კაცმა, — ისე, შეგვიძლია ბევრი რამ ვისწავლოთ მისგან.

მისის უოლასმა ზარი დარეკა და ეფი შემოვიდა. მისტერ უოლასმა მას გულითადად გაუღიმა.

— ბრაინერდის გაზეთებს თუ იღებ? — ჰკითხა მოახლემ.

* ოლიგარქიული მთავრობა, რომელიც მართავდა ათენს ჩვენს წელადრიცხვამდე 411 წელს. ნიუ-იორკის სოციალური ელიტა.



მხატვარი ოლესია თავაძე

— კი, ყოველკვირა.
— ამ ზამთარს ბევრმა იავადმყოფა. ლორამ მომწერა, რომ ბიძაშენი ჯოჯ ავადმყოფობდა.
— ის ისევე ცაში დაფრინავს?
— ასეა.

ეფი კვლავ სამზარეულოში გაბრუნდა. როცა მან დესერტი შემოიტანა, გაბედა და თქვა:

— მორტი ამბობს, რო დიდი ხანია არ შეგხვედრია. აქ კარგად მონყობილხარ, მშვენიერი სახლი გაქვს.

ნასადილევს მისის უოლასმა მიღებული გადაწყვეტილება ქმარს გააცნო:

— ეფი უნდა წავიდე!

კაცი მიხვდა მძიმე საუბარი ელოდათ და ეს უსიამოვნება თავიდან აირიდა. მან თქვა, რომ მართლაც უკეთესი იქნებოდა, თუკი ეფი წავიდოდა, მაგრამ მოახლე უხეშად კი არ უნდა გაეშვათ, არამედ რბილად და დიპლომატიურად.

ეფი ჭურჭელს რეცხავდა, როცა მისტერ უოლასი სამზარეულოში შევიდა და მიკიბულ-მოკიბული საუბარი დაიწყო. მისის უოლასი სასტუმრო ოთახში იჯდა და ჩურჩული ესმოდა. ედი და ეფი ბრაინერდის ამბებზე საუბრობდნენ და იხსენებდნენ თავგადასავლებს, რომლებიც უსაძლოა ტალახის ღვეზელებსა და სასკოლო გამოფენებსაც ეხებოდა.

მისის უოლასი მოახლეში მეტოქეს ხედავდა, მაგრამ მასთან კონკურენციით არ სურდა თავი დაემცირებინა და გამუდმებით სვამდა კითხვას — ასე ძლიერ რატომ აინტერესებდა რაზე საუბრობდნენ ისინი?

მისის უოლასს მოზღვავებული სიამაყის განცდა ყელში აწვევდა და სადაცაა გონს დააკარგვინებდა. წინა ღამით გეიმებთან ისადილეს. საღამოს კაბა ქმარმა შეურჩია, ქალი მაგიდასთან ბრწყინავდა და მეუღლით ამაცობდა — სულ რაღაც ოცდაათი საათის შემდეგ კი სამზარეულოდან გამოდის მოახლე, რომელიც მისტერ უოლასს ედის ეძახის.

ხმადაბალი ლაპარაკი სამზარეულოში კვლავ გრძელდებოდა. მისის უოლასს სურდა ფეხაკრეფით კართან მისულიყო და საუბარი მოესმინა, ანდა მოახლე მოკლე ბრძანებით გაესტუმრებინა სადგურში. მაგრამ ქმარი ამას არასწორად გაუგებდა, ეჭვიანობისთვის სახუმარო რეპლიკით დასცინებდა და თავის შეკავება არჩია.

კაცი პირში გაჩრილი ჩამქრალი სიგარეტით (ეფიმ სამზარეულოში მოწევა აუკრძალა) კარის ზღურბლთან დახრილიყო და ხელსაყრელ მომენტს ელოდა, რათა საუბრის თემა შეეცვალა. ბოლოს თქვა:

— ეფი, რატომ არ ესტუმრები ლორას რამდენიმე თვით? ძალიან გაეხარდება შენი ნახვა.

— ვიცი, ედი, მაგრამ როქფელერი არ ვარ, ერთი თვით სამუშაო მივატოვო და ნათესავებს ვესტუმრო. კარგი იქნებოდა, მარა...

— ო, ღმერთო! ხვალვე აგიღებ

ბილეთს ბრაინერდისკენ და ფულის დახარჯვა არ მოგიწევს.

— შენმა ცოლმა მითხრა, რომ რთული პერიოდი ჰქონდა, როდესაც არანაირ დახმარებაზე უარს არ ამბობდა, დახმარებაზე საშინელი კი არაფერია.

— ეფი, შენ ჩემი ძველი მეგობარი ხარ და არ მინდა ჩვენთან მოახლედ იმუშაო.

— ისე მოხდა რო ახლა მოახლე ვარ, ამაში მოსარიდი არაფერია. ამის გაკეთება მაშინაც მინევდა, როცა დედაშენს ვეხმარებოდი. არაფერს ცვლის, თუ რას დამიძახებ.

— მგონი, ხვდები, რასაც ვგულისხმობ, ასე არაა? ამდენი ხნის მერე შენ ჩემს სახლში მოხვედი, მინდა იყო სტუმარი და არა მოახლე.

— ედ უოლას, ნუ სულელობ, მე აქ ისევე ვიმუშავე, როგორც ნებისმიერ სხვა ოჯახში.

— დარწმუნებული ვარ, მაგრამ არ მსურს მესმოდეს, როგორ აძლევს ბრძანებებს ჩემი ცოლი ჩემს ბავშვობის მეგობარს. ხვდები?

— წავალ, თუკი ასე გსურს.

— ბილეთს აგიღებ და ბრაინერდში წასვლა ხვალვე შეგეძლება. დამპირდი, რომ ასე მოიქცევი.

— წავალ, თუკი სხვა გამოსავალს ვერ ხედავ.

— თუ დაბრუნდები, სამუშაოს სხვაგან შემოგთავაზებ.

მომდევნო საღამოს ეფი მიდიოდა ეტლით — პროტესტგამოცხადებული ფუფუნებისადმი.

— ედ უოლას, — თქვა ეფიმ ჰაუზის მერე, — ბრაინერდში არავინ დამიჯერებს, როცა ამ ამბავს მოვყვები.

— სიყვარულით მომიკითხე ისინი და უთხარი, რომ ისევე ისეთი ვარ, როგორსაც მიცნობდნენ.

— აუცილებლად, აბა კარგად.

— კარგად, ეფი.

ქალბატონმა უოლასმა ფანჯრიდან დაინახა როგორ გაუჩინარდა ეფი ეტლში.

— მაღლობა ღმერთს, — თქვა მან.

— მართლაც, — თქვა კაცმა, — ვუთხარი, როცა ჩამოვა, ჩვენთან დარეკოს, შეგვხვებიანოს.

— დარეკოს, აქ?!

— დიახ. ვუთხარი, რომ მოხარული იქნები, თუკი კვლავ გვესტუმრება, — კმაყოფილებით აღნიშნა მისტერ უოლასმა.

— მშვენიერი იდეაა! მართლა ჩვენთან დაპატიჟე?


— რა თქმა უნდა, დარწმუნებული ვარ, აუცილებლად გვესტუმრება.

— ახლა როგორ მოვიქცე?

— თუმცა ბრაინერდში არასოდეს გიცხოვრია, ვფიქრობ, სახლის დალაგებას შენც მშვენივრად შეძლებ.

— შევეცდები! — თქვა მისის უოლასმა, რომელსაც აშკარად ეტყობოდა, რომ მეუღლის გადაწყვეტილებით ამაცობდა.

ინგლისურიდან თარგმნა
სოფიკო დაუშვილა



* * *

— ქართველი კაცი მუდამ სცენაზე გრძნობს თავს. გურამ ასათიანი „სათავეებში“ ამ შეხედულებას რომ გამოთქვამს, მოულოდნელობისაგან შეჩქვრივებულ მკითხველს ანალიტიკურად დაუშლის და ყოველი მხრიდან შეახედებს მის „შინაგან მექანიზმს“, რათა თანამოაზრედ გაიხადოს, რაკილა მისთვის ეს დაკვირვება რიგითი კი არ არის, არამედ ამ მონოგრაფიის ერთ-ერთი ქვაკუთხედი, პირდაპირ თუ ირიბად რომ გასდევს მსჯელობას. ამ სიუჟეტური ხაზის შემჩნევა ძნელი არ არის, ჯერ კი ლიტერატურის მკვლევარი გიმტკიცებს, რომ ჩვენს თვისტომთ, მარტოდ დარჩენილთაც კი, ვიღაცის მოუშორებელი მზერა ელანდებათ და ყოველ თავიანთ მოძრაობაში ამ უხილავ თვალთა დაინტერესებულ ყურადღებას ითვალისწინებენ.

რამდენად შეუმცდარია ეს შეხედულება?

გურამ ასათიანი გვამცნობს: პირადად მე ამ ქვეცნობიერი ფაქტორის მოქმედება პირველად კონსტანტინე გამსახურდიას პერსონაჟთა ქცევაზე დაკვირვებისას შევნიშნეო.

სხვა ქართველ მწერალთა გმირებს უთუოდ მეტი უბრალოება რომ ახასიათებთ?

ამ გარემოებას მკვლევარიც მიაქცევდა ყურადღებას, მაგრამ ეს ხელს ვერ შეუშლიდა, თავისი მიხვედრის სისწორე ერწმუნა და ემტკიცებინა, თავისი არსით ეს მაინც ეროვნული ხასიათის ნიშანიაო:

— კონსტანტინე გამსახურდიამ მხოლოდ უკიდურესი, ჰიპერტროფირებული სახით გამოხატა იგი.

მსჯელობა ასეთნაირად გრძელდება, რომ XIX საუკუნემ უსასტიკესი ომი გამოუცხადა ამ თვისების მრავალ უკეთურ გამოვლინებას — ყოყლოჩინობას, მატრაკვეციობას, კუდაბზიკობას, კეკლუცობას... მაგრამ მისი გულისგული არსებითად არ უარუყვია; რომ მთავარი აქ „სცენის გრძნობა“, რაც სხვადასხვა შემთხვევაში სრულიად სხვადასხვა კონკრეტული იერით შეიძლება გამოგვეცხადოს, სხვადასხვა შედეგი მოგვეცეს; რომ „სცენის გრძნობას“ უთუოდ აქვს თავისი დადებითი, „კეთილზნინი“ ფორმებიც, მათ შორის ის ელემენტარულიც, რომ ამგვარი განწყობა შინაგანი მოშვების, მოდუნების უფლებას არ უტოვებს და „სიკობტავისკენ“ უბიძგებს ადამიანს; და რომ ყველაზე მაღალი და დრამატული ის არის, რომ ყოველი მხრიდან მობჯენილი უშელავათო, მომთხოვნის მზერა საბოლოოდ ნამდვილ გმირობას, სრულ თვითგაღებას მოითხოვს სცენაზე მდგომისგან.

ამ შეგნების ფსიქოლოგიურ თუ ფილოსოფიურ საწყისებს რომ ჩაულრმავებოდა, მის წარმომავლობას ჩვენი ქვეყნის ისტორიული ყოფის დრამატიზმითაც ახსნიდა, უფრო ხშირად კულისებში რომ გვიხდებოდა ყურყუტი, ნამდვილი, დიდი მოქმედება კი სადღაც ჩვენგან შორს, ჩვენი მონანილეობის გარეშე მიმდინარეობდა, პირველმი-

ზეზს კი ჩვენი ამგვარი ბუნებისა გაცილებით შორს დაიგულებდა, საუკუნეთა, ათასწლეულთა სიღრმეში. ხოლო ანალიტიკურ განსჯას ამ დასკვნით შეაჯამებდა:

— რაც უფრო დიდია ამა თუ იმ „ზნის“ წარსული სინანგრძლივე, მით უფრო სავარაუდოა მისი ფესვების სიღრმე და მომავალი გამძლეობა.

ბოლომდე ველარ წვდება, ველარ შეურქმევია სახელი, თორემ გზას მართლაც შეუმცდარად მიიკვლევდა ჩვენი ამ ეროვნული თვისების სათავისაკენ, ათასწლეულთა სიღრმეში რომ იკარგება და მეტაფორულად „ქაღდებს მონატრებადაც“ შეიძლება განისაზღვროს, დიდი მოდგმისა და კულტურის მემკვიდრედ რომ გეგულება თავი, ვეება სივრცეზე განფენილისა და არა ორ ზღვას შუა გამოჭედილის.

თურმე ყველა ქართველი მწერლის პერსონაჟებიც სცენაზე დგანან, კონსტანტინე გამსახურდიამ კი მხოლოდ უკიდურესი, ჰიპერტროფირებული სახით გამოხატა ეს განწყობილება.

თვითონ „მთავრის მოტაცების“ შემოქმედი?

ისიც სცენაზე ხომ არ გრძნობდა თავს საკუთარი გმირებივით?

თუკი გურამ ასათიანს ბოლომდე ვერწმუნებით — მისი ზოგადი შეხედულების ყველა ამ „წვრილმანსაც“ გავიზიარებთ — კონსტანტინე გამსახურდიას ვერც გამოვარჩევთ თავისი მთავარი გმირებისაგან, თავის ალტერ ეგოდ რომ ჩაეფიქრებინა თვითუული: კონსტანტინე სავარსამიძეც, თარაშ ემხვარიც, კონსტანტინე არსაკიძეც.

და თუ სხვა ქართველი მწერლებიც სცენაზე შეიგრძნობდნენ თავს შეგნებულად ან ქვეშეცნეულად, „დიონისოს ღიმილის“ შემოქმედი ამ განცდას მხოლოდ უკიდურესი, ჰიპერტროფირებული სახით გამოხატავდა.

სცენაზე მდგომის სულისკვეთებითაა განმსჭვალული მისი ქანდაკებაც და ამიტომაც შეუძლებელია არ მოგწონდეს თენგიზ კიკალიშვილის ეს ჩინებული ნამუშევარი.

ფიქრობ ამ თემაზე და ძალაუნებურად წამოგატივტივდება ორი მწერლის სახეზე — ალექსანდრე ყაზბეგისა და შალვა დადიანის, რომელნიც იმავდროულად მსახიობებიც იყვნენ და ბევრგვარ როლშიც მოესინჯათ თავი.

ალექსანდრე ყაზბეგს დიდი მსახიობობა უფრო ეოცნებებოდა, ვიდრე დიდი მწერლობა და სცენას ვერავინ მოაშორა, მიუხედავად იმისა, რომ წარმატებული კარიერით ვერ დაიკვეხნიდა. მიღწევად მის რეპერტუარში გენერლის როლი რჩებოდა და ამ გამარჯვებას ველარც ვერასოდეს გაიმეორებდა.

შალვა დადიანს კი სიცოცხლის ბოლომდე ეამაყებოდა, რომ მისი ბიოგრაფია „ელგუჯას“ შემოქმედის ბიოგრაფიას იმეორებდა ზოგადი თვალსაზრისით, და როლს როლზე



რომ იცვლიდა, ალექსანდრე ყაზბეგის ლანდიც აგულიანებდა, მე თუ ვერ დავიპყარი მაყურებელი, ეგებ შენ მაინც მოიხვეჭო ტრიუმფი სამსახიობო კარიერაშიცო.

ასეა თუ ისე ორივე სცენაზე იდგა და იქიდან ჩამოსვლა არ უნდოდათ.

თუმც არც ერთსა და არც მეორეს სცენის ის შეგრძნება არ ახასიათებს, გურამ ასათიანის „სათავეებში“ ასეთი ექსპრესიული განცდით რომ არის აღწერილი.

იღუმალად, ქვეშეცნეულად ალბათ ორივესაც მოსდგამდა, მაგრამ არც ისინი და არც მათი პერსონაჟები ამ განცდას მკვეთრად არ ამჟღავნებენ.

კონსტანტინე გამსახურდიას უკიდურესი, ჰიპერტროფირებული სახით გამოხატული შეგრძნების ფონზე ხომ ლამის ის იღუმალი, ქვეშეცნეული განცდაც ვერაფრის-დღეებით ველარ შევამჩნიოთ ვერცერთს.

თავისთავად რაოდენ საგულისხმო და დამაფიქრებელია, არა?

ლია, არა?

ალექსანდრე ყაზბეგიც და შალვა დადიანიც სულ სცენაზე იდგნენ, სცენის ის შეგრძნება კი მათთვის ხელშესახები სულაც არ არის.

კონსტანტინე გამსახურდია თეატრში მხოლოდ მაყურებლის როლს სჯერდებოდა, მაგრამ მაშინაც და ყოველთვისაც მძაფრად განიცდიდა ხან საიდან და ხან საიდან მობჯენილ მზერას.

ამგვარი მისტიფიკატორული ბუნების ადამიანისათვის ეს თითქოს ნილაბიც უნდა ყოფილიყო, მითუმეტეს, უღმობელი პოლიტიკური რეჟიმი აიძულებდა კაცს ნიღბის მორგებას... მაგრამ იგი სხვა ვითარებაშიც ასეთივე იქნებოდა, „სცენის შეგრძნების“ ჰიპერტროფირებულად გამომხატველი — თავის პერსონაჟებიანად.

...ეჰ, რა არტისტს ვერ მაფასებენო, — გული წყდებოდა ალექსანდრე ყაზბეგს.

* * *

ჩვენ ისევე გვახსოვს გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის აღსანიშნავი გრანდიოზული ზეიმის სამზადისი, როგორც საუკუნისწინანდელ ქართველობას რუსეთთან საქართველოს შეერთების ასწლიანი იუბილისა.

მაშინ ასწლიანი მონობა უნდა აღნიშნულიყო დიდი ზარზეიმით.

ახლა — საბედისწერო დოკუმენტზე ხელმოწერა.


გეორგიევსკის ტრაქტატი თავისთავად სულაც არ გამოიყურებოდა ისე საშინლად, რა შედეგიც მოჰყვა მის ხელმოწერას. ტრაქტატის პირობები მართლა რომ შესრულებულიყო და რუსეთს თავზე არ დაეხია ჩვენთვის ეს დოკუმენტი საქართველოს სამეფო კარის, სახელმწიფოსა და ეკლესიის გაუქმებით, ვიქნებოდით იმპერიის სამხედრო ძლიერებას შეფარებულნიც და ოდნავი საფრთხეც არ დაემუქრებოდა ჩვენს მოდგმასა და ადათ-წესებს, მაგრამ რადგანაც პირობები არ შესრულდა, მაინც ტრაქტატს ბრალდებოდა ჩვენს თვალში მონობის უღლის დადგმა.

დაე მუდარით შემოეხედა ერეკლე მეორის აჩრდილს: მე სულ სხვა მინდოდა, სხვას ვიზრახავდი და მწარედ კი მომატყუესო.

მოტყუების აღიარება რა გამართლება იყო!..

ბრძოლებში ძალგულოვანი გმირი ვერ აღმოჩნდა შორსმჭვრეტელი და უნებურად ამხელა განსაცდელს შეგვყარა.

საუკუნის გარიჟრაჟზე ასწლიანი მონობის აღნიშვნის მცდელობამ გამოიწვია ქართველ საზოგადო მოღვაწეთა მძაფრი პროტესტი.



მხატვარი ზურაბ ნიჟარაძე

საუკუნის მიწურულისაკენ კი ტრაქტატის იუბილე აღაშფოთებდათ ჩვენს დისიდენტებს და ისინიც საპროტესტოდ შეიმართებოდნენ.

ხელისუფლება არც დაპატიმრებათა ახალ ტალღას მოერიდებოდა და მიხაილ ლერმონტოვის, მაქსიმ გორკისა და სხვათა ძეგლებს რომ ჩამოამწკრივებდა სამხედრო გზაზე, ლოზუნგებსაც უხვად გამოკიდებდა. დუშეთის შესასვლელშიც ვეებერთელა წარწერას წამოჭიმავენენ „გეორგიევსკის ტრაქტატი — 200“.

იქვე მეზობლად გაგაჭინჭარაული ცხოვრობდა, ტყიჩის სახელით ცნობილი, და ლოზუნგს რომ გახედავდა და აფუსფუსებულ ადამიანებსაც დააკვირდებოდა, ძალაუნებურად დაცდებოდა:

დაჰკიდეს ეგ ლოზუნგი ქოოდ ჩემ სახლის გვერდია. — მამიტრაქტატი, სტუმარო, მშვიდობით მამისხვედია.

მთლად მინი-პოემა ვერ არის... თუმც რა აუცილებელია მინი-პოემა იყოს — კაფიად კი ჩინებულია.

„მამიტრაქტატი“ მარჯვედ ნაპოვნი სიტყვაცაა, ქართული ზმნის მოქნილობისა და სიძლიერის კიდევ ერთი დამადასტურებელი, და ენის გასატყუხადაც გამოსადეგი.

მოგვიტრაქტადებოდნენ სტუმრები, რატომაც არ მოგვიტრაქტადებოდნენ!..

თავაზად და მიჩანს მღერად

ავაგ მხარგრძელი, ძე ივანე ათაბაგისა, შორეულ ყარაყო-რუმს მიემგზავრებოდა. ქართველი მემატინის სიტყვით, „უცნაურსა და ყოვლადვე ქართველთა ნათესავისაგან უვალსა გზასა“ უნდა გასდგომოდა. ჰოდა, შორეულ ყარაყორუმს მიემგზავრებოდა საქართველოში გაბატონებულ მონღოლთაგან უკვე განებივრებული ავაგ მხარგრძელი — „პირველი მერცხალი“, რომელიც უსიტყვოდ დამორჩილა დამპყრობელს და ერთგულ სამსახურს შეჰპირდა.

ივანე ჯავახიშვილი წერდა: „რაკი საქართველო მტრის ხანგრძლივი ნაგარდისაგან მოქანცული იყო, ერთი მაგალითიც კმაროდა, რომ ავაგის გზას სხვებიც გაჰყოლოდნენ. მტრის წინაშე ქედის მოხრა, რაც უნდა იყოს, ადამიანის თავმოყვარეობისათვის სათაკილოა, მაგრამ როდესაც ამგვარ სააუგო საქმეს სხვა ჩაიდენს, მაშინ დანარჩენთ ძნელი ნაბიჯის გადადგმა უადვილდებათ და თვით საქციელსაც მათთვის თითქოს აუციანობაც კი ეკარგება. ამ შემთხვევაში ასეთი სათაკილო ნაბიჯის გადადგმა საქართველოს სახელმწიფოს მხედრობის თვით მთავარსარდალმა ავაგ სპასალარმა იკისრა და სხვებისათვის ხომ მონღოლთა წინაშე დამორჩილება უფრო ადვილი საქმე იქნებოდა“.

XIII საუკუნის ისტორიკოსი კირაკოს განძაკეცი გვამცნობს, რომ მონღოლებს ასეთი წესი ჰქონიათ: ადგილობრივ წარჩინებულთ, ვისთვისაც პატივი უნდა მიეგოთ, თავიანთ დიდ ყაენთან გზავნიდნენ და მისი ბრძანების შესაბამისად ეპყრობოდნენ, როდესაც დაბრუნდებოდა (თუკი დაბრუნდებოდა!). თავად ავაგსაც ეწადა გამგზავრება შორეულ ყარაყორუმში, რადგან იმედოვნებდა, რომ თავის ქვეყანას და საკუთარ თავსაც მწარე ხვედრს შეუმსუბუქებდა. გზა კი ძალზე გრძელი ელოდა. თავდაპირველად უნდა ჩასულიყო ე.წ. ოქროს ურდოში, მდ. ირტიშიდან დუნიამდე რომ იყო გადაჭიმული; უნდა ჩასულიყო სახელმწიფო მხედართმთავრის ბათო-ყაენის კარზე და ვინ იცის, რა ელოდათ იქ ქართველებს.

ბათო-ყაენი ის კაცი იყო, რომელსაც ეპყრა „ოვსეთი და დიდი ყივჩაყეთი, ხაზარეთი და რუსეთი, ვიდრე ბნელეთამდის და ზღვამდე დარუბანდისა“.

ბათო-ყაენი ის კაცი იყო, რომელმაც ააოხრა რუსეთი ნოვგოროდამდე, აიღო კიევი, თავს დაესხა პოლონეთსა და უნგრეთს, გადაჭრა ცენტრალური ევროპა და ადრიატიკის ზღვის ტალღებში შეაცურა ცხენი.

ბათო-ყაენი ის კაცი იყო, ვის კარზეც ყოვლად ურცხვად ეპყრობოდნენ უცხოელ სტუმრებს. საქვეყნოდ იყო ცნობილი ერთი ასეთი ამბავი: მონღოლებმა, ყალბი ბრალდების საფუძველზე, მოკლეს ჩერნიგოვის მთავარი ანდრეი. მისი უმცროსი ძმა, დაქვრივებულ რძალთან ერთად, ეახლა ბათო-ყაენს და სთხოვა, ჩვენს სამფლობელოს ნუ ნაგვართმევო. ბათო-ყაენმა მთხოვნელს გულმონყალებდ განუცხადა: ჩვენი ადათ-წესების თანახმად, შენი ძმის ქვრივი ცოლად უნდა შეირთო და ყველაფერი რიგზე იქნებაო. კაცმაც და ქალმაც შეიცხადეს, მაგას სიკვდილი გვიჯობსო. მაგრამ ბათო-ყაენმა სასიკვდილოდ ვერ გაიმეტა ძვირფასი სტუმრები და მათი იძულებითი გაბედნიე-



ბათო ყაენი

რება ბრძანა. ატირებულ-აკივლებული ქალ-ვაჟი სარეცელთან მიაბრძანეს და საჯაროდ შეაუღლეს. კმაყოფილი მონღოლები სიცილ-ხარხარით ადევნებდნენ თვალს ესოდენ მომხიბლავ სანახაობას. ბათო-ყაენი კი, როგორც ეკადრებოდა მბრძანებელს, თავშეკავებით ილიმებოდა.

ვინ იცის, რა ელოდათ ქართველებს ბათო-ყაენის კარზე. ვითუ სიკვდილი მონატრებოდათ...

ავაგ მხარგრძელს თან ახლდა ერთგული ყმა — დავით ეჯიბი (ანუ მეკარეთუხუცესი, კამერკერი). მან თავის პატრონს მოახსენა: უცხო ქვეყანაში მივიღვივართ, არ ვუნყით, რა გველოდება, სიკეთე დაგვხვდება იქ თუ სიავე. მოდი, ასე მოვიქცეთ: მე, ვითომ, შენი ბატონი ვიქნები და შენ — ჩემი ყმა. ყაენმა ბატონის მოკვლა რომ ინებოს, მე შევრჩები ხელთ და შენ გადარჩები, ქვეყანასაც ჩემზე მეტად გამოადგებიო.

ავაგ მხარგრძელი უარზე იდგა, მაგრამ მრავალი მუდართა და ვედრებით დაიყოლიეს.

და აი, ეახლნენ ბათო-ყაენს. დავით ეჯიბი წინ მიუძღოდა ავაგ მხარგრძელს და მზად იყო, წარბეუხრულად შეგებებოდა სიკვდილს თავისი პატრონის მაგივრად.

მაგრამ, ღვთის წყალობით, ბედმა გაუღიმათ. ეტყობა, ჩალატა-ნოინის სარეკომენდაციო ბარათმაც გასჭრა და ქართველები დიდი პატივით მიიღეს.

მცირე ხნის შემდეგ განმეორდა მათი ვიზიტი ბათო-ყაენთან. შიში და სიფრთხილე წარსულს გაატანეს. ამჯერად, ავაგ მხარგრძელი წინ მიუძღოდა დავით ეჯიბს.

ბათო-ყაენი გაოცებითა და შეცბუებით შეჰყურებდა ამ მოულოდნელ მეტამორფოზას.

დავით ეჯიბმა მონიწებით აუხსნა საქმის არსი.

ბათო-ყაენი კიდევ უფრო გაოცდა და ქება შეასხა პატრონისათვის ესოდენ თავდადებულ ყმას. მერე ხმამაღლა წარმოთქვა თავის ხელქვეითთა გასაგონად:

„უკეთუ ნათესავი ქართველთა ეგვეითარი არს, ვბრძანებ, რათა ყოველთა ნათესავთა, რომელნი არიან მორჩილებასა ქვეშე მონღოლთა, უმჯობეს და უწარჩინებულეს იყვნეს, და მონღოლთა თანა მხედართა აღრაცხონ, და მამული და საქონელი მათთა ხელთა შინა იყოს, და ყოველსა შინა მისანდოდ იყვნენ“.

ბრძანება დაინერა და ქართველი სტუმრები პატივით წარგზავნეს თვით დიდ ხელმწიფის მანგუ-ყაენის კარზე, შორეულ ყარაყორუმში.

ბათო-ყაენის გაოცება მაშინ გენახათ, რომ შეეტყო შემდეგი: დავით ეჯიბის მამა იყო ივანე ახალციხელი, ხოლო ავაგ მხარგრძელისა — ივანე ათაბაგი, საქართველოს მხედრობის მთავარსარდალი, რომელმაც, ოციოდე წლის წინათ გარნისის ომში, ჯარი არ მიაშველა წინამბრძოლეს, შალვა და ივანე ახალციხელებს, და სასიკვდილოდ განწირა ისინი.

და აი, დავით ეჯიბი მზად არის, რომ თავი განწიროს თავისი მამის ავისმქმნელის მემკვიდრისათვის.

თამამად შეეძლო გაემეორებინა ავთანდილის ნათქვამი: „მე იგი ვარ, ვინ სოფელსა არა მოუჭკრეფ კიტრად ბერად, ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერად“.

ასეთი შურისძიებაც სჩვეოდათ ოდესღაც საქართველოში.

გოლიათის პირისპირ

ქართულ მატინებში არაერთი ბრჭყვიალა ეპითეტით შეუმკიათ ჩვენი ქვეყნის მბრძანებელი, მაგრამ მარტოოდენ გიორგი პირველი (1014-1027) არის დაჯილდოებული ესოდენ იშვიათი და ნამდვილად შესაშური დახასიათებით: „უშიში, ვითარცა უხორცო“.

როგორც ცნობილია, მისი წინამორბედი თუ მომდევნო მეფეები (დავით აღმაშენებლამდე) თავმონონებით ატარებდნენ ბიზანტიის იმპერატორთაგან ბოძებულ საპატიო ტიტულებს (კურაპალატი, ნოველისიმოსი, მაგისტროსი და სხვ.) და საკუთარი ღირსების შემლახველი სამკაულით დამშვენებულ ნუსხაში ერთადერთი გამონაკლისია გიორგი პირველი, ვისაც იმდროინდელი ძეგლები და მატინები არავითარ ბიზანტიურ ტიტულს არ მიაწერენ და უბრალოდ „მეფეთა მეფედ“ მოიხსენიებენ.

უშიშს, ვითარცა უხორცოს, ჩანს, საომარი ასპარეზის გარეთაც მოსდგამდა გულადობა და თვითრწმენა. არც ღმერთისა ეშინოდა, არც ეშმისა.

ივანე ჯავახიშვილის სიტყვით, გიორგი პირველმა თითქმის მთელი თავისი მეფობა და ძალ-ღონე ბიზანტიის კეისართან ბრძოლას შეაღწია. ხოლო ბიზანტიის კეისარი, იმხანად, იყო ბასილი (976-1025), რომელსაც მეტსახელად „ბულგართმშუსვრელი“ შეარქვეს.

საისტორიო წყაროების მიხედვით, ბასილი კეისარი ყოფა-ცხოვრებაში მკაცრი და უბრალო ყოფილა, სიტყვაძვირი და ენაბრგვნილი, ძალზე ენერგიული და გონიერი. თავშეკავება სჩვეოდა, იოლად ვერ განარისხებდი, მაგრამ ბოლმას გულში ინახავდა და არავის არაფერს აპატიებდაო. ბიზანტიას, მისი სიკვდილის შემდეგ, აღარასოდეს მიუღწევია ოდინდელი ძლიერებისათვის.

მეორე ათასწლეულის დამდეგს ბასილი კეისარმა ბალკანეთის ნახევარკუნძულის დაპყრობას მოჰკიდა ხელი.

გადამწყვეტი მოვლენები დატრიალდა 1014 წლის ზაფხულში. ბიზანტიის კეისარმა ზედიზედ ორჯერ დაამარცხა ბულგარელები, მაგრამ დამარცხება როდი აკმარა. ბასილის სადისტურმა ფანტაზიამ ისეთი სასჯელი მოიგონა, თემურ-ღნგსა თუ შაჰ-აბასს ვერც დაესიზმრებოდათ. გამარჯვებულმა კეისარმა ტყვედ ჩავარდნილ ბულგარელებს დიდსულოვნად სიცოცხლე აჩუქა, ოღონდ მათი დაბრმავება ბრძანა, ტკივილის ნამლად მიჩნეული ცრემლი რომ აღარასოდეს დაეღვარათ. თხუთმეტი ათას ბულგარელს თვალები დასთხარეს და უსინათლოთა ყოველ ასეულს სათავეში ჩაუყენეს თითო კაცი, რომელსაც მხოლოდ ცალი თვალი ჰქონდა ამოთხრილი. ისინი მეგზურებად გაუძღვნენ უმოწყალოდ ვნებულ არმიას. როგორც ამბობენ, ბულგარეთის მეფე ისე შეაძრწუნა ამ არნახულმა სანახაობამ, რომ ორ დღეში სული განუტევა.

აი, სწორედ მაშინ შეარქვეს ბასილი კეისარს „ბულგართმშუსვრელი“ და ეს მეტსახელი სამუდამოდ შერჩა. კაცობრიობის ისტორიას, ალბათ, არ ახსოვს ამგვარი თავშესაქცევი სადინში. მოკვეთილ თავთან აგებული მინარეთიც კი, გარკვეული თვალსაზრისით, ვერ გაუტოლდება უსინათლოთა არმიის შემზარავ სურათს.

ბიზანტიელები, სამი წლის განმავლობაში, აოხრებდნენ ბულგარეთს. 1019 წლის დამდეგს, ბასილი კეისარი ტრიუმფით შევიდა დაპყრობილი ქვეყნის სატახტო ქალაქში. იმავე ხანებში სერბებმაც და ხორვატებმაც დაკარგეს დამოუკიდებლობა. ბიზანტიის ბატონობა მთელს ბალკანეთზე გავრცელდა.

ბასილი კეისარმა ბულგარეთის დაპყრობა რომ მოათავა, ახლა საქართველოს დაადგა თვალი. გიორგი პირველმა ბიზანტიელთა მრავალრიცხოვან ლაშქარს მარცხი აგება სოფელ უსტიქის მიდამოებში. მერე მეორე ბრძოლაც გამართულა, რომელსაც XI საუკუნის სომეხი ისტორიკოსი არისტაკეს ლასტივერტეცი ასე აღწერს: „ჯარები ერთმანეთს შეხვდნენ პალაკაციოს ტბის მახლობლად და საზარელი გრიალით ეკვეთნენ ერთმანეთს, ამიტომაც მახვილთა გაელვარებისა და მუზარადების კაშკაშის დროს ცეცხლის ნაპერწკლები მთებს ეფინებოდა“.

ბასილი კეისარი უზომოდ განუცვიფრებია ქართველ მხედართა სიმამაცეს და შეუპოვრობას, რომლებმაც კლდეზე მიხეთქებულ მდინარეთა ნიაღვრის მსგავსად დაამსხვრიეს ბიზანტიელთა ჯარი და უკუაქციესო.

მაგრამ ეს ნარმატება დროებითი გამოდგა.

ბასილი კეისარს ოთხივე მხარეს გაუგზავნია მარბიელი ლაშქარი და კატეგორიული ბრძანება გაუცია: არ დაენდოთ არც კაცი და არც ქალი, არც ჩვილი და არც მოხუცი; გადაენვით და დაენგრიათ ყველაფერი — სასახლეებიც და ქოხებიც, ეკლესიებიც და ბელეებიც.

ზემოხსენებული სომეხი ისტორიკოსი მოგვითხრობს: „ძუძუმწოვარა ყრმებს, ზოგს დედის მკერდიდან გლეჯდნენ და ქვეს ურტყამდნენ, ნაწილს კი დედის მკერდზე აკლავდნენ შუბით და დედის რძეს ყრმების სისხლს ურევენ; სხვებს გზავნიდნენ ცხენების ჩლიქებზე აგებდნენ“.

რატომ არ გვივითხრობს მათ?

ამ ბარბაროსული აქციების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი გახლდათ ერთმონუმუნე ბიზანტიის ღვთივეკურთხეული კეისარი.

საქართველოს მეფემ, „უშიშმა, ვითარცა უხორცომ“, ერთხელ მაინც ხომ აგემა მარცხი მრისხანე აგრესორს და, რაც მთავარია, დაპყრობას გადაარჩინა თავისი სამშობლო...

ძრონიკა

21 ნოემბერს აკაკი ხორავას სახელობის მსახიობთა სახლში ახალგაზრდა პოეტებმა ქეთევან ჩხარტიშვილმა (ხელოვანი), მარიამ ბაჯელიძემ (მერიენი), ნინო ნადირაძემ (მზე მწველიძე), გვანცა ჯობავამ (ციცანა) და მაია კილაძემ (ზევისის დაქალი) პოეტური პერფორმანსი მოაწყვეს, რომელსაც „სიზმრების (გ)ახსნა“ დაარქვეს.

დაწყებამდე მათ თქვეს, რომ ეს იქნებოდა შეშლილთა საღამო, ყველაზე დიდი გადატრიალება. „შეშლილებო, ჩამოიშორეთ სახიდან ხელები... დროა დაგინახონ...“ – ამ სიტყვებით მიიპატიჟეს საზოგადოება საღამოზე, რომელიც ახალგაზრდა პოეტებმა თვითონვე გააფორმეს, სხვადასხვა ფერის ლილები დაიბნინეს

თეთრ კაბებზე, თვითონვე დადგეს ყველაფერი, დეკორაციაც თვითონ შეარჩიეს, საკუთარი ლექსები სცენაზე გააცოცხლეს და ყოველგვარი თამაშის გარეშე, ბუნებრივად ნაუკითხეს მაყურებელს.

დარბაზი სავსე იყო ახალგაზრდებით, ისინი ყველა ლექსს ინტერესით უსმენდნენ, ტაში არ წყდებოდა.

ახალგაზრდა პოეტები კმაყოფილი იყვნენ, რომ მათ პოეტურ პერფორმანსს ბევრი ხალხი დაესწრო. ყველაფერი ვიღონეთ, რომ სცენაზე გადმოგვეტანა ჩვენი ემოციები და გრძნობები, რამაც დიდი სიამოვნება მოგვანიჭა – თქვეს მათ საღამოს დამთავრების შემდეგ.